K 3696
3

პარიზის უნივერსიტეტის
პროფესორი შარლ ჟიდი

# პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები

წიგნი მეორე

# აღებმიცემა

თარგმანი ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორის
**იასონ გაბილაიასი**

გამოცემა ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციისა

ქუთაისი
საგუბერნიო სტამბა
1919

გთხოვთ გაასწოროთ ამას წინათ ცალკე წიგნათ გამოსულს შარლ ჟიდის „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ შ ე ს ა ვ ა ლ შ ი:

| გვ. | სტრიქონი ზევიდან | დაბეჭდილია | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 4 | 10—11 | აუ-ცილებლობის | თა-ვისუფლების |
| 4 | 11—12 | თავისუფლე-ბისათ | აუცილებლო-ბისათ |
| 6 | 26 | იტალიას | ისპანიას |

პარიზის უნივერსიტეტის
პროფესორი შარლ ჟიდი.

# პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები

## წიგნი მეორე

## გაცვლა-გამოცვლა.

K 3696/3

თარგმანი ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქტორის
იასონ გაბილაიასი.

Центральная научная библиотека
Академия наук Груз.

გამოცემა ჟურნალ „კოოპერაციის“ რედაქციისა.

# ალებ-მიცემა.

ამ ნაწარმოების პირველ გამოცემებში ალებ-მიცემასა და წარმოებას ერთ წიგნში ვათავსებდით. მაშინ ჩვენ იმ გარემოების შთაბეჭდილებას განვიცდიდით, რომ ალებ-მიცემა მიზანს არ წარმოადგენს, რადგან სიმდიდრეთა ალებ-მიცემა მხოლოდ ალებ-მიცემისათვის როდი ხდება. გაცვლა-გამოცვლა და კრედიტი, რომელნიც სიმდიდრეთა ალებ-მიცემის ორს არსებით ნაწილს და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, რალაც მთლიან ერთეულს შეადგენენ, შრომის ორგანიზაციის ფორმათ გვეჩვენებოდა და გვეგონა, რომ ისინი იმნაირსავე მიზანს ისახავდენ, რანაირსაც ასოციაცია და შრომის განაწილება,—გაადვილებისა და წარმოების მიზანს.

თუ კი ახლა ჩვენ კლასიკურ განაწილებას ვადგებით და გაცვლა-გამოცვლასა და კრედიტს განსაკუთრებულ ადგილს ვუთმობთ, ამას ჩვენ მხოლოდ იმიტომ კი არ ვშვრებით მარტო, რომ შესასწავლათ ასე უფრო მოსახერხებელია მასალების დალაგება, და სრულებით არც იმიტომ, რომ ასეთი განაწილება ვაჭრობასა და მრეწველობას შორის არსებულ ჩვეულებრივ განსხვავებას შეეფერება, არამედ იმიტომ, უმთავრესათ, რომ შრომის ორგანიზაციის ეს ახალი ფორმები სულ სხვა ასპარეზს შეეხება. სიმდიდრე შექმნილია, და ახლა საქმე იმას შეეხება, რომ იგი გადაცემულ იქნას; მისი ფორმა მეტათ არ შეიცვლება, ის მხოლოდ მესაკუთრეს გამოიცვლის. იგი მეტათ ტეხნიკური გარდაქმნის საგანს არ წარმოადგენს, ის უკვე ხელშეკრულობის ობიექტათ ხდება.[1])

## თავი I.

## გაცვლა-გამოცვლა.

I. **გაცვლა-გამოცვლის ისტორიული მიმოხილვა.** თანამედროვე ცხოვრებაში გაცვლა-გამოცვლას ძლიერ ფართო ადგილი უკავია.

ამაში რომ დავრწმუნდეთ, საკმარისია შევნიშნოთ, რომ თითქმის ყველა სიმდიდრე შექმნილია გაცვლა-გამოცვლისათვის. აიღეთ მიწის მფლობელთა ბეღლებში თუ სარდაფებში ჩაყრილი პური, ტანსაცმელი სახელოსნოში, ფეხსაცმელი მეჩექმესთან, ძვირფასეულობა ოქრომჭედელთან. პური მეპურესთან... და კითხეთ, ამ სიმდიდრეთა რომელ ნაწილს ინახავს მწარმოებელი საკუთარი მოხმარებისათვის. შესაძლოა, რომ ასეთი ნაწილი არც რჩებოდეს, ან-და, თუ კი რჩება, იგი ძლიერ მცირედი იქნეს. ყველა ეს მხოლოდ საქონელია და. როგორც ამ სახელიდან აშკარათ ჩანს, გასაყიდათ დანიშნულია. ჩვენი სამრეწველო მოღვაწეობა, ჩვენი ნიჭიცა და ჩვენი უნარიც ძლიერ ხშირათ დანიშნულია სხვებისა, და არა ჩვენივე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ. ნუ-თუ ხშირათ უხდება ადვოკატს, აქიმს, ნოტარიუსს თავისივე საქმის დაცვა, თავისივე ტკივილთა მორჩენა, ან-და თავისთვის საბუთების შედგენა? ეს პირებიც თავის სამსახურს გაცვლა-გამოცვლის თვალით უყურებენ. აი რატომაა, როცა საქმე ჩვენს სიმდიდრეს შეეხება, ჩვენ მას ვაფასებთ არა ჩვენთვის მისი სარგებლობისა. არამედ მხოლოდ მისი საცვლელი ღირებულების მიხედვით, იმ სარგებლობის მიხედვით, რომელსაც ის სხვებს მოუტანს.

მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ყოველთვის ასე იყო. გაცვლა-გამოცვლა ისეთ ადვილ საქმეს არ წარმოადგენს, როგორსაც ასოციაცია ან შრომის განაწილება; ეს ორი უკანასკნელი იმდენათ ბუნებრივია, რომ მათით ზოგიერთი ცხოველის ჯიშიც კი სარგებლობს.[2]) გაცვლა-გამოცვლა ინსტინკტიური მოვლენა სრულებით არაა: თავისი განვითარების პირველ საფეხურებში იგი, ალბათ, ადამიანის ბუნებას არც კი ეგუებოდა. პირველყოფილი ადამიანი თავისი შრომის ნაყოფს, იმას, რაც მან გააკეთა, ისე უყურებდა. როგორც თავის პიროვნებასთან განუცალკევებელ რასმე. აქიდან წარმოსდგება ის არაჩვეულებრივი საზეიმო ფორმალობა, რომელიც ნივთთა მიჩემებას მო-

ყვებოდა (მაგ., mancipatio რომის უფლებაში). მაგრამ—გასაკვირი საქმეა—გაჩუქება, მართლაც, გამოცვლაზე უფრო ადრე უნდა იყოს შემოღებული, და კიდეც ფიქრობენ, რომ გაცვლა-გამოცვლას დასაწყისი სწორეთ მან მისცა საურთიერთო ჩუქების ფორმით.

სამრეწველო ორგანიზაციის პირველდაწყებით ფორმაში, საოჯახო მრეწველობაში, ცხადია, გაცვლა-გამოცვლას ადგილი არ ექნებოდა, რადგან ყოველი ჯგუფი ავტონომიურსა და თვითმყოფად ორგანიზაციას წარმოადგენდა. ყოველი ჯგუფი თავის მოთხოვნილებებს მხოლოდ და მარტო თავისივე წევრებისა და მონების შრომით აკმაყოფილებდა, ხოლო შემდეგში ყმების დახმარებითაც. უმეტეს ნაწილათ გაცვლა-გამოცვლა თავს იჩენს, როგორც იშვიათი ან შემთხვევითი მოვლენა ზოგიერთს ეგზოტიურ პროდუქტში, რომელიც უცხოელ ვაჭრებს გარედან მოქონდათ.

მეორე ფაზაში—კორპორატიულ მრეწველობაში—ხელობათა დანაწილებასთან ერთად ძალაუნებურათ გაცვლა-გამოცვლაც ჩნდება. მაგრამ იგი ქალაქის საზღვრებს ჯერ კიდევ არ ცილდება: ქალაქის ბაზრებზე ერთმანეთს ხვდებიან მწარმოებელნი და მომხმარებელნი, თანამოქალაქენი. გარეშე ვაჭრებიც ახერხებენ ქალაქის ბაზარზე შემოსვლას, მაგრამ ეს დიდ შრომასა და ბრძოლას მოითხოვს და შესაძლებელია ზოგიერთი სასტიკი პირობის დაცვით.

მესამე ფაზაში—მანუფაქტურულ მრეწველობაში—ბაზარი ფართოვდება და *ნაციონალურ* ხასიათს ღებულობს; სწორეთ აქიდან იწყება ნამდვილი გაცვლა-გამოცვლა და ვაჭრობა. ლიტერატურაში უკვე აღნიშნულია, რომ ნაციონალური ბაზრის წარმოშობა თანამედროვე დიდი სახელმწიფოების წარმოშობასთან ერთად მოხდა და თან იმ დროში, როცა, ნაცვლათ ქალაქების სიმაგრეთა აგებისა, ვობანის სისტემით ნაციონალურ სიმაგრეთა აგება დაიწყეს,—ეს გარემოება კი იმას ამტკიცებს, რომ ეკონომიური, პოლიტიკური, სამხედრო და სხვა ევოლიუცია პარალელური გზებით მომდინარეობს.

კიდევ უფრო მეტათ გაფართოებით ბაზარი კოლონიურ ხასიათს ღებულობს და ამ დროიდან (მეთვრამეტე ს.) იწყება იმ სხვილი სავაჭრო კომპანიების არსებობა, რომელთაც ქვეყნების ეკონომიურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულეს,—მაგ., ინგლისური ოსტ-ინდიის კომპანიისა და სხ. დასასრულ, მეოთხე ფაზაში—მექანიკურ მრეწველობაში და რკინის გზების ხანაში—ბაზარი ჭეშმარიტათ *მსოფლიო ბაზრათ* ხდება და ვაჭრობა იმ გრანდიოზულ სახეს ღებულობს, რომელმაც ჩვენი ძველი ევროპის ეკონომიური დამოკიდებულებანი ძირ-ბუდიანათ შესცვალა და საერთაშორისო ვაჭრობის საკითხიდან ჩვენი დროის ერთი უუმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი წამოაყენა.

**II. გაცვლის დაყოფა ყიდვათ და გაყიდვათ.** როცა გაცვლა-გამოცვლა დამოუკიდებლათ ხდება, საქონელი საქონელზე იცვლება (მას სახელათ ქვია *გაცვლა*—*troc*), აქიდან უხერხული და ხშირათ თითქმის პრაქტიკაში განუხორციელებელი ოპერაცია გამომდინარეობს. მართლაც, გაცვლის განსახორციელებლათ საჭიროა ამა თუ იმ საგნის პატრონმა ისეთი პირის მოძებნა დაიწყოს, რომელიც *მზათ იქნება*, რომ *მისი საქონელი შეიძინოს* და (რაც გაცილებით უფრო ძნელი განსახორციელებელია!) თან *სწორეთ ის ნივთი დაუთმოს, რომელიც მას სჭირდება*. ეს კიდევ ყველაფერი არაა: ამასთანვე საჭიროა (მაშინაც კი, როცა ასეთი ბედნიერი შეხვედრა მოხდება), რომ *გასაცვლელათ მიჩნეული ორივე საგანი თანასწორი ღირებულებისა იყოს*, რომ ისინი თანასწორსა და მოპირდაპირე სურვილებს აკმაყოფილებდნენ,—ესეც მესამე მოუხერხებლობა! [3])

ასეთ უხერხულობას *საქონელ-შუამავლის* ალმოჩენა გვაშორებს. იგი, რა თქმა უნდა, გულისხმობს საზოგადოებაში მცხოვრებ ადამიანთა შორის აშკარათ ან ჩუმათ არსებულ შეთანხმებას თავის პროდუქტებზე გადასაცვლელათ ამ *საქონელ-შუამავლის* მიღების შესახებ. რაკი ეს პირობა მიღებულია, ოპერაციაც მაშინ საუკეთესოთ მიმდინარეობს. ვთქვათ ამ მიზნისათვის ვერცხლი აირჩიეს. ჩემ შიერ გასაყიდათ დამზადებული საქონლის სამაგიეროთ მე სიამოვნებით ვღებულობ ამ ვერცხლის განსაზღვრულ რაოდენობას—იმ შემთხვევაშიც კი, როცა მე იგი არაფრათ მესაჭიროება. მერე რატომ? იმიტომ, რომ მე ვიცი: როცა რაიმე ჩემთვის საჭიროისა

და იმავე ღირებულების საგნის შეძენა მომინდება, სრულებით საკმაო იქნება იგივე ვერცხლი იმ პირს მივაწოდო, ვისაც ეს საქონელი ექნება, და იგი მას მიიღებს იმავე მოსაზრებით, რა მოსაზრებითაც თვით მე მივიღე ეს ვერცხლი.

ნათქვამიდან ცხადია, რომ ყოველი საცვლელი ოპერაცია, ამნაირათ, ორ სხვადასხვაგვარ ოპერაციათ იყოფა. ნაცვლათ იმისა, რომ ჩემი საქონელი A თქვენს საქონელ B-ზე გადავცვალო, მე ამ ჩემს საქონელ A-ს ვერცხლზე ვცვლი, რომ შემდეგ, ეს ვერცხლი თქვენს საქონელ B-ზე გადავცვალო. პირველ ოპერაციას გაყიდვა ეწოდება, ხოლო მეორეს—ყიდვა (იმ შემთხვევაში მაინც, როცა საქონელ-შუამავალი ფულია, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით). გამოდის, რომ თითქო საქმე უფრო რთულდება, ვიდრე ადვილდება. მაგრამ უახლოეს გზას ყოველთვის სწორი ხაზი როდი წარმოადგენს, და ეს გენიალური შემოვლაც, პირიქით, აღურიცხველ მზრუნველობასა და შრომას გვაცილებს. მართლაც, გაცვლას უხერხულათ სწორეთ ის გარემოება ხდიდა, რომ რომელიმე მწარმოებელი, ვთქვათ, პრიმუსი, მეორე პირს უნდა შეხვედროდა, ვთქვათ, სეკუნდუსს, რომელსაც ერთსა და იმავე დროს, უპირველეს ყოვლისა, იმ ნივთის შეძენა უნდა ნდომოდა, რომლის გასაღებაც პრიმუსს უნდა, ხოლო მერე პრიმუსისათვის იმ ნივთის დათმობა შეძლებოდა, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა შეეძინა. გაცვლის ოპერაციის დაყოფის შემდეგ პრიმუსს მოუწევს, რა თქმა უნდა, თავისი საქონლის მყიდველის მოძებნა, მაგრამ მას არ დაჭირდება ამ პირისგან მისთვის, პრიმუსისათვის, საჭირო საქონლის მოთხოვა. პრიმუსი ამის შესაძენათ მეორე პირს სხვა დროსა და სხვა ადგილას მიმართავს. *ამ ორ ოპერაციას სწორეთ მათი გაუყოფელობა აძნელებდა*, და რაკი შემბოჭველი კუნძი გაწყვეტილ-იქნა, ახლა ცალ-ცალკე ამ ოპერაციების შესრულება უკვე ადვილ საქმეს წარმოადგენს. ძლიერ ძნელი არ იქნება რომელიმე ისეთი პირის ან მყიდველის მოძებნა, რომელსაც თქვენი საქონელი სჭირდება. კიდევ უფრო ადვილი იქნება მეორე პირის ან გამყიდველის მოძებნა, რომელიც თქვენ საჭირო საგანს სიამოვნებით მოგყიდის.

და რადგან ნატურალურ გაცვლა-გამოცვლაში ძლიერ ძნელია ნივთების შეფასება, ამიტომ ამ ნიადაგზე სულის შემზარავი ბოროტმოქმედება ხდება. როცა აფრიკელებს თოფს ან ბამბეულ ფართალს რეზინისა და სპილოს ძვლების სამაგიეროთ აძლევენ, გასაყიდი საქონლის ღირებულებას ოთხჯერ ადიდებენ, ხოლო საყიდი საქონლისას ორჯერ ამცირებენ, რაც ევროპიელისათვის 1 : 8 შეფარდებას შეადგენს! ბევრ შემთხვევაში 1 : 100 შეფარდებაც გამოდის. ამ მხრივ გაცვლა-გამოცვლაში ფულის ჩარევა ბედნიერებათ უნდა ჩაითვალოს: ადამიანთა საურთიერთო დამოკიდებულებაში ფულმა მორალისა, თანასწორობისა და სამართლიანობის შეტანა დაიწყო.

მაგრამ არ უნდა დაივიწყოთ, რომ ეს ორი ოპერაცია, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განცალკევებული არიან, ახლაც მთლიან ერთეულს წარმოადგენენ და ერთი მათგანის მეორის უმისოთ წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ყოველდღიურ მოვლენათა გავლენით ჩვენ მართლაც ვფიქრობთ, რომ ეს ორი ოპერაცია ერთი მეორისაგან დამოუკიდებელ ოპერაციებს წარმოადგენს. მაგრამ ეს შეცდომაა. *ყოველი ყიდვა წინასწარ გაყიდვასაც გულისხმობს*, ვინაიდან, სანამ თქვენი ფულით საქონელს შეიძენდეთ, მანამდი უსათუოთ ამ ფულზე თქვენი საქონელი უნდა გაგეყიდათ. პირიქით, *ყოველი გაყიდვა მომავალში ყიდვას გულისხმობს*, ვინაიდან თავის საქონელს როცა ფულზე სცვლიან, ამას იმისთვის შვრებიან, რომ შემდეგში ეს ფული საჭირო საქონელზე გადაცვალონ,—სხვაფრივ ეს ფული აბა რის მაქნისი იქნებოდა! ამასობაში, რადგან მოუხმარებლათ ფულის შენახვა დიდხანს შეიძლება, შესაძლოა მოხდეს, რომ ორ ოპერაციას, გაყიდვასა და მის შემვსებ ყიდვას, შორის ბევრმა დრომ გაიაროს—რამდენიმე წელიწადმა და, შესაძლოა, თითქმის რამდენიმე შთამომავლობამაც. მაგრამ საჭიროა, რომ ეს ორი აქტი ჩვენ მოსაზრებაში ერთმანეთს დავუახლოვოთ, და, მართლაც, ჩვენს კულტურულსა და აგრეთვე პირველყოფილ საზოგადოებებშიც ყოველი ადამიანი, შუამავლის ჩარევისა და მით გამოწვეულ გართულებათა მიუხედავათ, ცხოვრობს აწმყოს ან წარსულის თავისი პროდუქტებისა თუ სამსახურის აწმყოის ან მომავლის სხვა პროდუქტებსა თუ სამსახურზე გაცვლით. არც ერთ ადა-

მიანს, და მათ შორის თითქმის უსაქმურ რანტიესაც კი, არ შეეძლო ხარჯების გაწევა, ვინმე მის წინაპართაგანს ან მევალეთაგანს თავისი შრომის პროდუქტი რომ არ გაეყიდა და მიღებული ფული მისთვის რომ არ გადაეცა.

ამ საქონელ-შუამავალს, რომელიც გაცვლას ყიდვათ და გაყიდვათ ანაწილებს, *ფული* ეწოდება. ფულის როლი როგორც საეკონომიო მეცნიერებაში, ისე პრაქტიკულ ცხოვრებაშიც, დიდია. ამ სიკითხს ჩვენ რამდენიმე თავს მოვანდომებთ.

**III. საცვლელი ღირებულება და ფასი.** ძველი ეკონომისტები, არისტოტელიდან დაწყებული, ხოლო მათ შემდეგ ადამ სმიტი, ორ ღირებულებას არჩევდენ: ღირებულებას, რომელსაც ისინი *მოსახმარ ღირებულებას* უწოდებდენ და რომლისთვისაც უკეთესი იქნებოდა—„ინდივიდუალური ღირებულება“ ეწოდებიათ, და ღირებულებას, რომელსაც ისინი *საცვლელ ღირებულებას* უწოდებდენ, ხოლო უკეთესი იქნებოდა—„სოციალური ღირებულება“ ეწოდებიათ. მათვე გვიჩვენეს, რომ ამ ღირებულებათა შორის შესაძლოა დიდი განსხვავება არსებობდეს. მაგ., შორს მჭვრეტელობას მოკლებული მეცნიერისათვის სათვალეს დაუფასებელი მოსახმარებელი ღირებულება აქვს, ხოლო ამ სათვალის საცვლელი ღირებულება ფრიად განსაზღვრულია, და ამავე დროს ბრილიანტის საყურეს, რომლის საცვლელი ღირებულებაც შესაძლოა ძლიერ დიდი იყოს, ამ მეცნიერისათვის სრულიად არავითარი მოსახმარი ღირებულება არა აქვს.[1])

რატომ ხდება ასეთი წინააღმდეგობა? იმიტომ, რომ ნივთის მოსახმარი ღირებულება მხოლოდ და მარტო მოთხოვნილებებითა და სურვილებით აღინუსხება, ამა თუ იმ ინდივიდუუმის პირადული შეფასებით; საფუძვლათ მას ამ ინდივიდუუმისათვის მისი *სუბიექტური სარგებლობა* უძევს—და სხვა არაფერი; იგი იცვლება მისი მოთხოვნილებებისა და კაპრიზების მიხედვით და მას არც საერთო ხასიათი აქვს და არც სოციალური მნიშვნელობა. უფრო მტკიცეა საცვლელი ღირებულება, ვინაიდან იგი ამა თუ იმ ქვეყნის ან, შესაძლოა, ყველა ქვეყნის მცხოვრებთა მოთხოვხილებებითა და სურვილებით განისაზღვრებოდეს, რომელთაც სურთ ან შეუძლიათ მისი შექმნა. საგვარეულო პორტრეთის ღირებულება შესაძლოა ჩემთვის დიდი იყოს, მაგრამ ეს გარემოება მას არავითარ საცვლელ ღირებულებას არ ანიჭებს, თუ კი იგი უბრალო მხატვრის ნაწარმოებია. პირიქით, თუ კი ეს პორტრეთი ვან-დეიკისა ან რემბრანდტის ხელის ქმნილებაა, მაშინ მას უნივერსალური ხასიათის საცვლელი ღირებულება ეძლევა, რომელსაც სურათების ყველა მოყვარულის სურვილი განსაზღვრავს.

იმ კაცის თვალში, რომელიც ჩვენსავით საზოგადოებაში ცხოვრობს, ამა თუ იმ ნივთის საცვლელ ღირებულებას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი ღირებულება აქვს, ვიდრე მის მოსახმარ ღირებულებას—არა თუ საზოგადოებისათვის, რაიც თავის-თავათ იგულისხმება, არამედ თვით მისი პატრონისათვისაც. და ეს იმიტომ, რომ მოსახმარი ღირებულების არსებობა შესაძლოა საცვლელი ღირებულების უმისოთ, ხოლო საცვლელი ღირებულების წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია, თუ კი მას მოსახმარი ღირებულებაც არ ექნება. ყოველი საცვლელი ღირებულება ძალა-უნებურათ მეტ მოსახმარ ღირებულებას გულისხმობს, რამდენათაც ნივთის გაცვლა თავის-თავათ ძლიერ ხშირსა და მისი პატრონისათვის მისით სარგებლობა ადვილათ შესაძლო მოვლენას შეადგენს და რამდენათაც საგნის მარტო ერთი ქონებაც დიდი კმაყოფილების მიზეზს წარმოადგენს, თითქმის მისი გაყიდვის შესაძლებლობის მიუხედავათაც. ალბათ ამიტომაცაა, რომ ვან-დეკის ნახატის პატრონი (ზემომოყვანილ მაგალითში) მას უფრო მეტათ აფასებს, ვიდრე თავისი ბაბუას სურათს.

საშუალო სურვილის გამომხატველს, უბრალო პირის საცვლელ ღირებულებას, ზოგადი ხასიათი აქვს; მას, როგორც ამბობენ, *კურსი* აქვს. გამყიდველებმა და მყიდველებმა, როგორც ამბობენ, ამ „კურსს ანგარიში უნდა გაუწიონ“.

საცვლელ ღირებულებას აგრეთვე *ფასს* უწოდებენ.

მაგრამ, ფასი და საცვლელი ღირებულება ერთი და იგივე არაა, რამდენათაც ფასი, როგორც ზემოთ დავინახეთ, ღირებულების ათასი მაგალითიდან შეიძლება მხოლოდ ერთს დაერქვას. ღირებულება არის რომელიმე ორი ნივთის შეფარდება, ხოლო

*ფასი არის ისეთი შეფარდება, რომელშიც ორი შემადგენელი წევრიდან ერთი ყოველთვის ფულის სახით არის წარმოდგენილი.* მე არ ვამბობ, რომ უსათუოთ ლითონის ან ქაღალდის ფული უნდა იქნეს-მეთქი, ვინაიდან აფრიკის იმ ადგილებში, სადაც ფულის ნაცვლათ ფართლის ნაჭრებს ან მუშეულ საქონელს ხმარობენ, საქონლის ამნაირათ გამოსახული ღირებულებაც მის ფასს წარმოადგენს, მაგრამ მე იმის თქმა მინდა, რომ ფასი ყოველთვის შესადარებელ საშუალებათ მიღებულს საერთოსა და სანიმუშო საზომს გულისხმობს.

ასეთი შენიშვნის შემდეგ სავსებით შესაძლოა ჩვენც ვიხმაროთ ჩვეულებით განმტკიცებული სიტყვა *ფასი*, როგორც ნორმალური გამოხატულება იმისა, რასაც საცვლელი ღირებულება ეწოდება.

ვნახოთ ახლა, თუ რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს საცვლელი ღირებულება, მიმდინარე ფასი.

ეს პირობები შესაძლოა ამნაირათ ჩამოყალიბდეს:

1) ამა თუ იმ მომენტში ბაზარზე დამყარებული ფასი შესაძლოა მხოლოდ *საერთო ფასი* იყოს. ეს არის სწორეთ ის, რასაც სტენლი ჯევონსმა *ერთნაირობის კანონი* უწოდა. ჯევონსის მოძღვრებით, ეს კანონი იმას გამოხატავს, რომ ყოველთვის, როცა ბაზარზე ერთნაირი საგანი ბლომათ მოიპოება, ერთ საგანში იმაზე მეტის მიცემას არ მოვისურვებთ, რამდენათაც მეორე ასეთი საგანი იყიდება.

პირველი შეხედვით შესაძლო უნდა ყოფილიყო წინააღმდეგი აზრის გამოტანა. წარმოიდგინეთ, რომ ბაზარზე პურის ათი გამყიდველი გამოცხადდა და ყოველ მათგანს ერთნაირი მოთხოვნილება არა აქვს, ხოლო მეორე მხრით ათი მყიდველი პურისა, და თითოეული მათგანისათვის საყიდ პურს სხვადასხვა ღირებულება აქვს. რატომ არ უნდა დამყარდეს იმდენი სხვადასხვანაირი ფასი, რამდენი წყვილი კონტრაგენტიც გამოვა, თუ კი ის მყიდველი, რომელსაც პური ძლიერ სჭირდება, იძულებული ხდება დაეთანხმოს იმას, ვინც პურისათვის მეტს მოითხოვს, ხოლო ის მყიდველი, რომელსაც ნაკლები საჭიროება აქვს, პურის ყიდვას იმ გავყიდველისგან მოახერხებს, რომელიც ყველაზე ნაკლებს მოითხოვს? იმიტომ მხოლოდ, რომ არც ერთი მყიდველი, რაგინდ ეჩქარებოდეს პურის ყიდვა, იმაზე მეტს არ გაიღებს, რამდენათაც პურს მისი კონკურენტი შეიძენს, და არც ერთი გამყიდველიც, დიდი ხათრიანიც რომ იყოს იგი, თავისი პურის გაყიდვას იმ ფასზე დაბლა არ მოისურვებს, რა ფასათაც მისი ამხანაგები გაყიდიან. ყველა შეიცდის საბაზრო ფასის დამყარებამდი.

ამა თუ იმ მომენტში ბაზარზე არსებულ საერთო ფასს *კურსს* ეძახიან. მეტათ თუ ნაკლებათ მნიშვნელოვანი ყველა სიმდიდრის (პურის, ღვინის, ნახშირის, ბამბის, მატყლის, სპილენძის და სხვ.) და აგრეთვე ფასიანი ქაღალდებისა და სახელმწიფო ფონდების კურსი საგანგებო უწყებებში ცხადდება და იგი სავაჭრო ოპერაციების საფუძველს წარმოადგენს.

2) საერთო ფასი ისეთი უნდა იყოს, რომ *იგი მოწოდებულისა და მოთხოვნილი საქონლის რაოდენობას ერთმანეთს უფარდებდეს.*

ორივე ამ რაოდენობის შეფარდება-თანასწორობა აუცილებლათ საჭიროა, ვინაიდან უაზრობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ გაყიდული პურით სავსე ტომრების რაოდენობა ნაყიდი ტომრების რაოდენობაზე მეტი იქნებაო,—ეს ხომ ერთი და იგივე ტომრებია.

მაგრამ ეს შეფარდება ერთბაშათ არ ხდება; იგი მყარდება, როგორც შედეგი მიწოდებულთა და მოთხოვნილ რაოდენობათა შორის დაწყებულის მთელი რიგის ქანაობისა, შედეგი იმ ქანაობისა, რომელიც ფასების ქანაობას შეესაბამება; რაოდენობათა შორის თანასწორობის დამყარება საბაზრო ფასის დამყარებასაც იწვევს. დავუბრუნდეთ პურის გამყიდველებს. ისინი 10 ტომარს 10 მყიდველს აწვდიან, მაგრამ პურზე 22 ფრანკს მოითხოვენ. ასეთი ფასით დამფრთხალი მყიდველთა ნაწილი პურის ყიდვას თავს ანებებს და ბაზრიდან მიდის—და რჩება, მაგ., მხოლოდ 5. ყოველი გამყიდველი ცდილობს, რომ მუშტარი არ დაეკარგოს, და ეს ცდა 20 ფრანკამდი ფასის დაწევას იწვევს. ეს ფასი ზოგიერთს წასულ მყიდველს უკან აბრუნებს—და, აი,

ახლა უკვე 8 მყიდველია და საჭიროა 8 ტომარი. თუ კი ყველას პურის გაყიდვა გადაჭრით გადაწყვეტილი აქვს, მაშინ აუცილებლათ საჭირო იქნება ფასების კიდევ დაკლება (მაგ. 18 ფრანკამდი), რომ ის ორი დამფრთხალი მყიდველიც გამობრუნდეს და მოთხოვნილების რაოდენობა მიწოდების რაოდენობას გაუთანასწორდეს,—10 ტომრის გამყიდველებმა 10 ტომრის მყიდველები უნდა იშოონ. მაგრამ შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ 2 გამყიდველმა შინ წაღება არჩიოს პურისა, ვიდრე 20 ფრანკზე ნაკლებათ მისი გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში 20 ფრანკი საბაზრო ფასი იქნება, ვინაიდან ამ ფასათ გაყიდიან და იყიდიან 8 ტომარა პურს: რამდენიც მიწოდებაა, იმდენი მოთხოვნაა, და ამნაირათ საჭირო შეფარდებაც განხორციელებულია.

3) საბაზრო ფასი ისეთი უნდა იყოს, რომ *იგი ბაზარზე მოსული გამყიდველებისა და მყიდველების რაც შეიძლება მეტი წყვილის დაკმაყოფილებას შესაძლოთ ხდიდეს.*

წარმოვიდგინოთ პურის ბაზარზე პირის-პირ შეხვედრილი გამყიდველებისა და მყიდველების ორი პარტია; გამყიდველთა რიგი ავღნიშნოთ ასოებით გამყ.—დავიწყოთ უმეტესი ფასის მომთხოვნი გამყიდველიდან და დავათავოთ იმ გამყიდველით, რომელიც ყველაზე ნაკლებს მოითხოვს; ხოლო რიგი მყიდველებისა ავღნიშნოთ ასოებით მყიდ.,—დავიწყოთ ყველაზე ხელმოჭერილი მყიდველიდან და გავათაოთ ყველაზე მეტად ხელგაშლილით.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| გამყ.$^{1}$ | თხოულობს | 22 | ფრ. | მყიდ.$^{1}$ | იძლევა | 18 | ფრ. |
| გამყ.$^{2}$ | „ | 21 | „ | მყიდ.$^{2}$ | „ | 19 | „ |
| გამყ.$^{3}$ | „ | 20 | „ | მყიდ.$^{3}$ | „ | 20 | „ |
| გამყ.$^{4}$ | „ | 19 | „ | მყიდ.$^{4}$ | „ | 21 | „ |
| გამყ.$^{5}$ | „ | 18 | „ | მყიდ.$^{5}$ | „ | 22 | „ |

წარმოვიდგინოთ, რომ მოქმედებას ხსნის გამყ.$^{1}$, რომელიც 22 ფრანკს მოითხოვს. ამ ფასათ მხოლოდ ერთი მყიდველია, მყიდ.$^{5}$, რომელიც თითქო მზათაა, რომ ასეთი ფასი გაიღოს, ხოლო დანარჩენები ამდენს არ იძლევიან. მაშასადამე, შესაძლო იქნება მხოლოდ 1 ტომრის გაყიდვა, არის კი 4 ისეთი გამყიდველი, რომელთაც გაყიდვა ძლიერ წყურიათ და უფრო ნაკლებათაც. მაგრამ მყიდ.$^{5}$-ეც იმდენათ ბრიყვი არაა, რომ პური მაქსიმალურ ფასათ იყიდოს, როცა მისი ყიდვა უფრო იაფათ შეიძლება... იგი მოიცდის, ვიდრე უფრო ნაკლებ ფასათ პურის გამყიდველებიც მას სათანადო წინადადებას არ მისცემენ... მაშინ რიგი მიდის მყიდ.$^{2}$-ზე, რომელიც მხოლოდ 21 ფრანკს მოითხოვს. ამ წინადადებას მეორე მყიდველიც, მყიდ.$^{1}$, გამოეხმაურება. ამნაირათ 2 მყიდველი თანახმაა 21 ფრანკათ პური იყიდონ, ხოლო 3 ამის წინააღმდეგია.

დასასრულ, გამოდის გამყ.$^{3}$, რომელიც მხოლოდ 20 ფრანკს მოითხოვს. ამ ფასათ პურის ყიდვაზე 5 მყიდველიდან 3, ე. ი. უმრავლესობა, თანხმობას აცხადებს, და რადგან აგრეთვე გამყიდველებიდანაც ასეთ პირობაზე თანხმდება 3 კაცი, ამიტომ კონტრაგენტთა 3 წყვილი შესდგება, რომელთა დაკმაყოფილებაც შესაძლო ხდება. ვერც ერთი სხვა ფასი (გარდა 20 ფრ.) ასეთ შედეგს ვერ მოიტანდა. ამიტომ ბაზრის კანონსაც იგი შეადგენს.

რაც შეეხება გამყ.$^{1}$-სა და გამყ.$^{2}$-ს, ერთი მხრით, და მყიდ.$^{1}$-სა და მყიდ.$^{2}$-ს, მეორე მხრით, ამათ უნდა დასტოონ ბაზარი, თუ კი ისინი თავის მოთხოვნილებას არ დაუკლებენ: ფასი უამათოთაც დამყარდება.

**IV. მიწოდებისა და მოთხოვნის კანონი.** ოდესღაც არსებობდა—მას პოლიტიკური ეკონომიის ყველა ტრაქტატში შეხვდებით—უბრალო და ცხადი, გარეგნულათ მაინც, ფორმულა ყველა იმის ასახსნელათ, რაიც ღირებულებას შეეხება; ეს ფორმულა ასეთი იყო: *საცვლელი ღირებულება მოთხოვნისადმი პირდაპირი პროპორციითა, ხოლო მიწოდებისადმი პირუკუღმა პროპორციით იცვლება.*

დღეს ამ ფორმულას სახელი ძლიერ—და, შესაძლოა, რამდენათმე გარდამეტებითაც—გატეხილი აქვს. მისი ნაკლი შემდეგში გამოიხატება:

უპირველეს ყოვლისა, ფაქტებთან მისი მათემატიკურ დაჩემებათა წინააღმდეგო-

ბა. მოწოდებული საქონლის რაოდენობის განახევრებით მისი ფასის ორჯერ აწევა არ ხდება. საბაჟო კედლებით შემოზღუდულს რომელიმე ქვეყანაში პურის მოწოდება ორჯერ რომ შემცირდეს, ეს გარემოება ორჯერ კი არა—ხუთჯერაც მისი ფასის აწევას გამოიწვევდა, და პირიქით.

მეორე, მიზეზთან შედეგის არევა. თუ კი მოთხოვნის ზრდა ფასებს ადიდებს, მაშინ ფასის აწევაც, ცხადია, თავის მხრივ მოწოდებას შეამცირებს, და თუ მოწოდების ზრდა ფასებს ამცირებს, მაშინ ფასების შემცირებაც თავის მხრივ, ცხადია, მოწოდების განსაზღვრისაკენ მიისწრაფება. სხვაფრივ ამის თქმა ასე შეიძლება: თუ კი მოწოდება და მოთხოვნა ფასის რეგულიაციას ახდენს, მაშინ ამნაირივე უფლებით შესაძლოა ითქვას, რომ ფასიც წინადადებისა და მოთხოვნის რეგულიაციას ახდენს.

მესამე, ეს ფორმულა სიტყვებს მ ო წ ო დ ე ბ ა ს და მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს არავითარს იოლათ გასაგებ შინაარსს არ აძლევს. სიტყვის წინადადების შინაარსში შესაძლოა, კიდევ ბაზარში აღებულ საქონელთა რაოდენობა ვიგულისხმოთ (თუმცა ბევრ შემთხვევაში რაოდენობის წმინდა პოტენციალურ შემცირებას—მაგ., ცუდი მოსავალის შიშს,—ამავე შედეგების გამოწვევა შეუძლია), მაგრამ მოთხოვნის შინაარსში რა უნდა ვიგულისხმოთ? მოთხოვნილი რაოდენობა სრულებით გამოურკვეველია, რადგან იგი სწორეთ საცვლელ ღირებულებაზეა დამოკიდებული, საგნის ფასზე: ერთი ბოთლი ბორდოს ღვინის ფასი თუ ერთი სუა, მაშინ მასზე მოთხოვნა თითქმის განუსაზღვრელი იქნება, ხოლო თუ კი მისი ფასი 100 ფრანკი იქნება, მაშინ ეს მოთხოვნა თითქმის ნულამდისაც დავა. ცხადია, ჩვენ მოჯადოებულ წრეში ვტრიალობთ.

ამ წრიდან რომ გამოსულიყვენ, თანამედროვე ეკონომისტებმა ამ პრობლემის გადაწყვეტის უნაყოფო ცდას თავი მიანებეს: ახლა უკვე არ ცდილობენ იმის გაგებას, მიწოდება და მოთხოვნა განსაზღვრავს ფასს თუ ფასი განსაზღვრავს მიწოდებასა და მოთხოვნას,—და მთელ თავის ყურადღებას იქითკენ აპყრობენ, რომ სხვადასხვა მოვლენას შორის არსებული დამოკიდებულება გაიგონ.

ამასობაში, უწინარეს ყოვლისა, აღინუსხება უეჭველათ საერთო კანონი: ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს, რ ო ც ა ფ ა ს ე ბ ი დ ი დ დ ე ბ ა, მ ო თ ხ ო ვ ნ ა კ ლ ე ბ უ ლ ო ბ ს მანამდი, სანამ იგი, ფასის განსაზღვრულ პირობებში, სრულებით არ გაქრება. ეს კანონი სულ უბრალო გრაფიკული ფიგურით გამოიხატება.




ამ ფიგურაში შვეულ ხაზებს ო რ დ ი ნ ა ტ ე ბ ი ეწოდება, ხოლო ჰორიზონტალურზე გამოყოფილ ადგილებს — ა ბ ს ც ი ს ე ბ ი.

ავიღოთ რომელიმე საქონელი. დავხაზოთ ჰორიზონტალური ხაზი და აღვნიშნოთ ერთი მეორიდან ერთნაირი ზომით მოშორებული წერტილები 1, 2, 3, 4, 5 . . . . . 10 და სხ.—პირობითი ციფრები, რომელიც ბაზარზე არსებულ ფასებს გამოსახავს სანტიმის, ფრანკისა და სხ. სახით. რაიმე სიმაღლის შვეული ხაზით გამოვსახოთ რომელიმე საქონლის რაოდენობა (კილოს, მეტრისა და სხ. სახით), რომელსაც, მაგ., 1 ფრანკათ მოითხოვენ, შემდეგ—ჩვენ მიერ აღნიშნულ სხვა წერტილებზე ჩამოშვებული შვეულებით რაოდენობა იმავე საქონლისა, რომელსაც 2, 3, 4, 5 . . . . . . 10 ფრანკათ მოითხოვენ, და სხ. ეს შვეული ხაზები სულ ნაკლები და ნაკლები გამოვა და ბოლოს ნულამდი დავა. შევაერთოთ ყველა შვეულის წვერები ერთი ხაზით, რომელიც გრკალის სახით თანდათანობით დაბლა ეშვება და ბოლოს აღებულ წერტილს ჰორიზონტალურზე შეუერთდება; ამ ხაზის თვალსაჩინო სიმრუდე ფასების მიხედვით მოთხოვნის ქანაობას გამოსახავს. მას მ ო თ ხ ო ვ ნ ი ს მ რ უ დ ე ეწოდება.

„მრუდეთ“ იგი უმიზეზოთ კი არ იწოდება: ყოვლად წარმოუდგენელი შემთხვევა იქნება, რომ იგი სწორი იქნეს, მზგავსათ სამკუთხედის გვერდისა, ვინაიდან ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მოთხოვნის ცვალებადობა ნამდვილათ დამოკიდებულია ფასის ცვალებადობაზე, რაც თითქმის არ ხდება. უფრო ხშირათ მოთხოვნა ფასების მომატებისა უფრო ჩქარა ეცემა, იმ სრულებით უბრალო საფუძვლით, რომ, რადგან ღარიბებთან შედარებით მდიდართა რიცხვი ძლიერ განსაზღვრულია, საკმარისია სულ ცოტა მომატება ფასისა, რომ პროდუკტი ფართო მასისათვის მიუწდომელი შეიქნეს, და სწორეთ ეს გარემოება აძლევს ხსენებულ ხაზს მოღუნულ ფორმას. ხოლო მისი ფორმა იცვლება საქონლის მიხედვით. არის ისეთი საქონელიც, რომლისთვისაც მრუდე გამოღუნულ ფორმას ღებულობს, ვინაიდან მოთხოვნა, მიუხედავათ ფასის მომატებისა, ძლიერ ნელა კლებულობს. მაგრამ თქვენ ვერ მოსძებნით ორს ისეთ საქონელს, რომ ერთნაირი მრუდე ქონდესთ და გამოცდილ ეკონომისტს მარტოოდენ მრუდეთა ფორმით, სხვა რაიმე ნიშნების უმისოთ, დარწმუნებით შეეძლოს სთქვას: აი ეს არის მრუდე ნახშირისა! ან: აი ეს არის მრუდე სპილენძისა! სხვაფრივ ყოველ საქონელს თავისი სქემატიური გამოხატულება ექნებოდა, თავისი ნიშნეულობა, მზგავსათ იმ პირებისა, რომელნიც ერთმანეთისაგან ანტროპომეტრიულათ გაირჩევიან, ან, თუ კი უფრო კეთილშობილური შედარება გნებავთ, მზგავსათ მზის სკეპტრის იმ ზოლებისა, რომელიც ფიზიკოსს საშვალებას აძლევს ყოველი ელემენტი გაარჩიოს.

რაღა ემართება მიწოდებას? იგი ბუნებრივათ იცვლება პირუკულმა დამოკიდებულებით. *ფასების ყოველი მომატება მოწოდების რაოდენობის მომატებას გულისხმობს*, და ამიტომ შესაძლოა აგრეთვე მიწოდების მრუდეც დაიხაზოს, რომელიც მოთხოვნის მრუდეზე ნაკლებათ საინტერესო სახეს როდი მიიღებს. იგი თითქმის უფრო სხვადასხვანაირ სიმრუდეს ღებულობს, ვინაიდან ბოლოს და ბოლოს მიწოდება წარმოებაზეა დამოკიდებული. და კიდეც იმის მიხედვით, შეეხება საქმე განსაზღვრულ წარმოებას (საფუფუნო საგნებს და სხ.), ან არაპროპორციონალური შემოსავლის წარმოებას (ე. ი. ისეთ წარმოებას, სადაც საწარმოო ხარჯები შემოსავალს აღემატება, მაგ., მიწისმოქმედების წარმოებაში), ან, პირიქით, ისეთ წარმოებას, რომელშიც რაც უფრო მეტი იწარმოება, მით უფრო მეტათ მცირდება ხოლმე საწარმოო ხარჯები (როგორც ეს უმეტეს სამრეწველო დარგში ხდება), მრუდეს დაღუნვის ხარისხი ცოტათ თუ ბევრათ მიდუნებულისა ან მეტათ თუ ნაკლებათ სწრაფი ხასიათის იქნება.

ნახატზე გაყვანილი ორივე ხაზი—მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდეები—ერთმანეთს აუცილებლათ შეეჩეხება, ვინაიდან ისინი ერთი მეორის მოპირდაპირე მიმართულებით მიდიან. მათი გადაჩეხის წერტილს კაპიტალური მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი სწორეთ იმ ფსიხოლოგიურ მომენტს აღნიშნავს, როცა მიწოდებისა და მოთხოვნის თანაბრობის პირობით, მზგავსათ ქიმიური შეერთებისა, გაცვლა-გამოცვლა მყისვე ხდება. და თუ კი ამ წერტილიდან ჰორიზონტალურ ხაზამდი შვეულ ხაზს გავიყვანთ, სადაც ფასებია აღნიშნული, მაშინ ეს შვეული, სასწორის ისრის მზგავსათ, საბაზრო ფასს მაშინვე გვიჩვენებს,—ეს არის ხაზი $q2$.

მერე რაო,—შეგვეკითხებიან სკეპტიკები,—რას გვასწავლის ჩვენ ეს? განა ეს მრუდეები ჩვენ საშვალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ, თუ როდის აიწევა ყავისა თუ პურის ფასიო?—ვაი, რომ არა. დიახ, მშვენიერსა და ნამდვილ ფორმულებში ასეთ ხელუწვდენელ ცნებათა მომწყვდევა მართლაც რომ ძნელი საქმეა.

აქობამდი ჩვენ გამყიდველთა და მყიდველთა განსაზღვრული რიცხვი გვქონდა სახეში, ე. ი. ისეთი რეჟიმი, რომელსაც თავისუფალი კონკურენციის რეჟიმი ეწოდება; მაგრამ მთელი სურათი შეიცვლება, თუ კი ჩვენ მხოლოდ ერთ გამყიდველს ან ერთ მყიდველს წარმოვიდგენთ. მეორე შემთხვევა ხშირი არაა, მაგრამ პირველი, რომელსაც მონოპოლია (*μόνος*—ერთი) ეწოდება, ხშირ მოვლენას შეადგენს.

წარმოვიდგინოთ ერთი ვაჭარი და ავიღოთ, მაგ., როგორც პირველათ მონოპოლიის რეჟიმის დროს ფასების შემსწავლელმა კურნომ ქნა, მესაკუთრე ისეთი მინერა-

ლური წყაროსი, რომელსაც განსაკუთრებული სამკურნალო თვისება აქვს. შესაძლო უნდა ყოფილიყო გვეფიქრა, რომ ამ მესაკუთრეზეა დამოკიდებული იმნაირი ფასების დამყარება, რანაირიც მას მოესურვება, და რომ, მაშასადამე, აქ არავითარ კანონს ადგილი არა აქვს. მაგრამ ეს სრულებით ასე არ არის. თუ კი იგი ბოთლს 10 ფრანკათ დააფასებს, მაშინ დაინახავს, რომ მცირედი რაოდენობა გაიყიდება. და იგი ნაკლებს მოიგებს; გაყიდის, მაგ., 1000 ბოთლს, რაიც 10,000 ფრანკს შეადგენს. თუ კი იგი ფასს 1 ფრანკამდი დასწევს, მაშინ 100,000 ბოთლს გაყიდის. რაც 100,000 ფრანკს შეადგენს, ვინაიდან ეს მინერალური წყალი საშვალო ქონების მცხოვრებთა შორისაც გასაღდება. ამასობაში მისი ინტერესი მომხმარებელთა ინტერესებს არ ეწინაალმდეგება. მაგრამ, აი, მოგებით წაქეზებული მონოპოლისტი ბოთლის ფასს 40 სანტიმამდი ამცირებს; და რადგან ავათმყოფთა რიცხვი განსაზღვრულია და მინერალურ წყალს სიამოვნებისათვის კი არა სმენ, ამიტომ გაყიდვა მხოლოდ ორჯერ გადიდდება (200,000 ბოთ.) და ჩვენი მონოპოლისტის შემოსავალი 80,000 ფრანკამდი დაიწევს. მაშინ იგი შეეცდება ფასის აწევას და მას იმ ზომამდი აიყვანს, რომ გაყიდულ ბოთლებზე მაქსიმუმი შემოსავალი მიიღოს. ამ შემთხვევაში მისი ინტერესი მომხმარებლის ინტერესის წინაალმდეგ მიიმართება.

უნდა იცოდეთ, რომ ჩვენ ვამბობთ არა იმ კიდურ ფასზე, რომელიც შესაძლოა მაშინ დამყარდეს, როცა ბაზარზე გამოტანილი იქნება ყველა ის წყალი. რომლის მოცემაც მინერალურ წყაროს შეუძლია. სრულებითაც არა, ასეთი ფასის დაწესებას მონოპოლისტი არ მოისურვებს. თუ რომ წარმოვიდგენთ, რომ მისთვის უფრო ხელსაყრელს კიდურ ფასს 1 ფრანკი შეადგენს, რომლისობაშიც 100,000 ლიტრი გაიყიდება, ხოლო წყარო 300,000 ლიტრს იძლევა, მაშინ იგი უარს იტყვის ყველა ამ 300,000 ლიტრის გაყიდვაზე, რადგან ამისათვის მას ფასების დაწევა, შესაძლოა, 10 სანტიმამდი მოუხდეს, რაც მას 30,000 ფრანკის შემოსავალზე მეტს არ მისცემს. იგი არჩევს 200,000 ლიტრი მიატოვოს. აი რატომ იყო, რომ ერთმა გამომცემელმა ენციკლოპედიის ეგზემპლიართა ნაწილი ნაკუწ-ნაკუწათ აქცია, ხოლო ჰოლანდიის ინდოეთის კომპანია ძირეულების დიდი მოსავლის წლებში ბძანებას სცემდა, ნაწილი გაენადგურებიათ, რომ დანარჩენი ძირეულები ხელსაყრელ ფასათ გაეყიდათ. 1906 და 1907 წლებში საფრანგეთის მელვინეებს ერთმანეთ შორის ამ წლების ყურძნის მოსავლის ნაწილის განადგურების შესახებ შეთანხმება რო მოეხერხებიათ, ისინი ამას სიამოვნებით იზამდენ. ასეთ შემთხვევაშიც მონოპოლისტის ინტერესი საზოგადო ინტერესს აშკარათ ეწინაალმდეგება.

**V. ფასების ქანაობა.** ფასი არის რაოდენობა იმ ფულებისა, რომლის მიცემაც აუცილებლათ საჭიროა რაიმე სიკეთისა ან რაიმე სამსახურის გაწევის სანაცვლოთ და მათ მისაღებათ. რაც უფრო მეტია ამა თუ იმ საგნის ღირებულობა, მით უფრო მეტი ფულის მიცემა იქნება საჭირო მის შესაძენათ, ან, რაიც იმასვე ნიშნავს, ფულის განსაზღვრული ჯამის მით უფრო ნაკლები რაოდენობის მიღება იქნება შესაძლო.

არსებითად, მაშასადამე, რომელიმე ნივთის ფასი—როგორც თვით ღირებულობაც, რომლის ერთ-ერთ გამოხატულებასაც ფასი შეადგენს—არის შეფარდება. მაგრამ ცნობილია, რომ, თუ კი შეფარდების ერთი წევრი შეიცვალა, მაშინ თვით შეფარდებაც უსათუოთ შეიცვლება.

თუ რომ, ამიტომ, რაიმე მიზეზის გამო ფულის ღირებულობა გამოიცვალა, მაშინ ფასიც უნდა გამოიცვალოს

წარმოიდგინეთ, მართლაც, რომ ოქროსი და ვერცხლის ღირებულობა დღეს იგივე არაა, რაც გუშინ იყო. ცხადია, რომ ყოველი საგნის ღირებულობა, რომლის გაზომვასაც თქვენ ამ ძვირფასი ლითონების საშვალებით დაიწყებთ, გამოიცვლება, ე. ი. მისი ფასი შეიცვლება ძვირფასი ლითონების ღირებულობის გამოცვლისადმი სწორეთ პირუკუღმა პროპორციით.

თუ რომ სიგრძე მეტრისა ან, უფრო სწორათ, სიგრძე დედამიწის მერიდიანის რკალისა, რომლის განსაზღვრულ ნაწილსაც მეტრი წარმოადგენს, ხვალ იმის ნახევარი გახდება, რასაც იგი დღეს შეადგენს, მაგ., დედამიწის სფეროს შემცირების გამო,—გა-

ნა ცხადი არაა, რომ ყველა საგანი, რომლის გაზომვასაც ჩვენ დავიწყებთ, უფრო გრძლათ მოგვეჩვენება ან უფრო მაღლათ, ვინაიდან 2 მეტრს მივიღებთ იქ, სადაც ჩვენ 1 მეტრს ვხედავდით? სწორეთ ამნაირათ, თუ რომ ოქრო ან ვერცხლი თავისი ღირებულობის ნახევარს დაკარგავს, უფრო ნაკლებათ გასაკვირი მიზეზისა გამო,—მაგ., მათი სიმრავლის გამო,—ყველა საგნის ფასი, ე. ი. ფულათ გამოსახული მათი ღირებულობა, ცხადია, ჩვენ ორჯერ გადიდებულათ მოგვეჩვენება.

ამიტომ შესაძლოა, რომ ჩვენ ამ კანონს შემდეგი ფორმულა გავუკეთოთ: ფულის ღირებულობაში მომხდარი ყოველი ცვლილება ფასებში პირუკუღმა პროპორციულ ცვლილებას იწვევს.

ამნაირათ, ჩვენს გამოკვლევას მიზეზთა ორი კატეგორია ექვემდებარება: 1) მიზეზები, რომელიც გავლენას იმ განსაკუთრებულ საქონელზე ახდენს, რასაც ფული წარმოადგენს; 2) მიზეზები, რომელიც გავლენას რომელიმე საყიდი საქონლის ღირებულებაზე ახდენს.

§ 1.—განვიხილოთ ჯერ ფულზე გავლენის მომხდენი მიზეზები.

ა) ლითონის ფულის მეტი ან ნაკლები რაოდენობა წარმოადგენს მთავარ ელემენტს, რომელიც ფულის ღირებულობაზე გავლენას ახდენს. შესაძლოა ამიტომ შემდეგი მეორე ფორმულა წამოვაყენოთ: ფულის რაოდენობაში მომხდარი ყოველი ცვლილება ფასებში პირდაპირ პროპორციულ ცვლილებას იწვევს: თუ რომ, მაგ., ფულის რაოდენობა ქვეყანაში ორჯერ გადიდდება, მაშინ შესაძლოა დარწმუნებით ითქვას, რომ ფასები, ყველა სხვა თანასწორ პირობაშიც, დიდათ აიწევს, თუმცა შესაძლოა სახიფათო გამოდგეს მტკიცება იმისა, რომ ისინი სწორეთ ორჯერ გადიდდებიანო.

ეს ფორმულა, რომელიც ფულის რაოდენობითი თეორიის სახელითაა ცნობილი და რომლის აღმოჩენაც რიკარდოს ერთ სამსახურთაგანს შეადგენდა, დღეს ნამეტნავათ სახელგატეხილია.

ასეთია ხვედრი ყველა, ე. წ., კლასიკური თეორიისა. საქმე ამ თეორიებისადმი თაყვანისცემით, იწყება, მერე მათ სისწორეში ეჭვი ეპარებათ, ესენი ჭეშმარიტებას ვარაუდით არკვევენო; ბოლოს, მოდიან ეკონომისტი-კრიტიკოსები და იმას ამტკიცებენ, რომ ეს თეორიები სრულებით გამოუდეგარი და ჭეშმარიტებას სავსებით მოკლებული არიანო. ასეთი იყო ხვედრი მიწოდებისა და მოთხოვნის სახელგანთქმული თეორიისა. მიუხედავათ ამისა, მან მაინც დიდი სარგებლობა მოიტანა, რის დამამტკიცებელ საბუთსაც ის გარემოება წარმოადგენს, რომ უიმისოთ ამ საგანზე თითქმის ჩვეულებრივი ლაბარაკიც ყოვლად შეუძლებელია. ეგევე ითქმის ფულის რაოდენობითი თეორიის შესახებაც. უკეთუ ამ თეორიას სავსებით მივიღებთ, ე. ი. თუ კი იმის მტკიცებას დავიწყებთ, რომ ყოველთვის, როცა კი ქვეყანაში ფულის რაოდენობა ორჯერ გადიდდება, ფასებიც აგრეთვე ორჯერ გადიდდებაო, მაშინ, რა თქმა უნდა, ხიფათი იქნება მოსალოდნელი ისეთი ფაქტების მხრივ, რომელიც ამას გადაჭრით უარყოფს, ვინაიდან ფულის რაოდენობა მხოლოდ ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც ფასზე გავლენას ახდენს, და, მას გარდა, კიდევ ბევრი სხვა ფაქტორიც არის. უეჭველია მხოლოდ, რომ იგი ერთ ასეთსა და თან უუმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. მზგავსათ ყოველი ექსპერიმენტატორისა, ეკონომისტს სრული უფლება აქვს მთელი თავისი ყურადღება ცნობილი მოვლენის ერთ მიზეზთაგანზე შეაჩეროს და იგი ყველა სხვა მიზეზიდან განყენებით განიხილოს. ამიტომ, ზემომოყვანილი ფორმულების ჭეშმარიტი ხასიათი რომ აღვადგინოთ, საკმაო იქნება შემდეგი დამატება მივუმატოთ მას: „მხოლოდ ყველა თანასწორ პირობაში“; სწორეთ ასეთი დამატებით ღებულობდენ მას ის ეკონომისტები, რომლებმაც იგი პირველათ წამოაყენეს. ეს ეკონომისტები იმდენათ ბრმა კი არ იყვენ, რომ ფულზე გავლენის მომხდენი მიზეზები ვერ შეემჩნიათ. ისინი კარგათ ხედავდენ აგრეთვე ამ მიზეზთა შორის არსებულს საურთიერთო ნეიტრალიზაციის მომხდენ გავლენასაცა და აგრეთვე იმ მიზეზებსაც,. რა თქმა უნდა, რომელიც გავლენას დამოუკიდებლათ საქონლებზე ახდენს.

საყოველთაოთ მიღებულია ის ფაქტი, რომ, როცა ბევრია ფული, მაშინ ფასებიც

ძლიერ მაღლა იწევა; მაგალითად, ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ოქროს მადაროებია, ყველგან პროდუქტში დიდს, ზღაპრულ ფასებს იძლევიან. იმავე მიზეზით, ყოველთვის, როცა კი ცნობილს ისტორიულ ეპოქებში ძვირფასი ლითონების რაოდენობა უეცრივ მრავლდება, ფასებიც ძლიერ მაღლა იწეოდა; ასე იყო, მაგ., მე-XVI საუკუნეში ამერიკის ამბოჩენის შემდეგ და მე-XIX საუკუნის შუა ხანებში კალიფორნიასა და ავსტრალიაში ოქროს ქვიშის აღმოჩენის შემდეგ.

ბ) *ფულის ალებ-მიცემისა ანუ ტრიალის მეტი თუ ნაკლები სისწრაფე* მისი რაოდენობის შეცვლას უდრის და, მაშასადამე, იმნაირსავე ეფექტს წარმოშობს. უკეთუ რომელიმე სარკინიგზო ან საზღვაო კომპანია განსაზღვრული დროის განმავლობაში თავისი ვაგონებისა ანუ გემების მიმოსვლის სისწრაფეს ორჯერ გაადიდებს, ეს იმასვე მოასწავებს, რასაც სამოძრაო შემადგენლობის გადიდება. ამავე მიზეზების გამო ორთქლის გემი თითქმის იმავე ტონაჟის სამი იალქნიანი გემის მადარათ ითვლება. თუ კი, აგრეთვე, ოქროს ფული დღეში ორჯერ დატრიალდება, ეს იმასვე ნიშნავს, რასაც ორი ასეთი ფულის არსებობა.

ფულის ტრიალის სისწრაფე კი, თავის მხრივ, მცხოვრებთა სიმჭიდროვეზე არის დამოკიდებული. დიდ ქალაქში ერთი და იგივე ფული გაცილებით მეტ ხელში გაივლის, ვიდრე სოფელში.

გ) გაცვლა-გამოცვლის აქტთა (გაყიდვა, სესხი, განაღდება და სხ.) მეტი ან ნაკლები რიცხვიც გავლენას ახდენს აგრეთვე ფულის ღირებულობაზე, მაგრამ წინააღმდეგი აზრით, ე. ი. გაცვლა-გამოცვლის რაც უფრო მეტი აქტი უნდა მოხდეს, მით უფრო მეტი ფული იქნება საჭირო, და, მაშასადამე, მათი ფასიც მით უფრო აიწევს.

რადგან ორი უკანასკნელი მიზეზი ერთსა და იმავე დროს მოქმედობს, ამიტომ ისინი ცდილობენ ერთმანეთის შესუსტებას. მეორე მიზეზი მარტოკა რო მოქმედობდეს, მაშინ დიდ ქალაქებში ფასები ყოველთვის მეტი იქნებოდა, ვიდრე სოფლებში. ნამდვილათ ასეც ხდება ჩვეულებრივ,— მართალია, არა სავსებით, ვინაიდან ქალაქებში მესამე მიზეზიც საგრძნობლათ მოქმედობს.

2) *კრედიტის სახეთა სრულადობის ხარისხი*, რომელნიც უფულოთ ალებ-მიცემის საშვალებას იძლევიან და, მაშასადამე, ფულს ნაკლებ სასარგებლოთ და ნაკლები მოთხოვნილების საგნათ ხდიან.

რაც შეეხება ქაღალდის ფულსა და ბანკის ბილეთებს, მათი გამოშვება ლითონის ფულის გამრავლებას უდრის. მაგრამ მათი გამოშვების დროს სახეში უნდა იქონიოთ: 1) ბანკების სალაროებში თავმოყრილი ფულის რაოდენობა, რომლის ალებ-მიცემაშიც მის მაგიერობასაც საბანკო ბილეთების გამოშვება ასრულებს, და 2) ლითონის ფულის რაოდენობა, რომელიც შესაძლოა ქაღალდის ფულებმა საზღვარგარეთ გააძეოს.

მაგრამ კრედიტი ფულის მაგიერობას, უმთავრესათ, ჩეკებისა და გადარიცხვის სახით ასრულებს. უამფორმებოთ, მიუხედავათ ოქროს ახალი წყაროების აღმოჩენისა, ფული სავაჭრო ალებ-მიცემის ზედმიწევნით გადიდებულსა და შეუწყვეტლივ მოზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შესძლებდა, და ადვილი შესაძლო იქნებოდა, რომ ჩვენ ფულის უზომოთ გაძვირება გვეხილა, ხოლო ფასების თანდათანობითი დაცემა.

§ 2. თუ კი ჩვენ ახლა ფასების ცვლილების იმ მიზეზთა გამოკვლევას მოვინდომებთ, რომელნიც პირდაპირ საქონელზე მოქმედობენ, და ამასობაში ფულის ღირებულობას უცვლელათ ჩავთვლით, მაშინ ჩვენ ტყეში გზადაბნეულ კაცს დავემზგავსებით, ვინაიდან არ არის, შესაძლოა გადაჭრით ითქვას, არა თუ ეკონომიურისა, არამედ პოლიტიკურისა და სოციალური ხასიათისაც, არც ერთი ისეთი მოვლენა, რომელიც რაიმე გავლენას არ ახდენდეს ფასებზე საერთოდ ან, უკიდურეს შემთხვევაში, ზოგიერთი პროდუქტის ფასზე მაინც. და სწორეთ ეს პრობლემა გახლავთ ის პრობლება, რომელიც ამ უკანასკნელ წლებში გაცხარებულ დებატებს იწვევს. 1902 წლიდან დაწყებულმა ფასების საგრძნობელმა და საერთო აწევამ ყველა ქვეყანაში გამოიწვია უამრავი ინტერვიუ გაზეთებში და დისკუსიები სამეცნიერო საზოგადოებებში.[6])

ერთი ჯგუფის ეკონომისტები, რომელთა აზრსაც ჩვენც ვიზიარებთ, ამას უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ოთხჯერ გამრავლებულის ოქროს მადაროების გაუ-

თვალწინებელ ნაყოფიერობას მიაწერენ. მაგრამ უმრავლესობა ამ საბუთს უარყოფს, პირდაპირ საქონელზე გავლენის მომხდენ სხვა მიზეზებს დაეძებს და ყოველი მათგანი თავის მიზეზს ასახელებს: ერთი ეკონომისტი—პროტექციონიზმს, მეორე—გადასახადების ზრდას, მესამე—შეუწყვეტელ გაფიცვებს, მეოთხე—სამუშაო კანონმდებლობას და საკვირაო დასვენებას; არიან აგრეთვე ისეთი ეკონომისტებიც, რომელნიც შუამავალთა გამრავლებას ასახელებენ, ფუფუნებისადმი გემოვნების ზრდას, რუსეთისა და იაპონიის ომს და სხვ. ამიტომ საქონლის ფასების გამომრკვევი საერთო მიზეზების აღმოსაჩენათ ყოველი ცდა ფუჭი გამოდის და შესწავლა ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა ყოველ პროდუქტს განცალკევებულათ ავიღებთ. გარდა იმ მიზეზებისა, რომელიც ფასების საზომზე—ფულზე—მოქმედობს, ფასების ცვალებადობის სხვა საერთო მიზეზი არ მოიპოება.

**VI. გაცვლა-გამოცვლის სარგებლიანობა.** გაცვლა-გამოცვლის სარგებლიანობა შემდეგნაირია:

1) გაცვლა-გამოცვლა საშვალებას იძლევა საუკეთესოთ გამოვიყენოთ ყოველი ის სიმდიდრე, რომელიც უიმისოთ უნაყოფო იქნებოდა.

რას უზამდა ინგლისი თავის ქვანახშირს, ტრანსვაალი—თავის ოქროს, ტუნისი—თავის ფოსფორმჟავე მარილს, ბრაზილია—თავის ყავას ან ქინის-ტყავს, გაცვლა-გამოცვლა რომ არ ყოფილიყო? როცა სიმდიდრის ცნებას ანალიზს ვუკეთებდით, ჩვენ დავინახეთ, რომ აუცილებელ პირობას იმისათვის, რომ რომელიმე საგანმა სიმდიდრეთა შორის ადგილი დაიკავოს, მისი მოხმარების შესაძლებლობა შეადგენს. მაგრამ სიმდიდრის გამოსაყენებლათ ანუ მისი უტილიზაციის მოსახდენათ საჭიროა, რომ გაცვლის საშვალებით იგი იმის ხელში მოიქცეს, ვინაც მისგან სარგებლობა უნდა მიიღოს: ქინა—ციებით დაავადებულის ხელში. ფოსფატები—მიწისმომქმედის ხელში, ქვანახშირი—მექარხნის ხელში. წარმოიდგინეთ, რომ ხვალ რომელიმე ბძანებით ყველგან გაცვლა-გამოცვლა უნდა გაუქმდეს და ყოველი ადამიანი და ყოველი ქვეყანა ვალდებული უნდა გახდეს, რომ მათ ხელში მოქცეული ყოველი სიმდიდრე თავისას და თავისთვის შეინახონ, და განსაჯეთ, თუ რამდენმა სიმდიდრემ უეცრივ უნდა დაჰკარგოს ყოველგვარი სარგებლიანობა და რა უამრავი სიმდიდრე გადასაყრელათ უნდა იქცეს ხოლმე! და გაცვლა-გამოცვლის გაუქმებით არა თუ უსარგებლოთ დარჩება სიმდიდრეთა დიდი ნაწილი. არამედ ამ სიმდიდრეს არც არავინ შექმნის, თუ კი გაცვლა-გამოცვლას ადგილი არ ექნება. გაცვლა-გამოცვლა სარგებლიანობის ზრდას იწვევს, ხოლო ხშირათ თვით ამ სარგებლობასაც.

გაცვლა-გამოცვლა უკანასკნელი აქტია საწარმოო აქტთა მთელი მწკრივისა, რომელიც გამოგონებიდან იწყება,—უკანასკნელიც არამატერიალური აქტია: მიწისმოქმედებისა, მანუფაკტურულისა და სატრანსპორტო ოპერაციების მთელ სერიას გაივლის ხოლმე და პროდუქტებს მათი საბოლოო დანიშნულებისაკენ მიმართულებას აძლევს, რომ ისინი იმათ ხელში მოიქცენ, ვინც ეს პროდუქტები უნდა მოიხმარონ, გამოიყენონ. გამოცვლა ფ ო რ მ ი ს ა, გამოცვლა ა დ გ ი ლ ი ს ა, გამოცვლა ხ ე ლ ი ს ა,—ყველა ეს სამი აქტი ერთნაირათ აუცილებელი საჭიროა იმისთვის, რომ პროდუქტი მის უკანასკნელ მიზნამდი იქნეს მიტანილი.

მართალია, არის ზოგი ისეთი საცვლელი და საკრედიტო ოპერაცია, როგორც, მაგ., გაყიდვა სახლებისა, მილიარდობით ანგარიშზე ქაღალდის ღირებულებისა, სააუქციონო დარბაზებში ხელოვნების საგანთა, ან ავეჯის გაყიდვა,—ისეთი ოპერაციები, რომელთა შესახებაც შეუძლებელი იქნებოდა თქმა იმისა, რომ ისინი საწარმოო აქტებს შეადგენენ, ვინაიდან რა მნიშვნელობა უნდა ქონდეს წარმოებისათვის იმ გარემოებას, რომ ესა თუ ის აქცია ან ობლიგაცია, ესა თუ ის რენტა, სურათი ან სახლი პეტრესი იქნება თუ პავლესი? ეს არის გადაცემის პირობა, რომელსაც წმინდა იურიდიული ხასიათი აქვს. ამიტომ ასეთი აქტი მხოლოდ იურისტებისათვისაა საინტერესო, და არა ეკონომისტებისათვის,—ჩვენ ვეხებით პირველი კატეგორიის პირობებს, ე. ი. ისეთებს, რომელიც წარმოებასთანაა დაკავშირებული.

მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც, ე. ი. მაშინაც კი, როცა საქმე ისეთ გაყიდვას ან

დაქირავებას შეეხება. რომლის საგანსაც ან სრულებით დასრულებული პროდუქტები, ან-და კაპიტალები თუ მიწა, ან, სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ისეთი ოპერაციები შეადგენს, რომელიც მრეწველობისა და ვაჭრობის გარეშე ხდება,—მაშინც კი შესაძლოა ეს ოპერაციები განვიხილოთ. როგორც ისეთი ოპერაციები, რომელნიც ს ა რ გ ე ბ ლ ი ა ნ ო ბ ა ს ქ მ ნ ი ა ნ და, მაშასადამე, ს ა წ ა რ მ ო ო ხასიათისაც არიან იმ მოსაზრებით, რომ გაყიდული ან გაქირავებული ნივთი მეტ სარგებლობას იძენს, ვინაიდან იგი, ცხადია, მყიდველის ან მსესხებლისათვის უფრო სასურველია, ვიდრე გამყიდველისა და გამსესხებლისათვის. ეს ცხადის უცხადესია. ვინაიდან სხვაფრივ ვერც გამყიდველი გაყიდიდა და ვერც გამსესხებელი გაასესხებდა.

2) გაცვლა-გამოცვლა ს ა უ კ ე თ ე ს ო ს ა შ ვ ა ლ ე ბ ა ს ი ძ ლ ე ვ ა პ ი რ თ ა დ ა მ ა თ ი ს ა წ ა რ მ ო ო უ ნ ა რ ი ს უ ტ ი ლ ი ზ ა ც ი ი ს მ ო ს ა ხ დ ე ნ ა თ; გ ა ც ვ ლ ა-გ ა მ ო ც ვ ლ ა რ ო მ ა რ ი ყ ო ს, ი ს ი ნ ი უ მ ო ქ მ ე დ ო თ დ ა რ ჩ ე მ ო დ ე ნ.

მიაქციეთ ყურადღება, რომ, მართლაც, გაცვლა-გამოცვლა რომ არ არსებულიყო. მაშინ ყოველი ადამიანი იძულებული შეიქნებოდა დაემზადებია ყველაფერი, რაც კი მისი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ საჭირო იქნებოდა, და თუ მას, მაგ., 10 ასეთი მოთხოვნილება ექნებოდა, მაშინ მას ხელი უნდა მოეკიდა 10 სხვადასხვა ხელობისათვის; თავის ხელობებს იგი კარგათ შეასრულებდა თუ ავათ,—ეს სხვა საკითხია,—ასეთ პირობებში მან ანგარიში ხომ თ ა ვ ი ს მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ს უ ნ დ ა გ ა უ წ ი ო ს, დ ა ა რ ა ნ ი ჭ ს. სცენაზე გაცვლა-გამოცვლის გამოჩენის მომენტიდან მდგომარეობა უეცრივ იცვლება: რაკი ყოველი ადამიანი დარწმუნებულია, რომ გაცვლა-გამოცვლის საშვალებით იგი იშოვის ყველაფერს, რაც კი მისთვის საჭირო იქნება, ამიტომ იგი ხელს კიდებს მხოლოდ იმ საქმეს, რომელიც მან უკვე იცის; ახლა მისი წარმოების რეგულიაციას მ ი ს ი ნ ი ჭ ი ან საშვალება ახდენს, და ა რ ა მ ო თ ხ ო ვ ნ ი ლ ე ბ ე ბ ი. გაცვლა-გამოცვლის ხანამდი ყველას უნდა გაეკეთებია ყველაფერი, რაც მისთვის უსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენდა; გაცვლა-გამოცვლის გაჩენის მომენტიდან კი ყოველი ადამიანი მხოლოდ იმას ცდილობს, რომ ის საგანი გააკეთოს, რომლის გაკეთებაც მას უკეთ ეხერხება. მოხდა დიადი და საკვირველი გაადვილება საქმისა.

შესაძლოა. ითქვას, რომ ყოველი ზემოხსენებული სარგებლობა ყველა იმ სარგებლობას წააგავს, რომელსაც შრომის განაწილება იძლევა, და, მართლაც, ეს იმნაირივე სარგებლობაა, მაგრამ აქ იგი რამდენათ უფრო მეტათ გაფართოებულია და გამრავლებული! გაცვლა-გამოცვლა რომ არ ყოფილიყო, შრომის ასოციაცია და განაწილება თანამშრომელთა შორის წინასწარ შეთანხმების მოუხდენლათ შეუძლებელი იქნებოდა: საჭირო იქნებოდა, რომ საერთო საქმეში მონაწილეობის სურვილი ყველას გამოეთქვა. მაგრამ გაცვლა-გამოცვლა ამ წ ი ნ ა ს წ ა რ მ ო ლ ა პ ა რ ა კ ე ბ ი ს გ ა ნ გ ა გ ვ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ს და, ამნაირათ. შრომის განაწილებას საშვალებას აძლევს სახელოსნოისა ანუ ოჯახის ვიწრო წრეს გაშორდეს, მოედვას მთელს ვეებერთელა ქვეყანას და მთელი დედამიწის ზურგზე გაიშალოს. გაცვლა-გამოცვლის დაწყებიდან, ყოველ ადამიანს, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, შეუძლია იმ საგნის წარმოებას მოკიდოს ხელი. რომლის წარმოებასაც მას უადვილებს ბუნებრივი ნიჭი. ან მიღებული ცოდნა და იმ ქვეყნის ბუნებრივი თვისებები, სადაც იგი, ცხოვრობს; ყოველ ადამიანს შეუძლია მთელი თავისი დრო რაიმე ერთ სამუშაოს მოანდომოს და ბაზარზე ყოველთვის ერთი და იგივე პროდუქტი გამოიტანოს და დარწმუნებულიც იყოს, რომ. ჩვენ მიერ ზემოთ შესწავლილი საუცხოო მექანიზმის მეოხებით, იგი ყოველსავე მისთვის საჭირო პროდუქტსაც იშოვის. ხშირათ აღუნიშნავთ, რომ ის, რასაც ყველა ჩვენგანი ერთ დღეში ხმარობს, რთული შედეგია მრავალი ასისა და. შესაძლოა, მრავალი ათასი მომუშავის მოქმედებისა, რომელნიც ფრიად რეალურისა, მაგრამ შეუგნებლათ, თავისთავათ აღორძინებული ასოციაციის კავშირით არიან ერთმანეთთან გადაბმული.[7])

გაცვლა-გამოცვლა თითქმის შეუძლებელი იქნებოდა, რომ მისთვის ზოგიერთი აუცილებლათ საჭირო ორგანო არ იყოს შექმნილი:

1) გადასატანი საშვალებანი, რომელთა დანიშნულებასაც საქონლის გადანაცვლების გაადვილება და დაჩქარება შეადგენს;

2) თავმოსაყარი პუნკტები, რომელსაც ბაზრები ეწოდება და რომლებიც ერთმანეთთან სხვადასხვა საქონლის პატრონთა შეხვედრას აადვილებს;

3) პროფესიონალები, რომელთაც ვაჭრებსა და კომერსანტებს ეძახიან და რომელნიც მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის შუამავლობას ეწევიან;

4) წონის საზომები, რომლებითაც გასაცვლელ რაოდენობას ზომვენ;

5) საქონელი-შუამავალი, რომელსაც ფული ეწოდება და რომლის საშვალებითაც ფასი გაყიდვათ და ყიდვათ იყოფა.[8])

## თავი II.

## ლითონის ფულები.

I. **ფულის ისტორიული მიმოხილვა.** რომელიმე საგანს გაცვლა-გამოცვლაში შუამავლათ ქცევა რაიმე საგანგებო შეთანხმების ძალით კი არ შეეძლო, არამედ მისადმი მინიჭებული ცნობილი თვისებების მეოხებით, რომლებსაც თითქო წინასწარ მოუმზადებიათ პირობები იმისათვის, რომ მას ამ მაღალი ფუნქციის ასრულება შეძლებოდა და ადამიანთა არჩევანიც ამ საგანზე შეჩერებულიყო.

დამოუკიდებელი გაცვლის უხერხულობამ ადამიანები აიძულა, მესამე ელემენტი აერჩიათ, რომელსაც ყოველ გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა უნდა მიეღო. სავსებით ბუნებრივია, რომ ისინი ისეთ საგანზე შეჩერდენ, რომელიც საყოველთაო ხმარებაში იყო და ყველაზე უფრო უბრალო საგანსაც წარმოადგენდა, როგორც, მაგ., გათლილი ქვა პირველყოფილ ადამიანებს შორის.

პატრიარქალურ საზოგადოებებში ამ მესამე საქონლის როლს, ბუნებრივია, პირუტყვი (ხარი ან ცხვარი) ასრულებდა, და ბევრს ინდო-ევროპიულ ენაში და თითქმის ბასკთა ენებშიც ფულის პრიმიტიული ფორმის შესახებ მოგონება შენახულია თვით იმ სახელით, რომელიც მას ეწოდება.[9])

აგრეთვე ბევრი სხვა საქონელიც, გარემოებისა და ადგილის მიხედვით, საქონელ-შუამავლის როლს ასრულებდა: ბრინჯი—იაპონიაში, თერმონიის ლორფინი—ცენტრალურ აზიაში, ტყავი—გუძონის ყურეში, მარმაში ან მარილის ენდრო—ცენტრალურ აფრიკაში. მაგრამ არის საგანთა ერთი კატეგორია, რომელმაც თავისი განსაკუთრებული უპირატესობით საზოგადოების ყურადღება მალე მიიქცია და რომელმაც ყველა რამდენათმე მაინც კულტურულ ქვეყანაში კიდეც გამოაძევა ყველა სხვა შუამავალი-საქონელი,—მე ვამბობ, ე. წ., საპატიო ქვების—ოქროსი, ვერცხლისა და სპილენძის შესახებ.

თავის ქიმიურ თვისებათა მეოხებით, რომელიც მათ შედარებით უცვლელათ ხდის, ისინი ერთად-ერთ ლითონებს წარმოადგენენ, რომელთაც ბუნებაში თვითმშობად მდგომარეობაში პოულობენ, რის გამოც ადამიანებს საშვალება ქონდათ გაეგოთ და ეშოვათ ეს ლითონები უფრო ადრე, ვიდრე მეტალურგიის ასპარეზზე მათ მიერ შეძენილი ცოდნა სხვა ლითონების აღმოჩენას შესაძლოთ გახდიდა, მაგ., რკინასა. უნდა შევნიშნოთ, რომ ძველი გადმოცემა ოთხი საუკუნის შესახებ—ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძისა და რკინის საუკუნეებზე—ამ ოთხ ლითონს სწორეთ იმ რიგზე აყენებს, რა რიგათაც ისინი აღმოაჩინეს. მარტო ერთი ფიზიკური თვისებანი—ბზინვა, ფერი, გამჭედაობა,—რომელიც ადამიანებს ყოველთვის ამ ლითონების შოვნის სურვილს უღვიძებდა, ხან მორთულობის მიზნით, ხან კი ზოგიერთი სამრეწველო სამუშაოსათვის,— საკმაო იყო იმისათვის, რომ ის შეუდარებელი როლი გამართლებულიყო, რომელსაც ეს ლითონები ყველა კულტურული ხალხის ცხოვრებაში ასრულებდა.

ამ ბუნებრივ თვისებებს თან მოყვებოდა უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიური შედეგებიც, რომელიც საპატიო ლითონებს ყველა სხვა საქონლის წინაშე განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებდა:

1) გადატანის მოხერხებულობა.—არც ერთი სხვა საგნის ასეთი მცი-

რედი წონის ღირებულება ეგზომ დიდი არაოდეს არ იქნება. თავისი ზურგით ადამიანს შეუძლია დაახლოებით 30 კილოგრამის წაღება. 30 კილოგრამი ნახშირისა ძლივს შეადგენს 1 ფრანკის ღირებულებას, 30 კილოგრ. პურისა—6 ფრ., 30 კილოგრ. მატყლისა—30—40 ფრ., 30 კილ. სპილენძისა—50 ფრ.; სპილოს ძვლებისა—700—800 ფრ., ნედლი აბრეშუმისა—1500 ფრ., ვერცხლისა—3000 ფრ., და 30 კილოგრამი წმინდა ოქროსი კი—100,000 ფრანკის ღირებულებას.

ამ პირველი თვისების მნიშვნელობა ფრიად დიდია, გაცილებით მეტია იმაზე, რის წარმოდგენაც პირველი შეხედვით შესაძლოა,—და აი რატომ.

ცხადია, ყოველი საქონლის გადატანასთან დაკავშირებული სიძნელე ჩამოშორებული რომ იყოს, ყოველ საქონელს ყველგან არსებობის თვისება რომ ქონდეს მინიჭებული, მისთვის მთელი ქვეყანა ერთად-ერთს მთლიან ერთეულს რომ წარმოადგენდეს,—მაშინ შედეგათ ის გვექნებოდა, რომ მთელი დედამიწის ზურგის ყველა პუნკტზე ამ საქონლის ფასი ყოველთვის ერთნაირი იქნებოდა. მართლაც, წარმოიდგინეთ, რომ ამა თუ იმ საქონლის ღირებულება ნაკლებია დედამიწის ერთ ადგილას, ვიდრე სხვა პუნკტებზე. ადამიანები მყისვე გაექანებიან ამ ადგილისკენ, რომ იქიდან ეგ საქონელი მეორე ადგილას გაგზავნონ, და რადგან, ჩვენის წარმოდგენით, გადატანა არავითარ სიძნელეს არ იწვევს და ხარჯებსაც არ მოითხოვს, ამიტომ ფრიად მცირედი განსხვავებაც კი საკმაო იქნება იმისათვის, რომ ოპერაცია ხელსაყრელი გამოდგეს. წონასწორობა—თუ კი წარმოვიდგენთ, რომ იგი დარღვეული იყო—დაუყოვნებლივ განახლდება, მზგავსათ იმ სითხის დონის დაუყოვნებლივ განახლებისა, რომლის მოლეკულებიც სრული მიმდინარეობის თვისებით არის დაჯილდოებული.

მაგრამ რადგან საპატიო ლითონებს (გარდა პატიოსანი თვლებისა) განსაზღვრული სივრცის დაკავებასთან ერთად უმეტესი ღირებულება ახასიათებს, ამიტომ მათი გადატანაც ყველაზე უფრო მოსახერხებელია, და მათი ღირებულებაც თავის ნორმალურ დონეს მალე უახლოვდება. ღირებულების რაღაც 1 პროცენტის გულისათვის —ფრახტისა და დაზღვევის ხარჯებიანათ—ოქროსა და ვერცხლის გადატანა შესაძლოა დედამიწის ერთი კუთხიდან მის მეორე კუთხეში, მაშინ როდესაც იმავე წონის პურის გადასატანათ, სიშორის მიხედვით, საჭირო იქნება მისი ღირებულების 20, 30 და 50 პროცენტის გადახდა. აქედან ისეთი დასკვნა უნდა გამოგვეტანა, რომ დედამიწის ყველა კუთხეში საპატიო ლითონების ღირებულება დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს. მაგრამ ასეთი დასკვნა მთლად სწორი არ იქნებოდა. ცნობილია, პირიქით, რომ საპატიო ლითონთა ღირებულება ყველგან ერთნაირი არაა, და რომ, უმთავრესათ, იქ, სადაც მათი მაღაროებია, მათი ფასები დაბალია, რის გამოც აიხსნება ის განსაცვიფრებლათ დაბალი ფასები, რომელიც ამ ადგილებში არსებობს (ავსტრალიაში, ნახევარი საუკუნის წინათ, ახლა კი ტრანსვაალში ან კლონდაიკში). მიუხედავათ ამისა, შესაძლოა ითქვას, ამ ლითონთა ღირებულება ძლიერ კარგათ აკმაყოფილებს ღირებულებათა საზომის პირველ პირობას—უცვლელობის სივრცეში.

2) უ მ ა ღ ლ ე ს ი ხ ა რ ი ს ხ ი გ ა მ ძ ლ ე ო ბ ი ს ა.—თავის ქიმიურ თვისებათა მეოხებით, რომელიც მათზე ჰაერისა, წყლისა და ყოველი სხეულის გავლენას შეუძლებლათ ხდის, ოქროსი და ვერცხლის სრულებით უცვლელათ შენახვა შესაძლოა უსაზღვრო ხნის განმავლობაში. ბუნებაში მეორე ისეთი სიმდიდრე არ მოიპოება, რომლის შესახებაც ამისივე თქმა შესაძლო იყოს. ცხოველისა და მცენარის სამეფოთა პროდუქტები ფუჭდება, და თითქოს ლითონებიც, როგორც, მაგ., რკინა, მწვახდება და ბოლოს და ბოლოს მტვრათ იქცევა.

თავისი მნიშვნელობით ეს თვისება თითქმის პირველს უდრის. იგი ისეთსავე შედეგს იძლევა დ რ ო ე ბ ა შ ი, როგორსაც პირველი—ს ი ვ რ ც ე შ ი, სახელდობ: შედარებით უცვლელობას, ყოველ შემთხვევაში, დროის ხანგრძლივი პერიოდების განმავლობაში. თავისი გამძლეობით, რომლის მეოხებითაც ლითონის ერთი და იგივე გამოჭრილისა და ხელმეორეთ გამოჭრილი ნაწილების შენახვა საუკუნეებით შესაძლო ხდება, საპატიო ლითონები ცოტ-ცოტაობით საგრძნობ მასათ გროვდება (ახლა 60 მილიარდზე მეტია, რომლიდანაც 40 მილიარდი ოქრო—მათგან ჩრდ.-შეერთებულ შტატებს,

საფრანგეთს, რუსეთს, გერმანიასა და და ინგლისს 25 მილიარდი უწევს), რასაც ყოველწლიური წარმოება ემატება, როგორც ისეთ რეზერვუარს, რომელიც დაუსრულებლათ ფართოვდება ხოლმე და რომელზედაც შემთხვევითი მოვლენების გავლენა თანდათანობით უმნიშვნელო ხდება: სწრაფი ღვარის მომატება მის დონეს საოცრათ ამაღლებს. სცვლის. ხოლო მდინარე რონის ძლიერ დიდი მომატებით ჟენევის ტბის დონე მხოლოდ რამდენიმე სანტიმენტრით იწევს მაღლა.

რა დიდი განსხვავება არსებობს საპატიო ლითონებსა და, მაგ., პურს შორის! პურს ხანგრძლივი არსებობა არა აქვს, იგი მაშინვე იხმარება. ამიტომ, ახალი წლის მოსავლის პირამდი, ბეღლები, რომლებშიც პურს ყრიან, თითქმის იცლება ხოლმე. წარმოიდგინეთ. რომ პურის წლიური მოსავალი უეცრივ ყველგან ორჯერ მატულობს! საწყობებში მომარაგებული პურის რაოდენობაც ორჯერ გადიდდება და ამიტომ ფასების დაცემაც უეჭველი იქნება. უკანასკნელი 25 წლის განმავლობაში ოქროს ამოღება ორჯერზე მეტათ გამრავლდა და 1884 წლის 500 მილიონ ფრანკიდან ამ ჟამათ, დაახლოებით, 2500 მილიონ ფრანკამდი აიწია, და, მიუხედავათ ამისა, რადგან ეს გამრავლება მთელი არსებული ოქროსი და ვერცხლის მარაგის მხოლოდ მცირედ ნაწილს (დაახლოებით 5%) შეადგენს, მისი შედეგიც უმნიშვნელო ხდება.

მაინც, დროის ვითარებასთან ერთად, ასეთი ქანაობა საგრძნობ ხასიათს ღებულობს. რადგან. ყოველწლიური წარმოების ახლანდელი ნორმის მიხედვით, ოქროს მარაგის რაოდენობა 20 წლის განმავლობაში კიდეც გადიდდება ორჯერ. თუმცა, ამნაირათ, ძვირფას ლითონთა ღირებულება დროის მიხედვით სიმტკიცის საკმაო გარანტიას იძლევა. როცა საქმე მოკლე პერიოდებს შეეხება, მაგრამ იგი ამ სიმტკიცეს ნაკლებათ უზრუნველყოფს მაშინ, როცა ხანგრძლივ პერიოდებს ვღებულობთ. აქიდან ბევრი ხერიოზული უხერხულობა გამომდინარეობს, რომელსაც ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით.

3) ერთხარისხოვნობა.—რადგან საპატიო ლითონები, როგორც ქიმიაში ამბობენ, მარტივ სხეულებს წარმოადგენენ, ისინი ყველგან ერთნაირი არიან. გამოცდილი ნეგოციანტი კალიფორნიის ხორბლისაგან ოდესის ხორბალს ადვილათ გაარჩევს, იგი ავსტრალიის ცხვრის მატყლისგან ისპანიის მერინოსის მატყლის გარჩევასაც შესძლებს, მაგრამ უუძლავრესი რეაქტივებით შეიარაღებული უკეთესზე უკეთესი ოქრომჭედელი ან ქიმიკოსიც კი ავსტრალიისა და ურალის ოქროებს შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ იპოვის. აქ რაიმე „ნიმუშები“ საჭირო არაა.

4) მიმზგავსების სიძნელე.—საპატიო ლითონების გამოცნობა მაშინვე ხდება მხედველობისა, სმენისა და ყნოსვის საშვალებით და მათი ფერისა, ხმისა და წონის მიხედვით. და, ამის გამო, ყველა სხვა სხეულისაგან მათი გარჩევა ადვილია.[10])

5) სრულიადი ყოფადობა.—ეს ყოფადობა არა თუ მარტო მექანიკურისა, არამედ ამ სიტყვის ეკონომიური მოსაზრებითაც უნდა გავიგოთ. გაყავით ოქროს ზოდი 100 ნაწილათ და თქვენ ამით მის ღირებულებას სრულიადაც ვერ შეცვლით: ყოველ ნაჭერს თავისი წონის შესაფერი ღირებულება აქვს, ხოლო ერთად აღებული ყველა ნაჭერის ღირებულება პირველდაწყებითი ზოდის თანასწორ ღირებულებას შეადგენს.[11])

ერთი საქმეა—საპატიო ლითონების გაცვლა-გამოცვლის იარაღათ მოხმარება, მეორე საქმეა მათი სარგებლობა ფულის სახით, ამ სიტყვის საკუთარი მნიშვნელობით[12]). პირველი ფორმიდან მეორეში გადასვლაში სამი სხვადასხვანაირი ფორმა გაირჩევა:

1) პირველათ საპატიო ლითონებს გაუკეთებელი ზოდების სახით ხმარობდენ. ამიტომ ყოველი გაცვლის დროს საჭირო ხდება ჯერ ზოდების აწონა, ხოლო შემდეგში მათი პრობის გაგება. გარიგება რომაელთა ძველი უფლებით, მაგ., mansipacio, მისი libripens-ით. იმ დროის ნიშნებს ატარებდა, როდესაც გაცვლა-გამოცვლის იარაღი—ვერცხლი ან ბრინჯაო—იწონებოდა. დღესაც ჩინეთში, სადაც ლითონის ფული ხმარებაში არაა, ვაჭრებს სარტყლებზე ჩამოკიდებული აქვთ საწონი და საშინჯავი ქვა.

2) როცა ადამიანებს ამ ორმაგი ოპერაციის წარმოება მობეზრდათ, გათლილი ზოდების ხმარების აზრი დაიბადა, რომლის წონა და პრობაც წინასწარ განსაზღვრული და რაიმე ბეჭდისა ანუ ოფიციალური შტემპელის დაკვრით მისი სიკარგე დამტკი-

ცებული უნდა ყოფილიყო. კანონმდებელს, რომელსაც ეს მახვილი აზრი პირველათ დაებადა, უფლება აქვს მას ფულის აღმოჩენის სამსახური მიაწეროს, ვინაიდან სწორეთ ამ მომენტიდან ზოდების *აწონას* თავს ანებებენ და იწყებენ მხოლოდ *თვლას*, რაიც სწორეთ დამახასიითებელია ფულისა. უეჭველი უნდა იყოს, რომ ლიდიის ერთმა მეფეთაგანმა, რომელიც ქრისტეს დაბადებამდი 650–700 წლის წინათ ცხოვრობდა, ფულის მოჭრა პირველათ დაიწყო ამ ფულების ნიმუშების დანახვა შესაძლოა ბრიტანიის მუზეუმში. იგი არც მარტო ოქროსგან და არც მარტო ვერცხლისგან კი არ შესდგება. არამედ ორივე ამ ლითონის ნადნობისაგან, რომელსაც ბერძნები „ელექტრონ"-ს უძახდენ; იგი ჯერ კიდევ არ ატარებდა დისკის ფორმას, მას ქონდა ოვალური სახე ზოდისა და რაღაც ზოლისა და სამი შტემპელის ნიშანს გამოხატავდა. დაახლოებით ეგევე ხდება ჩვენს დროში ჩინეთში, სადაც ზოდებზე ხშირათ გამოხატულია სავაჭრო სახლის მარკა, რომელიც ზოდების წონასა და პრობს ამოწმებს.

3. საჭირო იყო კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმა. კუბიური ან უსწორო ფორმა ზოდისა თუმცა ერთნაირ უხერხულობას წარმოადგენდა და ზოდზე შტემპელიც კი იყო დასმული, მაგრამ ნიშნის დაუჩენლათ მის ჩამოჭრაზე უფრო ადვილი არაფერი იყო. ამიტომ უკეთესი იყო მაინც, რომ იგი აეწონათ და მის მთლიანობაში დარწმუნებულიყვენ. ამ პრაქტიკული უხერხულობის ჩამოსაშორებლათ საჭირო შეიქნა მიეღოთ ის ფორმა მოჭრილი ფულისა, რომელიც ახლა ყველა კულტურულ ქვეყანაშია შემოღებული; ეს არის პატარა რგვალი ფული, რომელიც გარშემო მორთულია გამობერილი ნაბეჭდით—წინა და უკანა მხარეზე და გვერდზე,—ისე, რომ ყოველ მხარეზე შემოვლებულ ნახატზე ნიშნის დაუჩენლათ ფულის არც ჩამოჭრა და არც გაფუჭებაა შესაძლო.

ამ დროიდან გამტკიცდა ტიპი ნამდვილი ფულისა, რომელსაც მთელი საუკუნეების განმავლობაში ოდნავათ შესამჩნევი ცვლილება არ გამოუცდია და რომელსაც სტენლი ჯევონსის განმარტება კარგათ უდგება: *ფული არის ზოდი, რომლის წონისა და პრობის გარანტიასაც სახელმწიფო იძლევა და რომლის სინამდვილესაც მის გარშემო გამოყვანილი ნახატის სიმთელე ამტკიცებს.*

**II. უკავია თუ არა ლითონის ფულს განსაკუთრებული ადგილი სიმდიდრეთა შორის?** ფრიად გავრცელებულ აზრს თუ დავუჯერებთ, ამ საკითხის პასუხი უეჭვო იქნება. ყველა დროსა და ყველა ქვეყანაში, გარდა ველურთა ქვეყნებისა, ლითონის ფულს ადამიანთა ზრუნვასა და სურვილებში უპირველესი ადგილი ეკავა. ადამიანები მას უყურებდენ, როგორც ერთადერთ სიმდიდრეს თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როგორც უუმნიშვნელოვანეს სიმდიდრეს და, როგორც ვხედავთ, ყოველ სხვა სიმდიდრეს ლითონის ფულის იმ რაოდენობასთან შედარებით აფასებენ, რომელსაც იგი წარმოადგენს და რომლის შეძენის საშვალებასაც იგი იძლევა. მდიდრათ ყოფნა ნიშნავს: ან ფულის ქონებას, ან-და საშვალებისას, რომლითაც მისი შოვნა შესაძლოა.

საინტერესოა თვალი მოვავლოთ, თუ როგორი სახე ქონდა ამ იდეას ისტორიის სხვადასხვა ხანაში, რომლის მიხედვითაც ოქრო და სიმდიდრე ერთსა და იმავე მცნებას წარმოადგენს:—საშუალო საუკუნეებში ალქიმიკოსები ცდილობდენ ყველა ლითონი ოქროთ ექციათ და ამნაირათ განეხორციელებიათ ის, რასაც ისინი „დიად საქმეს" უწოდებდენ და რომლითაც უფრო ეკონომიურ რევოლიუციას გულისხმობდენ, ვიდრე ქიმიური კანონის აღმოჩენას;—ძველ ქვეყანაში დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ამერიკიდან პირველი გემის მოსვლამ, რომელიც მას იმას ეუბნებოდა, რომ ამ ელდორადოში ყველა უბედურების ბოლომომღებ საშვალებას ვიპოვითო;—მე-XVI და მე-XVII საუკუნეებში. იმ ქვეყნების მთავრობანი. სადაც ოქრო არ იყო, ფრიად რთულ სისტემებს მიმართავდენ იმისათვის, რომ როგორმე თავის ქვეყანაში ეს ოქრო მოეზიდათ;—ჩვენს დროში კი სახელმწიფო მოღვაწენი. და ფინანსისტები გულის ფანცქალით უყურებენ ოქროს ფულის შემოსავალსა და გასავალს, რომელსაც გატანისა და შემოტანის განსხვავება იწვევს.

მაგრამ, ეკონომისტებს რომ დაეკითხოთ, ისინი სულ სხვა პასუხს მომცემენ. შესაძლოა ითქვას, რომ პოლიტიკურმა ეკონომიამ თავისი არსებობა პირველათ ამ იდე-

ის საწინააღმდეგო პროტესტის გამოცხადებით გამოაშკარავა და მას, ამ იდეას, ცრუმორწმუნეობა უწოდა. მაშინვე, როცა იგი ჯერ კიდევ თოთო ბავშივით ენას იდგამდა, ბუაგილბერის ბაგეებით (1697 წ.) იმას ამტკიცებდა, რომ „ადვილი შესაძლოა, ფული თავისთავათ სიმდიდრეს არც კი წარმოადგენს, და მისი რაოდენობაც ქვეყნის ბედნიერებისათვის არაფერს ნიშნავსო". ბუაგილბერის დროს შემდეგ არც ერთი ისეთი ეკონომისტი არ მოიპოება, რომელიც ლითონის ფულს ზიზღით არ უყურებდეს და იმას არ ამტკიცებდეს, რომ იგი მხოლოდ საქონელია, ყველა სხვა საქონლის მზგავსი, და თითქმის სხვებზე უარესიც, რადგან მას თავისთავათ ჩვენთვის არაფერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და არავითარი სიამოვნების მოტანა არ შეუძლია; ეს, *მაშასადამე, ერთადერთი საქონელია, რომლის შესახებაც შესაძლოა ითქვას, რომ საზოგადოებისათვის სულერთია, ბევრი იქნება იგი თუ ცოტა*. თუ რომელიმე ქვეყანაში ცოტაა ფული, მაშინ ყოველ ფულს მეტი სამყიდველო ძალა ექნება; თუ კი ფული ბევრია, მაშინ ყოველ ფულს ნაკლები სამყიდველო ძალა ექნება,—ჩვენთვის ეს სულერთია.

ერთმანეთს ეს ორი აზრი, როგორც ვხედავთ, დიამეტრალურათ ეწინააღმდეგება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ერთი კი ცხადია: ისინი ერთმანეთს ძლიერ კარგათ ეგუებიან. ხალხი მართალია *ინდივიდუალური შეხედულებით*. ერთადერთი შეხედულებაა, რომელიც მას აინტერესებს; ეკონომისტებიც მართალი არიან იმ შეხედულებით, რომელიც მოვლინებს პირძო პირთაგან განყენებით იხილავს. და აი ამის ახსნა სად იმარხება:

ყოველ ფულს უნდა ვუყურებდეთ, როგორც ყველა სიმდიდრის გაერთიანების ისეთ ნიშანს, რომელიც უფლებას გვაძლევს, მოვითხოვოთ, სურვილისამებრ, ამ სიმდიდრეთა რომელიმე ნაწილი.[13])

ცხადია, რომ ყველა ჩვენთაგანის ინტერესია, რაც შეიძლება მეტი „ნიშანი" გვქონდეს, და, რაც უფრო მეტიც ასეთი „ნიშანი" გვექნება, მით უფრო მდიდარი ვიქნებით. რა თქმა უნდა; ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რომ თავისთავათ ამ ნიშნებს ჩვენთვის არც შიმშილის მოკლა შეუძლია და არც წყურვილისა: ჩვენ ასეთი სულელი არა ვართ, და თანაც ეკონომისტების მიერ ამ ჭეშმარიტების აღმოჩენაზე გაცილებით უფრო ადრე ჩვენ ამას ძველი ლეგენდა გვასწავლიდა, რომელიც მეფის მიდასის შიმშილით გარდაცვალებას გვიხატავს აუარებელ სიმდიდრეს შორის, რომელიც მის სისულელეს ოქროთ უქცევია. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ უფრო მოხერხებულია ამ ნიშნების ქონება, ვიდრე რომელიმე სხვა სიმდიდრისა, და ჩვენ სრული საბუთიც გვაქვს ამისათვის. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი საზოგადოებათა თანამედროვე ორგანიზაციაში ყოველი პირი, რომელსაც იმ საგნის შეძენა სურს, რომლის გაკეთებაშიც მას მონაწილეობა არ მიუღია (ადამიანთა უმეტესობა სწორეთ ასეთ მდგომარეობაშია), შეიძენს მას მხოლოდ შემდეგი ორმაგი ოპერაციის საშუალებით: ა) ფულზე თავისი შრომის პროდუქტისა ან თვით შრომის გადაცვლით,—რასაც *გაყიდვა* ეწოდება; ბ) მისთვის საჭირო საგნებზე ამ ფულის გადაცვლით,—რასაც *ყიდვა* ეწოდება. მაგრამ ამ ორი ოპერაციიდან მეორე- ყიდვა ძლიერ ადვილათ ხდება: ფულით ყოველთვის იშოვი იმას, რაც გინდა. პირიქით, პირველი ოპერაცია— გაყიდვა—გაცილებით უფრო ძნელია: დიდი ღირებულების საგნითაც ყოველთვის ადვილი არაა ფულის შოვნა. ამიტომ ლითონის ფულის მქონეს მდგომარეობა საქონლის პატრონის მდგომარეობაზე გაცილებით უკეთესია, ვინაიდან იმისათვის, რომ პირველმა თავისი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს, მას მხოლოდ ერთი გადასავალი აქვს და ისიც ადვილი, მაშინ, როდესაც, მეორემ ორი ოპერაცია უნდა შეასრულოს, რომელთაგანაც ერთი ხშირათ ძლიერ საძნელოა. ყოველი სიმდიდრე, როგორც მშვენივრათ იყო ნათქვამი, საშუალებას იძლევა მხოლოდ ერთი *სპეციალურისა და განსაზღვრული მოთხოვნილების* დასაკმაყოფილებლათ, ლითონის ფული კი საშვალებას იძლევა ყოველგვარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, *რომელსაც კი ავირჩევთ*. ფრიად სასარგებლო საქონლის პატრონმაც შესაძლოა არ იცოდეს, თუ რა უნდა უქნას თავის საქონელს. ფულის პატრონს კი სადარდელი არაფერი აქვს:

იგი მსურველს ყოველთვის იპოვის. და თუ რაიმე შემთხვევის გამო იგი თავისი ფულის გამოყენებას ვერ მოახერხებს, ყოველ შემთხვევაში, მას დიდ ხანს შეუძლია იგი შეინახოს და უფრო ხელსაყრელ დროს დაუცადოს,—ყოველი სხვა საქონლის პატრონს კი ყოველთვის ასეთი საშვალება როდი ეძლევა.

თავისი იმ ხარისხის დამოუკიდებლათ, რომელსაც შეძენის ერთადერთ დამოუკიდებელი იარალი შეადგენს. ლითონის ფულს აქვს მეორე ფრიად მნიშვნელოვანი თვისებაც: იგი ერთადერთი იარალია გადახდისა. არც ერთ სხვა სიმდიდრეს ასეთი განსაკუთრებული თვისება არა აქვს, ვინაიდან არც კანონი და არც ჩვეულება გადახდის საშვალებათ არც ერთ სხვა საგანს არა სცნობს. სავაჭრო ან სამრეწველო ქვეყანაში არ მოიპოება ისეთი ვინმე, რომელსაც ბევრი თუ ცოტა ვალი არ ქონდეს. მაგრამ არ უშველის ვაჭარს ან მეფაბრიკეს საწყობებში დალაგებული საქონლები, თუნდაც მათი ფასი ვალზე გაცილებით მეტიც იყოს (და, მართლაც, არა ერთხელ მომხდარა, რომ ბანკროტობა გამოუცხადებიათ და ანგარიშების მოხდენას კი პასივზე მეტი აკტივი უჩვენებია): თუ კი საჭირო დროს მას ის განსაკუთრებული სიმდიდრე არ აღმოაჩნდება, რომელსაც ფული ეწოდება, მას უსათუოდ შეუძლებელ მევალეთ გამოაცხადებენ. და განა გასაკვირვია ამას შემდეგ, რომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ ისეთ საქონელს, რომლის ქონაზედაც ყოველთვის შესაძლოა დამოკიდებული იქნეს ჩვენი კრედიტი და პატიოსნება?

მაგრამ, თუ კი, ნაცვლათ კერძო პირების მაგალითებისა, ამ პირების შეერთების წარმომდგენი საზოგადოების მაგალითებს განვიხილავთ, მაშინ ზემო მოყვანილი შეხედულება შეიცვლება. მაშინ ეკონომისტების თეზისიც, რომლის ძალითაც სულერთია ლითონის ფული ბევრი იქნება, თუ ცოტა,—უფრო სწორი ხდება. მართლაც, ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ ექნება იმ გარემოებას, რომ ჩემს განკარგულებაში მოქცეული ლითონის ფული ორჯერ გამრავლდა; თუ კი საზოგადოების ყველა სხვა წევრსაც ასე მოუვა. ამ წარმოდგენის მიხედვით, მე, მართლაც, არ გავმდიდრდები, რადგან, სიმდიდრე დამოკიდებითი საგანია,. და მე ვერც კი მივინიჭებ იმაზე მეტ სიამოვნებას, რამდენიც წარსულში მქონდა, ვინაიდან იმ სიმდიდრეთა საერთო ჯამი არ გამრავლებულა, რომლის შეძენაც ამ „ნიშნებით“ არის შესაძლო. თითოეული ნიშანიც ამიერიდან უფლებას მომცემს შევიძინო უწინდელზე მხოლოდ ათჯერ ნაკლები სიმდიდრე,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ყოველ ფარა-ფულს ათჯერ ნაკლები სამყიდველო ძალა ექნება. ან კიდევ სხვა სიტყვებით, ყველა ფასი ათჯერ აიწევა, -და ჩემი მდგომარეობა შეუცვლელი დარჩება.

და, მაინც, საურთიერთო დამოკიდებულების გასაადვილებლათ ქვეყნებისა და აგრეთვე კერძო პირებისათვისაც რაც შეიძლება მეტი ფულის ქონებას დიდი მნიშვნელობა აქვს. საფრანგეთის მოქალაქეთა ურთიერთობაში არავითარ მნიშვნელობა არ ექნება საფრანგეთში ლითონის ფულის ასჯერ გამრავლებას (თუ კ ვიგულისხმებთ. რომ გამრავლება ყველასათვის პროპორციული იქნება), მაგრამ ე გარემოება ძლიერ გამოსცვლის საფრანგეთის მდგომარეობას სხვა სახელმწიფოების მდგომარეობასთან შედარებით, და ეკონომისტები მერკანტილური სისტემის საწინააღმდეგო ბრძოლაში ხშირათ ასეთი თვალსაჩინო ფაკტის უარყოფით შეცდომას იდენდენ. მართალია, მარტო ერთი თავისი სიმრავლის ძალით ფულის ფასი საფრანგეთში დაეცემოდა, მაგრამ გარეშე სახელმწიფოების ბაზრებზე მისი სამყიდველო ძალა ხელშეუხებელი დარჩებოდა, საფრანგეთი მათ საზღვარგარეთის საქონლების საყიდლათ მოიხმარდა და თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილებასაც ლითონის ფულების გამრავლების პროპორციის მიხედვით გაადიდებდა.

ეკონომისტების თეზისი, რომ ფულის სიმრავლე ან ნაკლებობა სულერთია, მართალი ხდება: მაშასადამე, იმ მომენტიდან, როცა მხედველობაში კერძო პირები კ არა. თითქმის ცალკე სახელმწიფოებიც არ მიიღება, არამედ მთელი კაცობრიობა. მაშინ სავსებით სწორი ხდება მტკიცება იმისა, რომ არსებულზე ასჯერ უფრო მ ტის ოქროს მაღაროს აღმოჩენა ადამიანებს არავითარ სარგებლობას არ მოუტანს: ე უფრო არასასიამოვნო მოვლენა იქნებოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში ოქრო სპილენ

ძივით გაიაფდებოდა და, მაშასადამე, იძულებული შევიქნებოდით ჩვენი ჯიბეები ისეთი დიდრონი ფარა-ფულებით გაგვევსო, რანაირსაც ლიკურგი ლაკედემონლებს აძალებდა.[14])

**III. ლითონის ფულებს ხომ არ უწერია მუდმივი დაწევა თავისი ღირებულებისა?** შეუწყვეტელი დაწევა ლითონის ფულების ღირებულებისა, უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში მაინც, ისეთი ფაკტია, რომელსაც ყველა ისტორიული საბუთი ამტკიცებს. ამ დაწევამ თითქმის დიდი სახეც კი მიიღო.[15]) ფულების ღირებულება კარლოს დიდის დროს დაახლოებით *ათჯერ* მეტი იყო, ვიდრე ახლაა: ამერიკის აღმოჩენის წინათ იგი *ექვსჯერ* მეტი აყო; საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს იგი *ორჯერ* მეტი იყო. ამიტომ თამამათ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ მრუდეს დაწევა შეუწყვეტლივ გაგრძელდება. კაცობრიობა ყოველდღე მეტსა და მეტ უნარს იჩენს იმ ჯურღმულების აღმოჩენაში, სადაც ბუნებას თავისი სიმდიდრე აქვს დამალული, და ყოველდღე იგი უფრო მეტ ცოდნას იძენს მათ დასამუშავებლათ. არც ვერცხლი და არც ოქრო არ წარმოადგენს ისეთ იშვიათ საგნებს, როგორიც გონიათ: ისინი ყველგან არიან,[16]) მართალია, მეტისმეტი მცირე რაოდენობით: მაგრამ სამეტალურგიო ინდუსტრიის პროგრესი თანდათანობით ამცირებს იმ საზღვარს, რომლის იქითაც ლითონის ამოღება უსარგებლო ხდება. ამიტომ უეჭველია, რომ საპატიო ლითონები სულ უფროდაუფრო მეტათ გამოჩნდება და, მაშასადამე, მათი ღირებულებაც სულ დაბლა და დაბლა დაიწევს.

შესაძლო იქნებოდა ამის დასაპირდაპირებლათ იმ აზრის მოყვანა, რომ საპატიო ლითონთა მოწოდების ზრდას საკმაოთ გაათანაბრებს მცხოვრებთა გამრავლებით გამოწვეული ამ ლითონების მოთხოვნის გადიდება; მაგრამ მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ლითონის მოთხოვნა თავის მხრივ საკმაოზე მეტათ თანაბრდება კრედიტის გაუმჯობესებული ფორმებითა და მიმოსვლის სისწრაფით. ჩვენ დავინახავთ, რომ სხვილ ფინანსიურ ცენტრებში გადარიცხვისა და კრედიტის მოხერხებული სისტემებით ლითონის ფულების გაძევება თითქმის სავსებით შესაძლო ხდება.

უნდა გვახარებდეს თუ არა ფაკტი, რომ ლითონის ფულის რაოდენობა იზრდება და სიმრავლის გამო მისი ღირებულება დაბლა იწევა? ეს მერე რა უბედურებააო?— გვეტყვიან,—სულერთია ამით არც არავინ გამდიდრდება და არც არავინ გაღარიბდებაო. ამის ერთადერთი სამწუხარო შედეგი ის იქნება, რომ საჭირო შეიქნება ღირებულებასთან შედარებით სულ უფროდაუფრო მძიმე ფულების შემოღებაო.

*როგორ გადიქცა წმინდა ოქრო საზიზღარ ტყვიათ?*

მაგრამ ასეთი შესაძლებლობაც საშიში არ იქნება, ბანკების ბილეთებისა და ჩეკების ჩარევის მეოხებით, და უკეთუ ოდესმე კიდეც მოხდება, რომ, ე. წ., საპატიო ლითონები საზიზღარ ლითონებათ იქცევა, მაშინ ასეთი შემთხვევის დროსაც ძირს ჩამოგდებულ უდიდებულესობათა სამაგიეროთ უფრო იშვიათი ლითონების აღმოჩენაც ძნელი არ იქნება.[17])

მიუხედავთ ამისა, ძვირფასი ლითონების ფასების დაცემის საკითხი სულერთი არაა. ნამდვილათ, ფულის საზომის ღირებულების დაცემას—სოციალური შეხედულებით დიდი მნიშვნელობა აქვს და მისი შედეგები, ჩვენი აზრით, საკეთილდღეო შედეგებათ უნდა ჩაითვალოს.

უწინარეს ყოვლისა, ფულის ღირებულების დაცემას ჩვეულებრივ, როგორც დავინახეთ, ფასების აწევა მოყვება. მაგრამ წარმოებისათვის ფასების აწევა სასარგებლო სტიმულს შეადგენს: იგი ავითარებს მოსაქმობისადმი მისწრაფებას, ხელს უწყობს სამუშაო ქირის გადიდებას, ეკონომიური ორგანიზმის ჯანმთელობის სიმპტომს წარმოადგენს.

ამიტომ საზოგადოებას ფასების აწევა შეუგნებლათ ახარებს მაშინაც კი, როცა ასეთი სიხარულისათვის საბაბი სულაც არ მოიპოება. მაგ., სამხრეთი ამერიკის ქვეყნებში, სადაც მოუფიქრებლათ ფულების გადიდებამ ფასების ზედმიწევნითი აწევა გამოიწვია, მწარმოებლები და მომხმარებლები სიხარულით ფეხზე ვერ დგებიან და ერთმანეთს ფასების ასეთ აწევას ულოცვენ, და, ჩვეულებრივ იმ ფინანსიური ზომების (მაგ.,

ხმარებიდან ქაღალდის ფულის გაძევების) წინააღმდეგ ილაშქრებენ, რომელიც ფასების დასაწევათ არის საჭირო.

ეგეც ცოტაა: ფულების ღირებულების დაცემა მევალეთაოვის ძლიერ ხელსაყრელია, რადგან მათ იმაზე ნაკლები ღირებულებით ვალების დაფარვის საშვალება ეძლევა, რანაირიც ვალათ აუღიათ; ფულების გაიაფებას ძველი ვალების გასტუმრება მოყვება. იგი იმ მიმართულებით მოქმედობს, როგორც საპროცენტო ნორმის დაწევა, ან, კიდევ უკეთ, როგორც კაპიტალის ფატალური დაფარვა მოქმედობს. და ძლიერ კარგია, რომ ძველ ვალებს ისტუმრებენ და ეს ვალები შვილებსა და შვილიშვილებს მეხუთე შთამომავლობამდი კისერზე არ აწვება. ამას განსაკუთრებით დიდი ღირებულება აქვს სახელმწიფოთათვის, რომლებიც უუდიდესსა და ჭეშმარიტათ ისეთ მევალეებს წარმოადგენენ, რომელიც ვალების გასტუმრებას ვერ ახერხებენ.

მართალია, რამდენათაც მწარმოებელსა და მევალეს ფულების ღირებულების დაცემა სარგებლობას აძლევს, იმდენათ იგი მომხმარებელს ზარალს აყენებს. მაგრამ ეს ზარალი თავისთავათ სიკეთეა. რაც შეეხება, უწინარეს ყოვლისა, მომხმარებელს, თუ კი ის იმავე დროს მწარმოებელიც არის, მაშინ იგი ზე-ღირებულებით ან სამუშაო ქირით მოსახმარ ხარჯებს იოლათ დაფარავს.[18]) თუ კი ის მხოლოდ მომხმარებელია და არაფერს აწარმოებს, მაშინ მით უარესი მისთვის: ფასების აწევა მის ჯიბეს მართლაც დიდ ზიანს მიაყენებს. რაც შეეხება კრედიტორს, თუ კი მას ფული გასესხებული აქვს მოკლე ვადით, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ვაჭრობაში, მაშინ მისთვის ფულის ღირებულების დაცემა საგრძნობი არ იქნება; თუ კი მას ფული გრძელი ვადით ექნება გასესხებული ან სამუდამოთ (სახელმწიფო რენტისა, საადგილმამულო რენტისა, სარკინისგზო ან საქალაქო გრძელვადიან ოპერაციათა სახით და სხ.), რა უშავს, შემოსავლის შემცირება თვალს აუხელს მას იმაზე, რომ იგი ამ ქვეყნათ პარაზიტის როლს ასრულებს, და აიძულებს მას, თუ კი სურს შეინარჩუნოს ან თავის მემკვიდრეებს გადასცეს ის სოციალური მდგომარეობა, რომელიც მას უკავია, ურჩიოს თავის შვილებს, რომ მათ საზოგადოებაში აქტიური როლი შეასრულონ. რანტიეს შესახებ დიდი ხანია სოქვა ერთმა კაცმა, რომელიც სოციალისტი სულაც არ ყოფილა, სახელდობ, რესტავრაციის სხვილმა ფინანსისტმა ლაფიტმა, რომ „მან (რანტიემ) ან შრომას უნდა მოკიდოს ხელი, ან-და მოიკაკვოს. კაპიტალისტს უსაქმური როლი უკავია: მან მთელი თავისი ძალღონე ეკონომიას უნდა მიაქციოს, —ეს კი ნამეტნავათ დამამძიმებელი შრომა არააო".[19])

დავემყაროთ წინააღმდეგის დამტკიცებას და წარმოვიდგინოთ, რომ ძვირფასი ლითონების ღირებულების დაცემის შესახებ ჩვენი წარმოდგენა არ გამართლდება და რომ საბოლოო ანგარიშით ეს ლითონები გაკოტრებას ასცდება; მაშინ ჩვენ მოწმე შევიქნებით ისეთი შედეგებისა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგება იმ ჩვენ-მიერ ახლა აღნიშნულ შედეგებს: მრეწველობა ფასების განუწყვეტელი დაცემის გავლენას მოექცევა, მოსაქმობის მისწრაფება გაიყინება, სახელმწიფოები ვალებში ჩაიფლობიან და გაკოტრებისაკენ გაექანებიან, რანტიე კი თავისი უსაქმობით მეტის დარწმუნებით მიეცემა გამდიდრებას, ვიდრე ყველა სხვა კლასი—თავისი შრომით. უკეთესი მიზეზის აღმოჩენა შეუძლებელი იქნება სოციალური რევოლიუციის ასაფეთქებლათ. გვიხაროდეს საპატიო ლითონების გაიაფება,—საზოგადოებრივი მანქანის ბორბალში ეს გაიაფება ზეთის როლს ასრულებს.

**IV. პირობები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი კარგი ფული.** ყოველს კანონიერ ფულს ლითონის ღირებულება უნდა ქონდეს, რომელიც მის ნომინალურ ღირებულებას სასტიკათ უნდა შეეფერებოდეს. ასეთია მთავარი წესი.

ჩვენ ვიცით, რომ ფულს ორმაგი ფუნქცია აქვს: შეძენისა და გასტუმრების ერთად იარაღათ ყოფნა. ორივე ფუნქცია ჩვეულებამ გააჩინა, მაგრამ ორივე ფუნქციას კანონის სანქცია სჭირდება. მართლაც, მხოლოდ კანონს შეუძლია კრედიტორსა და გამყიდველს გასასტუმრებლათ ასეთი ფულის მიღების მოვალეობა დააკისროს. ეს პრივილეგია შეადგენს იმას, რასაც კანონიერი კურსი ეწოდება. მაგრამ ეს პრი-

ვილეგია ერთ პირობას გულისხმობს, სახელდობ იმას, რაიც ჩვენ ესეს არის აღვნიშნეთ. აი ოქროს 20-ფრანკიანი ფული. სახელმწიფო ღერბთან ერთად ციფრით „20 ფრანკი“-ს ზედაბეჭდით მთავრობა ამტკიცებს, რომ ეს ფული 20 ფრანკის ღირებულებას მართლა შეიცავს და რომ ყველას შეუძლია ამ ფასათ მისი მიღება. თუ კი ფულს ის ღირებულება არა აქვს, რომელსაც მას სახელმწიფო აწერს, მაშინ უკანასკნელი ნამდვილ სიყალბეს ჩადის. სამწუხაროდ, ბევრი ხნის განმავლობაში მართველები ამ მხრივ განსაკუთრებულ სიფაქიზეს არ იჩენდენ; მაგრამ ახლა ეს ისეთი საკითხია ღირსებისა და პატიოსნებისა, რომ ამ საქმეში სიყალბეს ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაბედავს.

ყოველი ფული მაშასადამე, ორმაგი შეხედულობით უნდა განიხილოთ: — როგორც მოჭრილ ფულს, მას აქვს განსაზღვრული ღირებულება, რომელიც ერთ მის მხარეზეა აღნიშნული; — როგორც ზოდს, მას აქვს ღირებულება, რომელიც ბაზარზე არსებულს ლითონის ფასს შეეფერება, ვინაიდან ოქროსა და ვერცხლისათვისაც ისე არსებობს კურსი და ფასების აწევ-დაწევა, როგორც პურისა თუ ბამბისათვის.

ყოველთვის, როცა ორივე ეს ღირებულელება ერთნაირი ხდება] (ყოველთვის, მაგ., 9/10 პრობის ოქროს პატარა ზოდი, რომელიც ფრანგულ 20-ფრანკიან ფულს წარმოადგენს, ბაზარზეც 20 ფრანკის ღირებულებას შეადგენს, რაიც წმინდა ოქროს კილოგრამის 3.100 ფრანკის ფასს უდრის [20]), ამბობენ, რომ ფული კარგიაო, ან, ტეხნიკური ტერმინი რომ ვიხმაროთ, სრულფასიანიაო. [21]) დაგვრჩენია გავიგოთ, თუ როგორ ხდება უზრუნველყოფა და განმტკიცება ასეთი სრული ერთნაირობისა.

პირველი შემთხვევა. — თუ ზოდის ღირებულება მასში გამოსახული ფულის ღირებულებაზე მეტია, თუ, მაგ., ფული კანონის ძალით 20 ფრ. ღირს, ხოლო წონა იმ წმინდა ოქროსი, რომელსაც იგი შეიცავს, 21 ან 22 ფრანკათ ღირს, მაშინ ამბობენ: ფული ძვირიაო.

ეს ნაკლი მშვენიერია. მაგრამ მაინც ნაკლია და თითქმის ისეთიც, რომელსაც, როგორც მალე დავინახავთ, შესაძლოა საკმაოთ სერიოზული უხერხულობანი ქონდეს. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ნაკლი ნამეტნავათ სადარდელი არაა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ იგი ხშირათ არ ხდება, რომ მთავრობა ნამეტნავათ ძვირფასიან ფულს ჭრიდეს; თუ კი იგი ამას შვრება, ეს, შესაძლოა, იმიტომ ხდება, რომ მას ეს უმეცრებით მოუდის, ვინაიდან, ცხადია, სახელმწიფოს ასეთი ოპერაცია ზარალს მიაყენებს: 20-ფრანკიანი ფულის გამოჭრა 21 ან 22 ფრანკათ ღირებული ოქროს ზოდისგან გააკოტრებს მთავრობას, როგორც მრეწველს ტონის კვალობაზე 100-ფრანკიანი ლიანდაგის გამოყვანა 110-ფრანკიანი რკინისაგან; მეორე — იმიტომ, რომ ასეთ ფაქტს ზოგიერთი გარემოების გამო, რომელსაც ჩვენ ქვემოთ გავეცნობით (მაგ., მოჭრის შემდეგ ლითონის ფასის მომატების გამო), კიდეც რომ ექნეს ადგილი, მაშინაც ეს დიდხანს ვერ გასტანს. მართლაც, როგორც კი ხალხი გაიგებს, რომ 20-ფრანკიანი ფულის ზოდი 21 ან 22 ფრანკათ ღირსო, ყოველი პირი, მოგების გულისთვის, თავის ფულს ისე მოექცევა, როგორც საქონელს, და შეეცდება იგი მალე გაყიდოს წონით, და ასეთი ოპერაცია მანამდი გაგრძელდება, ვიდრე ოქროს ფულები სავსებით არ გაქრება. ჩვენ დავინახავთ, რომ ბიმეტალური სისტემის დროს ასეთ მდგომარეობას ადგილი საკმაოთ ხშირათ ეძლევა.

მეორე მაგალითი. — თუ კი ღირებულება ზოდისა ფულის ღირებულებაზე ნაკლებია, თუ კი, მაგ., ფული კანონის ძალით 20 ფრ. ღირს, ხოლო მასში მოქცეული წმინდა ოქროს წონა 18 ან 19 ფრანკათ, მაშინ ამბობენ: ფული იაფიაო.

ასეთი შემთხვევა პირველზე გაცილებით უფრო საშიშია ორი მოსაზრებით: ჯერ ერთი იმიტომ, რომ ასეთ შემთხვევას მთავრობა შეცდომაში შეყავს [22]): 18 ან 19 ფრანკათ ღირებული ზოდებისაგან ფულების მოჭრა ფრიად სამაცთურო ოპერაციაა მთავრობისათვის, რომელსაც ფულები ძლიერ ესაჭიროება და რომელიც მომჭირნეობას დაჩვეული არაა; და, მართლაც, ეს მაცთურობა ბევრ მთავრობას აბრიყვებდა: საკმარისია „ყალბი მეფულის“ ეპიტეტი მოვიგონოთ, რომელსაც ისტორიული გადმოცემა საფრანგეთის მეფეთა და, მათ შორის, ფილიპე ლამაზის სახელს უკავშირებს (მაგ-

რამ ეს, როგორც ვხედავთ, მთლათ სამართლიანი არაა);—მეორე—იმიტომ, რომ, რაკი ამგვარი ფული ხმარებაში შემოვიდა, მერე თვით ნივთების ვითარებით ხმარებიდან მისი გაძევება არა თუ ძნელია, როგორც მეორე ფულისა, არამედ, პირიქით, რჩება იქ და კიდეც საჭირო ხდება, როგორც ქვემოთ დავინახავთ, განსაკუთრებული ზომების მიღება, რომ მისგან გათავისუფლდენ.

ზოდის ღირებულებასა და ფულის ღირებულებას შორის თანაბრობა რომ არსებობდეს, ფულის ყოველი კარგი სისტემა წესათ აღიარებს—ეს არის ძირითადი დებულება ასეთი სისტემისა—ყოველი კერძო პირისათვის ფულის მოჭრის უფლების მინიჭებას, თავის სახლში კი არა, რა თქმა უნდა, არამედ საფულო ზარაფხანაში: ეს არის, ე. წ., *ფულის მოჭრის თავისუფლება*. თანასწორობა უზრუნველია მანამდი, ვიდრე ეს თავისუფლება იარსებებს, ვინაიდან, თუ კი ისე მოხდება, რომ ფულის ღირებულება მისი ზოდის ღირებულებაზე მეტი იქნება, მაშინ მოგების მისაღებათ ფულის მოჭრას ყველა დაიწყებს: ოქროს ზოდების ყიდვასა და საჭრელათ ზარაფხანაში წაღებას ყველა ხელს მიყოფს, და ეს მანამდი გაგრძელდება, ვიდრე ლითონის ზოდების შემცირება და ფულის ფორმით მათი გამრავლება ორივე ღირებულებას შორის თანასწორობას არ გამოიწვევს. კარგი ფულის ღირებულება გადადუღებისა გამო არ უნდა კლებულობდეს.[23]) აქ თავს იჩენს ეკონომიური აქსიომის ხმარება, რომელიც იმაში გამოიხატება, რომ ყოველთვის, როცა კი ორ საგანში ერთს, სურვილისამებრ, მეორეთ ქცევა შეუძლია, ორივეს უსათუოთ ერთნაირი ღირებულება აქვს.

მიუხედავათ ამისა, ყოველ ქვეყანაში არსებობს ფულის ისეთი კატეგორია, რომელიც ამ პირობას არ აკმაყოფილებს,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, მისი ნამდვილი ღირებულება მის კანონიერ ღირებულებაზე ცოტათ თუ ბევრათ ნაკლებია: ასეთ ფულს *ხურდა* ფული ეწოდება. ეს არის, ჩვეულებრივ, მცირე ღირებულების ფულები, უფრო ხშირათ, სპილენძისგან გაკეთებული, ხოლო ხანდახან ვერცხლისგანაც; სხვილი ვალების გასასტუმრებლათ კი არ იყენებენ მათ, არამედ—როგორც *დასამატ* ფულს. ამ პირობებში კანონმდებელს თამამათ შეუძლია კანონის სისწორით დაცვას გვერდი აუხვიოს. მაგრამ, ამასობაში, მან ასეთ ფულებს კარგი ფულის თვისებები უნდა წაართვას. ე. ი., უპირველესათ, *ყოველ ხურდა ფულს კარგი ფულის ხასიათი უნდა წაერთვას*—არავინ იქნეს ვალდებული, რომ ვალში იგი მიიღოს;[24]) მეორე, *ხურდა ფულის მოჭრის თავისუფლება გააუქმოს*, რადგან, ეს რომ არ მოხდეს, ასეთი ფულის მოჭრას ყველა დაიწყებს იმისათვის, რომ ის განსხვავება მიიღონ, რომელიც მეტალურსა და დასახელებულ ღირებულებათა შორის არსებობს; აღებ-მიცემაში საჭირო ასეთი ფულის მოჭრის უფლება მხოლოდ მთავრობას ეკუთვნის; მაგრამ ის ყოველთვის უნდა ეცადოს, რომ ნამეტნავათ ბევრი ხურდა ფული არ გამოუშვას.

**V. გრეშემის კანონი.** *ყოველ ქვეყანაში, სადაც ხმარებაში ორი კანონიერი ფულია შემოღებული, გლახა ფული ყოველთვის კარგ ფულს აძევებს.*

ასეთი გამოთქმის ფორმულაშია გამოხატული პოლიტიკური ეკონომიის ერთი ყველაზე უფრო საინტერესო კანონთაგანი, რასაც ეწოდება სახელი კოროლევა ელისაბედის კანცლერისა, რომელმაც იგი, როგორც ამბობენ, 3 საუკუნის წინათ აღმოაჩინა. მაგრამ მასზე გაცილებით უფრო ადრე არისტოფანმა თავის კომედიაში „ბაყაყებში" ის საინტერესო ფაკტი აღნიშნა, რომ მისი თანამემამულენი კარგ ფულთან გლახა ფულს უპირატესობას აძლევდენ.[25])

ამ ფაკტსა და მით გამოხატულ კანონს საკვირველათ ის გარემოება ხდის, რომ იგი, გარდა ფულისა, ყოველი სხვა საგნის მიმართ ყოვლად გაუგებარი იქნებოდა. როგორაა შესაძლო წარმოდგენა ადამიანების იმდენათ გაფუჭებული გემოვნებისა, რომ ისინი, საერთო წესის მზგავსათ, კარგ საქონელთან შედარებით უვარგის საქონელს არჩევდენ? მთელი ეკონომიური ორგანიზაცია ჩვენი საზოგადოებისა, მასში შრომის თავისუფლებითა და კონკურენციით ერთიანათ იმ დებულებაზეა დამყარებული, რომ ყოველ გარემოებაში ადამიანი უკეთეს პროდუქტს არჩევს, რადგან იგი მის მოთხოვნი-

ლებას უკეთ აკმაყოფილებს. რატომ იქცევა იგი სხვაფრივ, როცა საქმე ფულს შეეხება?

ჩვენი გაუგებრობა გაქრება, თუ კი მოვისაზრებთ, რომ ფული, ყველა სხვა სიმდიდრის მზგავსათ, მოსახმარებლათ ან საწარმოებლათ კი არაა გაჩენილი, არამედ მხოლოდ და მარტო გასაცვლელათ. ორი ნაყოფიდან ჩვენ უფრო მწიფე ნაყოფს ავარჩევთ, ხოლო ორი საათიდან რომელიც უკეთ მუშაობს. მაგრამ, როცა არჩევანი ორ ფულს შეეხება, ჩვენთვის მნიშვნელობა კი არა აქვს იმას, თუ რომელ მათგანს მოვიხმართ; რადგან მათ პირადათ ჩვენთვის სარგებლობის მოსატანათ კი არ ვინახავთ, სრულებით, არამედ როგორც ჩვენი კრედიტორებისა და საქონლის მომწოდებელთა გასასტუმრებელ საშვალებას. ამიტომ მათთვის უკეთესი ფულის მიცემა სისულელეთ ჩაგვეთვლებოდა; პირიქით, ჩვენი ინტერესია. რომ მათ უარესი ფულები მივსცეთ; ჩვენ უსათუოთ ასე მოვიქცევით, თუ კი, ამასთანავე, კრედიტორი ან მოიჯარადრე ასეთი ფულების მიღებაზე უარს არ იტყვის, ე. ი. გლახა ფულს ისეთივე გასტუმრებითი ძალა აქვს, როგორიც კარგს. და, მართლაც, გრეშემის კანონსაც სწორეთ ასეთი პირობა აქვს საბჯენში, ე. ი. ისეთი პირობა, როცა ხმარებაში ორი ერთნაირი კანონიერი ფულია შემოღებული.

ზემონათქვამი ხსნის, თუ რატომ რჩება ხმარებაში გლახა ფული, მაგრამ იგი კიდევ არ ხსნის იმას, თუ რატომ ქრება უკეთესი. რა ემართება მას?

ჩვენ მას მაშინ ვხმარობთ, როცა იგი გლახა ფულზე უკეთეს სამსახურს გვიწევს, ამას კი შემდეგში დახასიათებული 3 შემთხვევა გამოხატავს, რომელიც თითქო იმ 3 კარს წარმოადგენს, საიდანაც კარგი ფული მიმდინარეობს: ფულის მოგროვება, საზღვარგარეთელი გადასახადები და წონით გაყიდვა.

1) უპირველეს ყოვლისა შევეხოთ ფ უ ლ ი ს  მ ო გ რ ო ვ ე ბ ა ს. როცა ადამიანებს მომავალ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ ფულის შემონახვა სურთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ისინი ისეთ სისულელეს კი არ გამოიჩენენ, რომ ამ მიზნისათვის გლახა ფულები შემოინახონ; მათი ინტერესი მოითხოვს უკეთესი ფულების არჩევას—და ისინი ასეც იქცევიან. საფრანგეთის რევოლიუციით დამფრთხალი ადამიანები ასიგნაციებს კი არ ინახავდენ, არამედ უკეთესი ხარისხის ლუიდორებს. საფრანგეთის ბანკი ცდილობს რაც შეიძლება მეტი ოქროს-ფულის მოგროვებას. ამნაირათ შესაძლოა ალებ-მიცემიდან საუკეთესო ფულების ნაწილი გაქრეს. მაგრამ ამ პირველ მიზეზს დროებითი ხასიათი აქვს, და არა გადამწყვეტი.

2) უფრო საგრძნობ შედეგს ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე თ  გ ა ს ა ს ტ უ მ რ ე ბ ე ლ ი  გ ა რ დ ა ს ა ხ ა დ ე ბ ი იწვევს.—ქვეყანას შემოსატანი საქონლის რაგინდ მცირედი ნაწილის ღირებულების გადახდა უწევდეს, მან, მაინც, საზღვარგარეთ გარდასახადი ფულით უნდა გადაიხადოს. მაგრამ ამ შემთხვევაში გლახა ფულის არჩევაზე ლაპარაკიც მეტია: საზღვარგარეთელი კრედიტორი, რომელიც სულაც არაა ვალდებული ჩვენი ფული მიიღოს, მოითხოვს მას მხოლოდ წონით, ე. ი. მისი ნამდვილი ღირებულებით. აქიდან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ გლახა ფულები ჩვენ შინაგან ალებ-მიცემაში უნდა გამოვიყენოთ, სადაც მას კანონის ძალით ისეთივე ძალა აქვს, როგორიც კარგ ფულს; ხოლო კარგი ფულები საზღვარგარეთელი ვაჭრობისათვის შემოვინახოთ. ეს არის მეორე და თან ფრიად მნიშვნელოვანი მიზეზი კარგი ფულების გასვლისა.

3) მაგრამ კარგი ფულის სწრაფათ გაქრობის მიზეზს მისი გაყიდვა წარმოადგენს; წ ო ნ ი თ  გ ა ყ ი დ ვ ა.—ფულის გაყიდვა წონით! აი ზედმიწევნით ახირებული ოპერაცია! მერე მას რა სარგებლობა მოაქვს? საქმე სულ უბრალოთ ხდება. როგორც კი, ოქროს ღირებულების მომატების გამო, ფულის მეტალური ღირებულება მის ლეგალურ ღირებულებაზე მაღლა აიწევს, როგორც კი ო ქ რ ო  ზ ო დ ა თ  უ ფ რ ო  ძ ვ ი რ ი  გ ა ხ დ ე ბ ა, ვ ი დ რ ე  ფ უ ლ ი ს  ს ა ხ ი თ, მაშინ, ცხადია, ფულათ მის მოხმარებაზე უფრო ხელსაყრელი იქნება ზოდათ მისი გამოყენება. ამიტომ ოქროს ფულს ალებ-მიცემიდან აძევებენ და იგი საპატიო ლითონთა ბაზარზე გამოაქვთ. ბრინჯაოს ღირებულებამ უეცრივ საგრძნობლათ რომ აიწიოს, განა ბრინჯაოს ნივთების—ზარებისა, ზარბაზნებისა, ქანდაკებებისა და სხ.—განადგურებას მაშინვე არ დაიწყებენ, რომ მათში მოქცეული ლითონის რეალიზაცია მოახდინონ? ან, აი კიდევ მაგალითი: როცა ალკოგო-

ლის ფასი ძლიერ დიდი პროპორციით მაღლა იწევა, მაშინ ბევრ ღვინოს სადისტილიაციოთ და ალკოჰოლათ საქცევათ ქარხნებში გზავნიან. სწორეთ ამგვარათვე, როცა საპატიო ლითონის ფასი მაღლა იწევა. მისგან გამოჭრილი ფულები ფულის ხასიათს კარგავს და საქონლათ იქცევა, რომლის განადნობასა ან გაყიდვას ჩქარობენ.

1) ყოველთვის, როცა წაშლილი ფული ახალ ფულთან ერთად ხმარებაშია. გრეშემმა ეს კანონი სწორეთ ასეთ გარემოებებში შეამჩნია. ელისაბედის მეფობის დროს გამოსჭრეს ახალი ფული, რასაც იმ ძველის ადგილი უნდა დაეკავებია, რომელიც სრულებით გაფუჭებული იყო უფრო მეტათ ჩამოჭრით, ვიდრე ხმარებით, და ყველას განსაცვიფრებლათ ჩქარა შენიშნეს, რომ ახალი ფულები ქრებოდა, ხოლო ძველები უფრო მრავლდებოდა, ვიდრე ოდესმე წინათ.[26])

ამიტომ მთავრობამ ხშირათ უნდა გადაადნოს ხოლმე ძველი ფულები, რომ მისი ფული ყოველთვის ახალ სახეს ატარებდეს, თორემ შემდეგში. როცა ძველი ფულების ნაცვლათ ახალი ფულების გამოცემას განიზრახავს, დიდ დაბრკოლებებს დაეჯახება.

2) ყოველთვის, როცა ნაკლებათ ღირებული ქაღალდის ფულია ხმარებაში ლითონის ფულთან ერთად.

ამ შემთხვევაში ლითონის ფულის გაძევება ფართო ხასიათს ღებულობს, თუ რომ ქაღალდის ფულის ფასები ოდნავაც არის შესამჩნევათ დაბლა დაწევას იწყებს. ჩვენ დავინახეთ, თუ რატომ ხდება, რომ ორ ქვეყანას; რომელნიც ოქროს წარმოებას ეწევიან, ჩრდ.-შეერთებულ შტატებსა და რუსეთს, ოქროს ფულების შენახვა არ შეუძლია; თუმცა ისინი საფულო მასალას ყველა ქვეყანას აწვდიან. მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ყოველი მათი ცდა, რომელიც თავისი მაღაროების ოქროდან ფულის გამოჭრისაკენაა მიმართული, ამაო ხდება: იაფფასიანი მათი ქაღალდის ფული ოქროს ფულს უმოწყალოთ აძევებს.

გ) ყოველთვის, როცა იაფფასიანი ფული ხმარებაშია, სრულფასიან ფულთან ერთად, ან მაშინაც კი, როცა სრულფასიანი ფული ხმარებაშია ძვირფასიან ფულთან ერთად.

ასეთ შემთხვევაში უიაფესი ფული მეორეს აძევებს. ეს ფრიად საინტერესო შემთხვევაა. მას ადგილი აქვს თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ერთსა და იმავე დროს როგორც ოქროსი, ისე ვერცხლის ფულია შემოღებული. მაგრამ ამ შემთხვევის განხილვა მონომეტალიზმის და ბიმეტალიზმის საკითხს იწვევს; ამიტომ ჩვენ მას შემდეგ თავში შევეხებით.

## თ ა ვ ი III.

## ფ უ ლ ი ს ს ი ს ტ ე მ ე ბ ი.

**I. რამდენიმე ლითონის ხმარების აუცილებელი საჭიროება და აქიდან გამომდინარე უხერხულობანი.** ამ შესანიშნავი საკითხის შესახებ დიდი ხნიდან ატეხილია დავა, მაგრამ ეს დავა, როგორც შესაძლოა კაცმა იფიქროს, იმას კი არ შეეხება, რომ ამა თუ იმ ქვეყანამ ფულის აპარატის შესაქმნელათ რამდენიმე ლითონი უნდა იხმაროს, თუ ერთი. აქ არც არავითარი საკითხია, ვინაიდან ფრიად ცხადია, რომ ყოველი კულტურული ქვეყანა იძულებული ხდება ერთსა და იმავე დროს ოქროს ფულიც იქონიოს, ვერცხლისაც, სპილენძისა ან რაიმე სხვა მსგავსი ლითონისაც.[27]) როგორაა შესაძლო, მაგალითად, ხმარებაში მხოლოდ და მარტო ოქროს ფულების წარმოდგენა? თავისი მცირედი ზომის მეოხებით ხუთფრანკიანი ოქროს ფულის ტარებაც უხერხულია,—ხოლო 5 სანტიმიან ოქროს ფულს რაღა უნდა წარმოედგინა? რაღაც ხელუხლები ნამცეცი! კიდევ უფრო ძნელია წარმოდგენა (თუ კი რომის პირველ ხანებს არ დაუბრუნდებით) მარტო ერთი სპილენძის ფულის ხმარებისა, ვინაიდან სპილენძის 20-ფრანკიანი ფული დაახლოებით 10 კილოგრამი გამოვიდოდა. თუმცა ღირებულების მხრით ვერცხლს დანარჩენ ორ ლითონს შორის საშვალო ადგილი უკავია, მაგრამ მარტო მასაც მაინც არ შეუძლია ფულის როლი შეასრულოს, რადგან ვერცხლის 5-ფრანკიანი ფულიც საკმაოთ დიდია, ხოლო 20-სანტიმიანი სავაჭრო ალებ-

[მ]იცემისათვის ძლიერ ცოტაა. ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ერთსა და იმავე დროს [ს]ამივე ლითონის ხმარება.

მაგრამ აუცილებლათ საჭირო არაა *კანონიერი ფულის სახით* სამივე [ლ]ითონის ხმარება. ფაქტიურათ, როგორც ცნობილია, ერთ მათგანს, სპილენძს, ამ თვი[ს]ებას არაოდეს არ აწერენ: სპილენძი ყოველთვის ხურდათაა და დასამატებელ ფულათ [ი]ხმარება. რჩება ორი სხვა ლითონი: ორივეს უნდა მიეწეროს თვისება და ღირსება [კ]ანონიერი ფულისა, თუ მარტო ერთს? აი საკითხი, რომელიც ოდესღაც სახელგან[თ]ქმული იყო „მარტივისა და ორმაგი ვალიუტის" სახელით, ხოლო ახლა უფრო სწორათ [მ]*ონომეტალიზმით* ან *ბიმეტალიზმით* აღინიშნება.

უკეთუ კანონიერი ფულის ტიტულს მარტო ერთ ლითონზე აღიარებენ, მაგალ., [ო]ქროზე, ასეთ შემთხვევაში არავითარ სიძნელეს ადგილი არა აქვს. ვერცხლის ფულს, და აგრეთვე სპილენძის ფულსაც, ხურდა ფულის როლი ეკუთნება: მას წმინდა პირო[ბ]ითი ღირებულება ეძლევა, მაგრამ ამავე დროს გარდასახადებში მის მიღებას არავის [ა]ვალებენ. ოქროს ფული ერთადერთი ფულია, რომელიც აღებ-მიცემაში შემოღე[ბ]ულია კანონის ძალით, და მხოლოდ იმის შესახებ ზრუნვენ, რომ მის კანონიერ ღირე[ბ]ულებასა და ნამდვილ ღირებულებას შორის სრული თანასწორობა არსებობდეს.

თუ კი კანონიერი ფულის ხასიათს ერთსა და იმავე დროს ორ ლითონზე აღიარებენ, მაშინ მდგომარეობა ბევრათ უფრო რთული ხდება. აქიდან წარმომდგარ სიძნელეთა შესახებ რომ უკეთესი წარმოდგენა ვიქონიოთ, ავიღოთ, მაგ., ფრანგული სისტემა, რომელიც შესაძლოა ბიმეტალურ სისტემათ მივიღოთ, და შევეხოთ იმ მომენტს, როცა კანონმდებელმა იგი დაწვრილებით შეიმუშავა და დააწესა (მე-XI წლის 7 ჟერმინალის კანონი—1803 წლის 28 მარტისა).

საფულო ერთეულს ფრანკათ ქცეული წინანდელი გირვანქა წარმოადგენდა. ეს იყო ვერცლხის ფული: მაშასადამე, ვერცხლი კანონიერ ფულათ იყო მიღებული; მასზე ასეთ უფლებას არც არავინ უარყოფდა. მაგრამ ასეთ უფლებას ოქროსაც ვერ წაართმევდენ.

ეს საკითხი რომ უფრო აშკარათ გამოვარკვიოთ, ავიღოთ ფრანგულ სისტემაში შემოღებული ორი ერთგვარი ფული: 5-ფრანკიანი ვერცხლისა და 5-ფრანკიანი ოქროს ფული. ჩვენ გვინდა, რომ როგორც ერთი, ისე მეორეც კანონიერი ფული იქნეს; მაშასადამე, აუცილებლათ საჭიროა, რომ მათ ქონდეს ისეთი მეტალური (ნამდვილი) ღირებულება, რომელიც სწორეთ იმდენი უნდა იყოს, რამდენიც მათი კანონიერი (ნომინალური) ღირებულება,—ეს, როგორც ვიცით, პირობაა *sine qua non*. ამ პირობის დაკმაყოფილება ძნელი არაა, თუ კი საქმე ვერცხლის ფულს შეეხება. ვერცხლი ღირს (ან, უკეთესია ვსთქვათ, ღირდა იმ დროს, რომლის შესახებაც ჩვენ ვლაპარაკობთ) 200 ფრანკათ კილოგრამი, ასე რომ 25-გრამიანი ზოდი სწორეთ 5 ფრანკის ღირებულებას წარმოადგენდა: ჩვენ, მაშასადამე, ჩვენს 5-ფრანკიან ვერცხლის ფულს 25 გრამის წონა უნდა მივსცეთ, და ამით საჭირო მოთხოვნილებაც დაკმაყოფილებული იქნება. მაგრამ რა წონის უნდა იყოს 5-ფრანკიანი ოქროს ფული? ოქროს კილოგრამი იმ დროს 3100 ფრანკათ ღირდა (იმავე პრობისა, როგორისაც ვერცხლი იყო, ე. ი. $^{9}/_{10}$). მაშასადამე, თუ კი ერთი კილოგრამი ოქროდან 600 ფულს მოსჭრიან, თითოეულ მათგანს სწორეთ 5 ფრანკის ღირებულება ექნება (620×5=3100) და თითოეულის წონა იქნება ერთი გრამი, 613,—აქაც წამოყენებული პირობა შესრულებული იქნება.

ავიღოთ ახლა ორივე ეს ფული და დავადვათ სასწორის სხვადასხვა თვალზე. ჩვენ დავინახავთ, რომ *ერთ თვალზე დადებული 5-ფრანკიანი ვერცხლის ფულის თანასწორი წონის მისაღებათ მეორე თვალზე 15 ნახევარი 5-ფრანკიანი ოქროს ფული უნდა დაიდვას*, ან, კიდევ უკეთესია, ერთ თვალზე დადებული ორი 5-ფრანკიანი ვერცხლის ფულის გასასწორებლათ მეორე თვალზე 31 ხუთფრანკიანი ოქროს ფულის დადება იქნება საჭირო. ეს იმას ამტკიცებს, რომ ოპერაცია კარგათ შესრულებულია. მართლაც, ოქროს 1 კილოგრამი მაშინ სწორეთ 15$^{1}/_{2}$-ჯერ მეტათ ღირდა, ვიდრე 1 კილოგრამი ვერცხლისა (3100 ფრანკი ოქროს კილოგრამი და 200 ფრანკი ვერცხლის კილოგრამი).

დავიმახსოვროთ ეს შეფარდება 15,5: ეს არის ორივე ლითონს შორის არსებული კანონიერი შეფარდება; პოლიტიკურ ეკონომიაში იგი ისე სახელგანთქმულია, როგორც ცნობილი შეფარდება $\pi = 3,1416$—გეომეტრიაში. აქობამდი ყველაფერი მწყობრათ მიმდინარეობს, მაგრამ ვნახოთ, თუ როგორი იქნება ბოლო.

1847 წ. კალიფორნიაში ოქროს მაღაროებს აჩენენ; 1851 წ.—ავსტრიაში. ყოველწლიური ოქროს ამოღება ოთხჯერ დიდდება,[28]) ვერცხლის რაოდენობა კი სულ უფროდაუფრო კლებულობს; ამას იწვევს ინდოეთთან ვაჭრობის გაჩაღება, რომელიც დიდძალ ვერცხლსა ნთქავს. აქიდან წარმოდგება ის, რომ საპატიო ლითონთა ბაზარზე ოქროსი და ვერცხლის ღირებულებათა შორის არსებული შეფარდება იცვლება: 1 კილოგრამი ოქრო რომ იშოოთ, საჭირო კი არაა, როგორც წინათ, $15^1/_2$ კილოგრამი ვერცხლის მიცემა, არამედ საკმარისია 15 კილოგრამი ვერცხლი; სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ოქრომ თავისი ღირებულების 3% დაკარგა. მაშინ, რა თქმა უნდა, პატარა 5-ფრანკიანი ზოდებიც პროპორციულ ცვლილებას განიცდიან: 5-ფრანკიანი ოქროს ფული ნამდვილათ 4 ფრ. 85 ს. ღირება.

რა უნდა ელონათ თანაბრობის აღსადგენათ? ცხადია, თითოეულ ფულზე ცოტა მეტი ოქრო უნდა მიემატებიათ—3%-ით მეტი.

ნამდვილსა და კანონიერ ღირებულებათა შორის თანაბრობის აღსადგენათ საჭირო იქნება თითო 5-ფრანკიანი ვერცხლის ფულის წონას 5-ფრანკიანი ოქროს ფულის 15-ის (და არა $15^1/_2$) წონა უდრიდეს. მაგრამ მაშინ ხომ ყველა ოქროს ფული ხელმეორეთ უნდა მოიჭრას!.. მაგრამ მოვითმინოთ კიდევ.

ოცი წლის შემდეგ, 1871 წლის მახლობლათ, ახალი ცვლილება ხდება. ოქროს ამოღება, ავსტრალიისა და კალიფორნიის მაღაროების დაცლის გამო, 2-ჯერ კლებულობს, და, პირიქით, დასავლეთ ამერიკაში მაღაროების აღმოჩენის გამო, ვერცხლის ამოღება 2-ჯერ მატულობს. იმავე დროს გერმანია ოქროს ვალიუტას ღებულობს. თავის ვერცხლის ფულს ღირებულებას უკარგავს და ბაზარს ტალერებით ავსებს. რომელიც მას მეტათ არ სჭირდება. კიდევ იცვლება შეფარდება ლითონების ღირებულებათა შორის, მაგრამ ამ შემთხვევაში პირუკულმა მიმართულებით: საპატიო ლითონთა ბაზარზე 1 კილოგრამ ოქროს სამაგიეროთ არა $15^1/_2$ კილოგრამი, არამედ 16, 17, 18 და თითქმის 20 კილოგრამი ვერცხლი იშოება! სხვანაირათ—ვერცხლმა ოქროსთან დამოკიდებულებით თავისი ღირებულების მეოთხედზე მეტი დაკარგა. ცხადია, ვერცხლის ყოველი 5-ფრანკიანი ზოდის ფასიც პროპორციულათ დაეცემოდა და ვერცხლის 5-ფრანკიანი ფული ნამდვილათ 4 ფრ. და 50 სანტ. მეტათ არ ღირებოდა. რა უნდა ექნათ თანაბრობის აღსადგენათ? რა თქმა უნდა, 5-ფრანკიან ფულს მეტი ვერცხლი უნდა მოანდომონ, მისი წონა $^1/_4$-ით უნდა გაადიდონ, გააკეთონ ისეთი ფული, რომ ვერცხლის 5 ფრ. ფული იმდენს იწონიდეს, რამდენსაც ოქროს 5 ფრ. 20 ფული. მაშინ მეტალურსა (ნამდვილსა) და კანონიერ (ნომინალურ) ღირებულებათა შორის თანაბრობაც აღდგებოდა; მაგრამ ამისათვის საჭირო იქნებოდა ყველა ვერცხლის ფულის ხელმეორეთ მოჭრა!

მერე ეს როგორ უნდა მოხდეს! ნუთუ იმისათვის, რომ ჩვენს ორივე ფულს სრულფასიანი ფულის ხასიათი შერჩეს, ე. ი. სრული თანაბრობა იქნეს დაცული ნამდვილსა და კანონიერ (ნომინალურ) ღირებულებათა შორის, მუდამ საჭირო უნდა იქნეს ხელმეორეთ მოჭრა ხან ერთისა, ხან კი მეორისა, რომ მათი წონა ამ ორი ლითონის ღირებულებათა ქანაობას შეუთანხმდეს? ნათქვამიდან თითქო ასეთი დასკვნაც უნდა გამომდინარეობდეს. მაგრამ ეს ხომ პრაქტიკულათ განუხორციელებელია და თანაც შეუსაბამო ზომასაც წარმოადგენს.[29]) შემდგომ თავში ჩვენ დავინახავთ, თუ რომელ საშვალებაზე შეჩერდენ.

**II. რატომაა, რომ ბიმეტალური ქვეყნები ფაქტიურათ ერთგვარი ფულის ამარა რჩებიან.** ყოველი ბიმეტალური სისტემა, როგორც ჩვენ ესეს არის დავინახეთ, ის სერიოზულ უხერხულობას შეიცავს, რომ ასეთი სისტემის დროს ვერ ხერხდება ორივე ფულისათვის ნამდვილსა და კანონიერ ღირებულებათა შორის იმ თანაბრობის დამყარება, რომელიც ყოველი კარგი ფულის განმასხვავებელ [illegible]ნეულობას უნდა შეადგენდეს

შესაძლო იქნებოდა, თითქმის, ისიც გვეფიქრა, რომ ეს უხერხულობა უფრო თეორეტიული ხასიათისაა. ვიდრე პრაკტიკულისა. ჩვენი რა საქმეა,—იტყვის ზოგიერთი,—რომ ოქროსი თუ ვერცხლის ფულების კანონიერი ღირებულება მათს ნამდვილ ღირებულებაზე რამდენათმე მეტია თუ ნაკლები? ამას ყურადღებას არავინ აქცევს და, ყოველ შემთხვევაში, ეს ზარალს არავის აყენებსო.

ეს მართალი არაა. ასეთი მდგომარეობა ფრიად რეალურ უხერხულობას შეიცავს და კიდევ მეტსაც,—ნამდვილ საშიშროებას, და აი რანაირს: უიაფესი ფული უძვირფასეს ფულს აღებ-მიცემიდან თანდათან აძევებს, ასე რომ ყოველი ისეთი ქვეყანა, რომელსაც თითქო ორმაგი ვალიუტა აქვს, ფაკტიურათ ისეთ ახირებულ მდგომარეობაში რჩება, რომ **აღებ-მიცემაში მარტო ერთგვარ ფულს სტოვებს და თანაც უუარესსაც**. მოქცევისა და უკუქცევის პერიოდულ ცვალებადობას გააქვს ის ლითონი, რომლის ღირებულებაც მომატებულია, და მოაქვს ის ლითონი, რომლის ღირებულებაც დაკლებულია.

ეს არის უბრალო გამოყენება ჩვენ მიერ უკვე შესწავლილის გრეშემის კანონისა, და უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში საფრანგეთის საფულო სისტემის ისტორია ამის საოცარ ილიუსტრაციას წარმოადგენს.

როცა, მეორე იმპერიის დროს. ოქროს ღირებულება, ჩვენ მიერ წინა თავში მითითებულ გარემოებათა გამო, დაცემული აღმოჩნდა, მაშინვე ვერცხლის ფულის გაქრობა დაიწყო და მისი ადგილი ოქროს ფულმა დაიკავა, იმ მბზინავმა „ნაპოლეონებმა", რომელნიც რაღაც არაჩვეულებრივს წარმოადგენენ და რომელთაც დასაწყისში აღტაცებით შეხვდენ: სასახლის კაცები მათში ამ მეფობის სიმდიდრესა და ბრწყინვალებას ხედავდენ. ნავდვილათ კი, ოქროს ფული ბლომათ იმიტომ მოიპოვებოდა, რომ იგი ფასდაცემული ლითონისაგან კეთდებოდა. ლითონების ცვალებადობის ეს მოვლენა ადვილი ასახსნელია.

ლონდონის ბანკირი, რომელსაც ინდოეთში გასაგზავნათ ვერცხლის შოვნა უნდოდა—ცხადია და ბუნებრივი—მის შეძენას იქ ცდილობდა, სადაც ვერცხლი უფრო იაფი იყო. ლონდონში მას შეეძლო 1 კილოგრამ ოქროთი შეეძინა არა უმეტეს 15 კილოგრამი ვერცხლისა. მაგრამ პარიზის ზარაფხანაში ოქროს იმავე რაოდენობის გაგზავნით მას შეეძლო მოეჭრევინებია ოქროს 3,000 ფრანკი და მერე ეს ფულები ვერცხლის 3100 ფრანკზე გადაეცვალა, რომელიც სწორეთ $15^1/_2$ კილოგრამს იწონის (3100 $\times$ 5 გრ.). ამნაირათ. იგი საბოლოო ანგარიშით 1 კილოგრამ ოქროზე $15^1/_2$ კილ. ვერცხლის მიღებას ახერხებდა.[30]

ადვილი გასაგებია. რომ; ასეთი ვაჭრობის მეოხებით, საფრანგეთიდან ვერცხლის ფულის განსაზღვრული ნაწილი გარეთ გავიდა, ხოლო მისი ადგილი იმავე რაოდენობის ოქროს ფულმა დაიკავა. ასეთია, სწორეთ, მოქმედება გრეშემის კანონისა: ძვირფასიანი ფულის ადგილს იაფფასიანი ფული იკავებს. საფრანგეთის ვერცხლის ფულები მთელი ტვირთობით გაქონდათ ინდოეთს. მათ ყიდულობდენ წონით, რომ შემდეგ ბომბეისა და მადრასის ზარაფხანებში გაეყიდათ, სადაც მათგან რუპიებს ჭრიდენ. ამ პერიოდის განმავლობაში დასახელებულმა ზარაფხანებმა ინდოეთის ფულათ საფრანგეთის 2 მილიარდზე მეტი ფრანკი მოსჭრეს.

მალე საფრანგეთში ფულის ნამდვილი შიმშილი დადგა. ძველ დროში ფულების უკუქცევის შეჩერებას აკრძალვითა და გამტანთა დასჯით ცდილობდენ. ეკონომიური მეცნიერება მიზეზს აღნიშნავდა და მის მოსასპობათ უფრო ნამდვილ საშვალებას იძლეოდა. ვერცხლის ფული ქრებოდა, რადგან იგი ძლიერ ძვირათ ფასობდა; საკმარისი იქნებოდა მისი გაიაფება, მისი წონისა ან მასში მოქცეული წმინდა ლითონის პროპორციის შემცირება. რომ ამით მას ფრთები შემოჭროდა და იგი ადგილიდანაც არ დაძრულიყო. სწორეთ ასე მოიქცენ საფრანგეთი, იტალია, ბელგია და შვეიცარია, რომელთა შორისაც 1865 წლის 23 დეკემბერს საკონვენციო ხელშეკრულობა დაიდვა.[31] ვერცხლის ყველა ფულის პრობი $^{900}/_{1000}$-დან $^{935}/_{1000}$-მდი იქნა დაწეული, რაიც მათ თავისი ღირებულების $7^0/_0$-ზე ცოტა მეტს უკარგავდა. **ყველა ეს ფული ხურდა ფულათ გახდა და იგი დღესაც ასეთივეა**, ხოლო, დაურღვეველი წესების თანა-

ხმათ, ამ ფულებმა ამ მომენტიდან კანონიერი ფულის ხასიათი დაკარგა და მათ ღებულობენ, როგორც დამხმარე ფულს.[32]) რატომ შექმნეს გამონაკლისი 5-ფრანკიანი ფულისათვის? ამისათვის არ იყო არავითარი საფუძვლიანი მიზეზი, მაგრამ ამას საფრანგეთი მოითხოვდა. ვერცხლის ყველა ფულის ხურდა ფულათ გადაქცევა ვერცხლის ფულისათვის კანონიერი ფულის ხასიათის სრულებით წართმევა იქნებოდა, ეს იქნებოდა, მზგავსათ ინგლისისა, პირდაპირ მონომეტალიზმის ალსარება; ხოლო საფულო სისტემაში ასეთი რევოლიუციის მოხდენამ საფრანგეთის მთავრობა შეაშინა. ამიტომ 5 ფრ. ფული დასტოვეს იმავე წონითა და პრობით და იმავე კანონიერი ფულის სახით. რანაირიც იგი წინათ იყო. რა თქმა უნდა, საფრანგეთიდან მისი გაქრობა გრძელდება, მაგრამ უიმისოთ უფრო შეიძლებოდა იოლათ წასვლა, ვიდრე უფრო წვრილი ფულების უმისოთ: საჭიროების დროს შესაძლო იყო მის ნაცვლათ 5-ფრანკიანი ოქროს ფულის ხმარება.

1871 წლიდან ორივე ლითონის ღირებულებაში, როგორც დავინახეთ, სულ წინააღმდეგი ხასიათის რევოლიუცია მოხდა, და საფრანგეთის ფულის აპარატი კვლავ აიშალა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მეორე მიმართულებით: ძლიერ გაძვირდა ოქროს ფული და ახლა უკვე მისი ემიგრაცია დაიწყო, ძლიერ გაიაფდა ვერცხლის ფული და იგი ბლომათ გაჩნდა.

განახლდა იგივე ოპერაცია, რომლის შესახებაც ჩვენ ესეს არის ვლაპარაკობდით, მაგრამ პირუკულმა მიმართულებით: ამ პუნქტში ყოველივე გაუგებრობის ასაცილებლათ ხელახლა გავიმეოროთ ჩვენი განმარტება.

პარიზის ბანკირი ოქროს ფულებიდან იღებდა 3100 ფრანკს, 20 თუ 10-ფრანკიანი ფულით, — ეს სულერთია, ეს შეადგენს სწორეთ 1 კილოგრამ ოქროს. ბანკირი ამ ფულებს ტომარაში აწყობდა და მათ ლონდონს გზავნიდა. საპატიო ლითონთა ბაზარზე ლონდონში 1 კილოგრამ ოქროში შესაძლო იყო 20 კილოგრამი ვერცხლის შეძენა, ბანკირი ყიდულობდა ვერცხლის 20 კილოგრამს, რომელიც მას პარიზს ეგზავნებოდა, და იქაურ ზარაფხანაში იგი მას ფულებათ აჭრევინებდა. რადგან 1 კილოგრამი ოქროდან ზარაფხანას 40 5-ფრანკიანი ფული უნდა მოეჭრა (ე. ი. 200 ფრანკი), ამიტომ ჩვენს ბანკირს ეძლეოდა 20×200=4000 ფრანკი 5-ფრანკიანი ფულებით. მთელი მოგება 900 ფრანკია. ყოველი ხარჯისა და პრემიის დაფარვის შემდეგ ეს ოპერაცია საკმაო წმინდა მოგებას იძლეოდა. ცხადია, რომ იგი საფრანგეთში ვერცხლის ფულის გამრავლებასა და ოქროს ფულის გაძევებას იწვევდა. შეუწყვეტლივ გამეორებას ის აუცილებელი შედეგი უნდა მოყოლოდა, რომ აღებ-მიცემაში ოქროს ფულების ადგილი სავსებით ვერცხლის ფულებს უნდა დაეჭირებინა.

ამიტომ საჭირო იყო, რომ ლათინური კავშირის შემდგენელი სახელმწიფოები ამ საშიშრობის აუცილებელ ზომათა მიღების საკითხში ერთმანეთ შორის შეთანხმებულიყვნენ. როგორც ვერცხლის ფულის პრობის დაწევით 1865 წ. ამ სახელმწიფოებმა ქვეთი ფულის გაძევება შეაჩერეს, ისე ახლაც ოქროს ფულების გაძევების შეჩერება შესაძლო იქნებოდა მისი პრობისა და ან წონის დაწევით. მაგრამ ხელახლა შეუწყვეტლივ ხან ერთისა და ხან მეორე ფულის მოჭრა, ბოლოს-და-ბოლოს, ფულის მთელი სისტემის აშლას გამოიწვევდა. ამიტომ უფრო მარტივი საშვალება არჩიეს. 1878 წ. 5 ნოემბრის კონვენციამ ვერცხლის ფულის მოჭრა სრულებით შეაჩერა.[33]) მას შემდეგ ჩვენ-მიერ აწერილი ოპერაცია შეუძლებელი გახდა. საზღვარგარეთ ვერცხლის ყიდვაში არავითარი მოგება არ არის, რადგან მათგან ფულის მოჭრა არ შეიძლება.[34])

ამ ღონისძიების საშვალებით საფრანგეთმა შესძლო ოქროს იმ მარაგის შენარჩუნება. რომელიც საგრძნობლათ ხელშეხებული არ იყო. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო. ამ კონვენციამ ვერცხლის გზა დაახშო დაახლოებით 80 მილიონი ადამიანისათვის და მისი გასაღების განსაზღვრით ვერცხლის ღირებულება კიდევ უფრო დასწია, ე. ი. ბოროტება ერთი ორათ გაადიდა. ვერცხლი, რომელიც მანამდი თავისი ღირებულების მხოლოდ 10—12%-ით იყო დაცემული, სულ უფროდაუფრო დაბლ ეშვებოდა და 100 ფრანკზე დაბლა დაიწია 1 კილოგრამის ფასმა, რაიც მისი კანონ

ერი ღირებულების (200 ფრ.) ნახევარზე ნაკლებს შეადგენს და ოქროსი და ვერცხლის ღირებულებათა შორის 1 : 31 შეფარდებას შეეფერება!

ასეთ პირობებში ვერცხლის ფულის მოჭრის თავისუფლება არ განახლებულა, და არც იციან, განახლდება თუ არა იგი ოდესმე. ამიტომ შესაძლოა ითქვას, რომ, თუმცა ლათინური კავშირის ქვეყნებში იურიდიულათ ჯერ კიდევ ბიმეტალური რეჟიმი არ არსებობს. ფაქტიურათ ეს ქვეყნები ოქროს ალებ-მიცემით მონომეტალზმის რეჟიმს ახორციელებენ. ყველა მათი ვერცხლის ფულიდან დარჩა მხოლოდ ერთი, რომელიც ჯერ კიდევ კანონიერ ფულათ ითვლება, მაგრამ ეს ერთად ერთი ფულიც მეტათ არიჭრება!

**III უნდა მივიღოთ თუ არა მონომეტალიზმი?** ზემო მოთხრობილ განმარტებათა მიხედვით, ამ საკითხის შესახებ რყევას თითქო ადგილი არც კი უნდა ქონდეს. მონომეტალიზმი ყველაზედ უფრო ადვილი სისტემაა, რომელიც ყველა სიძნელეს სპობს. რატომ არ უნდა მივიღოთ იგი?

ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია სახელმწიფოთა უმეტესი ნაწილისაგან და, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის მიერ (1816 წ.). ბიმეტალისტთა ბანაკში ლათინური კავშირის ქვეყნებია დარჩენილი (საფრანგეთი, იტალია, ბელგია, შვეიცარია და საბერძნეთი), ჰოლანდია, ისპანია, შეერთებული შტატები და მექსიკა. მაგრამ ჩამოთვლილი ბიმეტალისტური ქვეყნებიდან უმთავრესი ქვეყნების (საფრანგეთი, შეერთებული შტატები, ჰოლანდია) ფაქტიურათ მონომეტალურ ქვეყნებს წარმოადგენენ, ოქროს ალებმიცემით, იმ მოსაზრებით, რომ ისინი თავის გარეშე ვაჭრობაში მარტო ოქროთი სარგებლობენ.

რაც შეეხება ლათინურ კავშირს, ჩვენ ესეს არის დავინახეთ, თუ როგორ სუსტია მისი კავშირი ბიმეტალიზმთან,—თითქმის წმინდათ ნომინალურია. ეგევე უნდა ითქვას შეერთებული შტატების შესახებაც. Silvermen'-თა უმძლავრესი პარტია აგიტაციას ეწეოდა შიგ ქვეყანაში ვერცხლის ფულის მოჭრის თავისუფლებისა და თითქმის თავისი ქვეყნის გარეთაც ამ იდეის პროპაგანდის შესახებაც. მან კიდეც გამოიწვია (1890 წ.) ცნობილი კანონის გამოცემა, რომელიც მთავრობას ყოველთვეობით 25 მილიონი ვერცხლის ზოდების ყიდვას ავალებდა. არჩევნებზე Silvermen'-ები დამარცხდენ, და 1900 წლის 14 მარტს საგანგებო კანონი გამოიცა, რომელმაც ოქროს დოლარი ღირებულების საზომათ გამოაცხადა; მაინც, ვერცხლის დოლარის გადამხდელობითი უნარი განუსაზღვრელი რჩება, თუმცა მისი მოჭრა განსაზღვრულია.

რატომ არ სწყვეტენ ეს ქვეყნები ეგზომ სუსტ კავშირს ბიმეტალიზმთან და, მზგავსათ სხვა ქვეყნებისა, მონომეტალიზმზე არ გადადიან?

ამას ორი დაბრკოლება ელობება: ერთი—პრაქტიკულისა, ხოლო მეორე—პრინციპიალური თვისებისა:

1) პრაქტიკული ხასიათის დაბრკოლება იმაში გამოიხატება, რომ ოქროს ვალიუტის მიღებას ვერცხლის მიერ ფულის ხასიათის დაკარგვა მოყვება, ვინაიდან ხუთფრანკიანი ფულისათვის კანონიერი ფულის ხასიათის წართმევას ალებ-მიცემიდან უსათუოთ მისი გაძევება უნდა მოყვეს. საფრანგეთში კი ასეთი ხუთფრანკიანი ფული—მას ეკიუს უწოდებენ—ნომინალური ღირებულებით 3 მილიარდი ფრანკის ითვლება; ეს ფულები წონით რომ გაიყიდოს, 1500 მილიონ ფრანკზე ნაკლებს შემოიტანს. ასეთი ოპერაცია, ცხადია, 1500 მილიონ ფრანკზე მეტათ დაჯდება და, შესაძლოა, გაცილებით კიდევ უფრო მეტათაც, ვინაიდან, ასეთი ზომა, უეჭველია, ვერცხლის კიდევ უფრო მეტ დაცემას გამოიწვევს.[35])

2) პრინციპიალური ხასიათის დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ საქონლების ფასებში ცვლილების მოსახდენათ ერთი ვალიუტა უფრო საშიშია, ვიდრე ორიო.

ჩვენ ვიცით, რომ ფულის ღირებულების ყოველი ცვლილება დაუყოვნებლივ იწვევს ფასებში პირუკუღმა ცვლილებას. როცა ფულის ერთი სისტემაა შემოღებული, მაშინ ასეთი ცვლილება ხშირი ხდება და მკაცრიც და მთელი სავაჭრო აპარატის აშლასა და შეუწყვეტელ კრიზისებს იწვევს.

როცა კი, პირიქით, ღირებულებათა გასაზომავათ ორ ფულს ხმარობენ, მაშინ

მათ შორის ერთნაირი თანაბრობა მყარდება, რომელიც ძლიერ კარგ გავლენას ახდენს ფასების განმტკიცებაზე და, მაშასადამე, ვაჭრობის აყვავებაზეც, ვინაიდან სავაჭრო საქმეებში უმთავრესათ ფასების სიმტკიცეზე ზრუნვენ. ამ თანაბრობის მოვლენის ახსნა ცოტა ძნელი კია, მაგრამ, მაინც, მის შესახებ საერთო წარმოდგენის შედგენა ადვილია.

საკმარისია მოვიგონოთ, რომ საპატიო ლითონთა უაღრესობის მთავარი მიზეზი, როგორც ღირებულებათა საზომისა, იმ ფაქტთანაა დაკავშირებული, რომ ლითონთა რაოდენობაში მომხდარი ცვლილება მათს შომარაგებულ რაოდენობასთან შედარებით სრულებით უმნიშვნელოა. მაგრამ ეს პირობა იმდენათ უკეთესათ სრულდება, რამდენათაც ლითონის მარაგი მეტია და რამდენათაც მეტია მისი მასაზრდოებელი წყაროები. ორი ლითონისაგან შემდგარი მარაგი, უპირველეს ყოვლისა, ორმაგ მასას შეადგენს, ხოლო, ამას გარდა, რადგან ფრიად საეჭვოა, რომ ერთისა და მეორის ხელშე-ტი წარმომშობი მიზეზები ერთნაირი იქნეს, ამიტომ ქანაობაც ნაკლებათ საგრძნობი იქნება. მაგ., მდინარეთა მომატება მით უფრო ნაკლებათ მოულოდნელია და საშიში, რამდენათაც ამ მდინარეებს მეტი შტო აქვს და რამდენათაც მოშორებულია და სხვადასხვანაირია კლიმატიურისა და გეოლოგიური პიროგების მხრით ის ქვეყნები, საიდანაც ისინი იწყებიან. მდ. სენას მომატება ძლიერ იშვიათად ხდება, რადგან მისი მრავალრიცხოვანი შტოები დასაწყისს სხვადასხვა მხრიდან ღებულობენ,[36] ხოლო ლუარისა ან გარონის მომატება ძლიერ ხშირათ ხდება, და ეს იმიტომ, რომ ყველა მისი მთავარი შტო დასაწყისს იმ ადგილებიდან ღებულობს, საიდანაც თვით ეს მდინარენი მოემართებიან.[37] ამ შეხედულობით ჩვენ უპირატესობა ისეთ მდგომარეობას უნდა მივაკუთნოთ, როცა ლითონის აუზს ორი სხვადასხვა წარმოშობის შტო ასაზრდოებს, ოქრო და ვერცხლი, და უკეთუ ასეთი შტო იქნება სამი ან ოთხი, მაშინ აუზის დონე კიდევ უფრო მტკიცე გამოდგება; ასე რომ თეორიულათ პოლიმეტალიზმი უკეთესია, ვიდრე ბიმეტალიზმი. მართლაც, მარტო ოქროს ფული რომ ყოფილიყო, მაშინ კალიფორნიასა და ავსტრალიაში ოქროს მაღაროების აღმოჩენა უდიადეს გადატრიალებას გამოიწვევდა, ფასების ზედმიწევნით აწევის მეოხებით, და ასეთივე შედეგიც შესაძლოა მოყვეს ტრანსვაალსა ან კლონდაიკში მაღაროების აღმოჩენასაც. მათი გამოფიტვა კიდევ უფრო მეტ არეულობას გამოიწვევს. თითქმის უმნიშვნელოა, მაღალი იქნება ფასები თუ დაბალი, მაგრამ ძლიერ დიდი მნიშვნელობა მხოლოდ იმასა აქვს, რომ დაბალ ფასებს უეცრივ მაღალი ფასები არ მოყვეს, და პირუკულმა. ფულის კარგი სისტემის იდეალს ფ ა ს ე ბ ი ს ს ი მ ტ კ ი ც ე წარმოადგენს.

ბიმეტალისტები თავის სისტემაზე ხელის აღებას არა თუ არ ფიქრობენ, არამედ იმასაც კი ცდილობენ, რომ მათ ის ქვეყნებიც შემოუერთდენ, სადაც მონომეტალიზმია შემოღებული, და ამტკიცებენ, რომ, ეს სისტემა ყველა დიდი ქვეყნის საერთაშორისო შეთანხმებით მოწონებული რომ იყოს $15^1/_2$-ჯერ აღმატებისა ან-და რაიმე სხვა თუნდაც 1 და 33 შეფარდების საფუძველზე, მაშინ ადგილი არ ექნებოდა არც ერთს იმ უხერხულობას, რომელიც საშიშროებას იწვევსო.

ეს მტკიცება კლასიკური შკოლის ეკონომისტებს თითქო მოსვენებას არ აძლევს არ შეიძლებაო, ამბობენ ისინი, რომ მთავრობისა ან კიდეც ყველა მთავრობის კავშირის ნებაზედ იყოს დამოკიდებული ოქროსა და ვერცხლის შედარებითი ღირებულების დამყარება ne varietur (რომ იგი არ იცვლებოდეს, უცვლელი იყოს), როგორც მას არ შეუძლია ხარებისა და ცხვრების ან ხორბლისა და შვრიის შედარებითი ღირებულების განმტკიცება. ნივთების ღირებულება მხოლოდ და მარტო მიწოდებისა და მოთხოვნის კანონით აიხსნება და კანონმდებლის რეგლამენტაციას იგი სავსებით ხელიდან უსხლტება; საპატიო ლითონთა ღირებულება ამ წესის გამონაკლისს როდი შეადგენს.

კლასიკური შკოლის ასეთი მსჯელობა ჩვენ ნამეტნავ აბსოლუტურათ გვეჩვენება ოქრო და ვერცხლი სულაც არაა საქონლები, რომლის მიმზგავსებაც შესაძლო იყო ხარებრან, ცხვრებთან ან რაიმე სხვა საქონელთან: მათს მთავარ დანიშნულებას მათგან ფულების მოჭრა შეადგენს. მაშასადამე, როცა საპატიო ლითონებზე არსებულ მოთხოვნილებაზე ამბობენ, ამით თითქმის მხოლოდ რაღაც დუზენი (12) დიდი სახელ-

მწიფოს ზარაფხანათა მოთხოვნილებაზე ლაპარაკობენ. ამიტომ არავითარ უაზრობას არა აქვს ადგილი იმ წარმოდგენაში, რომ, ეს დუზენი სახელმწიფო ურთიერთ შორის შეთანხმებით ორივე ლითონის შედარებით ღირებულებას რომ დაამყარებდეს, მაშინ ისინი დასახულ მიზანს მართლაც მიაწევდენ. თუ კი ისინი გააცხადებენ, რომ ყოველი ჩვენგანი კილოგრამ ოქროს 3100 ფრანკათ იყიდის, ხოლო კილოგრამ ვერცხლს—200 ფრანკათო, მაშინ ადვილი შესაძლოა, რომ ამ გზით ისინი ბაზარს ფასების შესახებ თავის კანონს მოახვევენ.

ამბობენ, სისულელე იქნება მტკიცება იმისა, რომ ერთი ხარი ყოველთვის 10 ცხვრათ ეღირება, ხოლო გეკტოლიტრი ხორბლისა შვრიის ორ გეკტოლიტრათო! დიახაც, რა თქმა უნდა, რადგან ამ საქონლების ბაზარი ფართოა, და ყოველი ჩვენგანი თავისი სამყიდველო ძალით ფასებზე გავლენას ახდენ. მაგრამ, ქვეყნათ რომ რაღაც 1 დუზენი ადამიანი იყოს, რომელთაც ხარები ან ცხვრები სჭირდებათ, მაშინ სულ ადვილი შესაძლოა, რომ ფასების დამყარება მათ მოლაპარაკებაზე ყოფილიყო დამოკიდებული 1 და 10 ნორმით ან რაიმე სხვა ნორმით, რომელსაც ისინი მოისურვებდენ. ასეთი შემთხვევა, ნაკლებათ ხელსაყრელ პირობებშიც კი, ხშირათ ხდება კომერციულ სპეკულიაციებში, რომლებსაც კარტელებისა ან ტრესტების სახელით დიდი ვაჭრები ქმნიან.[38])

რა თქმა უნდა, ეს დასკვნა აბსურდათ არ უნდა ვაქციოთ. თავისთავათ ცხადია, მთავრობებს არ ძალუძთ, მათ შორის ერთსულოვნობაც რომ არსებობდეს, დეკრეტის წესით დამყარება იმისა, რომ ამიერიდან ოქროსა და ვერცლის შეფარდება 1 იქნება, ან, კიდევ უკეთესი, ეს შეფარდება შებრუნებითი იქნება და ვერცხლის 1 კილოგრამი ოქროს $15\frac{1}{2}$ კილოგრამათ ეღირება! რატომ დარჩება ასეთი ბრძანება მკვდარ მოვლენათ? იმიტომ, რომ, თუმცა საპატიო ლითონთა სამრეწველო მოხმარება იმდენათ მნიშვნელოვანი არაა, რამდენათაც ფულის მოსაჭრელათ მათი გამოყენება, მაგრამ მას გვერდს მაინც ვერ ავუხვევთ, და იგი საკმაოა იმისათვის, რომ მან ხელი შეუშალოს ისეთი ახირებული შეფარდების დამყარებას, რანაირიც ჩვენ ესეს არის დავასახელეთ. რამდენი ბრძანებაც უნდა გამოსცენ მთელი ქვეყნის მთავრობებმა იმის შესახებ, რომ ვერცხლი იმდენათ ღირს, რამდენათაც ოქროვო, მაინც, არავინ არაოდეს ვერცხლის საათში ან ვერცხლის ბეჭედში იმ ფასს არ მისცემს, რა ფასსაც იგი ოქროს საათში ან ოქროს ბეჭედში გაიღებს.[39])

მაგრამ, თუ კი კეთილგონიერების საზღვრებში დავრჩებით, თამამათ შესაძლოა ითქვას, რომ საერთაშორისო შეთანხმება მართლაც ნამდვილი საშვალება იქნებოდა ორივე ლითონის შედარებითი ღირებულების გამოსარკვევათ და, მაშასადამე, ბიმეტალური სისტემის მთავარი უხერხულობის, ე. ი. ორი ფულიდან ერთის გაძევების ჩამოსაშორებლათაც. სად წავა იგი, თუ კი ყველა ქვეყანაში მის შესახებ ერთი და იგივე კანონი იქნება?

მაგრამ განსახორციელებელია თუ არა პრაქტიკაში ასეთი საერთაშორისო შეთანხმება? ეს უკვე სხვა საკითხია. როგორც ვხედავთ, განუხორციელებელია, რადგან ყოველი ქვეყანა თავის მოვალეობათ ოქროს ვალიუტის შემოღებას ისახავს; განსაკუთრებით კი ამას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა ინგლისი, რომლის დახმარებაც ბიმეტალიზმის დამყარების საქმეში აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. ამასთანავე, იმ ქვეყნებში, სადაც ამ ლითონთა შეფარდება გამორკვეულია, სულ სხვადასხვანაირი შეფარდებაა დამყარებული (ავსტრიაში—1 : 18 და 22, რუსეთში—1 : 23 და 25, იაპონიაში—1 : 32 და 33, და სხვ.).

ამიტომ უკეთესია, რომ ბიმეტალურმა ქვეყნებმა statu quo შეინარჩუნონ,—და ისინიც სწორეთ ამას ცდილობენ. ასეთი პოლიტიკა საშიში იქნებოდა 10 წლის წინათ, როცა ოქროს ამოღება საოცრათ შემცირებული იყო და შესაძლო იყო თითქმის საკითხის წამოყენებაც იმის შესახებ, ეყოფოდა თუ არა იგი ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც ოქროს ვალიუტის შემოღებას მოისურვებდა, და ხელცარიელი ხომ არ დარჩებოდა ის სახელმწიფო, რომელიც ამ საკითხის გადაჭრას დააგვიანებდა; მაგრამ მე-**XIX** საუკუნის უკანასკნელ წლებში ოქროს ამოღება ძლიერ გადიდდა, და საბუთი

არის თამამათ ითქვას, რომ იგი კიდევ უფრო გადიდდება, გაუსწორდება რაოდენობით ვერცხლს და, შესაძლოა, რომ მას კიდეც გაასწროს. ასე რომ ორივე ლითონის ღირებულებათა შორის არსებულმა განსხვავებამ შესაძლოა დაიკლოს და ჩვენ მოწმე გავხდეთ ისეთი ამაღლებისა, რომელიც სულ წინააღმდეგი ხასიათისა იქნება იმ ამაღლებასთან შედარებით, რომელსაც 1871—1895 წლებში ქონდა ადგილი.

რაღაც 20 წლის განმავლობაში ოქროს ამოღება ოთხჯერზე მეტათ გადიდდა. 1884 წელს მისი ამოღება 500 მილიონ ფრანკზე დაბლა იყო დაწეული, ახლა კი ეს საქმე ისე მიდის, რომ ყოველწლიური მისი ამოღება $2^1/_2$ მილიარდ ფრანკამდი მაღლა ავა. ოქროს ახალი წყაროებიც თითქმის ყოველდღე ჩნდება.

მართალია, ვერცხლის ამოღებაც ბევრათ გადიდდა. 1875 წ. ამოიღეს 2,150,000 კილოგრამი, ხოლო 1893 წ. 5,000,000 კილოგრამზე მეტი. მაგრამ ამ დროიდან, და სწორეთ ვერცხლის ღირებულების დაცემის გამო, მისი ამოღება ძლიერ სუსტათ იზრდება. ახლა $5^1/_2$ მილიონ კილოგრამ ვერცხლს იღებენ. მის ღირებულებას ცოტა მომატება ემჩნევა. 1902 წ. მისი 1 კილოგრამის ღირებულება 80 ფრანკამდი იყო დაშვებული, 1906 წ. კი ეს ღირებულება 110 ფრანკამდი ავიდა და, მცირეოდენი ქანაობის შემდეგ, იგი ახლაც ამ დონეზე დგას.

ცხადია, ბიმეტალიზმის საკითხმა რამდენათმე დაკარგა თავისი მწვავე ხასიათი. ბიმეტალური ქვეყნებისათვის საშიში არაა თავის ბიმეტალურ სისტემაზე დარჩენა, ხოლო, უკეთუ ისინი ოდესმე ოქროს ვალიუტაზე დამყარებულ მონომეტალიზმზე გადასვლას მოინდომებენ, მაშინ ეს გადასვლა ისე საძნელო არ იქნება, როგორც ახლაა. ყოველი დღის გასვლა ამ საკითხის გადაჭრას სულ უფრო ადვილებს, მაგრამ იმავე დროს ეს გადაჭრა არც ისე აუცილებლათ საჭირო ხდება.

მაგრამ რადგან ფაქტიურათ ერთადერთ საერთო ფულათ ოქრო იქცა, ამიტომ ბიმეტალური ქვეყნები უნდა ცდილობდენ, რაც შეიძლება მეტი ოქრო მოაგროვონ უამისოთ ისინი იძულებული გახდებიან ოქრო იყიდონ, რომ უცხო ქვეყნებს ანგარიში გაუსწორონ, რაიც მათთვის საკმაოთ საძნელო იქნება.

## თავი IV.

## ქაღალდის ფული.

**I. შესაძლოა თუ არა ლითონის ფულის ნაცვლათ ქაღალდის ფულის შემოღება!** ჩვენ რომ ყოველდღიური პრაქტიკიდან არ ვიცოდეთ, რომ ლითონის ფული შესაძლოა ქაღალდის ფულზე გაიცვალოს, ამის დაჯერება გაგვიძნელდებოდა, და სათაურათ დასმულ საკითხს საოცრათ მივიჩნევდით.

ცხადია, პურისა, ნახშირისა ან რაიმე სხვა სიმდიდრის ადგილს ქაღალდის ის უბრალო ნაფლეთები ვერ დაიკავებს, რომელზედაც აღბეჭდილი იქნება: „100 გექტარი პურისა“ ანუ „100 ცენტნერი ნახშირისა“. ეს ნაფლეთები ჩვენ ვერც გაგვაძღებს და ვერც გაგვათბობს. მზგავსათ აღმოსავლეთელი ქალიშვილებისა, რომელნიც ყელზე ოქროსა და ვერცხლის ცეხინებს იკიდებენ, ჩვენც რომ ფულის გამოყენება დასამშვენებლათ მოვინდომოთ, ცხადია, ამ მიზნისთვისაც სხვადასხვა ფერის ქაღალდების ნაფლეთები არ გამოგვადგებოდა. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ფული განსაკუთრებული სიმდიდრეა და ჩვენს კულტურულ საზოგადოებაში მისი დანიშნულება არამატერიალურია. ფული ნ ი შ ა ნ ი ა, რომელიც ჩვენ უფლებას გვაძლევს, ზოგიერთი პირობის დაცვით, არსებულ სიმდიდრეთა განსაზღვრული ნაწილი მივიღოთ,—და მეტი არაფერი. ხოლო ასეთი „ნიშნის“ როლს ქაღალდის ნაჭერიც ისევე კარგათ ასრულებს, როგორც ლითონის ნაჭერიც. ფინანსიურ მოხა[illegible]მის ლოუს (რომელმაც, სხვათა შორის, თავისი ნაადრევი ექსპერიმენტებით სა[illegible]იური გაკოტრებამდი მიიყვანა) ეკუთნის ღვაწლი ასეთი შესაძლებლობის სავსებ[illegible] შეთვისებისა და დამტკიცებისა.

ეს რომ უფრო კარგათ გავიგოთ, საჭიროა გავარჩიოთ ქაღალდის სამგვარი ფული:

1) რ ე პ რ ე ზ ე ნ ტ ა ლ უ რ ი ქაღალდის ფულის გარანტიას სადმე, მაგ., რომელიმე ბანკის სალაროში შეტანილი ლითონის ფული შეადგენს. მისი რაოდენობა უკა-

ნასკნელის რაოდენობას უდრის. მაგ., როცა ვისმე ვერცხლის ეკიუს ტარება არ ეხერხება, მას ეს ფული შესანახავათ ბანკში შეაქვს და იქიდან იგი სამაგიეროთ ქაღალდის ბილეთებს ღებულობს, რომელიც, როგორც ქაღალდის ნაჭრები, გაცილებით უფრო ადვილი შესანახავია და სატარებელი. ქაღალდის ფულის ეს პირველი ფორმა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

2) საკრედიტო ქაღალდის ფული საკრედიტო ნიშანს წარმოადგენს, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, და განსაზღვრული ჯამის გადახდას გულისხმობს. ცხადია, ამ ვალდებულების ღირებულება მოვალის პირიანობაზეა დამოკიდებული; თუ კი, მაშასადამე, მოვალისგან ვალის განაღდება საიმედოა, თუ კი, როგორც ხანდახან საალებ-მიცემო ენაზე ამბობენ, „ხელის მოწერა ოქროთ ღირს“, მაშინ, ცხადია, არავითარი საბაბი არ არის, რომ ასეთი ფურცელი ქაღალდისა ისეთივე სიადვილით არ ტრიალობდეს ალებ-მიცემაში, როგორი სიადვილითაც ამ როლს ლითონის ფული ასრულებს. ბანკის ბილეთები ჩვეულებრივ ქაღალდის ფულის ამ მეორე კატეგორიას ეკუთვნის, გარდა იმ ზოგიერთი განსაკუთრებული შემთხვევისა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ გავეცნობით.

3) პირობითი ქაღალდის ფული, რომელიც სრულებით არაფერს არ წარმოადგენს და არც არაფრის უფლებას იძლევა. სწორეთ ასეთ ფულს შეეხება ქაღალდის ფულის სახელი, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით. ქაღალდის ასეთ ფურცლებს ისეთი სახელმწიფო უშვებს ხოლმე, რომელსაც ლითონის ფული სულაც არ მოეპოვება. მართალია, ასეთ ფურცლებზე აღბეჭდილია: „ასფრანკიანი ბილეთი“ ან „ათასფრანკიანი ბილეთი“ და გარეგნულათ, როგორც ქაღალდის მეორე კატეგორიის ფული, ისინიც ატარებენ განსაზღვრული ჯამის გადახდის ფორმას, მაგრამ ცნობილია, რომ ეს წმინდა ფიქცია, და სახელმწიფო მას ვერაოდეს ვერ გადიხდის, რადგან ამისათვის ფული არც სალაროში მოეპოვება და არც ალებ-მიცემაში.

როგორც ვხედავთ, განსაკუთრებით ძნელია გაგება იმისა, თუ როგორაა შესაძლო, რომ ამ უკანასკნელი ფორმის ქაღალდის ფულზე ლითონის ფული გადაიცვალოს, და, რა თქმა უნდა, ეს არც ადვილია. მაგრამ ყველა ქვეყანაში ასჯერ გამეორებულმა გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ ასეთი გადაცვლა, ზოგიერთი პირობის დაცვით, შესაძლოა, და რომ ხალხები ამ ფორმას ადვილათ ეთვისებიან. რუსეთი და სამხრეთი ამერიკის რესპუბლიკები ამ სისტემას უკვე რამდენიმე შთამომავლობის განმავლობაში ადგიან. მერე, მართლაც, ეს რატომ არ უნდა ხდებოდეს? თუ კი კანონის ძალითა და საერთო თანხმობით, რომელიც კანონმდებლის განკარგულებას ყოველთვის თან უნდა სდევდეს, ამ თეთრითა თუ ლურჯი ბილეთებით ჩვენ საჭირო საქონელსაც ვიყიდით, ვალებსა და ხარჯებსაც გავისტუმრებთ, მაშინ რატომ არ უნდა შეასრულოს ამ ბილეთმა ფულის როლი ისე, როგორც ამას თეთრი თუ ყვითელი ფული ასრულებს? ეს უკანასკნელები ხომ სხვა რაიმე მოვალეობას არ გვისრულებს!

მაგრამ, უნდა აღვიაროთ, რომ ქაღალდისა და ლითონის ფულის ღირებულებათა შორის ყოველთვის იქნება დიდი განსხვავება. ქაღალდის ფულის ღირებულება ყოველთვის არასაიმედო იქნება, ხოლო მისი გავლენის სფერო უფრო განსაზღვრული და ცვალებადი.

1) ქაღალდის ფულის ღირებულება არასაიმედოა, რადგან იგი მხოლოდ და მარტო კანონმდებლის ნებით განისაზღვრება, და იმ კანონს, რომელმაც იგი შექმნა, მისი გაუქმებაც შეუძლია. თუ კი კანონი ქაღალდის ფულებს ფულის მნიშვნელობას წაართმევს, მაშინ მისი პატრონის ხელში, გარდა ქაღალდის ნაფლეთებისა, არაფერი დარჩება: როცა ქაღალდის ფული კანონით განსაზღვრულს თავის ღირებულებას დაჰკარგავს, მაშინ ამით იგი ყველაფერს ჰკარგავს. სულ სხვა საქმეა ლითონის ფული. გარდა თავისი კანონიერი ღირებულებისა, მას აქვს კიდევ ბუნებრივი ღირებულებაც, — იმვიათ ფიზიკურ თვისებათა გამო, რომელთაც ფულის გამომსახველი ლითონები შეიცავს. უეჭველია, ოქრო და ვერცხლი ყველა ქვეყანაში[40]) თუ ფულის მნიშვნელობას დაჰკარგავს, მაშინ ლითონის ფული თავისი ღირებულების უმეტეს ნაწილს დაჰკარგავს; ამ შემთხვევაში ილიუზიებს არ უნდა მივეცეთ. [41]) ამას ის გარემოება

ამტკიცებს, რომ რამდენიმე ქვეყნის მიერ ვერცხლის ვალიუტაზე ხელის აღებამ ამ ლითონის ღირებულება დიდათ დასწია. მაგრამ, ასეთ პირობებშიც ოქროს ფული ზოგიერთ სარგებლობას მაინც შეინარჩუნებს, ვინაიდან ის სამრეწველო დანიშნულებას მიიღებს; და, რადგან წარმოებაში ისინი იმდენათ უფრო მნიშვნელოვანსა და სხვადასხვაგვარ როლს შეასრულებს, რამდენათაც მისი ღირებულება დაბლა დაეცემა, ამიტომ შესაძლოა, რომ ფასების დაწევა დიდი არ გამოდგეს, როგორც ფიქრობენ. ვსთქვათ, მაშინდელი მისი ღირებულება დღევანდელი მისი ღირებულების $^2/_3$ ან $^3/_4$ იქნება. ფულის პატრონთა ხელში რამდენიმე ღირებულება მაინც დარჩება და ამ ღირემულებას მას კანონი ვერ წაართმევს, და, ალბათ, ეს ღირებულება ყოველი იმ მეორე საქონლის ღირებულებაზე მეტიც იქნება, რომელსაც ამას შემდეგ კანონიერ ფულათ აირჩევენ.

2) ქაღალდის ფულის სამოქმედო სფერო განსაზღვრულია, რადგან, როგორც კანონით წარმოშობილს, მას არ შეუძლია იმ ტერიტორიის გარეშე გავრცელდეს, რომელზედაც კანონი მოქმედობს.[42]) მას, მაშასადამე, არ შეუძლია საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის საშვალებათ იქცეს. ლითონის ფულის ღირებულება კი, რომელიც ლითონის ღირებულებაზეა დამოკიდებული, პირიქით, კულტურულ ქვეყანაში დაახლოვებით ერთნაირი რჩება; მაშასადამე, შესაძლოა, რომ იგი ყველგან ხმარებაში იყოს ფულის სახით თუ არა, ყოველ შემთხვევაში, როგორც ზოდი. აი რატომაა, რომ ლითონის ფული თავისი ბუნებით მთელი ქვეყნისა და საერთაშორისო ფულია, ხოლო ქაღალდისა—ნაციონალური.

3) დასასრულ, ქაღალდის ფულის ღირებულება ჩვეულებრივ ლითონის ფულის ღირებულებაზე უფრო ცვალებადია, იმ მიზეზის გამო, რომ ქაღალდის ფულის რაოდენობა ადამიანთა ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული, ხოლო ლითონის ფულისა—ბუნებრივ მიზეზებზე სახელდობ—ახალი მაღაროების აღმოჩენაზე. ერთს ხმარებაში მთავრობა უშვებს, ხოლო მეორეს—ბუნება. ამიტომ წინდაუხედველი კანონმდებელი ქაღალდის ფულის ძალზე მეტი რაოდენობის გამოშვებით მისი ღირებულების დაწევას იწვევს, რაიც ძლიერ ხშირათ ხდება მაგრამ არავითარ მთავრობას ამნაირათ ლითონის ფულის ღირებულების დაცემა არ შეუძლია.

მართალია, მდიდარი მაღაროების აღმოჩენას განსაზღვრულ მომენტში შეუძლია მსოფლიო ბაზარზე დიდძალი საპატიო ლითონი გამოყაროს. ისიც მართალია აგრეთვე, რომ როცა ამა თუ იმ ქვეყანაში მრეწველობის უაღრესათ განვითარებას მისი შეყენება მოყვება, მაშინ ხმარებაში მოქცეული ლითონის ფული შესაძლოა ზედმეტი იქნეს. ასეთ მოვლენას ადგილი არაერთხელ ქონია, მაგრამ ეს მოვლენები ფართო ხასიათს არაოდეს არ ღებულობს და ისეთ დამღუპველ შედეგებს არ იწვევს, რანაირსაც ქაღალდის ფულის რაოდენობის ქანაობა, ვინაიდან პირველი მთელს განათლებულ ქვეყანაზე ვრცელდება: თუ კი რომელსამე ქვეყანაში ბლომათ მოიპოება საპატიო ლითონი, რომელსაც ყველგან თხოულობენ და ღებულობენ, მაშინ ეს ლითონები თავისთავათ სხვა ქვეყნებში გადადის, ხოლო ამა თუ იმ ქვეყნის საზღვრებით შემოზღუდული ქაღალდის ფულების მოულოდნელათ გამრავლება დამღუპველ შედეგებს იწვევს.

ასეთია ის უხერხულობანი, რომელნიც ქაღალდის ფულს ლითონის ფულზე გაცილებით უფრო დაბლა აყენებენ. მაგრამ დავსძენთ, რომ ეს უხერხულობანი შემცირდებოდენ და თითქმის კიდეც მოისპობოდენ, ყველა კულტურულ ქვეყანას შორის ისეთი შეთანხმება რომ მომხდარიყო, რომელიც მათ დაავალებდა:

1) ერთისა და იმავე ქაღალდის ფულისათვის კანონიერი კურსის მინიჭებას;

2) არ მოხდეს ქაღალდის ფულის რაოდენობის გადიდება ან-და გადიდდეს ეს რაოდენობა მხოლოდ წინასწარ განსაზღვრითა და, მაგ., ყოველი ქვეყნის მცხოვრებთა რიცხვის ზრდასთან შეფარდებით.

ასეთ შემთხვევაში ქაღალდის ფულის ღირებულება, თუმცა იგი პირობითია და, თუ გნებავთ, ხელოვნურიც, ამიერიდან ისეთსავე ფართოსა და მაგარ საფუძველზე იქნებოდა დაყრდნობილი, როგორზედაც ლითონის ფულია დაყრდნობილი, მარტო ერთი იმ ფაქტის ძალით, რომ მას საფუძვლათ ყველა ხალხს შორის დამყარებული

საერთო შეთანხმება ექნებათ. ვინაიდან, თუ კი, როგორც ახლა ჩვენ ვსთქვით, ლითონის ფულს ბუნება უშვებს, ხოლო ქაღალდისას—მთავრობები, უნდა შევნიშნოთ ამასთან, რომ ბუნება ბრმაა, მთავრობები კი ბრმები არ უნდა იყონ! ახლა მათ საკმაოთ ბევრი საშვალება მოეპოებათ იმისთვის, რომ მოთხოვნილების მიხედვით ქაღალდის ფულის გამოშვების საქმე მოაგვარონ. ხოლო ასეთ შემთხვევაში, როცა ქაღალდის ფულს შემთხვევათა თამაში კი არ განსაზღვრავს, არამედ მეცნიერული ცნობები, თამამათ შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათი ღირებულებაც ქანაობას ნაკლებათ მიეცემა. ადვილი მოსალოდნელია, რომ მომავალში ფული სწორეთ ასეთ სახეს მიიღებს.

ის გარემოება, რომ ქაღალდის ფული თავისი ბუნებით ხელოვნური ფულია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ცუდი ხარისხისაა. სრულიად პირიქით. ქრონომეტრი დროის გასაზომავათ ხელოვნური ინსტრუმენტია, ხოლო მზე ბუნებრივი. ეს გარემოება პირველს სულაც არ უშლის ხელს უფრო დასრულებული იყოს, ვიდრე მეორე. მასთან პროგრესის დამახასიათებელსა და განმასხვავებელ ნიშნეულობას ბუნებრივი ინსტრუმენტების ნაცვლათ ხელოვნური ინსტრუმენტების შემოღება შეადგენს: ჯოხის ნაცვლათ თოფის შემოღება, ცხენის ნაცვლათ—ლოკომოტივისა, მზის სინათლის ნაცვლათ—ელექტრონის სინათლისა და სხ.

II. **ნიშნავს თუ არა ქაღალდის ფულის შექმნა სიმდიდრის შექმნას?** ის ადამიანები, რომელთაც ქაღალდის ფულის შექმნის აზრი პირველათ დაებადათ,[18]) იმ იმედით იყვენ გატაცებული, რომ ამ გზით საერთო სიმდიდრე გადიდდებოდა,—თითქო მათ ოქროს მაღაროები აღმოეჩინოს ან ლითონთა გარდაქმნის ის დიადი საქმე განეხორციელებიოს, რომლის შესახებაც ალქიმიკოსები ოცნებობდენ.

ამ სახით, ეს აზრი, რა თქმა უნდა, უაზრობას წარმოადგენდა, რადგან იგი სიმდიდრეთა შექმნას ex nihilo (არაფრისგან) ფიქრობდა. და, მაინც, იგი არც ისე სასაცილო იყო, ვინაიდან სავსებით მართალია, რომ ქაღალდის ფულის გამოშვებას რამდენათმე ქვეყანაში არსებულ სიმდიდრეთა გადიდება შეუძლია. მაგრამ რანაირათ? პირველათ ეს ადამ სმიტმა განმარტა. იგი ამბობს, რომ ქვეყნათ ხმარებაში მოქცეული ლითონის ფული არასაწარმოო კაპიტალს შეადგენს, და რომ მის მაგიერ ქაღალდის ფულის შემოღება ამ კაპიტალს ათავისუფლებს და საწარმოო მიზნით მის უტილიზაციას შესაძლოთ ხდისო. სწორეთ ამნაირათვეო,—მოყავს ადამ სმიტს მას შემდეგ შესანიშნავათ ქცეული შედარება,—თუ კი ჰაერში მგზავრობის საშვალებას აღმოაჩენენ, მაშინ მიწისმოქმედებასა და წარმოებას შესაძლოა ყველა ის ადგილ-მამული დაუბრუნდეს, რომელიც ახლა გზებს უკავიაო.

მაგრამ ადამ სმიტის მახვილი შედარება ერთნაირ გაუგებრობას ბადებს. სავსებით ცხადია, რომ, როგორც კი საჭირო არ იქნება უბრალო და რკინის გზები, მაშინავე შესაძლო იქნება მათ მიერ დაკავებული მიწის გაწმენდა და მისი მიწისმოქმედებისა და მრეწველობისათვის 500,000 ჰექტარამდი მიწის დაბრუნება მარტო ერთ საფრანგეთში; მაგრამ მთლად გასაგები არაა, თუ რა უნდა უქნან ლითონის ფულებს, როცა უმათოდ აღებ-მიცემის საშვალებას აღმოაჩენენ. დაიწყებენ თუ არა ჭურჭლებათ და საყურეებათ მათს გადადნობას? მაგრამ აქიდან უმნიშვნელო სარგებლობას მიიღებენ—არა, ლითონის ფულის გამოყენება შესაძლო იქნება საზღვარგარეთ საქონლის საყიდლათ ან-და იქვე რაიმე საქმეში მოსათავსებლათ,—აი რაშია სარგებლობა. საფრანგეთს ოქროსა და ვერცხლის ფულის სახით 6 მილიარდი კაპიტალი აქვს. ეს კოლოსალური კაპიტალი მას არაფერს არ აძლევს. წარმოვიდგინოთ, რომ მათ სამაგიეროთ ქაღალდის ფულების შემოღების საშვალებას აღმოაჩენენ, მაშინ საფრანგეთი საზღვარგარეთ თავისი 6 მილიარდით რენტებს, რკინის გზის აქციებს, ადგილ-მამულსა და გემებს იყიდის, ან-და თავის სამიწისმოქმედო ან სამრეწველო იარაღებს განაახლებს,—და ასე თუ ისე, ეს მილიარდები მას 4 თუ 5% მოუტანს, ე. ი. 200 თუ 300 მილიონის შემოსავალს.

ასე იქცევიან ის ოჯახები, რომელთაც დიდძალი ოქრო ან პატიოსანი თვლები აქვთ და მათ მიმზგავსებულ ლითონებზე სცვლიან და კაპიტალის რეალიზაციას ახდენენ, რომ მით შემოსავალი გაიდიდონ. სწორეთ ასევე იქცევიან ის გამოცდილი კერძო

პირებიც, რომელთაც კარგათ იციან, რომ მათს ჯიბეებში თუ ზანდუკებში ჩალაგებული ფული მათ არავითარ სარგებლობას არ აძლევს და ამიტომ ისინი ცდილობენ დაიტოონ მხოლოდ აუცილებლათ საჭირო რაოდენობა ფულისა, ხოლო დანარჩენი რაიმე საქმეში მოაქციონ. უფრო ხშირათ უმდიდრეს ადამიანებს ისინი წარმოადგენენ, ვისაც შინ ცოტა ფული აქვთ. შეძლებულ გლეხს ნაპოლეონებითა და ეკიუებით სავსე და საიდუმლოთ შენახული ყუთი აქვს, ხოლო მილიონერი საქონლის მომწოდებელს თავისი ბანკირის სახელზე მიმართული ჩეკით ისტუმრებს.

ნაციებსაც სწორეთ აგრე შეუძლიათ მოიქცენ. საფრანგეთს 6—7 მილიარდის ლითონის ფული აქვს, ხოლო კრედიტის საქმეში უფრო გამოცდილი ინგლისი მარტო 3 მილიარდს კმაყოფილდება; მაგრამ ამით იგი უფრო ღარიბი სულაც არაა,—პირიქით.

ამნაირათ, როცა საკითხს აყენებენ: შეუძლია თუ ირა სახელმწიფოს, ან-და ბანკებსაც, ქაღალდის ფულის გამოშვებით ქვეყნის სიმდიდრე მართლაც გაადიდონო? —ამ საკითხზე უსათუოთ უარყოფითი პასუხი არ უნდა გაიცეს. ნამდვილათ, ეს საქმე განსახორციელებელია, მაგრამ ქვეყნათ არსებული ლითონის ფულის რაოდენობის საზღვრებში. საფრანგეთი, რომელსაც 6 მილიარდის ლითონის ფული აქვს, ამავე რაოდენობის საკრედიტო ბილეთებსაც თუ გამოსცემს, მაშინ ქაღალდის ფულის გამოცემა მართლაც შესძლებს საფრანგეთისთვის დამატებითი 6 მილიარდის სიმდიდრის მიცემას, მაგრამ ამაზე ზევით არც ერთ სუს, და თან ესეც თეორეტიულათ არის მაქსიმუმი, პრაქტიკულათ კი უფრო გონივრული იქნება, რომ ამ საზღვრამდიც არ მივიდენ.

საჭიროა კიდევ შეინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ახლა აღნიშნული შემოსავლის რეალიზაცია შესაძლოა ზოგიერთ ქვეყანაში მოხდეს, მაგრამ ამას ერთსა და იმავ დროს ყველა ქვეყანა ვერ შესძლებს. ერთ სახელმწიფოს შეუძლია, რა თქმა უნდა, ხელსაყრელ პირობებში მოახდინოს თავისი ლითონის ფულის რეალიზაცია, საზღვარგარეთ მათი გასაღებით, მაგრამ თუ ყველა სახელმწიფო ამასვე მოინდომებს, მაშინ ცხადია, ამას ვერც ერთი მათგანი ვერ მოახერხებს. ყველა სახელმწიფო თავისი ოქროსი და ვერცხლის ფულის გასაღებას შეეცდება, მომთხოვნელი არავინ იქნება—და ამნაირათ, ასეთი ფული თავის ღირებულებას დაკარგავს.*)

მაგრამ ასეთ შეუძლებელ პირობაშიც ადამიანთა ჯიში ხმარებიდან საპატიო ლითონების განდევნით სარგებლობის მიღებას მაინც შესძლებს. მართლაც, მაშინ იგი შეინახავს იმ შრომას, რომელიც ყოველწლობით საჭირო ლითონის ფულის შენარჩუნებას უნდება, ფულებათ ზოდების მოჭრას, ზარალის ანაზღაურებას, რასაც ყოველწლობით წონის დაკარგვა და სხვა შემთხვევითი დაკარგვა იწვევს, და, განსაკუთრებით, ლითონის ფულის მარაგის იმ დონეზე გამტკიცებას, რომელსაც ვაჭრობა და მცხოვრებთა თანდათანობით მოზარდი რიცხვი მოითხოვს. ვინ იფიქრებს, რომ ეს ცარიელი შრომაა? მაღაროებიდან ლითონის ამოღება, გადადნობა, გადატანა, მოჭრა. გაცვლა წარმოადგენს უკანასკნელი 200,000 მუშის შრომას,—მთელი ლაშქრის შრომასა. მოსპეთ საპატიო ლითონთა ხმარების საჭიროება და მაშინ ყველა ეს ხელი გათავისუფლდება. ახალი წარმოების განკარგულებაში მოიქცევა და კაცობრიობის საწარმოო ძალა საგრძნობლათ გადიდდება.

საბოლოო ანგარიშით, როგორც ჩანს, ამ თავის დასაწყისში დასმული საკითხის პასუხი ძლიერ განსხვავდება იმ პასუხისგან, რომელსაც წინათ იძლეოდენ. უნდა ითქვას, რომ ქაღალდის ფული ქვეყნის სიმდიდრეს იმდენათ კი არადიდებს, რამდენათაც ლითონის ფული, არამედ, პირიკულმა, იმდენათ, რამდენათაც ის ამ სიმდიდრის შემცირებას იწვევს.

ასეთია ის ეკონომიური სარგებლობა, რომლის მოტანაც შეუძლია ქვეყნისათვის ქაღალდის ფულის გამოშვებას. მაგრამ იგი მხოლოდ ეკონომისტებს აინტერესებს და მთავრობებისათვის ქაღალდის ფულის გამოშვების მოტივებს არ წარმოადგენს. მიზანი, რომელსაც მთავრობა ასეთი ფულის გამოშვებით ისახავს, უფრო პრაქტიკულია და უფრო მარტივიც—ფინანსიური სარგებლიანობაა. როცა მთავრობას ფული არ ყოფნის, ქაღალდის ფულის შექმნა მისთვის უფრო მოხერხებულ საშვალებას

წარმოადგენს; ამ ფულით იგი თავის მოიჯარადრეებსა და მოხელეებს ისტუმრებს და წყოველივე ხარჯს ფარავს, ამასობაში *მას სესხის აღება* და, *მაშასადამე, პროცენტების ძლევაც არ ესაჭიროება*. როდესაც მთავრობა ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, დარწმუნებით შესაძლოა ითქვას, რომ მას დიდი კრედიტით სარგებლობა არ შეუძლია, და თუ იგი იძულებული გახდება სესხი აიღოს, მაშინ მისთვის პროცენტის ნორმა მეტად სამძიმო იქნება. აი რატომაა, რომ ქაღალდის ფული ასეთ შემთხვევაში მისთვის ეკონომიას შეადგენს, რომლის უარყოფაც შეუძლებელია. ბევრ სახელმწიფოს მიუმართავს ამ საშვალებისათვის და ამით მათ არც არაფერი წაუგიათ, თუ კი, რა თქმა უნდა, ასეთი ფულების გამოშვებაში ისინი ჩვენ-მიერ მითითებულ საზღვარს არ ცილდებოდენ, რომელსაც ალებ-მიცემაში [45]) მოქცეული ლითონის ფულის რაოდენობა შეადგენს.

ამ საზღვარს გაცილებული გამოშვება ქაღალდის ფულის ღირებულების დაცემას გამოიწვევს და ქვეყანასა და სახელმწიფოს ისეთ ზარალს მიაყენებს, რომელიც დიდათ აღემატება იმ ეკონომიას, რომლის შესახებაც ჩვენ ესეს არის ვლაპარაკობდით.

**III. ქაღალდის ფულის ხმარებიდან გამომდინარე საშიშროებათა და მათ ჩამოსაშორებელ საშვალებათა შესახებ.** ყოველგვარი სარგებლიანობა, რომლის მოტანაც ან ქვეყნისთვის ან-და მთავრობისათვის ქაღალდის ფულს შეუძლია, ნამდვილია, მაგრამ შესაძლოა მოხდეს, რომ ასეთი სარგებლიანობა ძვირათ დაჯდეს, იმაზე მეტათაც, თითქმის, რამდენათაც თვით იგი ღირს და აკი კიდეც ითქვა, რომ ქაღალდის ფული „უდიდესი მტერია ხალხთათვის: მათი ზნეობრიობისათვის იგი იმასვე წარმოადგენს, რასაც ჭირი სხეულისათვისო“. [46])

მაინც უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სამწუხარო შედეგები უფრო მთავრობის უგუნურობას უნდა მიეწეროს, ვიდრე ქაღალდის ფულის ბუნებას. მართლაც, ასეთი შედეგები თავს მხოლოდ მაშინ იჩენს, როცა მთავრობა ჩვენ-მიერ აღნიშნული საზღვრის გადალახვასა და მოთხოვნილებათა რაოდენობაზე მეტის ქაღალდის ფულის გამოშვებას გადასწყვეტს (ამ მოთხოვნილებათა სავსებით საკმაო საზომს ჩვეულებრივ ალებ-მიცემაში მოქცეული ლითონის ფულის რაოდენობა შეადგენს). სამწუხაროთ, ვალებით დატვირთული მთავრობისათვის დიდია საცდური ამ სახიფათო საზღვრის გადაცილებისა: ბევრი მთავრობა შეაცდინა მან და მათი საქმე ბანკროტობით გათავდა. [47])

ყოველ შემთხვევაში, შესაძლოა ითქვას, რომ ეკონომიური მეცნიერების თანამედროვე მდგომარეობაში ნაჩვენები საზღვრის გადამლახველი მთავრობა თავს ვერას გზით ვერ გაიმართლებს. არსებობს, მართლაც, ისეთი ცნობილი ნიშნები, რომელთაც ეკონომისტები და ფინანსისტები კარგათ იცნობენ და რომლითაც საშიშროების გათვალისწინება თავიდანვე შესაძლოა. ეს ნიშნები უფრო სწორათ გამთვალისწინებელ ცნობებს იძლევა, ვიდრე ის ცნობები, რომელსაც ლოცმანი ლოტისა და ზღვის ნიშნებიდან ღებულობს ხოლმე.

1) პირველი ნიშანია—*პრემია ოქროზე*. როგორც კი მოთხოვნილებისაზე მეტი რაოდენობის ქაღალდის ფულს გამოუშვებენ, ქაღალდის ფულის ფასი დაბლა დაცემას იწყებს ღირებულებათა უტყუარი კანონის თანახმათ, და ამ დაცემის პირველ შედეგს, პირველ ნიშანს, რომელიც ამას ამოწმებს მაშინაც კი, როცა ხალხი ჯერ კიდევ არაფერს ამჩნევს, ის წარმოადგენს, რომ ლითონის ფულზე პრემიას ღებულობენ. მართლაც, როცა გაცვლა-გამოცვლის იარაღის ღირებულება დაცემას იწყებს, ლითონის ფული ქაღალდის ფულის ხვედრს არ ინაწილებს; და მერე რისთვის უნდა მომხთარიყო ეს, რადგან ოქროსა და ვერცხლს ყველგან წინანდელი ღირებულება აქვს შენახული? ბანკირები და დამხურდავებლები იწყებენ მათს ძებნას და საზღვარგარეთ გზავნიან მათ ზოდების სახით და პრემიას იძლევიან, რომ ლითონის ფულები იშოონ. აი მომენტი ფინანსისტებისათვის, რათა მათ მომავალი გაითვალისწინონ!

2) მეორე ნიშანია—*სათამასუქო კურსის აწევა*. საზღვარგარეთელი ვალების ვალდებულებანი, ე. ი. გასაგზავნი თამასუქები, დიდ ასპარეზს უშლის საქმიანი ცხოვრების მოძრაობას მთელი ქვეყნის ყველა სავაჭრო პუნკტში. მათზე, როგორც

ყოველ სხვა საქონელზეც, კურსი არსებობს. მაგრამ ამ ვალდებულებებს ყოველთვის ოქროთი ან ვერცხლით იხდიან, უფრო ხშირათ—ოქროს ფულით, რადგან უკანასკნელი საერთაშორისო ფულს წარმოადგენს. ამიტომ, თუ კი, წარმოვიდგინოთ, საფრანგეთში ქაღალდის ფულის რეჟიმია და ამ ფულის ფასი დაცემულია, მაშინ საზღვარგარეთელი ქაღალდების ფასი, მაგ., ლონდონში გასაგზავნისა, აიწევა, როგორც თვით ოქროს ღირებულებაც, ვინაიდან მათ ისეთივე ღირებულება აქვთ, როგორიც ოქროს; თუ კი ოქროზე პრემიათ დანიშნულია 2% და 20 ფრანკიან ოქროს ფულზე 20 ფრ. 40 სანტ. ქაღალდის ფულის მიღება შესაძლოა, მაშინ ლონდონში გასაგზავნ 25 ფრანკიან თამასუქზეც ამნაირ პრემიასაც გაიღებენ და იგი 25 ფრანკათ და 50 სანტიმათ გაიყიდება.

3) მესამე ნიშანია—ლ ი თ ო ნ ი ს ფ უ ლ ი ს გ ა დ ა დ ნ ო ბ ა. რაგინდ სუსტიც უნდა იყოს ქაღალდის ფულის ფასის დაცემა, თუ კი მას, ასეთი ფულის ზედმეტი ნაწილის გაუქმებით, ბოლო დაუყოვნებლივ არ მოუღეს, ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა და გართულდა, მაშინ აღებ-მიცემაში დარჩენილი ლითონის ფულიც მალე გაქრება. ეს მოვლენა მეტათ დამახასიათებელია: იგი თავს ყველა იმ ქვეყანაში იჩენს, სადაც ქაღალდის ფულის გამოშვებით ბოროტმოქმედობენ,—რუსეთში, მთელ სამხრეთ-ამერიკაში (ეს ისეთი ქვეყნებია, სადაც ოქროსი თუ ვერცხლის მაღაროებია!). ეს ჩვენ უკვე დაწვრილებით განვმარტეთ გრეშემის კანონის გამო და ახლა ჩვენ მას არ დავუბრუნდებით.

4) მეოთხე ნიშანია—ფ ა ს ე ბ ი ს ა წ ე ვ ა. იგი გვიან ჩნდება და იმას აღნიშნავს, რომ უბედურებას უკვე სერიოზული ხასიათი აქვს მიღებული და ნებადართული საზღვარი ძლიერ შორსაა დატოვებული. მართლაც, სანამ ქაღალდის ფულის ღირებულების დაცემა სუსტი იყო და, მაგ., 2 ან 3% არ აღემატებოდა, იგი ფასებზე გავლენას არ ახდენდა (გარდა ოქროსი და ვერცხლის ზოდების ფასებისა). წვრილი ვაჭარი, ან თითქმის სხვილიც, ასეთი უმნიშვნელო განსხვავებისათვის ფასებს არ მოუმატებს, და თუ იგი ამას კიდეც იზამს, ხალხი ამით არც კი აღშფოთდება. მაგრამ, როგორც კი ქაღალდის ფულის ფასის დაცემა 10, 12 ან 15% მიაწევს, მაშინ ყველა ვაჭარი და მწარმოებელი თავის ფასს შესაფერისათ მოუმატებენ. უბედურება, რომელიც მანამდი თითქო დამალული იყო, ახლა თავს იჩენს და ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.[48])

5) დასასრულ, ყურადღება უნდა მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ წინანდელი ფასები არ იცვლება იმ პირისათვის, ვისაც გადახდა ლითონის ფულით შეუძლია, თუ კი ასეთი მას კიდევ შერჩენია. უკანასკნელს თავისი ღირებულება სრულიადაც არ დაუკარგავს,—პირიქით. ამნაირათ, ჩვენ ფ ა ს თ ა ო რ მ ა გ ო ბ ი ს საინტერესო მოვლენას ვამჩნევთ. ყოველ საქონელს ამ მომენტიდან ორი ფასი აქვს: ერთი—ლითონის ფულისა, ხოლო მეორე—ქაღალდისა, და სწორეთ მათ შორის არსებული განსხვავება უტყუარი საზომია ქაღალდის ფულის ფასის დაცემისა.

ამგვარათ, მთავრობა როგორც კი დაინახავს წინამორბედ ნიშნებს, სახელდობ—პრემიას ოქროზე ან-და სათამასუქო კურსის გადიდებას, [49]) მის პირველ მოვალეობას ქაღალდის ფულის გამოშვების სრულებით შეჩერება შეადგენს: საზღვარი, სადაც შეჩერებაა საჭირო, მიწეულია. მაგრამ, თუ კი ისეთი უბედურება შეემთხვა, რომ მან საზღვარს გადააცილა, და თუ კი იგი უკვე ფასების მომატებისა და მათი ორმაგობის წინაშე დადგა, რომელნიც მისთვის გამაფრთხილებელ ნიშნებს წარმოადგენენ, მაშინ უკან უნდა დაიხიოს და ყველა ის ქაღალდის ფული უნდა მოსპოს, რომელიც მის სალაროში დაბრუნდება. და ეს მანამდი უნდა განაგრძოს, ვიდრე ქაღალდის ფულის, რაოდენობა ლითონის ფულის რაოდენობამდი არ დავა. მაგრამ ასეთი გმირული საშვალება, რომელიც სახელმწიფო შემოსავლის ნაწილობრივ მოსპობას გულისხმობს, ყველა მთავრობისათვის ხელმისაწვდომი არაა. Sine qua non-ის პირობათ იმისთვის, რომ ამ საშვალებით ისარგებლონ, უნდი იქნეს შემდეგი: მთავრობას უნდა შეეძლოს თავისი შემოსავლის განსაზღვრული ნაწილის უმისოთ არსებობა, ე. ი. შემოსავალი გასავალზე მეტი უნდა იყოს.

**IV. ჩეკი.** თუმცა ქაღალდის ფული ლითონის ფულის ეკონომიას იძლევა, მაგრამ ეს სარგებლიანობა, როგორც ვხედავთ, დიდ უხერხულობათა და თითქმის დიდ

საშიშროებათა ფასათ ჯდება. შესაძლო რომ ყოფილიყო, მაშასადამე, ლითონის ფულების შემონახვის ისეთი საშვალების აღმოჩენა, რომ ეგ საშიში სანაცვალო აგვეშორებია, რა თქმა უნდა, ეს დიდ სიკეთეთ ჩაითვლებოდა.

მაგრამ ასეთი საშვალება ხომ არსებობს: იგი ერთსა და იმავე დროს ქაღალდის ფულზე უფრო რადიკალურია და უფრო მისაღებიც. იგი ლითონის ფულს კი არ აძევებს, მაგრამ უმისოთ იოლათ წასვლის საშვალებას იძლევა. ეს არის—ბანკის ბილეთი და, კიდევ უკეთესია, ჩეკი. ჯერ ამ უკანასკნელზე შევჩერდეთ.

აი, საქმე პრაქტიკულათ როგორ წარმოობს, მაგ., ინგლისში. ყოველთვის, როცა ინგლისელს რაიმე ხარჯები აქვს დასაფარავი ან მოიჯარადრე ყავს გასასტუმრებელი, იგი ამის შესახებ ჩ ე კ ს იძლევა, ე. ი. თავის ბანკირს უბძანებს გადაიხადოს (ეს ბძანება, რა თქმა უნდა, ბანკირთან წინასწარ ფულების შეტანას გულისხმობს [50]). მოიჯარადრე თავს არც კი შეიწუხებს ფულის მიღებით; ჩეკს იგი თავის ბანკირს აძლევს, რომელიც, უფრო ხშირათ, ჩეკის ვალიუტას არც კი ღებულობს, და აი რატომ. ინგლისის ყველა ბანკირი ერთმანეთისადმი უდიდესი ჯამის კრედიტორებათ და დებიტორებათ ითვლებიან. საჭირო ხდება, რომ მათმა ლონდონელმა კორესპონდენტებმა ერთმანეთ შორის შეთანხმება მოახდინონ და თავისი ანგარიშების ბალანსები გამოიყვანონ. სწორეთ ასე იქცევიან ისინი—და ამ მიზნით ყოველდღე თავს იყრიან Clearing-House-ში (ანგარიშების გასასწორებელი პალატა), [51]) სადაც უბრალო ჩარიცხვის საშვალებით ანგარიშების მოგვარება ხდება. ასეთია ანგრიშების ჯამი ხშირათ 300 მილიარდ ფრანკზე ზევით იწევა, ხოლო ორთაშუა რიცხვით დ ღ ე შ ი 1 მილიარდ ფრანკს შეადგენს! შეერთებული შტატების ამგვარ პალატებში კიდევ უფრო მეტი ჯამის ლიკვიდაციას ახდენენ (800 მილიარდამდი 1907 წ.), მაგრამ ეს იმიტომ ხდება, რომ ამას აბირჯო ოპერაციებსაც უმატებენ. ასეთ დიდს ოპერაციებში განსხვავების დასაფარაკათ საჭირო ხდება ძლიერ მცირე რაოდენობა ლითონის ფულისა (დაახლოებით 3%).

ამ სისტემას ინგლისში ფართოდ გავრცელებული cheque barré (crossed) აადვილებს, ე. ი. ისეთი ჩეკის ხმარება, რომლითაც გადასახადს რომელიმე განსაზღვრული პირი კი არ იძლევა, არამედ მხოლოდ ის ბანკირი, რომლის სახელიც ჩეკზე ორს გარდიგარდმო ალმაცერათ გაყვანილ ხაზს შუაა ჩაწერილი. თვით ბანკირი ჩვეულებრივ ასეთი ჩეკით ფულს არაოდეს არ ღებულობს, იმით იგი ანგარიშს უსწორებს თავის თანაამხანაგებს. სწორეთ ამიტომ მხოლოდ და მარტო იუმორისათვის შესაძლოა chéque barré-თ ამ ჩეკის ჩათვლა, ე. ი. ისეთ ჩეკათ, რომვლსაც არაოდეს არ ისტუმრებენ. მისი მოხერხებულობა იმაში გამოიხატება, რომ იგი, გარდა იმ ბანკირისა, რომლის სახელზეც დაწერილია, არავის გამოადგება, და მის დაკარგვას ან მოპარვას არავითარი მნიშვნელობა არ ეძლევა.[52])

საფრანგეთში ჩეკის ხმარება გაცილებით უფრო ნაკლებათაა გავრცელებული და კიდევ უფრო ნაკლებათ—ჩეკის barré-სი. საქმიან დამოკიდებულებებში ჩეკს ხშირათ ხმარობენ, მას ყოველდღიური ხარჯების დასაფარავათ ნაკლებათ იყენებენ. საშუალო ქონების ფრანგი ღირებულებებს თვითონვე თავისას ინახავს, თვითონვე სჭრის კუპონებს და თვითონვე ისტუმრებს თავის მოიჯარადრეებს. მას ჩეკი არ სჭირდება. მოიჯარადრესაც ჩეკის მიღება მხოლოდ პატივცემულისა და საიმედო პირისგან შეუძლია, ვინაიდან უამისოთ მას არავითარი გარანტია ექნება, რომ ჩეკით იგი ფულს მიიღებს. ამის გამო, ჩეკით სარგებლობა საკმაოთ დიდ ზნეობრივ ქონებას გულისხმობს.[53])

შესაძლოა კიდევ უფრო შორს წასვლა და ჩეკის ჩამოშორება. წარმოვიდგინოთ, რომ ყოველ ფრანგს, გამოუნაკლისოთ, მიმდინარე ანგარიში აქვს გახსნილი ერთსა და იმავე საბანკირო სახლში, რომელიც ვალდებულია თავისი კლიენტების ყველა შემოსავალი მიიღოს, მათს კ რ ე დ ი ტ შ ი ჩასწეროს და მათი ყველა ხარჯი დაფაროს, ამის შესახებ მათს დებეტში შესაფერი წარწერის მოხდენით. ასეთი ორგანიზაციის მეოხებით შესაძლო იქნებოდა უკანასკნელ სანტიმამდი ფულის მოსპობა. ყოველთვის, როცა მე რასმე ვიყიდი, ბანკს ვუბძანებ შესაფერი ჯამი გაატაროს ჩემს პასივში და ვაჭრის აქტივში; უკანასკნელიც, თავის მხრივ, ყოველი საქონლის ყიდვის დროს ასევე მოიქცევა. თუ კი მე, ნაცვლათ ხარჯების გაწევისა და მათი დაფარვისა, რაიმე

საქმეში ჩემი ფულის მოთავსებას მოვისურვებ, მაშინაც მე ამგვარათვე შემიძლია მოვიქცე; ჩემს პასივში ბანკი შეიტანს ისეთ ჯამს, რომელიც ნაყიდი ქაღალდის ღირებულებას შეადგენს, ხოლო ამდენსავე ღირებულებას,—ქაღალდის გამომშვები საზოგადოებისა ან ამ ქაღალდის გამომყიდველი პირის აქტივში. წლის ბოლოს ბანკი ყოველ თავის კლიენტს ანგარიშს გაუგზავნის, რომლის ბალანსშიც მოვალეთ ან კლიენტი იქნება აღნიშნული, ან ბანკი. პირველ შემთხვევაში შემდეგი წლისათვის განსხვავებას კლიენტის პასივში შეიტანენ, ხოლო მეორე შემთხვევაში—მის აქტივში, და ცხადია, რომ თუ ამ სისტემას საზოგადო ხასიათს მივსცემთ, თეორეტიულათ ყველა ანგარიშის დაფარვა შესაძლო იქნება უბრალო ბუღალტერული ოპერაციის საშვალებით ვალის გადატანით.

**V. რა სახით ფიქრობს გაცვლა-გამოცვლის გაუმჯობესება ნატურალურ გამოცვლაზე ჩვენს დაბრუნებას.** ის ევოლიუცია, რომელიც ჩვენ ესეს არის დავახასიათეთ, ჩვენს ყურადღებას ერთს მეტათ საინტერესო მოვლენას აპყრობს. ცხადია, რომ როგორც უკვე სტენლი ჯევონსმა შენიშნა, გაცვლის იარაღის სრული მოსპობით იგი ცდილობს, ჩვენ ისევ პირდაპირ საქონელზე საქონლის გაცვლას, ე ი., არსებითათ, ნატურალურ გაცვლა-გამოცვლას დავუბრუნდეთ. მართლაც, ხელოვნურსა და რთულ ზომებში, რომელიც ეკონომიური პროგრესის უკანასკნელ სიტყვას შეადგენს, არის საგულისხმო მზგავსება ველური საზოგადოების პრიმიტიულ ზომებთან. საკაცობრიო აზროვნობის ეს უცნაური მიმდინარეობა არა ერთხელ აღნიშნულა; თავისი გზის უკანასკნელ წერტილამდი მიაწევს თუ არა ეს აზროვნება, იგი თითქო იმ წერტილისკენ ბრუნდება, საიდანაც გამოვიდა, და, ამრიგათ, თუ ისეთს დიდ წრეს არა, რომელიც ვიკოს ძლიერ აოცებდა, ყოველ შემთხვევაში, ზეამავალი სპირალის სახით მრუდეს მაინც იძლევა.[64]

რაღაც უბრალო გაცვლის მზგავსს ვხედავთ ჩვენმ იერ მიღებულს ჰიპოთეზაში, სადაც მთელი ქვეყნის ყველა მცხოვრები ერთისა და იმავე ბანკის კლიენტი უნდა იყოს; ასეთი საზოგადო წყობილება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლო, როცა ყოველი მცხოვრები შეძენილ პროდუქტებზე ან სამსახურზე თავის საკუთარ პროდუქტებსა ან სამსახურს მიაწვდის.

რაღაც გაცვლის მზგავსია განხორციელებული საოცარ დაწესებულებაში Clearing—House-ში, ვინაიდან ჩეკებისა, თამასუქებისა და სავაჭრო ქაღალდების უამრავი კონა, რომელიც ყოველდღეობით იცვლება და ინთქება, ნატურალურათ გადაცვლილი ყუთებისა, საპალნეებისა და ბოჭკების გამომსახველი ნიშნებია—და სხვა არაფერი. იმისათვის კი, ვისაც ამ საქმის კულისური მხრის დანახვაც უნდა, Clearing—House უზარმაზარ ბაზარსაც წარმოადგენს, რომელიც აფრიკის ტომთა ან გამქრალი ქალაქების ბაზრებს წააგავს, იმ ერთადერთი განსხვავებით მხოლოდ, რომ, საქონლების ნატურალურათ გაცვლის ნაცვლათ, მათი გამომსახველი საკრედიტო ბილეთები იცვლება.

და, როგორც შემდეგ თავში დავინახავთ, საერთაშორისო ვაჭრობა მუდამ ცდილობს ნატურალური გაცვლის სახე მიიღოს,—ყოველ ხალხს შემოაქვს იმდენი, რამდენიც გააქვს, და პირიქით.

მართალია, თუ რომ საპატიო ლითონები გაცვლის იარაღის როლს კარგავს, ისინი ღირებულებათა საზომისთვის მეორე ფუნქციას მაინც ინარჩუნებენ, ვინაიდან ცხადია, რომ ყველა ამ ქაღალდისა, ბანკების ბილეთისა და სხვა ამგვარის ღირებულება ბოლოს და ბოლოს ლითონის ფულებზე ემყარება. მაგრამ ეს ბაზისი სულ უფრო-და-უფრო ვიწრო ხდება იმ შენობასთან შედარებით, რომელიც მასზე აშენებს კრედიტს. ეს, როგორც ვიღაცამ სთქვა, თავის წვერზე დამდგარი მოზარდი პირამიდაა, ან-და ბზრიალა, რომელიც თავბრუდამსხმელი სისწრაფით თავის უძრავ წვერზე ტრიალობს,— საშინლად დაუდეგარი წონასწორობის პირობებში. ტრიალს რომ შესწყვეტს ბზრიალა, ძირს ეცემა ხოლმე.

მაგრამ უარყოფილი არაა შესაძლებლობა, რომ საპატიო ლითონები, თითქმი როგორც თავის ღირებულებათა საზომ პრივილეგიასაც, როდისმე თავის პირვანდელ პრივილეგიას დაკარგავს. სულ ადვილი შესაძლოა ისეთი სოციალური მდგომარეობი წარმოდგენა, როცა ღირებულების ერთეულს წმინდა ნომინალური ხასიათი ექნება; სა

ჰირო იქნება მხოლოდ ანგარიშების დასაფარავათ და არც ერთს აღებ-მიცემაში არსებულ ფულს არ შეედრება. ისტორიაში შესაძლოა ანგარიშის გასასწორებელი ბევრი ამგვარი ფულის აღნიშნვა, საშვალო საუკუნეთა ბანკების mark banco-დან და ძველი საფრანგეთის რეჟიმის ტ უ რ ე ლ ი ლ ი ვ რ ი დ ა ნ დაწყებული, ვიდრე ჩვენი დროის ინგლისელთა გ ი ნ ე ა მ დ ი, რომელსაც ზოგიერთები განსაკუთრებული გადასახადის დასაფარავათ ხმარობენ.

და მხოლოდ მაშინ, როცა ფული წმინდა აბსტრაქციათ იქცევა, შესაძლო იქნება სავსებით იმ სოციალური წყობილების განხორციელება, რომლის შესახებაც ჩვენ წინა თავში ვლაპარაკობდით, და სადაც ადამიანთა შორის ყოველგვარი ეკონომიური დამოკიდებულების მოგვარება უბრალო ბუღალტერული ოპერაციების საშვალებით მოხდება.

# თ ა ვ ი V.

## საერთაშორისო აღებ-მიცემა.

**I. რას ნიშნავს სავაჭრო ბალანსი?** შემოტანისა და გატანის ღირებულებათა შორის არსებულ დამოკიდებულებას ს ა ვ ა ჭ რ ო ბ ა ლ ა ნ ს ი ეწოდება. გატანისა და შემოტანის სტატისტიკის გაცნობა გვიჩვენებს, რომ მათ შორის თანაბრობა თითქმის არასოდეს არ არსებობს: სავაჭრო ბალანსი ხან შემოტანისაკენ იხრება, ხან კი გატანისკენ; მაგრამ უფრო ხშირათ ადგილი აქვს პირველ შემთხვევას.

ავიღოთ, მაგალითისათვის, საფრანგეთი. აი ციფრი საფრანგეთის ვაჭრობისა (სპეციალური ვაჭრობისა [55]) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1907 წ. | შემოტანა | 6223 მილიონის, | გატანა | 5596 მილიონის. |
| 1908 „ | „ | 5640 „ | „ | 5051 „ |
| 1909 „ | „ | 6246 „ | „ | 5718 „ |
| 1910 „ | „ | 7173 „ | „ | 6234 „ |
| 1911 „ | „ | 8160 „ | „ | 6172 „ |
| სულ . . . . | | 33,442 „ | „ | 28,771 „ |

ამ ციფრებიდან ჩანს, რომ შემოტანა და გატანა ერთმანეთისაგან დიდათ განსხვავდება, და პირველი ძლიერ ხშირათ მეორეზე მეტია. ოცდაათი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ, 1905 წ., გატანა შემოტანაზე მეტი იყო.

ამ ციფრებიდან, მაშასადამე, გამომდინარეობს, რომ საფრანგეთმა მარტო ერთი 5 წლის განმავლობაში საზღვარგარეთ 4,671 მანეთის მეტი საქონელი იყიდა, ვიდრე გაყიდა, რაიც ყოველწლიურათ 934 მილიონის მეტ შემოტანას შეადგენს, ერთ მილიარდამდი დაახლოებით.

უნდა გამოვიტანოთ თუ არა ამ ციფრებიდან ისეთი დასკვნა, რომ საფრანგეთს ყოველწლობით საზღვარგარეთ 1 მილიარდამდი ფრანკი უნდა ეხადა? ეს შეუძლებელია, ვინაიდან ზერელე დაკვირვებაც აშკარათ ადასტურებს, რომ აღებ-მიცემაში მოქცეული ფულის რაოდენობა რამდენათმე საგრძნობათაც არ შემცირებულა. მეტი კიდევ,— იგი გადიდდა! მართლაც, იგივე საბაჟოები, რომელიც საქონლების შემოტანისა და გატანის ანგარიშს აწარმოებს, საპატიო ლითონთა მიმოქცევის რეგისტრაციასაც აწარმოებს. და, აი, როგორია ის ციფრები, რომელიც იმავე პერიოდს შეეხება:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1907 წ. | მოქცევა | 805 მილიონი, | უკუქცევა | 371 მილიონი. |
| 1908 „ | „ | 1,173 „ | „ | 184 „ |
| 1909 „ | „ | 540 „ | „ | 361 „ |
| 1910 „ | „ | 405 „ | „ | 389 „ |
| 1911 „ | „ | 455 „ | „ | 290 „ |
| | | 3,378 „ | „ | 1,595 „ |

ამნაირათ, საფრანგეთში იმავე პერიოდის განმავლობაში ფარა-ფულის მარაგი 1,783 მილიონით გადიდდა, 357 მილიონით წელიწადში, 1 მილიონი დღეში! ეს სულ სხვა სურათია!

ჩვენ რომ ინგლასისთვის მიგვემართა, მაშინ კიდევ უფრო საოცარ ციფრებს მი-

ვილებდით. ინგლისში ყოველწლიურათ შემოტანა გატანას რეგულიარულათ 5 მილიარდი ფრანკით აჭარბებს, ე. ი. 6 თვის განმავლობაში ინგლისის მთელი მეტალური მარაგი უნდა გამქრალიყო, ვინაიდან იგი 3 მილიარდ ფრანკს არ აღემატება! ნამდვილათ კი იქ ამის მზგავსი არაფერი ხდება, და, პირიქით, ჩვენ ვამჩნევთ, რომ ინგლისში, როგორც საფრანგეთში, ფარა-ფულის მოქცევა მის უკუქცევას აჭარბებს.

როგორ უნდა ავხსნათ ეს ამოცანა? სულ უბრალოთ: რომ ვიცოდეთ, ქვეენის საგარეო ვაჭრობა ინარჩუნებს თუ არა თავის წონასწორობას, მხედველობაში მარტო შემოტანისა და გატანის ბალანსი კი არ უნდა ვიქონიოთ, როგორც ამას ჩვეულებრივ ხშირათ შვრებიან, არამედ საერთოთ *მისი აქტივისა და პასივის ბალანსი*. მაგრამ ანგარიშთა ბალანსი ხომ სხვაა და სავაჭრო ბალანსი სხვა: გატანა, მართალია, საზღვარგარეთ ვალის გაცემას ნიშნავს, და თითქმის მთავარ ვალსაც, მაგრამ საზღვარგარეთ შესაძლოა სხვა ვალებიც ირიცხებოდეს; გატანაც მთავარ ვალს შეადგენს სასაზღვარგარეთ, მაგრამ იგი კიდევ ერთადერთი ვალი არაა.

რანაირია, მაგ., ეს საერთაშორისო აქტიური და პასიური ვალები, რომელნიც გატანისა და შემოტანისაგან განსხვავდებიან,—ის ვალები, რომელსაც სამართლიანათ *უჩინარი* შემოტანა და გატანა უწოდეს?

ასეთი ვალი ბევრია; [56]) აი მთავარნი:

1) გასატანი საქონლებს *გადასატანი ხარჯები*, ე. ი. ფრახტი და დაზღვევა. თუ კი გამტანი ქვეყანა საქონლის გადატანას თვითონვე ეწევა, რასაც ადგილი ყოველთვის არა აქვს, მაშინ იგი საზღვარგარეთზე აქტიურ ვალს იძენს, რომელიც, რა თქმა უნდა, გატანას არ მიემატება, ვინაიდან იგი ბოლაზიდან საქონლის გატანის შემდეგ და ამ ადგილიდან მის დანიშნვამდი გასავლელ გზაზე ჩნდება. ამ მუხლით საზღვარგარეთზე დიდძალი აქტიური ვალი ირიცხება ისეთი ქვეყნისა, როგორიც ინგლისია; ეს ვალი სავაჭრო დეპარტამენტის ცნობით წლიურათ 2,255 მილიონ ფრანკს უდრის; ინგლისი არა მარტო თავისი საქონლებისა, არამედ სხვა ქვეყნის უმეტესი საქონლის გადატანასაც ეწევა, და, რა თქმა უნდა, არა უფასოთ.[57])

საფრანგეთს, მაგ., ამ მუხლით პასიური ვალი აქვს, რომელიც 300 თუ 400 მილიარდი ფრანკით აღირიცხება. საკუთარი გემებით მას გადააქვს მხოლოდ ნახევარი თავისი ექსპორტისა და მოაქვს მესამედი იმპორტისა.

2) *საზღვარგარეთ მოთავსებული კაპიტალების პროცენტი*.— მდიდარი ქვეყნები თავისი მომჭირნეობის უმეტეს ნაწილს საზღვარგარეთ ათავსებენ და ამრიგათ ყოველწლობით დიდძალ თანხას ღებულობენ რენტებისა, აქციებისა ან ობლიგაციების კუპონებისა, ან-და სამრეწველო და სავაჭრო მოსაქმობათა, საიჯარო გალასახადებისა და მოგების სახით. ამნაირათ, ხარკი, რომელსაც ინგლისი ამ მუხლით სხვა ქვეყნებისა ან საკუთარი კოლონიებისგან ღებულობს, 2 მილიარდ ფრანკს აღემატება. ინდოეთსა და ავსტრალიის კოლონიებს თითქმის ყველა სესხი ინგლისში აქვთ აღებული, მაგრამ რამდენი მოსაქმობაა კიდევ მთელ ქვეყანაში, რომელსაც ინგლისელები განაგებენ ან ამოძრავებენ! შეერთებულ შტატებში მათ 7 მილიონი ჰექტარი მიწა შეიძინეს, ე. ი. იმდენი, რამდენსაც მთელი ირლანდია შეიცავს! სხვა ქვეყნებზე საფრანგეთის დიდძალი აქტიური ვალიც ირიცხება. უკვე რამდენიმე წლის წინათ გამოანგარიშებული ცნობით იგი კაპიტალის სახით დაახლოებით 30 მილიარდ ფრანკს უდრის, ხოლო შემოსავლის კვალობით—1,134 მილიონამდი ადის, მაგრამ ახლანდელი დროისათვის ეს ციფრი უნდა გადიდებულ-იქნას.

გერმანიაც კრედიტორია ამ მუხლით. მისი კრედიტი, უეჭველია, ცოტა ნაკლები იქნება, მაგრამ იგი დღითიდღე იზდება.

პირიქით, ისპანია, ოსმალეთი, ეგვიპტე, ინდოეთი და სამხრეთი ამერიკის რესპუბლიკები ამ მუხლით დავალიანებული არიან.

3) *ხარჯები საზღვარგარეთლებისა*, რომელნიც ამა თუ იმ უცხო ქვეყანაში ცხოვრობენ. რადგან ის ფულები, რომელსაც ისინი ხარჯვენ, მათი შრომის პროდუქტს არ წარმოადგენს და იმ მიწებისა და კაპიტალების შემოსავალს შეადგენს, რომელიც მათ სამშობლოშია მოთავსებული, ამიტომ ეს ფულები ყოველი ქვეყნისათვის,

რომელსაც მდიდარი საზღვარგარეთლები ეწვევიან ხოლმე, შემოსავლის მუდმივ წყაროს შეადგენს. იტალიაში ასეთი შემოსავლის ჯამი 350 მილიონ ფრანკს უდრიდა, ხოლო შვეიცარიაში—200 მილიონს. საფრანგეთი თავის პარიზსა, ნიცასა, პოსა და სხვაგან დიდხალ საზღვარგარეთელ რანტიეს ღებულობს და ამიტომ ამ მუხლით მისი შემოსავალი 300 მილიონამდი მაინც უნდა ადიოდეს.

პირიქით, შეერთებული შტატები, ინგლისი და რუსეთი ამ მუხლით მრავალი ასი მილიონის მოვალე არიან. ეს თითქო პანსიონის ღირებულებაა, რომელსაც ისინი საზღვარგარეთ თავის ქვეშევრდომთა ყოფნისათვის იხდიან.

4) საკომისიო ჯილდო ბანკირებისა, რომელნიც თავის ოპერაციებს საზღვარგარეთავრცელებენ.—ისეთი ცენტრები, როგორიც ლონდონია, პარიზი ან ბერლინი, ბძანებას ღებულობენ და ოპერაციებს ყველა ქვეყნისათვის ასრულებენ და, რადგან ეს უფასოთ არ კეთდება, ამიტომ ისინი ამ მუხლით თავის კლიენტთა საზღვარგარეთის თანხების კრედიტორებათ ითვლებიან.

5) ხომალდების გაყიდვა.—ნაყიდი ხომალდები საბაჟოების წიგნებში არ აღინიშნება და ისინი არც გატანაში და არც შემოტანაში ირიცხებიან. მიუხედავათ ამისა, ინგლისი, რომელიც გემებს ყველა ქვეყნისათვის ამზადებს, თავის კლიენტთა კრედიტორია დიდძალი თანხისა, ხოლო საფრანგეთი ამ მხრით უფრო დებიტორათ ჩაითვლება.

შესაძლო რომ ყოფილიყო ყოველი ქვეყნის აქტიურისა და პასიური ვალების საერთო ჯამის ცოდნა—თავისთავათ ცხადია, ამ ჯამში გატანისა და შემოტანის ჩარიცხვით,—იმ შემთხვევაში ის ნაშთიც ცნობილი იქნებოდა, რომელიც ყოველი ქვეყნის აქტივსა თუ პასივს მოუწევდა. და მაშინ იმასაც დავინახავდით, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მომდინარე ან იქიდან მიმდინარე ფარა-ფულის რაოდენობა ამ ნაშთს ეთანაბრება.

მაგ.. საფრანგეთისათვის, რომელსაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ყოველწლობით 934 მილიონით მეტი შემოქონდა და, მიუხედავათ ამისა, ორთა შუა რიცხვით ყოველწლობით 357 მილიონ ფრანკს ფარა-ფულს ღებულობდა, უცხო ქვეყნებზე აქტიურისა და პასიური ვალების ნაშთი მისდა სასარგებლოთ 934+357=1,291 მილიონ ფრანკს შეადგენდა.

II. **როგორ ხდება ანგარიშთა ბალანსის შეკავება.** ამიტომ უკუვაგდოთ ძველი და უშვერი აზრი—სერიოზულს ბეჭდვით ორგანოებში დღესაც რომ ადგილი აქვს—იმის შესახებ, რომ ქვეყანა დაღუპვის გზაზეა დამდგარი, როცა მეტი შემოაქვს, ვიდრე გააქვსო. მაგრამ საკითხმა მეორე ფორმა მიიღო, ვინაიდან, გამოთქმის „სავაჭრო ბალანსის" გამოთქმათ „ანგარიშთა ბალანსით" შეცვლის გამო, ჩვენ მას ასეთი ფორმულა უნდა მივსცეთ: მოელის თუ არა ქვეყანას დაღუპვის საშიშროება, როცა, ჯამის გამოყვანის დროს. ირკვევა, რომ მას გადასახადი მეტი ექნება, ვიდრე მისაღები?

კლასიკური შკოლის ეკონომისტები ამ საკითხზე თამამათ იძლეოდენ უარყოფით პასუხს, და თავის აზრს ფრიად მწყობრი არგუმენტებით ამტკიცებდენ.

წარმოვიდგინოთ, რომ საქმე საფრანგეთს შეეხება. ვსთქვათ, აქტიურსა და პასიურ ვალებს შორის წონასწორობის უარსებობა ფარა-ფულის გაძევებას იწვევს. ფარაფულის გამოანგარიშებას —რამდენათაც ფულის რაოდენობის თეორია მართალია—ფულის ღირებულების აწევა მოყვება და, როგორც შედეგი ამისა,—ფასების საყოველთაო დაწევა. მაგრამ, თუ ფასები დაეცემა, ეს გარემოება გატანას დიდათ შეუწყობს ხელს, ვინაიდან უცხოეთლებისათვის ხელსაყრელი იქნება ჩვენში საქონლის ყიდვა,—მყიდველი ყოველთვის ეძებს შემთხვევას, რაც შეიძლება იაფათ იყიდოს,—მაგრამ იმავე გარემოებით შემოტანის საქმეს მაგარი ლაგამი აედება, რადგან უცხოეთლებისთვის ჩვენში საქონლის გაყიდვა ხელსაყრელი სულაც არ იქნება, და ამიტომ ჩვენს ხალხს ამ მომენტიდან შეძლება ექნება საქონელი დაბალ ფასათ დაიმარაგოს საფრანგეთში: მზგავსათ მდინარისა, რომელიც თავის სათავეს არ უბრუნდება, საქონელიც არ მიდის იქ, სადაც იგი არ ფასობს, და არ ცილდება იმ ბაზარს, სადაც ფასობს. საბოლოო ანგარიშით ასეთმა მდგომარეობამ გატანის მომატება უნდა გამოიწვიოს, ხოლო შემოტანის შემცირება. აი საშვალება, რომელიც მდგომარეობას სავსებით შეეფე-

რება. და, ბოლოს და-ბოლოს, ფარა-ფული როგორც წავიდა, ისევე დაბრუნდება.

წარმოიდგინეთ, რომ თავისი ფარა-ფულის სანაცვლოთ საფრანგეთი ქაღალდის ფულს უშვებს,—გამოვა ისეთივე შედეგი, და კიდევ უფრო გამორკვეული. ლითონის იშვიათი ფულები პრემიას მოიტანს, რომელიც იმდენათ უფრო მეტი იქნება, რამდენათაც მეტი ქაღალდის ფული იყო გამოშვებული. ასეთ პირობებში საფრანგეთის მწარმოებლები საზღვარგარეთ საქონლის გაყიდვას თავისთვის ძლიერ ხელსაყრელათ სთვლიან, რადგან მათ ისეთ ფულს აძლევენ, რომელიც პრემიას იძლევა, ხოლო ეს პრემია მათთვის მოგებას წარმოადგენს. მაშასადამე, გატანა მძლავრდება, იზრდება, ხოლო შემოტანა, პირიქით, სუსტდება, ვინაიდან უცხოელ ვაჭრებს მაინცადამაინც არც კი უხარიათ ისეთი ქვეყნისათვის საქონლის მიყიდვა, რომელსაც ფასდაკარგული ფული აქვს, ან-და, თუ კი ყიდიან, ძლიერ მაღალ ფასათ, ეს გარემოება კი მათი მუშტრების წრეს იმნაირათვე ავიწროებს.

გატანისა და შემოტანის შეფარდება რომ შეიცვალოს, ფასების დაკლებისათვის მოცდა სულაც არაა საჭირო: ამისათვის უფრო სწორი მექანიზმი არსებობს. ეს არის სათამასუქო კურსის აწევა, რომელიც ისეთსავე შედეგებს იწვევს: ხელს უწყობს გატანას და ზღუდავს შემოტანას.

ერთი სიტყვით, ანგარიშთა ბალანსს რაღაცნაირი ავტომატიური ძალა განაგებს და იგი მას საშვალებას აძლევს თანაზრობა აღადგინოს მაშინ, როცა ეს უკანასკნელი ირღვევა, და მოქმედობს მზგავსად ორთქლის მანქანის იმ რეგულიატორისა, რომელიც ყოველთვის ცდილობს მანქანის მოძრაობა წონასწორობის მდგომარეობაში მოიყვანოს. როგორც შეუძლებელია მუდმივი მოქცევა და უკუქცევა, ისე გატანისა ან შემოტანის ღვარსაც მხოლოდ ერთი მიმართულებით მოძრაობა არაოდეს არ შეუძლია: ადრე თუ გვიან იგი უკან დაბრუნდება, წაიღებს ფარა-ფულს და მერე უკანვე მოიტანს.

რიკარდომ ეს მტკიცება მეტყველ ფორმულაში ჩამოაყალიბა და სთქვა: საერთაშორისო გაცვლა ყოველთვის ცდილობს ნატურალური ფორმა მიიღოს, რომელსაც ველურები მიმართვენ, რა თქმა უნდა, გაუმჯობესებულ საშვალებათა გამოუყენებლათო. უცხო ქვეყანაში აღებულ ვალს ჩვენ ვისტუმრებთ ამ ქვეყანაში საქონლის გატანით, და პირიქით, ეს უცხო ქვეყანაც ჩვენს ქვეყანაში საქონლის შემოტანით ისტუმრებს,—საქმე ისე მიმდინარეობს, რომ თითქო ფული არც კი არსებობს.[58]

კიდევ უფრო ადვილია ცდის მოხდენა იმის შესახებ, რომ ყოველთვის, როცა, სავაჭრო ხელშეკრულობისა ან რაიმე სხვა მიზეზისა გამო, ქვეყანაში შემოტანის ძლიერ მომატებას აქვს ადგილი, მაშინ გატანის მომატებაც მალე იწყება და, პირიქით, აღმკრძალველი ტარიფით შემოტანის შემცირებას ახერხებენ, მაშინ, მასთან ერთად, გატანის სათანადო დაკლებასაც უნდა მოველოდეთ.

ეს თეორია, უეჭველია, ფაქტებით მტკიცდება, ვინაიდან სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ფარა-ფული მხოლოდ მცირე მონაწილეობას ღებულობს საერთაშორისო ვაჭრობის რეგულიაციაში, — დაახლოებით 6—7% საზღვრებში. ამიტომ უნდა აღვიაროთ, რომ ანგარიშთა ბალანსის რეგულიაცია თავისთავათ ხდება და აქტიური და პასიური ვალები წონასწორობისკენ მიილტვიან. ეს არის სწორეთ ის, რასაც ბასტიას შკოლაში „ეკონომიური ჰარმონია“ ეწოდება.

მიუხედავათ ამისა, დღეს ეკონომისტები კატეგორიულათ მტკიცებას არ ადგიან; ისინი ამბობენ, რომ ქვეყნისათვის ბალანსით სხვა ქვეყნის წინაშე მოვალეთ ყოფნა საკმაოთ სამწუხარო მდგომარეობააო (ჩვენ მეტათ არ ვამბობთ: „არასასურველს სავაჭრო ბალანსს“, რაც, ნამდვილათ, არაფერს ნიშნავს).

მართლაც, ქვეყანაში ლითონის ფულის მარაგის შემცირება სიღარიბეს გულისხმობს,—აბსოლუტურს თუ არა, სხვა ქვეყნებთან შედარებითს მაინც,—და ფასების დაცემასაც და, როგორც ამის [illegible] სამუშაო ქირის დაცემასაც. მხნელი, წარმოდგენით, საშვალება ნაკლებ უბე[illegible]ებას როდი წარმოადგენს: ამის შესახებ ცოტა-რამ ყოველმა მწარმოებელმა იცის.

მეორე მხრით, პასიური ნაშთი, პირდაპირ მისი შედეგების დამოუკიდებლათ, ხშირათ ხდება ქვეყნის სატირალი მდგომარეობის მაჩვენებლათ და იმას ამოწმებს, რომ

ან ქვეყანას არ შეუძლია თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და თავისი შრომით საზღვარგარეთიდან მოსატანი საქონლების ფასის გადახდა, ან-და მან ხარკი უნდა იხადოს იმისათვის, რომ მისი მოქალაქენი თავის შემოსავალს საზღვარგარეთ ხარჯვენ.

თუ კი ქვეყანა საზღვარგარეთ მიმდინარე ფარა-ფულის სანაცვლოთ ქაღალდის ფულებს უშვებს, მაშინ იგი დაღუპვის გზას ადგება, რომელიც მას გაკოტრებამდი მიიყვანს. მაგრამ კიდევ უარესი იქნება, თუ კი იგი, როცა მას პასიური ნაშთის გადასახდელათ ფული არა აქვს, გ ა ს ა ს ტ უ მ რ ე ბ ლ ა თ ს ე ს ხ ს მ ი მ ა რ თ ა ვ ს, მზგავსათ იმ წარჩინებულთა შვილებისა, რომელნიც ყოველი ვადის დროს ვექსილების გადაწერას თხოულობენ! ქვეყანა მაშინ გაკოტრების გზას ადგია. ასე დაემართა არა ერთ ქვეყანას.

**II. რაში გამოიხატება საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლის სარგებლიანობა?**

საერთაშორისო ვაჭრობის დაფასების დროს ეკონომისტები—საოცარი საქმეა!—ორს პირდაპირ მოწინააღმდეგე შეხედულებაზე დგებოდენ.

კლასიკური შკოლა შემდეგს დებულებებს აყენებს:

1) საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა უსათუოთ სასარგებლოა ორივე ქვეყნისათვის, ვინაიდან, ეს რომ ასე არ იყოს, მისი არსებობაც საჭირო არ იქნებოდა და უნდა გვეფიქრა, რომ გაცვლა-გამოცვლაში დამკარგველი ქვეყანა ნებაყოფლობით აწ იძულებით სულელის როლს ასრულებს.

2) გაცვლის სარგებლიანობას ორივე ქვეყნისთვის შემოტანა გამოსახავს. რაც შეეხება გატანას, გატანა არის საშვალება, ერთად-ერთი საშვალება, რომლითაც ქვეყანა იმ საქონელს იძენს, რომელიც მას შემოაქვს, ეს არის ნატურალური ფასი, რომელსაც იგი ამ საქონლისთვის იხდის, და ის განსხვავება, რითაც შემოტანილი საქონლის ღირებულება, გატანილი საქონლის ღირებულებას აღემატება, იმ სარგებლიანობის ხარისხს წარმოადგენს, რომელსაც ქვეყანას საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა ანიჭებს. 6 მილიარდის ღირებულების გასატანი საქონლის სანაცვლოთ უამრავი შემოსატანი საქონლის შეძენა, რომელიც 8 მილიარდათ ღირს, ისეთ ოპერაციას წარმოადგენს, რომელიც ქვეყანას 2 მილიარდს მოგებას აძლევს, ვინაიდან რამდენათაც უფრო ნაკლებია მიცემაა საჭირო იმ საგნის სანაცვლოთ, რომლის შეძენაც სასურველია, იმდენათ გაცვლა მოსაგებია!

ამ თეორიით, როცა ორ ქვეყანას შორის გაცვლა-გამოცვლა ხდება, მაგ., როცა ინგლისი თავის ქვანახშირს საფრანგეთის ღვინოზე სცვლის (ქვანახშირის 1 ტონას ღვინის 1 ჰექტოლიტრზე), მაშინ იგი ტონა ქვანახშირის თვითღირებულებას იმას ადარებს, თუ რამდენათ დაუჯდებოდა მას ჰექტოლიტრი ღვინის დაყენება. და, რადგან მას ღვინის დაყენება გაცილებით უფრო ძვირათ დაუჯდებოდა—აბა როგორ შესძლებდა ინგლისი ღვინის დაყენებას?—აქედან გამომდინარეობს ისეთი დასკვნა, რომ მას ეს გაცვლა დიდ სარგებლობას აძლევს. სარგებლობა ნაკლებია, რა თქმა უნდა, საფრანგეთისათვის, ვინაიდან საფრანგეთს ქვანახშირის მაღაროებიც აქვს, მაგრამ საფრანგეთისათვისაც ეს მაინც ხელსაყრელია, ვინაიდან იქ ქვანახშირის დამზადება უფრო ძვირათ ჯდება, ვიდრე, ინგლისში.

3) უმეტესი სარგებლობა იმ ქვეყანას უწევს, რომელიც ყველაზე უარეს მდგომარეობაში იმყოფება (თავისი ზენიადაგის სიღარიბისა, საწარმოო ძალთა ნაკლებობისა თუ მრეწველობის განუვითარებლობის გამო და სხ.), რადგან სწორეთ მისთვის ყველაზე უფრო თვალსაჩინო და საგრძნობია გაცვლით შემონახული ძალა და ფასოვნობა.

პროტექციონისტური შკოლა, თითქმის საზოგადოებრივი აზრიც, პირიქით, საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლობის დაფასების დროს სახეში მხოლოდ და მარტო გ ა ტ ა ნ ა ს ღებულობენ; თითქო მასში იმარხება ჭეშმარიტი სარგებლობა საერთაშორისო ვაჭრობისაო. შემოტანა მათ სამწუხარო აუცილებლობათ ეჩვენებათ, რომელსაც ქვეყანა უნდა შეურიგდეს იმ შემთხვევაში, როცა მას არ შეუძლია აწარმოოს ყველაფერი, რაც მისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, მაგრამ იგი უნდა ეცადოს შეამციროს ეს აუცილებლობა, რომელიც ქვეყანას ხარჯებში ახვევს. გამდიდრებას, შემოსავალს მხოლოდ გატანა შეადგენს. მაშასადამე, საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლიანობა შემოტანაზე გატანისა ანუ გასავალზე შემოსავლის აღმატების ნაშთით გაიზომება. თუ რომ საფრანგეთი 8 მილიარდის საქონელს გაიტანს, ხოლო 6 მილიარდისას

შემოიტანს, აქიდან ჩვენ იმ დასკვნას გამოვიტანთ, რომ იგი 2 მილიარდს მოგებას მიიღებს.

ზემოდახასიათებული ორივე მსჯელობა მეტათ გაადვილებულ მხედველობაზეა აშენებული: კერძო პირის მდგომარეობას ქვეყნის მდგომარეობას მიამზგავსებენ. არა, თავისუფალი ვაჭრობის მებაირახტრენი დიდ ქვეყანას ველურ ადამიანს ამზგმვსებენ, მაგრამ ეს შეუძლებელია, რადგან ველური გაცვლაში (ნატურალურ ფორმაში) მხოლოდ იმის საშვალებას ხედავს, რომ იშოვოს ის, რაც მას არა აქვს. პროტექციონისტები მას ვაჭრობას ადარებენ, მაგრამ ესეც შეუძლებელია, რადგან ვაჭარი იმისთვის ყიდულობს, რომ შემდეგ ნაყიდი საქონელი სხვას მიყიდოს, და მისთვის მოგებას ნაყიდობის ფასზე გასაყიდი ფასის განსხვავება შეადგენს. არ არის ისეთი „ქვეყანა“, რომელიც რასმე ფასათ აძლევდეს მეორე „ქვეყანას“, როგორც ჩვენ მეტაფორმულათ ვამბობთ ხოლმე, არსებობს მხოლოდ ათასი კერძო პირი, რომელთაგანაც ყოველი პირი ყიდულობს და ყიდის ისე, რომ სხვაზე სულ არ ფიქრობს. შემოტანასა და გატანას შორის არავითარი შეგნებული სოლიდარობა არ არსებობს. საქმე აქ ველურს კი არ შეეხება, რომელიც სპილოს ძვლებს იძლევა, რომ თოფი შეიძინოს, და არც ვაჭარს, რომელიც იმისათვის ყიდულობს, რომ შემდეგ გაყიდოს. ავტომობილების საფრანგეთის მწარმოებელი, რომელიც ავტომობილს ინგლისელს ფასათ აძლევს, ამას იმისთვის კი არ შვრება, რომ სანაცვლოთ ნახშირი შეიძინოს, და ინგლისელიც, რომელიც ავტომობილს ყიდულობს, იმისთვის კი არ იქცევა ასე, რომ ავტომობილი გაყიდოს. რა თქმა უნდა, არსებობს, როგორც დავინახეთ, ცნობილი ზოგადი კანონები, რომელიც კერძო აქტებზე გავლენას ახდენს, ბატონობს, და შემოტანასა დი გატანას შორის ერთნაირ წონასწორობას ამყარებს. მაგრამ მხოლოდ ფინალისტურ ოპტიმიზმს შეუძლია იფიქროს, რომ ყველა ამ კერძო აქტის თვისებას საყოველთაო სიკეთისკენ მისწრაფება შეადგენს.

საერთაშორისო ვაჭრობის სარგებლიანობა არითმეტიკულ მოქმედებათა საშვალებით არ გაიზომება; მათი გაზომვა შეუძლებელია ფულით: იგი რთულია, მისი ძებნა უნდა ხდებოდეს ეროსა და იმავე დროს, გარემოებათა მიხედვით, ხან შემოტანაში, ხან კი გატანაში.

აი, უწინარეს ყოვლისა, შემოტანის სარგებლიანობა:

1) *კეთილმდგომარეობის ზრდა* იმ შემთხვევაში, როცა საქმე ისეთ საქონელს შეეხება, რომლის წარმოებაც ქვეყანას არ შეეძლო ან თავისი ზენიადაგისა ან-და ჰავის გამო: საკოლონიო საქონლებს ევროპის ქვეყნებისათვის, ღვინოს ან ყურძენს —ინგლისისათვის, მარილს —ნორვეგიისათვის, სპილენძს —საფრანგეთისათვის, ქვანახშირს—შვეიცარიისათვის და სხვ. ეს უდავო სარგებლიანობაა.

2) *სასაზრდოო საგნების შევსება* იმ ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაც ნამეტნავათ ცოტაა ასეთი საგნებით მცხოვრებთა უზრუნველსაყოფათ. ინგლისი, რომლის მცხოვრებთა რიცხვიც დღითი-დღე იზრდება, უკვე იძულებულია სხვა ქვეყნებიდან დაახლოებით 6 მილიარდი ფრანკის სანოვაგე შემოიტანოს, რაიც მისი მოხმარების *ნახევარს* შეადგენს. გერმანიასაც მეოთხედზე მეტის თავისი სანოვაგის შემოტანა საზღვარგარეთიდან უწევს.

ეს საერთო მოვლენაა, რომელიც ამიერიდან სულ უფროდაუფრო ფართო ხასიათს მიიღებს: რაც უფრო გაიზრდება ევროპის მცხოვრებთა რიცხვი, მით უფრო მეტისა და მეტი სანოვაგის შემოტანა იქნება იქ საჭირო სხვა ქვეყნებიდან. ეს სარგებლიანობა ნაკლები ბოროტება უფროა, ვიდრე სიკეთე. ხალხისათვის უკეთესია, რა თქმა უნდა, საზღვარგარეთიდან პურის შემოტანა, ვიდრე შიმშილით სიკვდილი; კერძო პირისათვის მეპურისგან პურის ყიდვა არავითარ უხერხულობას არ წარმოადგენს; მაგრამ ძნელი მისახვედრი არაა, რომ საზღვარგარეთის სანოვაგეზე მოიმედეთ ქვეყნის დარჩენა საშიშარია.

3) *შრომის ეკონომია* იმ შემთხვევაში, როცა საქმე ისეთ სიმდიდრეს შეეხება, რომლის წარმოებაც შემომტან ქვეყანას შეეძლო, მაგრამ მეტი ხარჯის გაწევით ვიდრე იმ ქვეყანას, საიდანაც იგი შემოაქვს, ვინაიდან ეს უკანასკნელი უფრო ხელსაყრელსა ან ბუნებრივ პირობებში იმყოფება. საფრანგეთი, მაგ., თვითონაც მოახერ

ხებდა მანქანების წარმოებას, და მშვენიერ მანქანებსაც გააკეთებდა კიდეც, თუნდაც თავისი ავტომობილებისა და ჰაეროპლანებისთვის, მაგრამ მისთვის ხშირათ ინგლისიდან ან შეერთებული შტატებიდან ამ მანქანების გამოწერა უფრო ხელსაყრელი ხდება, რადგან ეს ქვეყნები ბუნებისგან უფრო უხვათ არიან დაჯილდოებული რკინითა და ქვანახშირით, რის გამოც იქ სამანქანო წარმოება უფრო განვითარებულია.

საერთაშორისო ვაჭრობის ეს სარგებლიანობა ჩვეულებრივ უფრო ნაკლებათ განვითარებულ წარმოებას გულისხმობს იმ ქვეყანაში, საცა შემოტანას ეწევიან, მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. რომელიმე ქვეყანას რაიმე სიმდიდრის შემოტანიდან სარგებლობის მიღება *მაშინაც კი შეუძლია, როცა მას მისი წარმოება უკეთეს პირობებში შეეძლო, იმ ქვეყანასთან შედარებით, რომლისგანაც იგი მას ყიდულობს*. წარმოვიდგინოთ, რომ ანტილის კუნძულებს პურის მოყვანა საფრანგეთზე უკეთეს პირობებში შეუძლია, 6 დღის ნაცვლათ, მაგ., 3 დღის შრომის დახარჯვით 1 ცენტნერ პურზე; განა ცხადი არაა, რომ ასეთ პირობებში უკეთესი არ იქნება, ამ კუნძულებმა თვითონვე მიყონ ხელი თავისი პურის მოყვანას, ვიდრე იგი საფრანგეთიდან შემოიტანონ? მაგრამ შესაძლოა მაინც, რომ ანტილის კუნძულები თავისთვის ხელსაყრელათ სთვლიდენ საფრანგეთიდან პურის გატანას. საკმარისია წარმოვიდგინოთ, რომ მათ საშვალება აქვთ საფრანგეთის პურის ფასი ისეთი საქონლით გადიხადონ, რომლის დამზადებაც კიდევ უკეთეს პირობებში ხდება,—მაგალითად, შაქრით, რომლის წარმოებაც მათ 1 დღის შრომათ დაუჯდებათ. ცხადია, რომ ეს ოპერაცია მათთვის ძლიერ ხელსაყრელი იქნება, რადგან მისი საშვალებით ისინი იმავე რაოდენობის პურს სამჯერ ნაკლები შრომით შეიძენენ.

ამნაირათ, ამა თუ იმ ქვეყანას შესაძლოა ნაკლების ხარჯით ყოველგვარი საქონლის წარმოების საშვალება ქონდეს და, მიუხედავათ ამისა, საზღვარგარეთიდან ასეთი საქონლების შემოტანა მისთვის უფრო ხელსაყრელი იყოს, ვინაიდან თითქმის ასეთ შემთხვევაშიც ხელს მოკიდებდა ისეთი საგნების წარმოებას, რომელშიც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მისი უაღრესობა, და მიუტანდა მას ამ საქმეში ჩამორჩენილს თავის მეზობლებს იმ პროდუქტებზე გადასაცვლელათ, რომელშიც მისი უაღრესობა ნაკლებათ გამოსახულია.[59]) ამ შემთხვევაში გატანა საშვალებაა შემოტანისა—და მეტი არაფერი, ე. ი. **do ut des** (გაძლევ, რომ მომცე).

რაც შეეხება გატანას, მისი სარგებლიანობა შემდეგნაირია:

1) უტილიზაცია ზოგიერთი ბუნებრივი სიმდიდრისა ან-და საწარმოო ძალებისა, რომლებიც უსარგებლოთ დარჩებოდენ, საზღვარგარეთ მათი გასაღება რომ არ მოხერხებულიყო. გატანას ადგილი რომ არ ქონოდა, პერუს რა-ღა უნდა ექნა თავისი გუანოსათვის ან-და თავისი აზოტმჟავე მარილებისათვის, ავსტრალიას—თავისი მატყლისათვის, კალიფორნიას—თავისი ოქროსათვის, ისპანიას—თავისი ღვინისათვის?

2) ისეთი პროდუქტებისა, ნედლეულობისა და სასურსათო საქონლების შეძენა, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას არ მოეპოება ან-და საკმაო არა აქვს. ფაბრიკატების გატანის წყალობით ინგლისი, ბელგია და გერმანია თავის ინდუსტრიასა და მცხოვრებთ ნედლ მასალებს აწვდიან. სამრეწველო პროდუქტების თვითღირებულების დაწევა და, მისი საშვალებით, ნაციონალური ინდუსტრიის განვითარება, ვინაიდან ჩვენ ვიცით, რომ შრომის განაწილება და პროგრესი სხვილი წარმოებისა ბაზრის სივრცისადმი პროპორციულია. ინგლისს თავისი ნაწარმოები ყველა ქვეყანაში რომ არ გაეტანა, მაშინ იგი თავის საწარმოო იარაღებს ეგზომ კარგათ ვერ გააუმჯობესებდა. რადგან მისი ვერფები, მაგ., ყველა ქვეყნისათვის მუშაობს, ამიტომ ამ ვერფებს ისეთი გრანდიოზული ხასიათი და სპეციალიზაცია აქვს მიღებული, რანაირიც არსად არ მოიპოება.

**IV. როგორ ხდება, რომ საერთაშორისო ვაჭრობა ზოგიერთი კლასის ინტერესებს უსათუოთ ზიანს აყენებს?** იქიდან, რაც ჩვენ ესეს არის ვსთქვით, სულაც ის დასკვნა არ გამომდინარეობს, რომ საერთაშორისო ვაჭრობა მარტო ერთ სარგებლიანობას იძლევა და არავითარ უხერხულობას არ წარმოადგენს. ეს მისი შე[illegible]ების ცუდათ გაგება იქნებოდა. ზემომოყვანილი განმარტებიდან ის გამომდინარეობს, რომ შემოტანას მიზნათ და თავის შედეგათ განსაზღვრული შრომის შემონახვა აქვს. მაგრამ

ჩვენს სოციალურ ორგანიზაციაში, რომელიც შრომის განაწილებაზეა დამყარებული, განსაზღვრული შრომის შემონახვა შეუძლებელია, თუ რომ *მუშათა ერთ კატეგორიას უსარგებლოთ არ გავხდით*. ჩინეთთან აბრეშუმის ვაჭრობა საფრანგეთის მომხმარებლებისათვის სარგებლობას წარმოადგენს, რადგან ეს ვაჭრობა საშვალებას იძლევა ნაკლებ ფასათ და ნაკლები შრომით აბრეშუმი შეიძინონ, მაგრამ სევენის სოფლის მეურნენი და მუშები, რომელნიც ამ მრეწველობით ცხოვრობდენ, ამით ახლა დიდათ დაზარალებული არიან.

სავსებით მართალია, რომ, როგორც ჩვენ უკვე განვმარტეთ, ყოველი ახალი შემოტანა სათანადო გატანასაც იწვევს, და ჩინეთის აბრეშუმი, მაგ., პარიზის ისეთი ნაწარმოებით იქნება გადახდილი, რომელიც ამ მიზნით დამზადებული უნდა იქნეს. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩინეთიდან ჩამოტანილი აბრეშუმი, რა თქმა უნდა, ნაკლები ღირებულებისა იქნება, ვიდრე პარიზის აბრეშუმი, რომლის ადგილიც მან დაიკავა; წინააღმდეგ პირობებში იგი ბაზრიდან გაძევებული არც კი იქნებოდა. ჩინური აბრეშუმი თუ, მაგ., 100 მილიონის ღირებულებას წარმოადგენს, მაშინ საფრანგეთში ნაწარიოები ამდენი აბრეშუმი 120 მილიონათ ეღირება. ამნაირათ, იმისათვის, რომ ამ შემოტანას მისი ღირებულების თანაბარი გატანა დავუპირდაპიროთ, საკმარისი იქნება, რომ პარიზის ინდუსტრიამ ჩინეთში (ან რამდენიმე სხვა ალაგას) 100 მილიონის თავისი ნაწარმოები გაგზავნოს. საბოლოო შედეგი, ამნაირათ, 20 მილიონით ადგილობრივი წარმოების შემცირება იქნება, რომელიც შრომის შემცირებას წარმოადგენს და შეეფერება.

საერთაშორისო ვაჭრობისაგან არავითარი სხვა შედეგები რომ არ ყოფილიყო, გარდა შრომის ერთნაირი გადანაცვლებისა (ეს უკანასკნელი ყოველ ეჭვს გარეშეა), მაშინ მარტო ეს ერთი შედეგიც მცხოვრებთა ზოგიერთ კლასს სერიოზულ მავნებლობას მოუტანდა. ცხადია, რომ სევენელი მეაბრეშუმეები, რომელთაც „articles de Paris"-ის გამკეთებელ ფაბრიკებათ თავისი სართავების გადაკეთება არ შეუძლიათ, იძულებული გახდებიან დაკარგონ ის კაპიტალები, რომელიც სართავებში ძირითადი თანხის სახით არის მოთავსებული; და რადგან იქ მომუშავე ქალებსაც ჩინელი ბავშების სათამაშოების წარმოებისთვის ხელის მოკიდება არ შეუძლიათ, ამიტომ შეუძლებელია გადაჭრით იმის თქმა, რომ ისინი რაიმე სხვა სამუშაოს იშოვნიან. პირველთ აოხრება მოელისთ, მეორეთ—უმუშავრობა და სიღატაკე.

მაგრამ შესაძლოა შემამსუბუქებელი გარემოების წამოყენება. შესაძლოა ითქვას— როგორც ჩვენ წინათ მანქანების შესახებ ვსთქვით,—რომ საერთაშორისო ვაჭრობას არაპირდაპირი გზით იმ შრომის გადიდებაც შეუძლია, რომელიც მან პირველათ შეამცირა, და ეს შესაძლო არის ორნაირათ:

1) ფასების დაკლება, რომელიც თვით თავისუფალი ვაჭრობისგან გამომდინარეობს, *მოხმარების ზრდას* იწვევს და, მაშასადამე, წარმოების ზრდასაც. მაგ., აბრეშუმის ფასის დაკლება გამოიწვევს მისი მოხმარების გადიდებას. იმასაც თუ ვიტყვით, რომ ეს მომატებული მოხმარება ჩინურ აბრეშუმს შეეხება, და არა საფრანგეთისას, მაშინაც აბრეშუმის გადიდებული შემოტანის დასაფარავათ articles de Paris-ის მომატებითი გატანა შეიქნება საჭირო, რომელიც უკვე 100 მილიონის კი არა, როგორც ჩვენ ვამბობდით, არამედ, შესაძლოა, 120 მილიონის იქნეს, როგორც წინათაც იყო.

2) ფასების დაწევა ზოგიერთ საგანზე მომხმარებელთა ხარჯებს ამცირებს და *საშვალებას იძლევა, რომ ამგზით მიღებული მომჭირნეობა სხვა რისთვისმე მოიხმარონ ან იგი პროცენტებში მოათავსონ*. მაშასადამე, იმას რაც ერთი მხრით შრომას ერთმევა, შეუძლია მეორე მიმართულება მიიღოს და მომჭირნეობისა ანუ ახალი ხარჯების სახით წარმოების სხვა დარგები ასაზრდოოს, და ამიტომ შესაძლოა, რომ, ბოლოს-და-ბოლოს, გამოყენებული ნაციონალური შრომა უცვლელი რჩებოდეს.

არა თუ შემოტანას, არამედ გატანასაც შესაძლოა სამწუხარო შედეგები ქონდეს. ისეთი ქვეყნები, როგორიც, მაგ., რუსეთია, რომელთაც თავისი პური და საქვები ბალახები მუდამ გააქვთ და რომელნიც ქიმიური საშვალებებით თავისი ზენიადა-

ვის გაპოხიერებას არ ცდილობენ, ბოლოს-და-ბოლოს თავის მიწას ხვნა-თესვით ყველა სანაყოფო ელემენტს უკარგვენ; გამოდის, რომ თითქო ამ ქვეყნებს ცოტ-ცოტაობით თავისი მიწაც გააქვთ. პერუ, რომელმაც მთელი თავისი გუანო გაიტანა და რომელიც მალე თავის ყველა აზოტმჟავე მარილსაც გაიტანს, მომავლის სანაყოფო რეზერვუარებს სპობს და ამას ვერავითარი დღევანდელი სასყიდელი ვერ აუნაზღაურებს.

## თავი VI.

## სავაჭრო პოლიტიკა.

**I. საერთაშორისო ვაჭრობის ისტორიული მიმოხილვა.** ძველ დროში და საშვალო საუკუნეებში საერთაშორისო ვაჭრობას ის საერთო ხასიათი არ ქონდა, რანაირიც მას ჩვენს დროში აქვს. იგი მაშინ რამდენიმე ხალხის ხელში იყო, რომლებმაც, ზღვის მახლობლათ ბინადრობის მეოხებით—ძველ დროში ტირმა და კართაგენმა, საშვალო საუკუნეებში იტალიის რესპუბლიკებმა და განზეას კავშირის ქალაქებმა, ხოლო ახალი დროის დასაწყისში ჰოლანდიამ—ხელში ჩაიგდეს ვაჭრობისა და ტრანსპორტის მონოპოლია. სხვა ხალხები წმინდა პასიურ როლს ასრულებდენ. ისინი უცხო ქვეყნის ვაჭრებს ისე ღებულობდენ, როგორც ახლა აფრიკელ ზანგთა ტომები მუსულმან ან-და ევროპიელ ვაჭრებს ღებულობენ, ერთნაირი სიხარულით, რადგან მათგან ისინი ისეთ საქონლებს იძენდენ, რომლის წარმოებაც მათ არ შეეძლოთ. ისინი კიდეც ცდილობდენ ასეთი პირების შემოჩვევას და საჭირო შემთხვევებში მათ პრივილეგიებსაც კი ანიჭებდენ.[60] ამ მფარველობისათვის ისინი მათ გადასახადებს ახდევინებდენ, რომელიც რაღაცას მათ მოგებაში მონაწილეობის მიღების მაგვარს წარმოადგენდა,—აფრიკის წვრილი თავადები მათ ტერიტორიაზე გამავალ ქარავნებს დღესაც ასე ექცევიან. სადამოჟნო გადასახადი, თუ კი მას ასეთ სახელს მივაკუთნებთ, პირველათ ფ ი ს კ ა ლ უ რ ი ხასიათის იყო, და არა მფარველობითისა. აბა რისთვის უნდა გაეწიათ მფარველობა, თუ კი ნაციონალური მრეწველობა არ არსებობდა.

როცა კი XVI და XVII სს. დასაწყისში თანამედროვე სხვილი ტიპის სახელმწიფოების შექმნა დაიწყო, სურათი სულ შეიცვალა, და ეს ორმა მიზეზმა გამოიწვია:

1) ამ სხვილმა სახელმწიფოებმა თავისი ნაციონალური ბაზრების შექმნა მოინდომეს; მათ განიზრახეს ყველაფერის წარმოება, რაც კი მათთვის საჭირო იყო, რათა თვითმყოფად სახელმწიფო ერთეულებათ გარდაქცეულიყვენ.

2) ზღვის გზების გახსნამ საერთაშორისო ვაჭრობას მანამდი გაუგონელი განვითარება მიანიჭა. საერთაშორისო ვაჭრობა (რომლის შესახებაც ლაპარაკიც მეტი იყო მანამდი, სანამ ვაჭრობას საფუფუნო საგნების გატანა წარმოადგენდა: ტირის პურპური, ვენეციის ფარჩა, ტოლედის მახვილი, ტკბილეულობა და სხვ.) საგრძნობ ხასიათს ღებულობდა მას შემდეგ, რაც სატრანსპორტო მრეწველობის სათანადო განვითარებამ ყოველდღიური საჭიროების საგანთა, მაგ., ფლამანდრიის მაუდის, გატანა შესაძლოთ გახადა.

მაშინ პირველათ განმტკიცდა თეორიათა მთელი ჯგუფი და ცხოვრებაში მათი გამტარებელი ის პოლიტიკა მთავრობისა, რომელიც ცნობილია მ ე რ კ ა ნ ტ ი ლ უ რ ი ს ი ს ტ ე მ ი ს სახელით. კლასიკურ ტრაკტატებში ეს სისტემა რამდენათმე დამახინჯებულათაა წარმოდგენილი. ამბობდენ, მაგ., რომ თითქო მერკანტილისტები ფიქრობდენ, რომ ფული ერთადერთი ჭეშმარიტი სიმდიდრეა, რომ, მაშასადამე, ქვეყანა შესაძლოა გამდიდრდეს ფულის მოგროვებით, რომ თუ ქვეყანას ოქროსა და ვერცხლის მაღაროები არა აქვს, მაშინ მან რაც შეიძლება ბევრი საქონელი უნდა მიყიდოს სხვა ქვეყნებს, რომელთაც ფული აქვთ, და, ამნაირათ, ცოტ-ცოტაობით მათ ეს ფული უნდა გამოწუწნოსო. უკეთუ, პირიქით, თავისი ქვეყნის გარეშე რასმე იყიდიან, ამით ფარაფული გაიფლანგება.—ამნაირათ, რაც შეიძლება მეტი გატანა და რაც შეიძლება ნაკლები შემოტანა! ყოველთვის იმას უნდა ვცდილობდეთ, ერთი სიტყვით, რომ კეთილსაამო ბალანსი გვექნეს,—ასეთი იყო დასკვნა მერკანტილური სისტემისა.

ახლა ფიქრობენ, რომ მერკანტილიზმზე ასეთი შეხედულება რამდენათმე ამჩატებულ-

გაადვილებულია, თუ არ გაკარიკატურებული. იგი შეეხება უფრო იმათ, ვინც მერკანტილისტებზედ უფრო ადრე გაჩნდენ და ვისაც უწოდებენ ბ უ ლ ი ო ნ ი ს ტ ე ბ ს (ინგლისური სიტყვიდან bullion—ზოდი) იმ მნიშვნელობისათვის, რომელსაც ისინი საპატიო ლითონებს მართლაც აწერდენ, რაიც, სხვათა შორის, ბავშურ გულუბრყვილობას როდი ნიშნავდა, როგორც ფიქრობენ ხოლმე, იმ ეპოქისათვის, როცა ოქრო და ვერცხლი ისეთ იშვიათობას შეადგენდა, რანაირსაც ისინი, შესაძლოა, არც ერთს სხვა ისტორიულ ეპოქაში არ წარმრადგენდენ, მასთან ვაჭრობისა და ინდუსტრიის მოზარდი მოთხოვნილებანი ფულის ნამდვილ შიმშილს იწვევდა და ახალ სახელმწიფოთა ბიუჯეტებზე ლაპარაკსაც მეტათ ხდიდა, ნამეტურ მაშინ, როცა კრედიტის ფორმები მხოლოდღა ისახებოდა. ახალი ქვეყნის აღმოჩენას მაშინდელი ადამიანები განსაკუთრებულის სიხარულით იმიტომ შეეგებენ და მათში ამ გარემოებამ გაშმაგებული მადა იმიტომ გამოიწვია, რომ ამისათვის საფუძვლიანი მიზეზი იყო: ეს აღმოჩენა ხელსაყრელ ფსიხოლოგიურსა ან, როგორც ბასტია იტყოდა, პროვიდენციალურ მომენტში მოხდა.

რაც შეეხება მერკანტილისტებს, მათ შესახებ უნდა ითქვას, რომ ისინი თუმცა ფარა-ფულს სათანადო მნიშვნელობას აწერდენ, მაგრამ მას სიმდიდრესთან ან კაპიტალთან არ რევდენ და ხალხის სავაჭრო პოლიტიკის მიზანს რაც შეიძლება მეტი ფულის მოგროვებაში სულაც არ ხედავდენ. მათ მიზანს ნაციონალური ინდუსტრიის შექმნა შეადგენდა. ამ მხრივ ისინი იმ სახელმწიფო მოღვაწეებთან თანამშრომლობდენ, ვინაც ის თანამედროვე სახელმწიფოები შექმნეს, რომელთა შესახებაც ჩვენ ესეს არის ვლაპარაკობდით, და ისინი იმ ეკონომისტების წინამორბედი იყვენ, რომელთაც ახლა ეკონომისტ-ნაციონალისტებს უწოდებენ. ქებათა-ქებას ისინი მარტო აღმკრძალველსა და ნების დამრთველს სადამოჟნო გადასახადებს არ ასხამდენ. მათ დააარსეს პირველი ნაციონალური მანუფაკტურები და განსაკუთრებით ცდილობდენ კარგი მუშების მომხრობას, რომელთაც ისინი ისე ძვირათ აფასებდენ, როგორც ოქროს.

მიუხედავათ ამისა, მართალია, რომ ისინი საზღვარგარეთელი კონკურენციის ასაცილებლათ და ნაციონალური ინდუსტრიის გასავითარებლათ სადამოჟნო გადასახადებს მიმართავდენ ხოლმე: ამ გადასახადებმა მაშინ თავისი ფ ი ს კ ა ლ უ რ ი ხასიათი დაკარგა და მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ხასიათი მიიღო. ინგლისში კრომველი, ხოლო საფრანგეთში კოლბერი პირველი სახელმწიფო მოღვაწენი იყვენ, რომელთაც ყოველმხრივ ჭეშმარიტი პროტექციონისტური ს ი ს ტ ე მ ა შექმნეს. კოლბერის სისტემის ფორმულაში შემდეგი სამი დებულება იყო:

1) სამთარველო გადასახადების დადებით ფაბრიკატების შემოტანისათვის ხელის შეშლა;

2) გადასახადების შემცირებით, პირიქით, ნედლეულობისა და ყველა იმის შემოტანისათვის ხელის შეწყობა, რაიც ფაბრიკებისათვის არის საჭირო;

3) განსაკუთრებით კი, მანუფაკტურების წაქეზებისა ან პრემიების საშვალებით ქვეყნის პროდუკტების გატანისათვის ხელის შეწყობა.

ეს სისტემა კ ო ლ ბ ე რ ტ ი ზ მ ი თ აღინიშნებოდა და ეკონომისტების მოვლენამდი განუსაზღვრელათ ბატონობდა. როგორც ცნობილია, ფიზიოკრატებმა მერკანტილიზმის მთელი მოძღვრება უმოწყალოთ დაანგრიეს; ისინი სულ წინააღმდეგ მიმართულებას დაადგენ, დევიზათ „laisser faire, laisser passer"-ს ისახავდენ და პროტექციონიზმის დასაპირდაპირებლათ ვაჭრობის თავისუფლებისათვის ისეთის ენერგიით იბრძოდენ, როგორითაც ცეხური წყობილების დასაპირდაპირებლათ შრომის თავისუფლებისათვის. მაგრამ საფრანგეთის რევოლიუციამ, რომელმაც შრომის თავისუფლების შესახებ ფიზიოკრატთა მოძღვრებას ბრწყინვალე გამარჯვება მიანიჭა, ვერ განახორციელა მათი მოძღვრება ვაჭრობის თავისუფლების შესახებ.

ამასობაში ინგლისში ადამ სმიტის იდეამ ნაყოფი გამოიღო. მაგრამ ინგლისს პროტექციონიზმის სასარგებლოთ განსაკუთრებითი ზრუნვა არაოდეს არ აღმოუჩენია, მხედველობაში თუ თავის კოლონიებში მონოპოლიური ვაჭრობის დასამყარებლათ ოკეანეს გარეშე ვაჭრობას არ მივიღებთ. სახელგანთქმული ხელშეკრულებანი მეტუენისა პორტუგალიასთან 1703 წ. და ედენისა საფრანგეთთან 1786 წ. (იმ მინისტრების სახე-

ლებია, რომელნიც მოლაპარაკებას აწარმოებდენ) ნამდვილათ ახლა ფრიტრედერულათ შეიძლება ჩაითვალოს. და, როგორც თუ ნაპოლეონთან ომი შეწყდა, სამრეწველო პროდუქტებზე გადასახადების შემცირებაც დაიწყო. ინგლისის მთავრობა მიუკარებელი იყო პურის შემოტანის შესახებ მოლაპარაკებაში, და ეს იმიტომ, რომ ამის წინააღმდეგი იყო ინგლისის არისტოკრატია, რომლისგანაც ადგენენ ხოლმე ლორდთა პალატას. სწორეთ პურზე მფარველობითი გადასახადების (Corn Laws) წინააღმდეგ დაიწყო კობდენმა 1838 წ. მანჩესტერში თავისი შესანიშნავი კომპანია, რომელმაც პროტექციონისტური სისტემა დაამარცხა. მართლაც, ინგლისელ ლორდთა როლი ძალზე საზიზღარი იყო, როცა ისინი, მოტაცების უფლებით, თითქმის მთელი საკოროლო მიწის მფლობელი იყვნენ და ინგლისში უცხო ქვეყნის პურს არ უშვებდენ, რომ თავისი საკუთარი პური უფრო ძვირათ გაეყიდათ, და მცხოვრებთა მოთხოვნილების ზრდით სარგებლობდენ იმისათვის, რომ სულ უფროდაუფრო მეტი რენტა მიეღოთ! ლორდთა პალატის საქციელი, მაშასადამე, იმდენათ არაზნეობრივი იყო, რომ მას არ შეეძლო გამკლავებოდა ლიგისაგან მოხდენილს მრისხანე მოძრაობას, და 1846 წ., როცა მინისტრი სერი რობერტი პილი აშკარათ თავისუფალი ვაჭრობის მომხრე შეიქნა, იგი იძულებული გახდა დაეთმო. პურზე გადასახადების მოსპობასთან ერთად პროტექციონიზმის მთელი შენობაც დაინგრა (კრომველის სახელგანთქმულ „სანავიგაციო აქტამდი“, რომელსაც ზღვაზე ინგლისის ძლიერებას მიაწერდენ ხოლმე).

საფრანგეთში, სრულებით სხვანაირ სოციალურ პირობებში, დამარცხდა ის ლიგა, რომელიც 1846 წელს, მზგავსათ ინგლისის ლიგისა, ბასტიის მიერ დაარსდა. მაგრამ იმპერატორმა ნაპოლეონ მე-III, რომლის პოლიტიკაც ინგლისთან კავშირზე ემყარებოდა, ხოლო მიდრეკილება საკმაოთ დემოკრატიული ხასიათისა იყო, ისარგებლა მისდამი კონსტიტუციით მინიჭებულის ძალა-უფლებით და პალატის დაუკითხავათ ინგლისთან სავაჭრო ხელშეკრულობა დასდვა. ეს შესანიშნავი ხელშეკრულობა 1860 წლისა, რომელსაც საფრანგეთი საკმაოთ უსიამოვნოთ დაემორჩილა, სამაგალითო შეიქნა მთელი ევროპისათვის და მას შემდეგ მალე დაიდვა ასეთივე ხელშეკრულობა ევროპის ყველა სახელმწიფოს შორის, ასე რომ ყველგან განმტკიცდა აზრი, რომ საუკუნოებრივს პროდუქციონიზმის რეჟიმს ბოლო მოეღო და თავისუფალი ვაჭრობის ხანა დაიწყო.

მაგრამ თავისუფალი ვაჭრობის ბატონობა ხანგრძლივი არ გამოდგა. უწინარეს ყოვლისა, შეერთებული შტატები ამ ფრიტრედერული მოძრაობის გარეშე დარჩენ. ეს შტატები ყოველთვის მომხრე იყვნენ პროტექციონიზმისა და ამას იცავდენ ისინი როგორც პრაქტიკულათ, ისე თეორიულათაც: ამ შტატებში განვითარდა პროტექციონიზმის ორივე თეორეტიკოსი—კერი და ლისტი, თუმცა უკანასკნელი გერმანელი იყო. შეერთებული შტატები, შესაძლოა ითქვას, დაბადებიდანვე პროტექციონისტური იყვნენ, ვინაიდან, მეტროპოლიის საწინააღმდეგოთ მათი გალაშქრების მთავარ მიზანს ის გარემოება წარმოადგენდა, რომ მეტროპოლია მათ თითქმის ნალების გაკეთების ნებასაც არ აძლევდა, და სავსებით ბუნებრივი იყო, რომ მათს უმთავრეს საზრუნავს ინდუსტრიალური ავტონომიის მოპოება შეადგენდა. მაგრამ სათავეში ძლიერ ზომიერი სამფარველო გადასახადები დღითი-დღე იზრდებოდა, და ყოველთვის რაიმე ახალი მოტივის მოყვანით. პირველათ ეს გადასახადები ახლათ ასაღორძინებელი ინდუსტრიის სამფარველოთ უნდოდათ,—ეგ ლისტის სისტემით; მერე, 1866 წლის შემდეგ, დამოუკიდებლობისათვის წარმოებული ომის ხარჯთა დასაფარავათ; შემდეგში ეს მიზეზი მოიხსნა, რადგან ვალის უმეტესი ნაწილი გადასდილი იყო, და შეერთებულმა შტატებმა არც კი იცოდენ, თუ რა უნდა ექნათ იმ ფულებისათვის, რომელსაც საბაჟო გადასახადების სახით ღებულობდენ, ასე რომ, ეს ფულები რომ გამოეყენებიათ, ე. წ. ომის ინვალიდებს პენსიათ მილიარდი დაურიგეს, ხოლო საბაჟო გადასახადების ასაკრებათ ახალი მიზეზი გამოსძებნეს,—ევროპაში არსებულის ახალი ფასებისა და დაბალი ხელფასის საწინააღმდეგოთ ამერიკაში მაღალი-ფასებისა და ხელფასის დამცველებათ გამოვიდენ. აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ შეერთებული შტატები 49 სახელმწიფოს კავშირს შეადგენს, რომელთაგანაც ზოგიერთი სიდიდით საფრანგეთს შეედრება, და ყვე-

ლა ამ სახელმწიფოს შორის ვაჭრობის აბსოლუტური თავისუფლება არსებობს; დაახლოებით იგივე გამოვიდოდა, ევროპის ყველა სახელმწიფო საბაჟო კავშირში რომ გაერთიანებულიყო და ამერიკის პროდუქტების საწინაალმდეგოთ კედლები აეგოთ.

1872 წელს, ფრანგთა და პრუსიის ომის შემდეგ, ტიერის მართველობის დროს საფრანგეთმა შეერთებული შტატების მაგალითის გადმოღებისა და უცხოეთის პროდუქტებზე ახალი გადასახადების სიმძიმის მოხვევის ცდა დაიწყო, რომელიც იძულებული შეიქნა შემოეღო კონტრიბუციის გადასახდელათ, მაგრამ ეს ცდა ვერ ასრულდა, რადგან მაშინ არსებული ხელშეკრულობა კიდევ ძალაში იყო. 1879 წ., თავადი ბისმარკის ინიციატივით, პროტექციონისტურ პოლიტიკას პირველათ გერმანია დაუბრუნდა.

ვაჭრობის საქმეში გერმანია მეტათ ოპორტუნისტულ პოლიტიკას ადგა, რომელიც მისთვის ფრიად ხელსაყრელი იყო. 1833 წ. გერმანელთა სხვადასხვა სახელმწიფოს საბაჟო კავშირის საშუალებით გერმანია თავის პოლიტიკურ გაერთიანებასამზადებს. როცა თავისუფალი ვაჭრობის დრო დადგა, გერმანიამ ერთბაშათ შეითვისა იგი. მაგრამ, როცა მისი პოლიტიკური გაერთიანება ფაქტათ იქცა, მან დიდ სამრეწველო სახელმწიფოთ გადაქცევის პრეტენზია წამოაყენა და პირდაპირ პროტექციონისტურ გზას დაადგა. ბოლოს, სულ ახლო ხანებში (1892—1894), როცა მან ამ მიზანს ჩქარა მიაწია, გერმანიას თავის ნაწარმოებთა გასასაღებლათ ბაზრის ძებნა მისი ტერიტორიის გარეშე უნდა დაეწყო, და იგი სავაჭრო ხელშეკრულობათა შერეულ სისტემას დაადგა. ეს სისტემა თითქო ახალი საბაჟო კავშირისკენ მიილტვის, რომელიც მთელს ცენტრალურ ევროპას უნდა მოეფინოს.

1892 წ. საფრანგეთმა უკვე ვადაგათავებული იმპერიის დროინდელი ხელშეკრულობები განაახლა. იგიც პროტექციონისტურ გზას დაადგა და მას შემდეგ თავის მოძრაობას ამ მიმართულებით სულ უფროდაუფრო აჩქარებს,—1910 წ: საბაჟო ტარიფები კიდევ გადიდებულიქნა.

დასასრულ, არცაა ისეთი ქვეყანა,—ინგლისის გამოუკლებლათაც, რომელიც კლასიკური ქვეყანაა თავისუფალი ვაჭრობისა,—სადაც ვაჭრობის თავისუფლების რეჟიმს ჟანაობა არ დაეწყოს. ინგლისში ნეო-პროტექციონიზმი, უწინარეს ყოვლისა, წარმოდგენილია იმპერიალიზმის ფორმით, ე. ი. უმთავრესათ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ცდილობს—დიდი ბრიტანეთის ყველა ხალხი ურთიერთ შორის გადახლართული ინტერესების ნიადაგზე შეაკავშიროს. ამისათვის აუცილებელია, რომ კოლონიებმა, რომელთა უმრავლესობაც მეტად პროტექციონისტურ გზას ადგია, ურთიერთ შორის შეთანხმებს მოახდინონ მეტროპოლიიდან შემოსატან საქონლებზე ნაკლები ბაჟების დადების შესახებ, და, პირიქით, ინგლისმა თავისი კოლონიების პროდუქტები კვლავ თავისუფლათ შემოუშვას, რაიც საზღვარგარეთელ პროდუქტებზე ბაჟების დაწესებას გულისხმობს, მაგრამ ზოგიერთი სხვა მიზეზი იმპერიალისტურ პრეტენზიებზე უფრო მეტათ აიძულებს ინგლისს, როგორც სხვა ქვეყნებსაც, პროტექციონისტური გზით სიარულს; მათ შორის აღვნიშნავთ სამხედრო ხარჯებისა და სოციალური სოლიდარობისა ანუ სიბერის დროისათვის მუშათა დაზღვევის ხარჯთა დასაფარავი წყაროს უზრუნველყოფის აუცილებელ საჭიროებას. ინგლისმა საქონლების დაბაჟევაზე ხელი რომ აიღოს, მაშინ იგი იძულებული გახდება გადასახადების მოთხოვნილებით მდიდრებს მიმართოს, ლორდებს,—ასეთია პროგრამა ლიბერალური პარტიებისა; და სავსებით ბუნებრივია, რომ მდიდარი მემამულენი პროტექციონიზმს არჩევენ, ხოლო მუშათა კლასის მისამხრობათ პროტექციონიზმს უმუშავრობის საწინაალმდეგო საშვალების სახეს აძლევენ.

ამნაირათ, ამჟამათ ევროპაში, გარდა ინგლისისა, მხოლოდ რამდენიმე პატარა სახელმწიფო—ჰოლანდია, ნორვეგია, დანია—იცავს free trade-ს (თავისუფალ ვაჭრობას), ვინაიდან მათი ტერიტორია იმდენათ ვიწროა, რომ მათ თვითმყოფადობა და დამოუკიდებლობა არ ძალუძთ; მთელს დანარჩენ ევროპაში, შვეიცარიაშიც კი, საბაჟო ზღუდეებია აღმართული, და სავაჭრო ხელშეკრულობათა ადგილი სატარიფო ომსა აქვს დაკავებული.

არსებობს, უეჭველია, საერთო მიზეზები ასეთი უეცრათ მოვლენილისა და შე-

უდროეკლათ მოზარდი პროტექციონიზმის ეპიდემიისა, მაგრამ მათი აღმოჩენა ან-და, უკიდურეს შემთხვევაში, აღნიშნვა არც ისე ადვილია. არის, რა თქმა უნდა, მათსა და XVI ს. მერკანტილიზმის შემქმნელ მიზეზთა შორის ზოგადი მზგავსებანი,—ნაციონალისტურ ტენდენციათა გაბატონება. ნაციონალისტურმა პრინციპმა მე-XIX ს. მეორე ნახევარში ორი დიდი სახელმწიფო შექმნა და ასეთი პრინციპით ბევრი სხვა სახელმწიფოც გაიმსჭვალა. ყოველი ქვეყანა, რომელსაც რამდენათმე მაინც ფართო ტერიტორია გააჩნია, თვითმყოფადობასა და დამოუკიდებლობაში თავისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის პირობას ხედავს. მეორე მხრით, პროტექციონიზმსავით გადამდები არაფერი მოიპოება, ვინაიდან როგორც კი რომელიმე მხარე მას მიიღებს, სხვები მისგან მაგალითს მყისვე გადიღებენ, რათა მისი მონა-მორჩილები არ გახდენ. მიუმატეთ ამას, დასასრულ, ისიც, რომ თავისუფალი ვაჭრობისადმი რწმენა იმდენათ შებღალულია მას შემდეგ, რაც შეერთებულმა შტატებმა და გერმანიამ ცოცხალი მაგალითებით დაამტკიცეს, რომ ქვეყანაში მრეწველობის აყვავებისა და გაბატონების გამოწვევა პროტექციონიზმსაც შეუძლია. როცა მაკ-კინლეის ტარიფი გამოიცა, ერთმა ინგლისელმა ეკონომისტმა სთქვა: „თუ კი ამ ტარიფს წილათ გამარჯვება ხვდა, მაშინ ჩვენი ეკონომიური პოლიტიკა კოლოსალურ შეცდომაზე იქნება დამყარებული და ეს შეცდომა ყველა ჩვენს ნაციას დაღუპვამდი მიიყვანსო“. შეერთებული შტატებისათვის ამ ტარიფს, მართლაც, ბრწყინვალე შედეგი მოყვა. როგორ უნდა შევიკავოთ თავი ერთნაირი სკეპტიციზმისგან და არ გამოარკვიოთ, პროტექციონიზმი ან თავისუფალი ვაჭრობა მართლა ერთნაირ სიკეთეს ან ბოროტებას იძლევიან, როგორც ამას მისი მომხრენი და მოწინააღმდეგენი ამტკიცებენ? ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამა თუ იმ ქვეყნის სამრეწველო აყვავება ზოგიერთ სხვა მიზეზზეა დამოკიდებული, რომ საბაჟო სისტემა ამ მიზეზთა ერთი უსუსტესთაგანია და რომ მისი მნიშვნელობა ზედმიწევნით გაზვიადებულია.

მეორე მხრით, ჩვენს დროში კლასიკური შკოლის საწინააღმდეგოთ დაწყებულმა რეაქციამ, თუმცა იგი საგანგებოთ პროტექციონიზმის საკითხს არ შეეხებოდა, აბსოლუტური პრინციპებისადმი რწმენის შერყევას ხელი შეუწყო, და ახლა ისტორიული ან რეალისტური შკოლის მიმდევარი ეკონომისტები ამბობენ, რომ ყოველი ქვეყნის კომერციული რეჟიმი მისი ეკონომიური მდგომარეობის განსაკუთრებულ პირობებს უნდა შეეფარდებოდესო. მიუხედავათ ამისა, ამ დოკტრინაში არა აქვს ადგილი ისეთ აშკარათ გამოხატულს პროტექციონისტურ რეაქციას, რანაირიც სავაჭრო პოლიტიკაში ბატონობს; შესაძლოა კიდეც ითქვას, ეკონომისტთა უმრავლესობა ფრიტრედერულ დოკტრინებს ემხრობა, თუმცა 1741 წ. ლისტმა (გერმანელია) თავის „პოლიტიკური ეკონომიის ნაციონალურ სისტემაში“, ხოლო მერე კერიმ (ამერიკელია) თავის „სოციალური მეცნიერების პრინციპებში“ (1859 წ.) სასტიკათ დაჰგმეს მანჩესტერული სისტემა სწორეთ მისი ზედმიწევნითი განვითარების ეპოქაში. ლისტი პირდაპირი მემკვიდრეა მერკანტილისტებისა იმ მოსაზრებით, რომ მისთვის პროტექციონიზმი მხოლოდ საშვალებას წარმოადგენს ნაციონალური მრეწველობის განსავითარებლათ, რომელიც უნდა მოისპოს, როგორც კი აღნიშნულ მიზანს მიაწევენ.

ყოველ შემთხვევაში, ამ სერიოზული საკითხის შესახებ ისეთი უთანხმოება არსებობს, რომ უკეთესია ჯერ ორივე ეს თეორია ობიექტიურათ და მიუდგომლათ დავახასიათოთ.

**II. პროტექციონისტური თეზისი.** რატომ აყენებს საერთაშორისო ვაჭრობა იმას, რასაც „საკითხი“ ეწოდება? და რატომ არ არის მეორე ისეთი საკითხი, რომელიც ამდენ აღელვებას იწვევდეს, ამდენი საპოლემიკო ტომის დაწერას მოითხოვდეს და ამდენი ზარბაზნის გასროლას ხდიდეს საჭიროთ?

განა ორ ქვეყანას შორის არსებული ვაჭრობა ორ პირს შორის არსებულ ვაჭრობას ყოველმხრივ არ წააგავს? განა იგი, მზგავსათ უკანასკნელისა, გაცვლა-გამოცვლის ჩვეულებრივსა და ნორმალურ სახეს არ წარმოადგენს, და თუ ეს ასეა, მაშინ რისთვისაა საჭირო რაღაც სპეციალური თეორია საერთაშორისო ვაჭრობისა? თუ კი გაცვლა თავისთავათ სიკეთეა, მაშინ რისთვის უნდა იყოს იგი საშიში მხოლოთ იმ შემთხვე-

ვითი გარემოებისა გამო, რომ ერთი მეორისაგან ორი კონტრაგენტი სახელმწიფო საზღვრის ზღუდეებით არიან განცალკევებული?

ასეთია, ნამდვილათ, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შეხედულობა. იგი ვერ ურიგდება და მას არც ესმის, საერთაშორისო ვაჭრობა თუ როგორ ემორჩილება სხვა კანონებს, ვიდრე რომელიმე სხვა ვაჭრობა. მისთვის ეს შესანიშნავი საკითხი არ არსებობს, და იგი ეკონომიურ პრობლემათა რიცხვიდან უნდა გამოირიცხოს. გაცვლა მხოლოდ ფორმაა კოოპერაციისა და შრომის განაწილებისა, რომლის საოცარი შედეგებიც ჩვენ ადრევე განვმარტეთ; მისგან გამომდინარე სარგებლიანობა საურთიერთოა და თანასწორია ორივე მხრისათვის. რა მნიშვნელობა აქვს, ერთ ქვეყანას ეკუთვნის ორივე კონტრაგენტი, თუ ორს სხვადასხვას? თავისუფალი ვაჭრობა მთელი ქვეყნის ყველა ხალხს შორის უკანასკნელი ეტაპი იქნება იმ ევოლიუციისა, რომელიც თანდათანობით შინაური ბაზრიდან ქალაქის ბაზარზე გადადიოდა, ხოლო ქალაქიდან, თავის მხრივ, ნაციონალურზე და, ბოლოს, მსოფლიოზე. და ყველა ის სარგებლიანობა, რომელიც ჩვენ გაცვლა-გამოცვლის შესახებ აღვნიშნეთ, სახელდობ—ნივთებისა და ადამიანების საუკეთესო გამოყენება, მხოლოდ დიდდება იმის მიხედვით, თუ როგორ ფართოვდება გაცვლა-გამოცვლის ასპარეზი.

მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ამ საუცხოო ერთნაირობას არ იზიარებს. იგი არ უარყოფს, რომ თავისუფალი ვაჭრობა, თეორიული შეხედულობით, საუცხოო სისტემაა და რომ იგი კაცობრიობის საერთო კეთილდღეობას უფრო შეეფერება. პროტექციონისტებს თავისი თავი საერთაშორისო ვაჭრობის მოსარჩლეთაც მოაქვთ და ამას ისინი იმ განსაკუთრებული ენერგიით, რომლითაც ამ მოსარჩლობაში ერთი ქვეყანა მეორე ქვეყანას ეჯიბრება, და იმ სხვერპლით ამტკიცებენ, რომელიც მათ საზღვაო ვაჭრობისა და დიდი ბოლაზების განსავითარებლათ მოაქვთ,—თავისთვის მხოლოდ მოგების შენარჩუნებას ცდილობენ. მაგრამ ხალხები და ისინი, ვინც მათ საქმეებს განაგებენ, ჩვეულებრივ მიზნათ კაცობრიობის საერთო ინტერესებს არ ისახვენ; მათ მხოლოდ იმ ქვეყნის კერძო ინტერესები იტაცებს, სადაც ისინი ცხოვრობენ, რაიც მათ ნაკლათ არ უნდა ჩაეთვალოს. ისინი ფიქრობენ, სწორათ თუ არასწორათ,—მთელი საკითხი დიახაც ამაში მდგომარეობს,—რომ განუსაზღვრელი საერთაშორისო ვაჭრობა ამა თუ იმ ქვეყნის მრეწველობას დაღუპვას უქადის, ამცირებს ან-და მთლათ სპობს მის საწარმოო ძალებს და არაპირადაპირი გზით ნაციონალური არსებობის მთლიანობაზე გავლენას ახდენს. მათის აზრით, საერთაშორისო ვაჭრობას ორივე ქვეყნისათვის საურთიერთო და თანასწორი სარგებლიანობა არ მოაქვს, არამედ ხშირათ ერთ მათგანს ანადგურებს, ხოლო მეორეს ამდიდრებს, და არსებითად საქმე მხოლოდ იმას შეეხება, რომ ერთი ქვეყნის წინაშე მეორე ქვეყანას მთლათ დამორჩილებულის როლის ასრულება არ მოუწიოს!

პროტექციონისტები სრულებით არ იზიარებენ ვაჭრობაზე იმ შეხედულებას, რომელიც მას შრომის განაწილებისა და კ ო ო პ ე რ ა ც ი ი ს ერთ ფორმათ აღიარებს; ვაჭრობას ისინი ისე უყურებენ, როგორც ომს, როგორც ნაციათა შორის არსებულს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა თ ვ ი ს ბ რ ძ ო ლ ი ს ერთ ფორმას. და, მსგავსათ იმისა, როგორც მთელი სამხედრო ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ მტრის ტერიტორიაზე შეიჭრას და იგი დაიკაოს, ხოლო მოწინააღმდეგეს ნება არ მისცეს იგივე მოიმოქმედოს, მის ტერიტორიაზე გადმოიჭრას და იგი დაიკაოს, საერთაშორისო ვაჭრობაშიც მთელი ტაქტიკა, მათის აზრით, იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ ჩვენი პროდუქტებით სხვა ქვეყნის ტერიტორია გავავსოთ, ხოლო ჩვენს ტერიტორიას მათი პროდუქტები არ გავაკაროთ. მთელი ყურადღება იმაზეა მიქცეული, რომ მაგარი ნაციონალური მრეწველობა შეიქმნას, რათა შესაძლო გახდეს საზღვარგარეთელი ინდუსტრიის პროდუქტებისგან გათავისუფლება და თითქმის თავის საკუთარ ტერიტორიაზედაც მისთვის თამამათ ბრძოლის გაწევა. ასეთია პროტექციონიზმის სულისკვეთება, რომელსაც იგი აგერ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ემსახურება და რომლის განხორციელებასაც იგი ფრიად რთული ტაქტიკის საშვალებით ცდილობს.

აი როგორია მოკლეთ მისი არგუმენტაცია:

1) რა კი ჩვენს დროში საერთაშორისო ვაჭრობას არსებობისათვის ბრძოლის ხასიათი აქვს მიღებული, ამიტომ მას შეუძლია ისეთი სამწუხარო შედეგი გამოიღოს, რანაირიც ყოველ კონკურენციას, მათ შორის კერძო პირთა შორის არსებულსაც, უწევია, სახელდობ —ს უ ს ტ თ ა გ ა თ ე ლ ვ ა. მაგ., შეერთებულ შტატებს, თავისი სამიწისმოქმედო მეურნეობის სიფართოვისა, იმ ზოგიერთი ოლქის ნაყოფიერობისა, რომელიც ჯაპოხიერებას არ მოითხოვს, მიწის იაფობისა და ზომიერი გადასახადების მეოხებით, პურის მოყვანა გაცილებით უკეთეს პირობებში შეუძლია, ვიდრე ჩვენი ევროპის ქვეყნებს. რა უნდა ქნას საფრანგეთის მიწისმომქმედებმა, თუ რომ ამერიკული პურის შემოტანა მათ საკუთარი პურის მოყვანის საშვალებას მოუსპობს? ხელი მოკიდონ ღვინის დაყენებასო!—გვეტყვიან ზოგიერთები, მაგრამ ესპანიასა და იტალიას თავისი ჰაერის მეოხებით გაცილებით უკეთესი ღვინის დაყენება შეუძლია, და ეს ღვინო ფრანგულ ღვინოზე უფრო ნაკლებათ დაჯდება, რადგან იქ მუშა-ხელი იაფია. საფრანგეთი აგრეთვე ჩინეთზე უფრო დაბლა დგას აბრეშუმის მხრივ, ავსტრალიაზე—მატყლის მხრივ, არგენტინის რესპუბლიკაზე უფრო დაბლა—ხორცის მხრივ... როგორ უნდა მოიქცეს მაშინ? ნუ-თუ ყველა ჩვენი მიწისმომქმედი, რომელიც საფრანგეთის მცხოვრებთა ნახევარს შეადგენს, იძულებული გახდება თავისი მიწა მიატოვოს და ქალაქში გადასახლდეს? მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, ასეთ გადანაცვლებასთან ერთად, როგორი უბედურება მოეხვეოდა თავს ჩვენს ქვეყანას, არა თუ ეკონომიური შეხედულებით, არამედ საზოგადოებრივი ჯანმთელობისა, ზნეობრიობისა, პოლიტიკური მდგომარეობის სიმტკიცისა, სამხედრო ძალებისა და ჩვენი ქვეყნის მთელი მომავლის მხრივაც! მერე ვინ იქნება თავმდები იმისა, რომ სოფლიდან განდევნილი მცხოვრებლები ქალაქებში შრომას უფრო სასარგებლოთ გამოიყენებენ? განა იმის დათანხმებაც არ შეიძლება, რომ თავის მხრივ სამანუფაკტურო მრეწველობაც დაიმსხვრევა საზღვარგარეთიდან შემოტანის გავლენით? თუ კი ესა თუ ის ქვეყანა, თავისდა-საუბედუროთ, სხვა ქვეყნებზე უფრო დაბლა დგას წარმოების ყველა დარგში, მაშინ მას ყველა მის მიერ დაკავებული პოზიციიდან თანდათან აძევებენ და მისთვის მხოლოდ ერთიღა გამოსავალი იქნება დარჩენილი: თავის მცხოვრებთა გადაყვანა და დარჩენილი კაპიტალების გადატანა სწორეთ იმ ქვეყნებში, რომელიც მას მეტოქეობას ჩინებულათ უწევენ, რომ იქ მაინც ისარგებლონ იმ პირობებით, რომელიც ამ ქვეყნების უპირატესობას უზრუნველყოფს.[61]) თუ რომ საფრანგეთს მეტათ არ ძალუძს ამერიკის კონკურენციის ატანა, მაშინ დე გადასახლდეს იგი ამერიკაში! ასეთი უნდა იყოს ლოღიკური დასკვნა იმ სისტემისა, რომელიც მხოლოდ საერთაშორისო ვაჭრობაში ხედავს საუკეთესო საშვალებას მიწისა და მასზე დასახლებულ ადამიანთაგან რაც შეიძლება მეტი სარგებლიანობის მისაღებათ, და ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ ადამიანები ნაციებათ დაყოფილი არიან, რომ ყოველ ნაციას უნდა და სრული უფლებაც აქვს იცხოვროს, იარსებოს.

როცა საქმე მხოლოდ ინდივიდუუმს შეეხება, მაშინ კიდევ გასაგებია, რომ რომელსამე დარწმუნებულ დარვინისტს შეუძლია მათი ინტერესები ჯიშის საერთო ინტერესებს ანაცვალოს, მაგრამ შეუძლებელია, რომ საკაცობრიო საქმისათვის ამა თუ იმ ქვეყანამ თავის გათელვაზე ხელი მოაწეროს. ეს უაზრობაც იქნებოდა იმიტომ, რომ აქ არსებითად საკითხი მხოლოდ ეკონომიურსა და სავაჭრო უპირატესობას შეეხება, ხოლო ყოველ ხალხს, გარდა საეკონომიო სიკეთეთა უბრალო მწარმოებლის როლისა, ამ ქვეყნათ კიდევ სხვა მნიშვნელოვანი დანიშნულებაცა აქვს. განა რომელიმე ახალი საბერძნეთი საშიშარ მდგომარეობაში უნდა ჩავაყენოთ, რათა იგი ნაციათა სიიდან მხოლოდ იმიტომ ამოიშალოს, რომ მისი უნაყოფო ზეინიადაგი მას საშვალებას არ აძლევს ისე იაფათ აწარმოოს იგი, როგორც მისი მეტოქე აწარმოებს?

საზღვარგარეთელი კონკურენციის მოსასპობათ თუ ასე შორს წასვლა საშიში არაა, მაშინ მეტოქე ქვეყნები თანასწორ პირობებში მაინც უნდა იქნენ ჩაყენებული. თუ რომ რომელიმე ქვეყანას, რომელსაც—ბუნებრივი რესურსების მეოხებით, მაგ., ოქროს და რკინის მაღაროებისა ან-და ჯერ კიდევ სრულებით წელუხლებელი ზეინიადაგისა ან-და იმის გამო, რომ მის ბიუჯეტს წარსული დროის შედეგები არ ამძიმებს,— ჩვენი მრეწველების ფასებზე 10%-ით უფრო ნაკლებ ფასათ წარმოება შეუძლია, მაშინ

სამართლიანი იქნება თანასწორობის აღსადგენათ შემოტანაზე 10%-ნი *ამანაზღაურებელი* ბაჟი დაადვან, როგორც მარულაზე მჩატე ჟოკეებს სათანადო სიმძიმეს უმატებენ ხოლმე.

2) იმაზედაც დავთანხმდეთ, რომ ამ საერთაშორისო ბრძოლაში არც ერთი ქვეყანა არ დაიღუპება, და რომ ყოველი ქვეყანა ხელს წარმოების რაიმე ისეთ დარგს მოკიდებს, სადაც იგი თავისი უაღრესობის შენარჩუნებას შესძლებს და სადაც ყველა თავის საწარმოო ძალას გამოიყენებს,—განა ასეთი შედეგები შესაძლოა სასურველი იყოს?—ფრიტრედერული შკოლა ამაზე დამტკიცებით უპასუხებს, რადგან იგი აქ შრომის განაწილების კანონის ფართო გამოყენებას ხედავს; მისი სურვილია ქვეყანას ისე უყუროს, როგორც ვეებერთელა სახელოსნოს, სადაც ყოველი ხალხი მხოლოდ რაიმე ერთს ნივთს აკეთებს, სახელდობ—ისეთს, რომლის გაკეთებაც მას საუკეთესოთ შეუძლია და სადაც, მაშასადამე, ჩვენი პლანეტისა და მთელი კაცობრიობის საწარმოო ძალები საუკეთესოთ გამოყენებული იქნება. საფრანგეთი ხელს მიჰყოფს ნაზი ღვინის დაყენებას, შლაპებისა და აბრეშუმის ნივთების წარმოებას, ინგლისი—მანქანებისა და ბუმაზიის ფართლების წარმოებას, ჩინეთი—ჩაის წარმოებას, ავსტრალია—მატყლისას, რუსეთი—პურისას, შვეიცარია—ყველისა და საათებისას, საბერძნეთი—ქიშმიშისას და სხ.

მაგრამ აქ ნაციონალური ინტერესი სავსებით ეწირება რაღაც, თითქო საერთოს, ინტერესს, რაღაც აბსტაქციას არსებითად. ასეთი იდეალი რომ განხორციელდეს, შედეგათ მას ყველა ქვეყნისა, და მაშასადამე, მთელი კაცობრიობის გადაგვარება მოყვება, რომლის წარმოდგენაც მის შემადგენელ ნაციათა გარეშე შეუძლებელია. თუ რომ მართლაც, კერძო პირთა შესახებაც აღსარებულია, რომ ერთსა და იმავე სამუშაოზე სპეციალიზაცია დამღუპველ გავლენას ახდენს მათს ფიზიკურსა, ინტელექტუალურსა და მორალურ განვითარებაზე, მაშინ რა-ღა უნდა ითქვას მთელ ნაციაზე! შეუკავშირებელსა და ამორფიულ მასას დაემზგავსება ის ქვეყანა, სადაც ყველა ადამიანი ერთსა და იმავე ხელობას ეწევა. ბიოლოგია გვასწავლის, რომ ორგანიული არსების განვითარება და ის ადგილი, რომელიც მას ცოცხალ არსებათა შორის უკავია, მისი ფუნქციის სხვადასხვაობასა და მრავლობაზე და ამ ფუნქციების ამსრულებელ ორგანოთა დიფერენციაზეა დამოკიდებულიო. იგივე ითქმის ხალხის შესახებაც: თუ კი მას ინტენსიურისა და მდიდარი ცხოვრების საფეხურზე ასვლა სწადია, მაშინ იგი უნდა ეცადოს *განავითაროს თავის წრეში სოციალური მოღვაწეობის ყველა ფორმა*, მთელი თავისი ენერგია გამოიყენოს და, მაშასადამე, თვალყური მიაქციოს იმას, რომ უცხოეთის კონკურენციამ ეს ფორმები ერთი მეორეზე მიყოლებით არ მოსპოს.

3) უცხოეთის პროდუკტების შემოტანას, თუ კი მასთან ერთად შესაფერი გატანაც არ ხდება, ქვეყნის დანგრევა შეუძლია, *რადგან იგი, უწინარეს ყოვლისა, მას ფარა-ფულს წაართმევს, ხოლო შემდეგ დაავალიანებს*. სანამ ქვეყანას ფული აქვს, იგი შემოტანილი საქონლის ღირებულებას ამ ფულით იხდის, ხოლო როცა მას ფული შემოელევა, ვალის აღებას იწყებს, უფრო ხშირათ ისევ იმ ქვეყნიდან, რომელიც მას საქონელს აძლევს. მისი მდგომარეობა ამით კიდევ უარესდება, ვინაიდან შემოტანის ვალს სესხის პროცენტიც ემატება.[62]) ამნაირათ, ქვეყანა თანდათნობით გაკოტრების გზას ადგება. ასე დაემართა, მაგ., პორტუგალიას, ოსმალეთს და სხვა ქვეყნებს.

4) სადამოჟნო გადასახადი საუკეთესო გადასახადს წარმოადგენს, ვინაიდან *მას უცხოეთელი იხდის*. ამიტომ ქვეყანამ მას ხელი უყოყმანოთ უნდა მოკიდოს, ვინაიდან იგი ამ გადასახადით არა თუ თავის მრეწველობას მფარველობას გაუწევს, არამედ ისეთი შემოსავლის წყაროსაც უზრუნველყოფს, რომელიც მის მცხოვრებლებს არაფრათ დაუჯდებათ.[63])

5) დასასრულ, *ნაციონალური უზრუნველყოფის* ინტერესიც საკმაო უნდა იყოს იმისათვის, რომ პროტექციონისტური სისტემა გამართლებულ-იქნას. ჩვენ ვხედავთ, თუ ყოველი ხალხი რამდენ ხარჯსა და სხვერპლს იღებს ციხე-სიმაგრეთა, სამხედრო ფლოტისა და საიარაღო ქარხნების ასაგებათ და გასაძლიერებლათ. მაგრამ

ქვეყნის უზრუნველყოფის წარმოებას ესა თუ ის საიარაღო ქარხანა კი არ წარმოადგენს, არამედ ქვისნახშირი, ურომლისოთაც მატარებლების მოძრაობა შეჩერდება და, მაშასადამე, შეუძლებელი იქნება მობილიზაციის მოხდენა, და რკინისა, ცხენებისა, პურისა, ხორცისა, მაუდისა, ტყავებისა და სხვა ისეთი რამეების გადაზიდვა, რომელიც ომის დროს აუცილებლათ საჭიროა მრავალი ათასი ადამიანის შესანახათ და საარსებოთ. ინგლისი თუ თავის თავს უცხოეთიდან სასურსათო საშვალების ნახევრის შემოტანის ნებას აძლევს,[64]) ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ იგი ყველა დიდ ზღვაზე ბატონობს და კოლოსალურ თანხებს ხარჯავს, რომ ომის დროსაც თავისი უაღრესობა შეინარჩუნოს. მაგრამ თუ როდისმე მან ზღვაზე ბატონობა დაჰკარგა, მაშინ, ყოველ ეჭვს გარეშეა, იგი ზომებს მიიღებს თავისი მიწისმოქმედების გასაფართოებლათ, ამისათვის ხელოვნური საშვალებაც რომ საჭირო შეიქნეს. მხედველობაში თუ თანამედროვე ომის საზღაპრო ფორმებს მივიღებთ, რომელიც თოფს თითქმის ყველა მცხოვრებს აკავებიებს და ნაციის ყველა ეკონომიურ რესურსსა ნთქავს, ჩვენ მრეწველობის ვერც ერთს ისეთ დარგს ვერ დავასახელებთ, რომელიც ნაციონალური თავდაცვისათვის უსარგებლოთ ჩასათვლელი აღმოჩნდება.

**III. ფრიტრედერული თეზისი.** თავისუფალი ვაჭრობის წარმომადგენლები ჩვენ მიერ ამის წინ დახასიათებული არგუმენტების დარღვევიდან იწყებენ.

1) უცხოეთელი კონკურენციის საშიშროების მოსაზრება მძლავრ შთაბეჭდილებას იწვევს. დახეთ, ამბობენ ფრიტრედერები, თუ როგორი ახირებული გარდაქმნა განიცადა ამ მოსაზრებამ და როგორ წინააღმდეგობამდი მივყავართ მასო.

ოდესღაც ამბობდენ: მძლავრთა წინაშე სუსტები უნდა დავიცვათ, მოხუცთა წინაშე—ახალგაზდობაო,—მას მ ფ ა რ ვ ე ლ ო ბ ი თ ი პ რ ო ტ ე ქ ც ი ო ნ ი ზ მ ი ეწოდებოდა. აღნიშნავდენ იმას, რომ ახალმა მრეწველობამ დიდი დაბრკოლება უნდა გადალახოსო. მისი განვითარება და მოღონიერება ადვილი არაა ძველისა და მოღონიერებული მრეწველობის გვერდით, რომელიც საჭირო ბაზრით უკვე უზრუნველყოფილია და რომელსაც, თავისი ნაწარმოების გავრცელების მეოხებით, შრომის განაწილება და სხვილი წარმოების ტეხნიკა უაღრეს წერტილამდი შეუძლია განავითაროს. ბრძოლა მით უფრო ძნელი ხდება, რომ ამ ახალ ქვეყნებში სამუშაო ქირა მეტია და მუშები ნაკლებათ გამოცდილი და დახელოვნებული არიან. ადვილი არაა, როგორც ვიცით, ახალი ხის გაზრდა ძველის გვერდით, ვინაიდან უკანასკნელი ერთობ ნთქავს მზის სხივებს და ნიწის ყველა წვენს და ახალ ხეს საშვალებას არ აძლევს ძირები გამართოს და ტოტები გაშალოს.

ეს მოსაზრება დამარწმუნებლათ მიაჩნიათ და იგი თითქო კიდეც მტკიცდებოდა ახალი ქვეყნების მაგალითებით, მაგ., ინგლისის ახალი კოლონიებით, ავსტრალიითა, კანადითა და სხვა ასეთებით, რომელნიც წმინდა ფრიტრედერული დოკტრინის რძით იკვებებოდენ და, მიუხედავათ ამისა, უყოყმანოთ, თითქო ინსტიკტიურათ, პროტექციონისტურ ზღუდეს მართავდენ მეტროპოლიის საწინააღმდეგოთ.

განსაკუთრებით შეერთებული შტატების მაგალითებზე მიუთითებდენ. განა ამერიკის ინდუსტრია აგრე ჩქარა განვითარდებოდა და გაიზდებოდა, თავიდანვე ინგლისის მანუფაკლურასთან ბრძოლის გაწევა რო მოსვლოდა, და განა მას მძლავრი მეტოქე სათავეშივე არ ჩაახრობდა?

კარგი. მაგრამ ახლა შეერთებულმა შტატებმა ხომ ბრწყინვალეთ გაიარეს ეკონომიური ევოლიუციიის გზა და მთელ მსოფლიოში მანუფაკტურით მძლავრი ქვეყნების ერთერთი პირველი ადგილი დაიკავეს. როცა ისინი მოღონიერდენ და მათი საქმე ჩინებულათ მოეწყო, განა უარყვეს იმ სადამოჟნო ზღუდით სარგებლობა, რომელიც მათ ახალგაზდობაში მფარველობას უწევდა? სრულებითაც არა. შეერთებული შტატები დღესაც პროტექციონისტობას განაგრძობენ, მაგრამ „მფარველობითი პროტექციონიზმის" საფუძვლებს, რომელიც მათ ახლა დამამცირებლათ მიაჩნიათ, დაცინვით უარყოფენ. ახლა ისინი აცხადებენ, რომის ქვეყანა, რომელიც ცივილიზაციის გზაზე დაწინაურებულია, მდიდარია და თავის მუშებს მაღალ ხელფასს აძლევს, ვალდებულია ჩამორჩენილი კულტურისა და დაბალი ხელფასის მქონი სახელმწიფოებისაგან თავი

დაიცვასო. მზგავსათ იმისა, როგორც ევროპა და აზია თავისი ღარიბისა და მშიერის, ყვითელისა და თეთრი ემიგრანტების გამოგზავნით ჩვენი ცივილიზაციის დონესა და და ჩვენს standard of life-ს (ცხოვრების საშვალო დონეს) დაბლა სწევენო—ამბობენ ამერიკელი ეკონომისტები, სწორეთ იმგვარათვე იქცევიან ისინი, როცა მათ ჩვენში იაფფასიანი პროდუქტები შემოაქვთ, და ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ ერთსა და იმავე დროს ჩვენი ცივილიზაცია და მაღალი სამუშაო ხელფასი *ღარიბი მუშების* შემოსევისა და *ღარიბი შრომით ნაწარმოები* საქონლების შემოსევისგანაც დავიცვათო.

ხოლო როცა *ამნაზღაურებელი ბაჟების* საშვალებით საკონკურენციოთ თანასწორი პირობების დამყარებას მოითხოვენ, მაშინ განა იმის ცოდნაც არაა საჭირო, თუ რომელი ქვეყანა იმყოფება უარეს პირობაში და სასწორი ვის მხარეზე იხრება? საფრანგეთში ჩვენ ვამბობთ, რომ ეს კომპენსაცია ჩვენ უნდა მოგვეცეს ამერიკის წინააღმდეგ, რადგან მათ მეტი ბუნებრივი რესურსი გააჩნიათ, ზენიადაგი იქ ჯერ კიდევ გამოფიტული არაა და მათი ბიუჯეტიც ჩვენს ბიუჯეტზე ნაკლებიაო. ამერიკელები კი გვეუბნებიან, კომპენსაცია მათ მიენიჭოს ჩვენს საწინააღმდეგოთ, რადგან დაბალი სამუშაო ხელფასი, უფრო მეტი სამუშაო დრო და ფულის ნაკლები ღირებულება თქვენ საშვალებას გაძლევენ საქონლები ძლიერ დაბალ ფასათ დაამზადოთო.

მაშ, როგორი დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, ვინ არის აქ შემცდარი? ვისთვისაა საჭირო წარმოება? ახალგაზდათათვის მოხუცთა საწინააღმდეგოთ, თუ მოხუცებისთვის ახალგაზდათა საწინააღმდეგოთ? სუსტებისათვის მძლავრთა საწინააღმდეგოთ, თუ მძლავრებისთვის სუსტთა საწინააღმდეგოთ? და ვინ უნდა ჩავთვალოთ სუსტათ ან მძლავრათ? და რა უნდა ვიფიქროთ იმ მოსაზრების შესახებ, რომლითაც ერთნაირათ შეიძლება ვისარგებლოთ ორის ერთიმეორის მოწინააღმდეგე თეზისის დასაცავათ?[65]

უკუვაგდოთ აგრეთვე უსაფუძვლო შიში იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ვაჭრობის მეოხებით შესაძლოა ქვეყანა ოდესმე მცხოვრებთაგან დაიცალოსო. ეგ წმინდა ფანტაზიაა. არ მოიძებნება ბუნებისგან ან ბედისგან იმდენათ განწირული ქვეყანა, რომ იგი წარმოების ყოველ დარგში ყველა სხვა ქვეყანაზე უფრო დაბლა იდგეს. ხოლო, თუ რომ, გარემოებათა საუბედუროთ დატრიალების გამო, ესა თუ ის ქვეყანა უკიდურეს ზომამდი გაღატაკების კარს მიადგება, მაშინ უაზრობა იქნება ფიქრი იმის შესახებ, რომ მისი მდგომარეობის გამობრუნება, ან-და მისი კაპიტალისტებისა და მუშებისთვის სადმე უფრო ბედნიერი ქვეყნის მოძებნაში თითქო ხელის შეშლა საზღვარგარეთიდან საქონლის შემოტანის აკრძალვას შეეძლოს. საბაჟო ზღუდეს ციხის კარების როლის ასრულება არ შეუძლია, და არც სასურველია, რა თქმა უნდა, რომ მან ასეთ საქმეს ხელი მოკიდოს.[66]

ყოველ ქვეყანას, რა გინდ ღარიბიც უნდა იყოს იგი, უსათუოთ შეუძლია თავის მხარეში აღმოაჩინოს რაიმე ისეთი მრეწველობა, რომ მისი პროდუქტები მან უფრო ბედნიერ ქვეყანას გადუცვალოს. მაგრამ, თუ კი შესაძლოც შეუძლებელი გახდება და იგი თავის მხარეში ვერაფერს აღმოაჩენს, ასეთ შემთხვევაშიც პროტექციონისტების თავის მტვრევაც ზედმეტი იქნება, ვინაიდან მაშინ *ყოველგვარი შემოტანა მყისვე შეწყდება*: გადაუხდელობის პერსპექტივა საზღვარგარეთელი პროდუქტების შემოტანას ყოველგვარი აღმკრძალველი გადასახადის უკეთ შეაჩერებს. მართლაც, ჩვენ ვიცით, რომ შემოტანის გადახდა მხოლოდ გატანითაა შესაძლო; როგორ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე ქვეყანა ყველაფერს საზღვარგარეთ ყიდულობდეს და სამაგიეროთ მას არაფერს უგზავნიდეს?—თუ გნებავთ, წარმოვიდგინოთ ისეთი უაზრობა, რომ მას უცხოეთი ყოველ საჭირო საქონელს *მუქთად* აძლევს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მისი მდგომარეობა ხომ უფრო სახარბიელო იქნებოდა, ვიდრე შესაბრალისი, და სრულებით არა ჩანს, თუ როგორ უნდა მოხდეს მისი დაღუპვა.[67]

2) საერთაშორისო ვაჭრობის შედეგათ ქვეყნის დაცემისა და უკიდურესი სპეციალიზაციის შიშიც აგრეთვე ქიმერიულია. ყოველ ქვეყანას უფლება აქვს, რა თქმა უნდა, ყველა თავისი ძალა განავითაროს, რომელიც, შესაძლოა, ფარულ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, არა თუ მიწის მოქმედებაში, არამედ ინდუსტრიაშიც. იგი უნდა ცდი-

ლობდეს თავისი ზენიადაგიდან, თავისი ჰაერიდან და თავისი რასიული ნიჭიდან რაც შეიძლება მეტი სარგებლობის მიღებას. ეს უდაოა. მაგრამ ამ ძალთა გამოსაღვიძებლათ და განსავითარებლათ რომელი პედაგოგიური ზომაა უფრო მისაღები? განა ასეთ საშვალებას საერთაშორისო ვაჭრობა არ წარმოადგენს? საერთაშორისო ვაჭრობა ხომ თავისი დისციპლინის მეოხებით, რომელსაც იგი ხალხისათვის სავალდებულოთ ხდის, რადგან ან უკეთ გაკეთებას იწვევს, ან სხვაფრივ გაკეთებას, აძევებს მას დაკავებული პოზიციიდან, რომ აიძულოს მეორე ადგილას შექმნას თავისთვის ახალი რესურსები. და, მართლაც, განა თავისუფალი ვაჭრობის ქვეყნებში, როგორიცაა, მაგ., ჰოლანდია, ბელგია ან-და ინგლისი, ნაკლებათ სხვადასხვასახოვან მრეწველობას ვხედავთ, ვიდრე პროტექციონისტურ ქვეყნებში? სრულებითაც არა.

3) ცარიელი დამუქრებაა წინასწარმეტყველება ხალხთა დაცემისა ან განადგურების შესახებ, რადგან ისინი მყიდველის მდგომარეობას შეეჩვევიან იმ ხალხთა მიმართ, რომელნიც მათ საქონელს აძლევენო. რა თქმა უნდა, როგორც ხალხთათვის, ისე აგრეთვე კერძო პირთათვისაც მდიდრათ ყოფნა უკეთესია, ვიდრე ღარიბათ, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, რომ მყიდველის მდგომარეობა უსათუოთ უარესია, ვიდრე გამყიდველისა. განა ჩვენ, მომხმარებლები, სოციალურ ურთიერთობაში თავის თავს მოიჯარადრეზედ უფრო დაბლა ვაყენებთ? და ვინ-ღა არის ეს ხალხი, რომელსაც აიპროდუქტები შემოაქვს? განა ეს ის ხალხი არაა, რომელიც სხვებს მისთვის მუშაობას ძულებს,—სასყიდლით, რა თქმა უნდა? მისი მდგომარეობა მის ჩამორჩენასა და, მით უმეტეს, სიღარიბეს სულაც არ ამოწმებს.

რაც შეეხება მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ყოველი შემომტანი ქვეყანა, ბოლოსდაბოლოს, მოვალეთ ხდება, აქ ქვეყანას უმართლოთ ადარებენ იმ მამის განებივრებულ შვილს, რომელიც საქონელს ნისიათ ყიდულობს. საერთაშორისო ვაჭრობა ან ნაღდი ფულით ხდება ან-და, დიდი—დიდი, გადასაპირებელი ვექსილების საშვალებით რამდენიმე თვის დროებით. საერთაშორისო გაცვლა-გამოცვლა ნატურალურ გაცვლა-გამოცვლას წააგავს, ხოლო ეს უკანასკნელი ნისიათ ვაჭრობას სულაც არ ნიშნავს. მართალია, შესაძლოა სესხის აღებას ხალხის დაზარალება მოყვეს—თუმცა ასეთ შემთხვევებში უფრო ხშირათ ხდება, რომ მისი კრედიტორები ზარალდებიან;—მაგრამ ეს მეორე საკითხია, რომელსაც ყიდვასთან საერთო არაფერი აქვს.

4) უსაფუძვლო და უაზროა ზოგადი დებულების სახით იმის მტკიცება, რომ სამფარველო ბაჟებს უცხოეთლები იხდიანო, და რომ ასეთი ბაჟი, პირიქით, სახელმწიფოს ზედმეტ შემოსავალს აძლევს ხალხის შეუწუხებლათო. მართლაც უკეთესი იქნებოდა, რომ ქვეყანას შემოსავლის მიღება მეზობელ სახელმწიფოთა ჯიბიდან შეეძლოს! პროტექციონისტებს ასეთი ჯადოსნური საშვალებაც რომ აღმოჩენოდათ, ისიც კი, ცხადია, ვერც ერთი ქვეყნის იმედს ვერ გაამართლებდა, რადგან ყველა ქვეყანა ამ საშვალების გამოყენებას დაჩქარებით მოისურვებდა, რომ თავისი მეზობლებისათვის თავის სასარგებლოთ ბაჟები დაედვა.

იმ კანონის ძალით, რომელიც გადასახადების შესახებ მოძღვრებაში „მაოტებელი კანონის“ სახელით არის ცნობილი, ყოველი გადასახადი, რომელსაც მწარმოებელი ან ვაჭარი იხდის, ჩვეულებრივ მისი საქონლის ფასს ემატება და ამნაირათ მომხმარებელს კისერზე აწვება. მით უფრო მართალია ეს უცხოელი მწარმოებლის შესახებ.[68])

დავეთანხმოთ იმასაც, რომ ეს მოსაზრება სრულ ძალაში რჩება. წარმოვიდგინოთ, რომ უცხოელები თანხმობას აცხადებენ თავის ანგარიშში მიიღონ სამფარველო ბაჟები. რა მოხდება? ის, რომ უცხოეთის პროდუქტებზე ფასები არ აიწევს; მაშასადამე, მათი კონკურენცია და დამქვემდებარებელი გავლენა შემცირებული არ იქნება და საბოლოო ანგარიშით ნაციონალური ინდუსტრია ამით ვერაფერს გააწყობს: ვერც უცხოეთის პროდუქტების ჩამოშორებას შესძლებს, ვერც მათი ფასების აწევას; ხოლო იმ საყვედურებს, რომელიც ჩვენ ესეს არის გამოვსთქვით სამფარველო ბაჟებ-ის საწინააღმდეგოთ, კიდევ უნდა მიემატოს უკანასკნელი და გადამწყვეტი საყვედური; იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სისტემას *არავითარი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია*.

5) დასასრულ, რაც შეეხება ომის შესახებ მოსაზრებას, რომელმაც ყოველ მომენტში შესაძლოა თავი იჩინოს, და მისთვის მზადების საჭიროებას, აქ შემდეგი საკითხი იბადება: განა თვით პროტექციონიზმი არ ქმნის იმ საშიშროებას, რომლის შესახებაც იგი ჩვენ გვაფრთხილებს? და განა სატარიფო ომი ხალხთა შორის შეიარაღებული შეტაკების აჩრდილს არ წარმოადგენს, ხოლო თავისუფალი ვაჭრობა განა იმ საკეთილდღეო შედეგს არ იწვევს, რომელიც ომის წარმოშობის შესაძლებლობას თითქმის სრულებით სპობს? მონტესკიე სწერდა: „ვაჭრობის ბუნებრივი შედეგია მშვიდობიანობისადმი მისწრაფებაო“ (Esprit des lois, წ. XX, თ. 11).

გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ხალხთა შორის ვაჭრული დამოკიდებულება ომის საწინააღმდეგოთ მართლაც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში ამ დამოკიდებულებას არა ერთხელ შეუშლია ხელი საფრანგეთსა და ინგლისს შორის ომის გაჩაღებისათვის.

თუ კი, მაინც, პროტექციონიზმისთვის სამხედრო აუცილებლობის ხასიათის მიცემა უნდათ, ასეთ შემთხვევაში იგი ისე უნდა მივიღოთ, როგორც წყარო სამხედრო ბიუჯეტის დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი ხარჯებისა, და არა როგორც შემოსავლისა. რომელღაც ამერიკელმა ეკონომისტმა გამოიანგარიშა, რომ ცნობილი სართავი მანქანა მის ქვეყანას ჯავშნოსანზე მეტათ დაჯდომია. აი ეს გულახდილათაა ნათქვამი! დიახ, ასეთი გულახდილობა გაცილებით უკეთესია, და მართალიც არის, რომ სამფარველო ბაჟები და სატარიფო ომი იმდენათ ჯდება, რამდენათაც შეიარაღებული ომი და სამხედრო მოქმედება, რომ ისინი ნაკლებ ხარჯებს არ იწვევენ, მაგრამ შესაძლოა, რომ არა ნაკლებათ იყონ სიჭირო ხალხის არსებობისათვის, რომელსაც დედამიწაზე ადგილი სჭირდება. მაგრამ პროტექციონისტებს ასეთი გულახდილობა არ უყვართ და ისინი მოსალოდნელი მოგების პერსპექტივით გატაცებას არჩევენ.

---

ფრიტრედერები არ კმაყოფილდებიან პროტექციონიზმის უარყოფით მათ მიერვე წამოყენებულის მოსაზრებათა საშუალებით, გადადიან შეტევაზე და მიუთითებენ იმ უხერხულობაზე, რომელსაც სამფარველო ბაჟები ქმნიან.

1) მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს მიხედვით, სამფარველო ბაჟები უსათუოთ ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა ძ ვ ი რ ე ბ ა ს იწვევს, ან-და, უკიდურეს შემთხვევაში, მის გაიაფებას ხელს უშლის. ფართო მოხმარების საგნების უმეტესობა, რომელიც მუშებს აინტერესებს, ფრიტრედერულ ქვეყნებში უფრო იაფია, მაგ., ინგლისში, ვიდრე საფრანგეთსა და გერმანიაში.[69])

შემოტანის ბაჟები ჩვეულებრივ არა თუ მარტო შემოტანილი ფასების აწევას იწვევს, არამედ ყველა მზგავსი ადგილობრივი საგნის გაძვირებასაც, ასე რომ ხალხმა ერთი-ათად უნდა გადაიხადოს ის ბაჟი, რომელსაც სახელმწიფო ღებულობს. წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთს 10 მილიონი ცენტნერი უცხოეთის პური შემოაქვს და თითო ცენტნერში მას 20 ფრანკს ახდევინებენ გადმოტვირთვის მომენტში. ამ საზღვარგარეთელი პურის კონკურენციის მეოხებით ადგილობრივათ ნაწარმოები ორთა შუა რიცხვით 80 მილიონი ცენტნერი პურიც მხოლოდ 20 ფრანკათ იყიდება და სწორეთ ამის შესახებ ჩივიან კიდეც. დავადვათ საზღვარგარეთელ პურს 7 ფრანკიანი შემოსატანი ბაჟი. საბაჟო უწყების საშვალებით სახელმწიფო მიიღებს (თუ ეს ბაჟი შემოტანას არ შეამცირებს) $10 \times 7 = 70$ მილიონ ფრანკს. ახლა დავაკვირდეთ ხალხს: იგი არა თუ მხოლოდ 7 ფრანკით მეტს გადიხდის უცხოეთიდან შემოტანილ პურზე, ე. ი. არა თუ მარტო იმ 70 მილიონს გადიხდის, რომელიც სახელმწიფომ მიიღო, არამედ, ამას გარდა, რადგან საფრანგეთის მწარმოებლები, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევით ისარგებლებენ და პურს იმავე ფასათ გაყიდიან, რა ფასათაც უცხოეთის პური იყიდება, ამიტომ ხალხი იმ პურზეც 7 ფრანკით მეტს გადიხდის, რომელიც საფრანგეთში მოყავთ, ე. ი. $80 \times 7 = 560$ მილიონ ფრანკს. საბოლოოთ სამფარველო გადასახადი სახელმწიფოს სა[illegible]თოდ 70 მილიონს მისცემს, ხოლო 560 მილიონს—ადგილობრივ მწარმოებლებს, მომხმარებლებს კი ეს მფარველობა 630 მილიონათ დაუჯდებათ.

მართალია, თუ კი მოსავალ იან წელში ნაციონალური წარმოება პურისა ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მაშინ სამფარველო ბაჟი არავითარ როლს

არ ასრულებს, ან-და მას მხოლოდ ნაწილობრივ ასრულებს. შესაძლოა აგრეთვე ისეც მოხდეს, რომ სამფარველო ბაჟმა, რომელიც ფასებს ხელოვნურ ხასიათს აძლევს, პურის წარმოების განვითარება გამოიწვიოს, ხოლო ამის შედეგათ ზედმეტი პურის მოყვანა მოხდეს და ფასები დაეცეს, რასაც ადგილი ქონდა საფრანგეთში ღვინის დაყენების საქმეში.

სად უნდა ვეძიოთ ასეთ შემთხვევაში სარგებლიანობა? კარგი იქნება თუ არა, რომ საფრანგეთი, ნაცვლათ უცხოეთის პურისა, თავისი პურით იყოს გავსებული? თავის მხრივ მე ვფიქრობ, რომ შიგ ქვეყანაში ამნაირათ გამოწვეული ზედმეტი წარმოება უარესია იმ ზედმეტ წარმოებაზე, რომელსაც დასაწყისი საზღვარგარეთ ექნება, ვინაიდან მას თავს უფრო ადვილათ გაართმევენ მხოლოდ და მარტო ყიდვაზე უარის გამოცხადებით იმ მომენტში, როცა მოთხოვნილება დაკმაყოფილებული იქნება; მეორე შემთხვევაში კი, ე. ი. მაშინ, როცა საქმე შიგ ქვეყანაში ზედმეტათ ნაწარმოებს შეეხება, ასეთ მომენტში ყიდვაზე უარის გამოცხადება ნაციონალური წარმოების დანგრევას გამოიწვევს.

2) *განაწილების* მიხედვით, სამფარველო ბაჟი უსამართლობას ქმნის, ვინაიდან მისი მიზანია *მიწისმფლობელთათვის მინიმალური შემოსავლის უზრუნველყოფა;*[70]) ეს მით უფრო მიუღებელია, რომ იგი დაქირავებულ მუშათათვის მინიმალური სახელფასო ქირის გარანტიასაც არ იძლევა.

ამნაირათ, გაცილებით უფრო მეტი სარგებლობა მდიდართათვისაა უზრუნველყოფილი, და არა ღარიბებისათვის. სამფარველო ბაჟი უკვე არსებულ უთანასწორობას აძლიერებს: ერთ ცენტნერ პურზე ბაჟათ 7 ფრანკის დადება პურის ფასს 20 ფრანკიდან 27 ფრანკამდი ადიდებს. მიწისმომქმედი, რომელიც საშუალო მიწას მუშაობს და რომელსაც საკმაო რესურსი არ გააჩნია, ერთი ჰექტარიდან მხოლოდ 10 ცენტნერ პურს მიიღებს, და მისი შემოსავალი 70 ფრანკით გადიდდება, რომელიც, შესაძლოა, არც კი იკმარებს მისი ხარჯების დასაფარავათ; ხოლო ის მიწისმომქმედი, რომელიც ნაყოფიერ მიწას მუშაობს ან-და გაუმჯობესებული იარაღებით სარგებლობს, ჰექტარიდან 30 ცენტნერს მიიღებს და (თუმცა, საპატიო მდგომარეობის მიხედვით, მას არავითარი მფარველობა არ ესაჭიროება) ჰექტარზე 210 ფრანკს დამატებითს ჯილდოს მიიღებს!

3) *ნაციონალური წარმოების* მიხედვითაც, რომლის დაცვაც სამფარველო ბაჟების მიზანს შეადგენს, ეს სამფარველო ბაჟები მას უეჭველათ ზიანს მიაყენებენ, *ნედლეულობისა და საწარმოო იარაღების გაძვირებისათვის ხელის შეწყობით.* ამის მეოხებით, მრეწველობის სხვადასხვა დარგს შორის მუდამ თავს იჩენს ძნელათ მოსაშორებელი უთანხმოება. როცა აბრეშუმზე შემოსატანი ბაჟის დადება უნდოდათ, რომ ამგვარათ სევენისა და რონის მიდამოებში პარკის წარმოებისათვის მფარველობა გაეწიათ, ამის საწინააღმდეგოთ ლიონის აბრეშუმის სართავების პატრონებისაგან მკაცრი პროტესტი გაისმა. თუ რომ შალისა, აბრეშუმისა და ბამბის ძაფს შემოსატან ბაჟს დაადებენ. ამით გაანადგურებენ საფეიქრო მრეწველობას, რომელიც ძაფს ნედლეულის სახით ხმარობდა, და სხვ.—მართალია, ამ ზიანის ასაშორებლათ, „დროებითი ხასიათის“ რთული სისტემები გამოიგონეს, მაგრამ ეს მხოლოდ ისეთი პალიატივია, რომელიც სრულებით არაფერს ნიშნავს.

4) *ვაჭრობის* მიხედვით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამფარველო ბაჟი საქონლების შემოტანას ზღუდავს, *იმავე დროს გატანის შეზღუდვასაც იწვევს* და, ამნაირათ, ყველახ ალხის მიერ საერთშორისო მიმოსვლის გასაადვილებლათ მიმართული იმ ღონისძიებათა საწინააღმდეგო უცნაურ წინააღმდეგობათ იქცევა, რომელიც მთების გათხრას, ზღვათა შეერთებას, სუბსიდიებიანი პაკეტბოტებისა და წყალქვეშა სატელეგრაფო ხაზებით ზღვების გადაჭრას, საერთაშორისო გამოფენათა გახსნას, საფულო კონვენციების დადებასა და სხვა ასეთებს წარმოადგენს. განა შესაძლოა იმაზე მეტი სისულელის წარმოდგენა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ადამიანები ას მილიონობით ხარჯებს ეწევიან ალპებში გვირაბის გასაყვანათ ან-და ლამანშზე ხიდის გასადებათ, ხოლო შემდეგ, როცა ამას მოისაქმებენ, ამ გვირაბისა და ხიდის თავებზე საბაჟოებს აგებენ, რომ საქონლები არ გაატარონ ან მათი გატა-

რებისათვის სასყიდელი აილონ! რამდენიმე ასი მილიონი ფრანკი დაახარჯეს სენას რონას, ჟირონდოს, ხოლო არხებს—მილიარდები, და რ ისთვის მერე?.. იმისათვის, რომ რამდენიმე სანტიმით საქონლის გადატანის ხარჯები შეემცირებიათ, რომელიც საზღვარგარეთიდან მოდის,—და იმავე დროს ბაჟების დადებით იმავე საქონლის ფასები 20—30%--ით მაღლა აეწიათ![71])

5) *სამრეწველო პროგრესის* მიხედვით, საბაჟო გადასახადი შემოტანას აგვიანებს, რადგან იგი საზღვარგარეთელი კონკურენციის სტიმულს ან სპობს ან-და ასუსტებს. ერთს თავის სიტყვაში თ-დი ბისმარკი იმ ღლავებს იხსენიებს, რომლებსაც იმ ნაგუბარში უშვებენ, სადაც საზანპალუხი ცხოვრობს, იმისათვის, რომ უკანასკნელს საშვალება არ მიეცეს ბეჩოებში შეჩვევისაო. ეს შედარება სწორეთ აქ არის მოსატანი. თუ კი ჩვენ გვინდა— და სწორეთ ასეთია პროტექციონიზმის მიზანი—რომ ქვეყანამ სხვილი სამრეწველო და სავაჭრო სახელმწიფოს ხასიათი შეინარჩუნოს, ამისათვის აუცილებლათ საჭიროა, რომ იგი თავის იარაღებსა და საწარმოო ტეხნიკას თანდათან აახლებდეს და შეუწყვეტლივ იშორებდეს გაცვეთილსა და დაძველებულ ნანქანებს, მზგავსათ იმისა, თუ როგორ ახლდება გველი კანის გამოცვლით; და რადგან ასეთი ოპერაცია ყოველთვის ფრიად არასასურველია, ამიტომ ძლიერ საეჭვოა, რომ მწარმოებლები ამაზე მალდაუტანებლათ სიამოვნებით დათანხმდენ.

6) დასასრულ, *ფისკალური* შეხედულებითაც, სამფარველო ბაჟი შემოსავალს მხოლოდ დასაწყისში adიდებს, ხოლო, ბოლოს-და-ბოლოს, ეს ბაჟი ამ შემოსავალს *ამცირებს ან-და სპობს მისი წყაროისა*, ე. ი. *შემოტანის მოსპობით*. შეერთებული შტატების პრეზიდენტმა მაკ კინლეიმ თავისი შესანიშნავი საბაჟო ტარიფის წარდგენის დროს კატეგორიულათ გააცხადა შემდეგი: „ამ ტარიფის საგანს ის კი არ შეადგენს, რომ ჩვენი შემოსავალი გადიდდეს, არამედ, პირიქით, რომ იგი შემცირდეს და, ბოლოს-და-ბოლოს, როცა ბაჟები იმ დონეზე დადგება, რომელიც მათი მიზნის მისაწევათ საკმაო იქნება, მოისპოსო“.

პირიქით, როცა ბაჟი სამფარველო ხასიათს არ ატარებს—ასეთია, მაგ., ის ბაჟი, რომელსაც ინგლისი იმ ეკზოტიურ პროდუქტებს adებს, რომლის წარმოებასაც იგი არ ეწევა: თერმონიაზე, ყავაზე, შაქარზე, თუთუნზე და ღვინოზე,—მთავრობის ინტერესი მოითხოვს, ბაჟები იმდენათ შემცირებულ იქნას, რომ ბაჟდადებული საქონლების შემოტანა განვითარდეს, და, რადგან ბაჟების შემოსავალი თვით იმავე ბაჟის რაოდენობაზეა დამოკიდებული (როგორც ეს დაბაჟვის უმეტეს შემთხვევაში ხდება), ამიტომ შესაძლოა, ხაზინას დიდი შემოსავლის წყარო აღმოუჩნდეს.

**IV. სავაჭრო ხელშეკრულობის რეჟიმი.** ჩვენი იდეალი ნაციათა შორის ისეთი დამოკიდებულების დამყარება უნდა იყოს, რანაირიც კერძო პირთა შორის არსებობს. ჩვენ კი გამოვარკვიეთ, რომ ვაჭრობა და კონკურენცია ჯეროვანათ მომხმარებლის ინტერესებს ნაკლებათ ემსახურებიან. პროტექციონისტური პრინციპი ჩვენ იმდენათ უნდა უარვყოთ, რამდენათაც იგი ცხოვრებაში შემდეგ პრინციპს ატარებს: „ყველა თავისათვის, ყველა თავისას“. მაგრამ ჩვენ ფრიად სასურველათ ვერც ვაჭრობის აბსოლუტურ თავისუფლებას ჩავთვლით, „laisser faire, laisser passer“-ს, ვინაიდან ასეთი პრინციპი ანარქისტული კონკურენციის ფორმაა—და მეტი არაფერი.

მაშ, კერძო პირთა შორის არსებულ *კოოპერაციის* რეჟიმს ხალხთა საერთაშორისო დამოკიდებულების რომელი ფორმა უფრო უახლოვდება?—რეჟიმი *სავაჭრო ხელშეკრულობისა*, ურთიერთ შორის ორი ქვეყნის შეთანხმება უბრალო საურთიერთო ვალდებულების სახით, ან-და, კიდევ უკეთესი, ბევრ ქვეყანას შორის დამყარებული სავაჭრო კავშირის ფორმით. მომავალი, ჩვენის აზრით, სავაჭრო ხელშეკრულობას ეკუთვნის. პრაკტიკაშიც დღეს ასეთია ტენდენცია. საერთაშორისო პოლიტიკის მეტათ ბრძნულ იარაღს სავაჭრო ხელშეკრულობა შეადგენს, და ეს იმიტომ არის, რომ მას ზომიერების საფუძვლებზე კერძო უკიდურეს პრეტენზიათა შემათანხმებელი ტენდენცია აქვს, იგი ინტერესთა ურთიერთობას ქმნის და ბოლოს-და-ბოლოს ხელშეკრულობის დამდებ ნაციათა შორის სოლიდარობას ამყარებს.

მართალია, სავაჭრო ხელშეკრულობა წინასწარ საერთო ტარიფისა და სამფარველო ბაჟების არსებობას გულისხმობს, ფარულათ, მაინც, ვინაიდან ყოველი ხელშე-

კრულობა—საურთიერთო სავალდებულო შეთანხმებაა, ხოლო ყოველი შეთანხმება ამა თუ იმ სარგებლიანობის გაცვლა-გამოცვლას ნიშნავს. როგორი სარგებლობის მიწოდება შეუძლია ქვეყანას, რომელსაც შემოტანის ბაჟი სულაც არა აქვს დაწესებული, იმ სარგებლობაზე გასაცვლელათ, რომელსაც იგი თავისთვის მოითხოვს? პირობას დასდებს, რომ თავის კარს დახურავს? მაგრამ ჯერ ხომ თვით კარი უნდა გაკეთდეს თავისი ურდულით! თუ კი „შესავალი თავისუფალია“, მაშინ ხელშეკრულობა უმნიშვნელო იქნება. აი რატომაა, რომ ინგლისს ხელშეკრულობის დადება უძნელდება, და ამისათვის მან რომ ნიადაგი მოამზადოს, იგი ახლა ბაჟების დაწესებას ფიქრობს.

სავაჭრო ხელშეკრულობა შემდეგ უპირატესობას წარმოადგენს:

1) იგი დადგენილი ტარიფის *გამორკვეულობას* გულისხმობს დიდი პერიოდის, ჩვეულებრივ 10 წლის, განმავლობაში, რაც ფრიად მოსერხებულია სავაჭრო ოპერაციებისათვის. მართალია, მეორე მხრივ, იგი ხელშეკრულ ქვეყნებს ბოჭავს და მათ მდგომარეობის მიხედვით ტარიფის გამოცვლის უფლებას ართმევს, მაგრამ ასეთ შებოჭვას უნდა ვუყურებდეთ, როგორც სიკეთეს, და არა როგორც ბოროტებას, ვინაიდან, მისი მეოხებით, მეფაბრიკეებს საშვალება ეძლევათ გამოიანგარიშონ და დაამყარონ თავისი ფასები საკმაოთ დიდი პერიოდისათვის. ჩვენი სავაჭრო რეჟიმის საწინააღმდეგოთ უცხოეთელ, უმთავრესათ, ინგლისელ მეფაბრიკეთა ჩივილი იმაში გამოიხატება, რომ მათ ხვალინდელ დღეზეც იმედის დამყარება არ შეუძლიათ, რადგან ჩვენი მთავრობა უფლებას იტოვებს ბაჟები თავისი შეხედულებით შესცვალოს.

მაგრამ უნდა დავუმატოთ ამას, რომ, პირიქით, სავაჭრო ხელშეკრულობის რეჟიმის საწინააღმდეგოთ საფრანგეთის მწარმოებლებიც იმავე გარემოებას ასახელებენ. მათ არ უნდათ, რომ ისინი შებოჭილი იყონ, და იმის მსურველი არიან, რომ ყოველთვის, როცა კი საჭიროთ დაინახვენ, ბაჟები გაადიდონ. ეს მოვლენაზე განსაკუთრებული შეხედულებაა,—ანტისოციალისტური და იმავე დროს ნაკლებათ პრაქტიკულიც. ეს ისე მართალია, რომ საფრანგეთის მთავრობა, მრეწველთა პროტესტის მიუხედავათ, ზოგიერთ შემთხვევაში იძულებული ხდებოდა ბაჟებისთვის *კონსოლიდარული* ხასიათი მიეცა, რომ სხვა სახელმწიფოსთან ხელშეკრულობის დადება შესძლებოდა, ე. ი. თავის თავზე ტარიფის შეუცვლელობის მოვალეობა მიეღო,—ასე იყო, მაგ., რუსეთთან პურის შესახებ ხელშეკრულობის დადების დროს.

2) იგი (სავაჭრო ხელშეკრულობა) ყველა ქვეყანას შორის სოლიდარობას ამყარებს, ხელშეკრულობის დამდები ორივე ქვეყნის დამოუკიდებლათ, იმ განსაკუთრებულის შენიშვნით, რომელიც ამბობს: „გაბატონებულ მდგომარეობაში ჩაყენებული ნაციის უფლებით“. ეს შენიშვნა ჩვეულებრივ ყველა ხელშეკრულობაში შეაქვთ. ამ ხელშეკრულობის ძალით, *ყოველი დათმობა, რომელსაც ერთი მხარე მეორე მხრის სასარგებლოთ ახდენს, მთელი თავისი ძალით ყველა იმ ქვეყანაზეც ვრცელდება, რომელთანაც მან შეთანხმება მოახდინა.* მაგალითად, 1871 წლის ფრანკფურტის ხელშეკრულობის მე-11 მუხლის ძალით, ყოველი დაკლება ბაჟისა, რომელსაც გერმანია ან-და საფრანგეთი ერთი რომელიმე თავისი მეზობლისთვის მოახდენს,[72]) მთელი თავისი ძალით მეორე ქვეყანაზეც ვრცელდება.

3) იგი *სულ უფრო და უფრო ლიბერალურ* რეჟიმს ამტკიცებს, იმ საურთიერთო დათმობის მეოხებით, რომელსაც ხელშემკვრელი ქვეყნები ერთიმეორეს ხელიდან გლეჯენ შეთანხმების ყოველი განახლების დროს, ხოლო, როგორც გამოცდილება ამტკიცებს, პროტექციონისტური სისტემა, თუ კი იგი ერთხელაც არის განმტკიცდა, გაძლიერებასა და ყველაფერზე მოდებას ცდილობს, რადგან მრეწველობის ყველა დარგი ერთი მეორეზე მოყოლებით თავის წილზე ბაჟის გადიდებას მოითხოვს.[73])

მეორე მხრივ, სავაჭრო ხელშეკრულობა პროტექციონიზმის ზოგიერთი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელ საშვალებასაც იძლევა:

1) ურთიერთობის პრინციპის შემოღებით — რასაც ინგლისელები fair trade-ს (ნებადართული, კანონიერი ვაჭრობა) ეძახიან free trade-ს (თავისუფალი ვაჭრობა) დასაპირდაპირებლათ — სხვაფრივ რომა ვსთქვათ, იმ ქვეყნებისათვის კარების გა-

ხნით, რომელნიც თავის კარებსაც აღებენ, და ამ კარების დაკეტვით იმათთვის, ვინც თავისას კეტავს.

ლიბერალური შკოლის ეკონომისტებს ურთიერთობის პრინციპი თითქმის არც კი აინტერესებს. რა თქმა უნდაო, ამბობენ ისინი, ფრიად სასურველია, რომ კარები ყოველ მხარეს ფართოდ გაღებული ქონდეს, მაგრამ, თუ კი ეს კარები გაღებული არაა ან ნახევრათ გაღებულია რომელიმე ერთი ქვეყნის მიერ, ეს იმის მიზეზს არ წარმოადგენს, რომ ჩვენც მივხუროთ თავისი კარები. უკეთესია მაინც, რომ ერთი კარი ღია იყოს, ვიდრე ორივე დაკეტილი! თუ რომ, მაგალითად, ევროპა ამერიკელ პროდუქტებს ბაჟებს დაადებს, იგი ამით შეერთებულ შტატებს ზარალს მიაყენებს, მაგრამ, მასთან ერთად, იგი ზარალს თავის თავსაც მოუტანს, და ის ზარალი, რომელსაც ჩვენ ჩვენს მეზობელს მივაყენებთ, ჩვენ მიერ მისგან მიღებული ზარალის კომპენსაციათ ვერ ჩაითვლება.

ეს მართალია. რეპრესალიები ან, როგორც ამბობენ, rétorsions-ი, მიუღებელია, როგორც ჩვენდამი მოყენებული ზიანის მოსასპობი საშვალება, მაგრამ მათი გამართლება შესაძლოა, როგორც სამხედრო ზომა, როცა მას იმისთვის ხმარობენ, რომ მტერს ბრძოლის გეზი შეაცვლევინონ. ასეა თუ ისე, მაგრამ სავაჭრო ხელშეკრულობა მიზნათ სწორეთ იმას ისახავს, რომ ეს rétorsions-ი და სამხედრო ტარიფები აიცილონ.

2) მრეწველობის ისეთი დარგების *მოპოებული მდგომარეობის* შენარჩუნებით, რომელთა განადგურებაც ქვეყანაში ფრიად დიდ პერტურბაციებს გამოიწვევდა, ან-და ისეთების, რომლებისთვისაც ხელის შეწყობა სასურველია როგორც პოლიტიკურისა და სოციალურის, ისე ეკონომიური შეხედულებითაც. თუ კი, მაგ., საფრანგეთი აღიარებს სავაჭრო ზღვაოსნობისათვის აუცილებლათ ხელის შეწყობას, ნაციონალური თავდაცვის მოსაზრებით, ხოლო მეღვინობისათვის ხელის შეწყობას, მასში კოლოსალური კაპიტალებისა და იმ დიდძალი თანხის გამო, რომელსაც იგი მუშებს სამუშაო ქირის სახით აძლევს, მაშინ, შესაძლოა, სავაჭრო ხელშეკრულობის რეჟიმმა ასეთი მიზანი კიდეც განახორციელოს.

3) ბაჟების *დიფერენციაციის* დაშვების სახით, ყოველი განკერძოებული ქვეყნისა და მრეწველობის ამა თუ იმ დარგის განსაკუთრებული პირობების მიხედვით, რომლებსაც ცოტათ თუ ბევრათ კონკურენცია ემუქრება,—საერთო საბაჟო ტარიფი კი აუცილებლათ ერთფეროვანია—და შეუძლებელია, რომ მან სხვადასხვანაირი ბაჟი დააწესოს, ყოველი ქვეყნისთვის ანგარიშის გაწევით, ან-და სამხედრო ზომის ხასიათი მიიღოს.

მართალია, ბაჟების ეს დიფერენციაცია ხშირათ ქრება საუკეთესო პირობებში მყოფი ქვეყნის შესახებ თქმულის იმ შენიშვნით, რომელიც ჩვენ ესეს არის დავახასიათეთ, მაგრამ აუცილებლათ კი არა, ვინაიდან ეს შენიშვნა მხოლოდ ერთგვარ პროდუქტებზე გავრცელდება, დიფერენციაციის დროს კი კარგ პირობებში ჩაყენებული პროდუქტი შესაძლოა ისე განიმარტოს, რომ ასეთი პირობა სხვა პროდუქტებზე არ გავრცელდეს; მაგ., სამფარველო პირობა, რომელიც შამპანურისთვისაა დაწესებული, საერთოდ ყველა პერულ ღვინოზე არ ვრცელდება: ამას *სპეციალიზაცია* ეწოდება, და გერმანია მას ხშირათ მიმართავდა, ფრანკფურტის ხელშეკრულობისათვის რომ შემოეარა; ასე რომ ახლა საფრანგეთიც იმნაირივე ზომით იმუქრება, რომელსაც გერმანია ხმარობს.

4) ხელოვნური კონკურენციის წინააღმდეგ წასვლით, რომლის მეოხებითაც უცხოეთლები ჩვენში ზოგიერთი პროდუქტების გავრცელებას ცდილობენ, როცა, მაგ., სახელმწიფო ხაზინა გატანისათვის პრემიას იძლევა, როგორც ამას წინათ ასეთ საქციელს ადგილი ქონდა შაქრის შესახებ, ან-და როცა ტრესტები თავის პროდუქტებს იმ ფასებზე დაბლა ყიდიან, რომელიც მათ თავის სამშობლოში აქვთ დაწესებული, ამას dumping-ი ეწოდება.

რაშია აქ ბოროტება?—შეგვეკითხებიან. იმ პრემიების მეოხებით, რომელსაც სახელმწიფოები თავის შაქრის მექარხნეებს აძლევდენ, ინგლისს შაქარი თითქმის მუქთად ქონდა. საუცხოო გამოგონებაა!—დიახ, მშვენიერებაა, ვინაიდან ინგლისმა შაქრის წარმოებაზე

უარი გააცხადა, მაგრამ ცუდია ის, რომ, ამნაირათ, ამა თუ იმ ქვეყნის ინდუსტრია უცხო ქვეყნების მთავრობათა კეთილგანწყობილებაზეა დამოკიდებული და მათი გადაწყვეტილებიდან დაღუპვას ან ხსნას მოელის. როცა სახელმწიფო—სწორათ ან არა—აღიარებს, რომ აუცილებელი საჭიროა ამა თუ იმ ინდუსტრიას მფარველობა გაეწიოს, მას არ შეუძლია შეიწყნაროს, რომ ეს მფარველობა სამეტოქო პროდუქტებზე ხელოვნურათ ფასების დაწევის საშვალებით უცხოეთლებმა გაანიაონ, რომელთა მიზანსაც დაკეტილ კარებში შემოჭრა შეადგენს.

ასეთია სავაჭრო ხელშეკრულობის რეჟიმის სარგებლიანობა. სამწუხაროთ, საფრანგეთი თავისთვის მაინცა და მაინც ხელსაყრელ პოლიტიკას არ აწარმოებს, ვინაიდან 1892 წ. საბაჟო კანონის გამოცემის შემდეგ მთავრობას მხოლოდ ისეთი სავაჭრო *შეთანხმების* მოხდენა შეუძლია, რომლის გაუქმებაც ყოველ მომენტში შესაძლო იქნება, თუ კი მთავრობა საუმჯობესოთ ჩასთვლის საბაჟო კანონის გამოცვლას,[74] და მას დათმობა მხოლოდ იმ საზღვრებში შეუძლია, რომელსაც ორმაგი—მაქსიმალური და მინიმალური—ტარიფი შეადგენს. ეს პოლიტიკა გამოწვეულია სავაჭრო ხელშეკრულობისადმი აგრარიების შურისძიებით და ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც საფრანგეთის საერთაშორისო ვაჭრობას მის მეტოქეების ვაჭრობასთან შედარებით ძლიერ აფერხებს. მაგრამ თუ კი ინგლისი ბოლოს-და-ბოლოს მთელს თავის უზარმაზარ იმპერიას ერთს საბაჟო კავშირში მოაქცევს, თუ კი შეერთებული შტატებიც, თავის მხრივ, თავის მრავალ პანამერიკულ კონგრესზე არა ერთხელ დამარცხების შემდეგ საბაჟო კავშირის შექმნას შესძლებს, რომელიც ამერიკის ყველა რესპუბლიკაზე გავრცელდება, მაშინ ამ ორის Zollverein-ის საწინააღმდეგოთ, რომელთაგანაც თითოეულს მთელი დედამიწის მესამედი უჭირავს, საჭირო შეიქნება, რა თქმა უნდა, მესამე სავაჭრო კავშირის დაარსება, რომელიც ევროპის კონტინენტის ყველა სახელმწიფოს შეაერთებს.

## თავი VII.

## კრედიტი.

I. **რა სახით წარმოადგენს კრედიტი მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის გაფართოებას?** კრედიტი მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის გაფართოებაა, მაგრამ ისეთი გაცვლა-გამოცვლისა, რომელიც *დროისა, და არა სივრცის* მიხედვით ხდება; სხვანაირათ მისი განმარტება შესაძლოა, როგორც *არსებული სიმდიდრის გაცვლა იმ სიმდიდრეზე, რომელიც მომავალში გაჩნდება.*

მაგ., მე თქვენ ფასათ გაძლევთ მატყლს. მაგრამ თქვენ არაფერი გაგაჩნიათ; სხვაფრივ რომა ვსთქვათ, თქვენ ხელთ არა გაქვთ სიმდიდრე, რომლის მოცემაც თქვენ შეგეძლებოდათ ჩემთვის იმ სიმდიდრეზე გადასაცვლელათ, რომელსაც მე თქვენ გაწვდით. რა უშავს მერე! სამაგიეროთ თქვენ მე მომცემთ მომავალ სიმდიდრეს, რომლის შექმნასაც თქვენ ჩემგან ნაყიდი მატყლისგან ფიქრობთ, ე. ი. ღირებულებას, რაიც იმ მაუდის ღირებულების ეკვივალენტს შეადგენს, რომელსაც დაამზადებთ.

აქ გაცვლის მოვლენა თვალსაჩინოა,—ეს არის გაყიდვა. ჩვეულებრივი ვაჭრობისგან იგი იმით განსხვავდება მხოლოდ, რომ ეს გაყიდვა *ვადით* გადახდის პირობით ხდება, და არა ნაღდ ფულზე. მაგრამ განსხვავებას, რომელიც მცირემნიშვნელოვანათ გვეჩვენება, სერიოზული შედეგები მოყვება. ხელშეკრულობის საქმეში მომავლის ელემენტის შეტანა არც ისე საადვილო საქმეა.

აი კიდევ მეორე სახე კრედიტისა, რომლის დროსაც გადაცვლის აქტის შემჩნევა ადვილი არაა, თუმცა იგი მასში იმალება. ნაცვლათ იმისა, რომ თქვენ პური მოგყიდოთ, მე თქვენ მას *გასესხებთ*, ხოლო ამ სესხს დამიბრუნებთ მომავალი მოსავლიდან. რა თქმა უნდა, მე თქვენ იმავე პურს ვერ დამიბრუნებთ, ვინაიდან მას თქვენ სათესლეთ გამოიყენებთ, არამედ სხვას, რომელსაც თქვენ მოიმკით. რომაელი იურისტები ძლიერ კარგათ ამბობდენ, რომ სესხის დროს ნივთი სრულ საკუთრებათ გადაიცემაო—ამიტომაც ისინი მას mutuum-ს (meum tuum) უწოდებდენ—და იგივე ხდება იმ ნივთის დაბრუნების დროსაც, რომელიც სესხათ გაცემულს ემგზავსებაო. თუ რომ, პუ-

რის ნაცვლათ, ფულს ავიღებთ, რომელიც დღეს სესხის ჩვეულებრივ ობიექტს შეადგენს, მაშინაც მომავლის სიმდიდრეზე ახლანდელი სიმდიდრის გადაცვლის მოვლენა არა ნაკლებათ თვალსაჩინო იქნება.[75])

ეს ორი ოპერაცია—ნისიათ გაყიდვა და სესხი—კრედიტის ორს არსებით ფორმას წარმოადგენს.

ამნაირათ, კრედიტის არსებითი თვისებაა გასესხებულის ან გაყიდული ნივთის მოხმარება და ახალი ნივთის მოლოდინი, რომელმაც იგი უნდა შესცვალოს. სახლის დამქირავებელმა ან იჯარით მიწის გამცემმა უკვე იცის, რომ სახლი ან მიწა უკანვე დაუბრუნდება—და მთელი იმ ხნის განმავლობაში, სანამ მოქირავე მის მამულს სარგებლობს, იგი თავის საკუთრებას თვალს არ აშორებს,—ხოლო ის პირი, რომელიც რაიმე მოსახმარებლათ საჭირო ნივთს ასესხებს, ამ პირობას მოკლებულია და, პირიქით, დარწმუნებულიცაა, რომ იგი თავის ნივთს სამუდამოთ გამოემშვიდობა; მან იცის, რომ მისი ნივთი მოისპობა, ვინაიდან ასეთია მისი დანიშნულება. გასესხებული მარცვალი უნდა დაიფქვას, ფქვილათ იქცეს, ან-და დაითესოს, რომ მან ახალი ნაყოფი გამოიღოს. ნასესხი ეკუებით სავსე ტომარა, რანაირი დანიშნულებაც უნდა მიეცეს ამ ფულებს, მთლად უნდა გამოიცალოს და მერე იგი ახალი ფულებით უნდა გაივსოს, რომლის შოვნასაც მსესხებელი მომავალში მოელის.

მაგრამ ეს მართლაც საშიში მდგომარეობა იქნება როგორც გამსესხებლისათვის, ისე აგრეთვე მსესხებლისათვისაც, ვინაიდან ამას აი რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს:

1) დიდ რისკს წევს გამსესხებელი. იგი, მართალია, საეკვივალენტო სიმდიდრის მიღებას მოელის, რომელიც იმის ადგილს დაიკავებს, რაც მან გაასესხა, მაგრამ ეს სიმდიდრე ჯერ ხომ არ არსებობს; იგი მომავალში უნდა შეიქმნას, და ყველაფერი, რაც კი მომავალში უნდა წარმოიშვას, მარტო ერთი ამ გარემოების გამო, საიმედო არ არის. კანონმდებლები დიდ ენერგიას ხარჯავდენ ისეთი საშვალების აღმოსაჩენათ, რომელსაც გამსესხებელი ყოველივე საფრთხისაგან უნდა უზრუნველეყო, და ამ მიზნით მათ მიერ გამოგონილი საშვალებანი (თანამდებობა, საურთიერთო პასუხისმგებლობა, ჰიფოთეკა და სხვ.) სამოქალაქო კანონმდებლობის ერთ უუმნიშვნელოვანეს განყოფილებათაგანს შეადგენს; მიუხედავათ ამისა, გამსესხებელის მხრივ ერთნაირი ნდობა მაინც საჭიროა; ამიტომაც სესხის ამ განსაკუთრებულ ფორმას „კრედიტი" ეწოდება, რომელიც თავისი ეტიმოლოგიური წარმოშობით ნდობის აქტს გულისხმობს (creditum, credere—ნდობა). თავის მშვენიერ ტიტულს იგი თანდათანობით ამართლებს, ვინაიდან პირადი კრედიტი, როგორც ჩვენ ამას დავინახავთ, სულ უფრო-დაუფრო რეალური კრედიტის ადგილის დაკავებას ცდილობს,—ბანკში გახსნილის მიმდინარე ანგარიშის სახით ან-და საურთიერთო ნდობის საზოგადოებათა სახით. მართალია, შესაძლოა გვითხრან, რომ ეს წარსულის, რომის ანტიური დროის დაბრუნებაა, როცა გამსესხებელისათვის საწინდარს მსესხებელის პირადობა წარმოადგენდაო, მაგრამ უზრუნველყოფის მაშინდელსა და ახლანდელ ფორმებს შორის დიდი განსხვავება არსებობს, ვინაიდან მაშინ საწინდარის როლს მსესხებელის სხეული ასრულებდა, რომელიც შესაძლო იყო ციხეში დაემწყვდიათ ან-და ნაკუწ-ნაკუწათ დაეჩეხათ (in partes secanto—ამბობდა XII ტაბულის კანონი), ახლა კი ვაჭრობაში ან-და საკრედიტო კოოპერატივებში პირადი კრედიტის საწინდარს მსესხებელის სიპატიოსნე წარმოადგენს, მისი მორალური პირადობა, და არა ფიზიკური.

2) გამსესხებელი, როგორც მოიჯარადრე ან დამქირავებელი, ვალდებული არაა ნასესხი ნივთი შეინახოს და მას კარგათ მოუაროს, რომ მერე იგი დანიშნულ დროს გამსესხებელს დაუბრუნოს. მან უნდა იზრუნოს, რომ ამ ნივთის მოხმარების ან მისი მოსპობის შემდეგ თანაბარი ღირებულების ნივთი შექმნას და ვადაზე იგი მომსესხებელს დაუბრუნოს. მსესხებელი, მაშასადამე, უნდა ცდილობდეს, რომ ეს სიმდიდრე საწარმოოთ გამოიყენოს. თუ კი მას მარცხი მოუვა და იგი ამ ნივთს არა საწარმოოთ მოიხმარს, მაგ., თავისი პირადი ხარჯების დასაფარავათ, ან-და, ამა თუ იმ მიზეზის გამო, მსესხებელი ვადის მოსვლამდი იმდენ სიმდიდრეს მა-

ინც ვერ შექმნის, რომელიც ნასესხი სიმდიდრის ეკვივალენტს შეადგენს, მაშინ მას განადგურება მოელის. და, მართლაც, ყველა ქვეყნის ისტორია იმ მსესხებელთა ჭეშმარიტს მარტიროლოგს წარმოადგენს, რომელნიც კრედიტის მეოხებით განადგურდენ.

ამიტომ კრედიტზე დამყარებული წარმოება ყველა იმ ფორმაზე უფრო საშიშია, რომელთაც ჩვენ აქნობამდი ვახასიათებდით, და კრედიტს სამსახურის გაწევა მხოლოდ ისეთ საზოგადოებებში შეუძლია, რომელნიც ეკონომიურათ უკვე მოღონიერებული და განვითარებული არიან.[76])

II. **კრედიტის ისტორიული მიმოხილვა.** სოციალური ორგანიზაციის ყველა სახიდან, კრედიტი სულ ბოლო დროსაა გაჩენილი. მისი ფუნქცია, მართლაც, ისე რთულია, რომ მას პირველყოფილ საზოგადოებებში არსებობა არც კი შეეძლო, ვინაიდან ეს ფუნქცია ფულის სახით წინასწარ კაპიტალების მოგროვებას მოითხოვს.

მაგრამ შესაძლოა გვიპასუხონ, რომ სესხი (თუ რომ ვადით გაყიდვა არა) ძველ დროშიაც და საშვალო საუკუნეებშიც დიდ როლს ასრულებდაო. ეს მართალია, მაგრამ მხოლოდ როგორც ფორმა დახმარებისა ერთისა და იმავე იჯარისა. და ერთისა და იმავე კლასის ადამიანთა შორის, ან-და როგორც ფორმა ექსპლოატაციისა უცხოელთა ან სხვადასხვა კლასის ადამიანთა შორის, და მხოლოდ ძლიერ იშვიათად—როგორც ფორმა წარმოებისა. აქიდან წარმოსდგება ის უკმაყოფილება, რომლითაც ხელშეკრულობის ამ ფორმას ასე სამართლიანათ ამკობენ, ის აღელვება, რომელიც ასე ხშირათ ვალის საკითხებთან არის დაკავშირებული, და ის გათავისუფლება ვალებისგან, რომელსაც ასე ხშირათ მოითხოვდენ და რომელიც დემოკრატიული მთავრობის მიერ ხანდახან კიდეც სრულდება. საშვალო საუკუნეების კანონისტები, რომელნიც საწარმოო ხასიათის მატარებელ სესხს (ასეთ შემთხვევაში პროცენტი კანონიერათ მიაჩნდათ) არასაწარმოო სესხისაგან (ასეთ შემთხვევაში ისინი პროცენტს გმობდენ, როგორც მევახშურ შემოსავალს) ასხვავებდენ, არც იმდენათ ცდებოდენ, როგორც მათ უსაყვედურებდენ: მათი მეცადინობა მათი დროის მოთხოვნილებებს სავსებით შეეფერებოდა,

კრედიტი, როგორც წარმოების ფორმა, მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როცა მისი ნამდვილი ობიექტის შემადგენელის, ჯერ კიდევ არ არსებულის—მომავალი სიმდიდრის რეალიზაცია მოხდა, ა ღ ე ბ-მ ი ც ე მ ა შ ი მ ო ს ა ხ მ ა რ ა თ გ ა მ ო ს ა დ ე გ ი ს ა ბ უ თ ე ბ ი ს ფ ო რ მ ი თ. ამან მართლაც მთელი ეკონომიური რევოლიუცია მოახდინა, რომლის დასაწყისსაც მე-XIII საუკუნე წარმოადგენს.

პირველათ ვალდებულება სიმდიდრეთ არ ითვლებოდა, ვინაიდან იგი მატერიალურ საგანს, რაიმე სიმდიდრეს კი არ შეეხება, არამედ კრედიტორსა და დებიტორს შორის წმინდა პირადულ კავშირს გამოსახავს. გლოსატორების ენერგიული გამოთქმით, მოვალეობა მსესხებლის სხეულს ესისხლხორცება, ossibus hoeret, და თუ მოვალე ვალს არ აბრუნებს, მაშინ კრედიტორს დაკმაყოფილების მიღება მისი ქონებიდან არ შეუძლია. რადგან, გარდა თვით მოვალის სხეულისა, სხვა საგნის დატყვევება ან დაკავება არ შეიძლება. აი რატომ იყო, რომ, როგორც ჩვენ ეს ზევით აღვნიშნეთ, კრედიტორს შეეძლო ციხეში მოვალის დამწყვდევა და თითქმის ნაკუწ-ნაკუწათ მისი დაჩეხაც. ასეთ პირობებში იდეა გადამავალ ვალდებულებათა შესახებ, ე. ი. ვინმე სხვა პირზე მოვალის პიროვნების ასეთი უფლების გადაცემა, ვერ დაიბადებოდა.

მაგრამ სულ მალე—ეს ნაბიჯი რომაელმა იურისტებმა გადადგეს—ვალდებულება სიმდიდრეთ (bona) აღიარეს და მას საოცარ მოგონებათა მეოხებით გადამავალი ხასიათიც მიანიჭეს (n o v a t i o და l i t i s c o n t e s t a t i o—იხ. პოლ ჟიდის La Novation).

მიუხედავათ ამისა, ასეთი გადაცემა მატერიალური სიკეთის გადაცემაზე უფრო ძნელი იყო, და დღესაც, ჩვენი სამოქალაქო კოდექსით, ვალდებულობის გადაცემა ძალზე რთული ფორმალობის ასრულებას მოითხოვს, სახელდობ—მოვალისთვის ამის შესახებ ცნობის მიცემას.

მაგრამ სავაჭრო სამართალმა, რომელიც, როგორც ხშირათ თქმულა, სამოქალაქო სამართალს ყოველთვის ასწერს და და წინ მიდის, ვითარცა ამბის შემტყობი, საშუალო საუკუნეებშიც განახორციელა ორმაგი და საოცარი აღმოჩენა, რომელიც იმით გამოიხატება, რომ ვალდებულების უფლება წერილობით წარმოდგება, წერილით აღი-

ნიშნება (**ვექსილი გადასატანი ან პირადი**).

ვენეციელმა ვაჭარმა, ნაცვლათ იმისა, რომ 1000 დუკატი ამსტერდამს გაეგზავნა, ეს ფული თავის თანაამხანაგს გადასცა, რომელსაც ამსტერდამთან დამოკიდებულება ქონდა, ხოლო უკანასკნელმა მას წერილობითი ბრძანება მისცა თავისი ამსტერდამელი კორესპონდენტის სახელზე, რათა მას 1000 დუკატი გადაეხადა იმისთვის, ვინც მას ამ ბრძანებას წარმოუდგენდა. ამნაირათ, ვენეციელი ვაჭარი, ფულის ნაცვლათ, წერილობით ბრძანებას გზავნის.—მაგრამ პირველ ხანებში ასეთი ბრძანების გამოყენება მხოლოდ იმ პირს შეეძლო, ვის სახელზეც იგი დაწერილი იყო. მხოლოდ მერე, მე-XV საუკ., გამოიგონეს ალებ-მიცემაში მისი მოქცევა ვექსილის მეორე მხარეზე უბრალო წარწერით, **საბლანკო წარწერით**.[78])

მეორე გვერდზე წარწერის მოხდენა საოცრათ გაადვილებულია, მაგრამ იგი მაინც ფორმალობას წარმოაოგენს, თუმცა ძლიერ მნიშვნელოვანს, რადგან ყველა ხელისმომწერის სოლიდარულ პასუხისმგებლობას იწვევს. კიდევ ერთი ნაბიჯიც გადაიდგა, რაც მეორე მხარეზე წარწერას სპობს და ისეთ სავალო დოკუმენტს ქმნის, რომელიც ხელიდან ხელში გადადის,—ეს არის ფული (**საკრედიტო ქაღალდები და წარმომდგენის სახელზე დაწერილი ჩეკები**).

ამიერიდან უამრავი სიმდიდრე—ფიკტიური კი არა, არამედ ისეთი, რომელიც მომავალში უნდა გაჩნდეს—რაც ერთი და იგივე არაა—უამრავ არსებულ სიმდიდრეს მიემატება და იტრიალებს საკრედიტო ქაღალდებისა ან-და წარმომდგენის სახელზე შედგენილი ქაღალდების სახით. ეს საკრედიტო ქაღალდები კოლოსალური ვაჭრობის საგანს შეადგენს, რომლის შესახებაც წინათ არავითარი წარმოდგენაც არ ქონდათ, და იმ ვაჭრებს, რომელთაც თავის სპეციალურ საგნათ ასეთი ვაჭრობა აურჩევიათ, **ბანკირებს** უწოდებენ.

მაგრამ რა დიდი სარგებლობის გამოტანაა შესაძლო—ეგებ შეგვეკითხონ—იქიდან, რომ ვალდებულებებს საკრედიტო ქაღალდის სახით წარმოადგენენო?

აი როგორი: თუ რომ მევალისათვის სესხის აღების დროს ან-და ნისიათ მყიდველისათვის ძლიერ ხელსაყრელია რამდენიმე დროის განმავრობაში კაპიტალი თავის ხელში იქონიოს, გამსესხებელისათვის კი, პირიქით, სულაც არაა ხელსაყრელი, რომ იმავე დროს უკაპიტალოთ დარჩეს. მეფაბრიკემ ყოველ-დღე მასალები უნდა იყიდოს და მუშებს ხელფასი უნდა აძლიოს. მას თავისი საქმის კარგათ წაყვანა მხოლოდ იმ პირობით შეუძლია, თუ იგი ყოველ-დღე მიიღებს თავისი საქონლის ფასს. მაგრამ თუ იგი თავის საქონელს ნისიათ ყიდის, ე. ი. გაყიდვის დროს მას ფულს არ აძლევენ, მაშინ თითქო მას საქმის გაგრძელება არც კი შეეძლება.

როგორ უნდა მოიქცეს? ხომ შეუძლებელია საქმის თითქო ისე მოწყობა, რომ ერთი და იგივე კაპიტალი **ერთსა და იმავე** დროს ორი სხვადასხვა პირის ხელში იყოს, გამსესხებელისა და მსესხებელის ხელში?

საქმეც ისაა, რომ შესაძლოა! ამას, პირველი შეხედვით თითქო მოუგვარებელ საქმეს, საკრედიტო ქაღალდი ასრულებს.

მიცემული კაპიტალის სამაგიეროთ გამსესხებელი ან ნისიათ გამყიდველი ფასიან ქაღალდს ღებულობს, ან ამა თუ იმ ფირმის საბუთს, მაგ., პირადს ან გადასატან ვექსილს და სხვ.; ხოლო ეს საბუთი ღირებულებას წარმოადგენს, რომელიც, როგორც ყოველი სხვა ღირებულება, შესაძლოა გაიყიდოს. თუ რომ გამსესხებელი კვლავ თავისი კაპიტალების დაბრუნებას მოინდომებს, ამის უადვილესი არაფერია: ამისათვის საკმარისია, რომ მან თავისი ფასიანი ქაღალდი გაყიდოს.[79])

**III. კრედიტი რა გზით ხდის შესაძლოთ ფულით გატახდის მოსპობას.** კრედიტი რომ გადახდის გადადების საშვალებას იძლევა,—ეს ცხადია და თვით კრედიტის განმარტებიდანაც გამომდინარეობს. მაგრამ იგი რომ გადახდის მოსპობასაც ახერხებდეს, ეს არც ისე ცხადია, ვინაიდან, ადრე თუ გვიან, როცა ვადა მოვა, გადახდა მაინც საჭირო იქნება.[80]) არა, არ იქნება საჭირო,—ეს სავალდებულო სულაც არაა!

და, აი, ეს როგორ ხდება. უპირველეს ყოვლისა, როგორც ვსთქვით, **ნაღდათ გაყიდვას**, ე. ი. ფარა-ფულზე საქონლის გაცვლას, **ვადით ან ნისიათ გაყიდ-**

*ვაზე* სცვლიან, ე. ი. ახდენენ ვალდებულობაზე საქონლის გაცვლას. მართლაც, ნისიათ გაყიდვა იმას ნიშნავს, რომ მე თქეენ საქონელს გაძლევთ და სანაცვლოთ თქვენგან გადახდის პირობას ვღებულობ, რომელიც პირადის ან გადასატანი ვექსილით გამოიხატება.

ნაცვლათ იმისა, რომ $A$ ფულით გავისტუმრო, მე მას $X$-ზე მისამართ ვექსილს ვაძლევ; $A$ კი, ნაცვლათ იმისა, რომ $B$ გაისტუმროს, მას ვექსილს აძლევს, ხოლო $B$ ამ ვექსილით $C$-ს ისტუმრებს და—ასე ხდება მანამდი, ვიდრე, მაგ., ეს ვექსილი $Z$-მდი არ მივა. თუ რომ წარმოვიდგენთ, რომ მე $Z$-ს ფულით გავისტუმრებ, მაშინ მარტო ეს გასტუმრება საკმაო იქნება იმისათვის, რომ 10, 20 და 100 გადაცვლის პირობის ლიქვიდაცია მოხდეს; მაგრამ შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ $Z$-ს ჩემი ვალი მართებდეს; ასეთ შემთხვევაში ამ ერთადერთ გადახდასაც ადგილი არ ექნება: გადაცვლის პირობათა მთელი რიგი უფულოთ ხდება!

სოციალური ურთიერთობის უკიდურესი სირთულე და ის ფაკტი, რომ ყოველი ჩვენგანი ან, ყოველ შემთხვევაში, ყოველი მწარმოებელი რიგ-რიგობით ხან მყიდველია, ხან კი გამყიდველი, ვალდებულებათა გაბათილების ამ სხვადასხვა ფორმას დიდათ აადვილებს.

ავილოთ 3 ქვეყანა ან-და 3 პირი და ვუწოდოთ მათ $A$, $Б$, $C$. წარმოვიდგინოთ, რომ $A$ კრედიტორია $Б$-სი, რომელიც იმავე ჯამის კრედიტორია $C$-სი, ხოლო $C$, თავის მხრივ, $A$-ს კრედიტორია. ამ მდგომარეობას ჩვენ შემდეგი დიაგრამით გამოვხატავთ:




განა ცხადი არაა, რომ საჭირო არ არის შემოარონიონ მთელი წრე იმ ფულს, რომელიც თითოელს ამ 3 მოვალეთაგანს თითოეულის ამ 3 კრედიტორთაგანის მართებს, და უფრო უბრალოთ მოახდინონ ვალის გასტუმრება—ისე, რომ არც ერთი სუ არ გადიხადონ?

მაგრამ,—შესაძლოა გვიპასუხონ, — განა ცხადი არაა, რომ $C$ განგებ არის $A$-ს კრედიტორათ მოყვანილი და წრის განსაზღვრულ პუნკტზე იმიტომ არის დაყენებული, რომ ეს წრე შეიკრასო?—რა თქმა უნდა, ცხადია, მაგრამ $A$-ს კრედიტორათ თუ $C$ არ იქნება, მაშინ, შესაძლოა, ასეთად $Д$, $E$, $F$, $G$ და სხ. იქნეს მანამდი, ვიდრე ბოლოს-და-ბოლოს რომელსამე ისეთ პირს არ ვნახავთ, რომელიც თავის მხრივ $A$-ს კრედიტორი აღმოჩნდება, და მაშინ ეს ამოცანაც გამოცნობილი იქნება. ამ დამოკიდებულების რიგში რაც უფრო მეტი პირი შევა, მით უფრო, ცხადია, *მეტი შანსი გვექნება იმისა*, რომ წრე *შეიკრება*.

უწინარეს ყოვლისა, საერთაშორისო ვაჭრობაში, კერძო ქვეყანათა შორის გაცვლა-გამოცვლაში კრედიტს იმიტომ შეეჩვიენ, რომ იმის საშვალებით ოპერაციები უფულოთ აწარმოონ. ალბათ, დიდ მანძილზე დიდძალი ფულის გადატანის სიძნელემ ლომბარდებს *გადასაპირებელი ვექსილის* აზრი დაუბადა. ვნახოთ, თუ როგორ იქცევიან ცხოვრებაში ასეთი შედეგის მისაღებათ. წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთის ვაჭრებმა ინგლისს 10 მილიონი ფრანკის ღვინო მიყიდეს, მიყიდეს ნისიათ, ე. ი., ფულის ნაცვლათ, თავის ინგლისელ მოვაჭრეებზე გადასაპირებელი ვექსილები მიიღეს. წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ ინგლისის სამთო მრეწველთა კომპანიამ, თავის მხრივ, საფრანგეთის მექარხნეებს 10 მილიონი ფრანკის ქვანახშირი მიყიდა და სათანადო ღირებულება საფრანგეთზე გადასაპირებელი ვექსილებით მიიღო. განა საფრანგეთის მექარხნეები ინგლისს 10,000,000 ფრანკს ფულათ გაგზავნიან, როცა გადახდის ვადა მოვა? არა, ამას ისინი არ იზმენ. ისინი ღვინის გამყიდველებს წინადადებას მისცემენ, დაუთმონ მათ 10,000,000 ფრანკის ინგლისზე გადასაპირებელი ვექსილები (ასეთი ვექსილების შოვნა ძნელი არ იქნება, ვინაიდან, როგორც დავინახავთ, არიან ადამიანები, რომელთაც ბანკირებს უწოდებენ და რომელთა ხელობასაც

გადასაპირებელი ვექსილების შედგენა შეადგენს,—რომელნიც, სხვაფრივ რომ ვსთქვათ, საზღვარგარეთელ ქაღალდებს ყიდულობენ და მერე ამ ქაღალდებს იმ პირებს უთმობენ, ვისაც ასეთები დასჭირდებათ) და თავის კრედიტორებს, სამთო მრეწველებს, ნაცვლათ ფულათ 10,000,000 ფრ. გაგზავნისა, სათანადო ღირებულების ფასიან ქაღალდებს გაუგზავნიან, შემდეგის ცნობის დამატებით: „მიიღეთ გადასახადი თქვენი თანამოქალაქეებისაგან“-ო. ასევე მოიქცევიან უკანასკნელებიც, რითაც ლამანშით იქით-აქით ფულის გაგზავნის საჭიროება ისპობა.

მართალია, ჩვენს მაგალითში ერთმანეთის წინაშე თანაბრათ დავალიანებული ორი ქვეყანაა მოყვანილი,—რაიც იშვიათად ხდება ხოლმე, მაგრამ, თუ პირდაპირი გზით არა, შემოსავლელი გზის საშვალებით მაინც იმავე შედეგს ღებულობენ. წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთმა ჩინეთიდან 10,000,000 ფრანკის ჩაი იყიდა და მას სამაგიეროთ მისთვის არაფერი მიუყიდია. კომპენსაცია თითქო შეუძლებელია, რადგან საფრანგეთის წინაშე ჩინეთი დავალიანებული არაა. ასეთ შემთხვევაში საფრანგეთს ჩინეთისათვის ფულის გადახდა მოუხდება თუ არა? შესაძლოა, ეს აუცილებელიც არ იქნეს. თუმცა ფრანგებს ჩინეთისათვის არაფერი მიუყიდიათ, სამაგიეროთ ბევრია ისეთი ქვეყანა, რომლებმაც მას რამე მიყიდეს და, მაშასადამე, მის კრედიტორებათ ითვლებიან. ჩვენ უნდა ვიყიდოთ მსოფლიო ბაზარზე, იმ ბაზარზე, სადაც ვაჭრებს ბანკირებს უწოდებენ და სადაც საქონლებს ქაღალდები წარმოადგენს—ჩინეთზე გადასაპირებელი ვექსილები, შანხაიში ან-და გონგ-კონგში გასანაღდებელი ღირებულების ქაღალდები.—მაგრამ—გვიპასუხებენ—თუნდაც ამნაირათ, ნუთუ მაინც საფრანგეთს ფულათ 10,000,000 ფრანკის მიცემა არ მოუწევს, რომ ჩინეთის ვექსილები იქონიოს?—არც ესაა აუცილებელი საჭირო, ვინაიდან საფრანგეთს ჩინეთის ვექსილებზე გასაცვლელათ რომელიმე სხვა ქვეყნის ვექსილების მიცემა შეუძლია. მაგ., იგი ლონდონში ჩინეთის ვექსილებს იყიდის და სამაგიეროთ ამ ვექსილების მომყიდველს ინგლისის ვექსილებს მისცემს. ამნაირათ, საფრანგეთის მიერ ჩინეთში ნაყიდი ჩაის ფასის გადახდა, შესაძლოა, საფულის გაუხსნელათ, ინგლისზე მიყიდული ღვინის საშვალებით მოხდეს.

ასეთი საოცარი კომბინაცია რომ არ იყოს გამოგონილი, მაშინ საერთაშორისო ვაჭრობა მართლაც განუხორციელებელი იქნებოდა, ვინაიდან საფრანგეთს ყოველწლიური შემოტანილის გასასტუმრებლათ 5—7 მილიარდი ფრანკი სად უნდა ეშოვა? მის განკარგულებაში ასეთი დიდი თანხა არც კი არის მოქცეული. ფაქტიურათ, როგორც წინა თავში ვლაპარაკობდით, ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში მხოლოდ მცირეოდენი ფული იგზავნება, დიდი-დიდი —$^{1}/_{10}$ ნაწილი გაცვლილი საქონლების ღირებულებისა.

IV. **შეუძლია თუ არა კრედიტს კაპიტალის შექმნა?** თანამედროვე საზოგადოებებში კრედიტმა ისეთი მნიშვნელობა მოიპოვა, რომ ბევრს ებადება აზრი მიაწეროს მას ზებუნებრივი თვისება. როცა ყოველ ნაბიჯზე იმ უამრავი სიმდიდრის შესახებ გესმის ლაპარაკი, რომელიც კრედიტის საშვალებით შეუქნიათ, და მოყავთ ფაქტები, რომელიც იმას ამოწმებს, რომ თანამედროვე ინდუსტრიის უუდიდესი მოსაქმობის საფუძველს კრედიტი წარმოადგენს,—ძალა-უნებურათ რწმუნდებით, რომ კრედიტი—წარმოების მოსაქმეა, რომელსაც, მიწისა და შრომის მზგავსათ, სიმდიდრის შექმნა შეუძლია.

მაგრამ აქ აშკარა გაუგებრობა ისახება. კრედიტი წარმოების მოსაქმე კი არაა, იგი მხოლოდ განსაკუთრებული წ ე ს ი ა წარმოებისა, როგორც გადაცვლა და შრომის განაწილება, რაიც ერთი და იგივე არაა. კრედიტი, როგორც ჩვენ დავინახეთ, ხელიდან ხელში ქონების, კაპიტალის გადაცემაში მდგომარეობს, მაგრამ გადაცემა ჯერ კიდევ შექმნას არ ნიშნავს. კრედიტი კაპიტალებს არ ქმნის სწორეთ ისე, როგორც გადაცვლა საქონლებს არ წარმოადგენს. „კრედიტი მხოლოდ აქტია—როგორც საუცხოოთ ამბობს ხოლმე სტიუარტ მილი—ნებართვაა სხვისი კაპიტალით სარგებლობისა“.

ასეთ გაუგებრობას ხელს უწყობს საკრედიტო ქაღალდების არსებობა. ჩვენ ვნახეთ, რომ გამსესხებელის ხელში გასესხებული კაპიტალის ადგილს თანაბარი ღირებულების ქაღალდი იკავებს. აქიდან თითქო ის გამოდის, რომ გასესხებას სასწაულთმომქმედი თვისება აქვს—ერთი კაპიტალისგან ორი კაპიტალის შექმნა. ძველი კაპიტალი 10,000 ფრანკი, რომელიც თქვენს ხელში გადმოვიდა, და ახალი კაპიტალი, რო-

მელიც ჩემს ხელშია მოქცეული აგრეთვე 10,000 ფრანკის ღირებული ფასიანი ქაღალდის სახით,—განა ეს ორი კაპიტალი არაა?—სუბიექტიური შეხედულებით, ეს ქაღალდი, მართლაც, კაპიტალია. იგი კაპიტალია ჩემთვის, და არა საზოგადოებისათვის. მართლაც, ცხადია, რომ ამ ქაღალდის გაყიდვა არ შეიძლება, თუ კი მეორე ისეთი პირი არ აღმოჩნდება, რომელიც ამ ქაღალდის სანაცვლოთ ფულის ან საქონლის სახით მის განკარგულებაში მოქცეული კაპიტალის დათმობას არ მოისურვებს. საკრედიტო ქაღალდი, მაშასადამე, თავისთავათ კაპიტალი არაა, მაგრამ იგი მე საშუალებას მაძლევს მეორე კაპიტალი ვიშოვო, ნაცვლათ იმისა, რომელიც მე სხვას დავუთმე. მეტი ლაპარაკი საჭირო არაა, ვინაიდან ცხადია, რომ, რანაირი მოხმარებაც უნდა მოვისურვო მე ჩემს ხელში მოქცეული ფასიანი ქაღალდისა,—საკუთარი ხარჯების დაფარვას მოვანდომებ მას, თუ წარმოება,—ასე თუ ისე, მე ამას მაინც მოვახერხებ მხოლოდ ბაზარზე არსებულ მოსახმარ საგნებზე ან-და საწარმოო იარაღებზე მისი გადაცვლის შემდეგ, ვინაიდან ამ სიმდიდრეთა ნატურალური სახე მე საშუალებას მომცემს წარმოებას ხელი მოვკიდო ან-და მისით ვიცხოვრო, ქაღალდის ნაფლეთებით კი მე ამას ვერ შევსძლებ.

ყოველი საკრედიტო ქაღალდი, ე. ი. ყოველი ვალდებულება ნამდვილ სიმდიდრეს რომ შეადგენდეს, მაშინ საკმაო იქნებოდა ყოველ ფრანგს თავისი მეზობლისათვის მთელი თავისი ქონება ეთხოვებია, რომ ამით საფრანგეთის სიმდიდრე ერთი-ორათ ან 200-დან 400 მილიარდამდი გადიდებულიყო!

იმის თქმაც არ შეიძლება, რომ, უკიდურეს შემთხვევაში, ეს ქაღალდები მომავლის სიმდიდრეს შეადგენს? სრულებით მართალია, მაგრამ, სწორეთ იმიტომ, რომ ეს მომავლის სიმდიდრეა, ანგარიშში მისი მიღება იმ მომენტიდანაა შესაძლო, როცა ეს სიმდიდრე შეიქმნება, ხოლო მანამდი ახლანდელსა და მომავლის სიმდიდრეთა შორის ყოველთვის ადგილი ექნება ისეთს არსებით განსხვავებას, რომ პირველი არსებობს, ხოლო მეორე არა. ადამიანები მოსალოდნელი სიმდიდრის საშუალებით ვერ აწარმოებენ და ვერც იცხოვრებენ. ასე რომ იყოს, მაშინ მცხოვრებთა აღწერის დროს საზოგადოების მომავალ წევრებათ იმ ბავშების ჩარიცხვაც შეიძლება, რომელნიც უახლოესი ოცი წლის განმავლობაში დაიბადებიან!

მაგრამ კრედიტი თუ საწარმოო ძალათ იმ მოსაზრებით არ ჩაითვლება, რომ იგი კაპიტალებს ვერ ქმნის, მაინც იგი წარმოებას დიდ სამსახურს უწევს, რადგან საშუალებას აძლევს არსებული კაპიტალების რაც შეიძლება უკეთესი უტილიზაცია მოახდინოს.[8])

თუ რომ, მართლაც, კაპიტალებს ერთი პირიდან მეორის ხელში გადასვლა არ შესძლებოდა და ყოველი ადამიანი იძულებული იყოს თავის კაპიტალებს საწარმოო მიმართულება მისცეს, მაშინ უამრავი კაპიტალი გამოუყენებლათ დარჩებოდა. ყოველს კულტურულ საზოგადოებაში ბევრი ისეთი ადამიანი აღმოჩნდება, რომელიც თავისი კაპიტალიდან სარგებლობის გამოტანას პირადათ ვერ შესძლებს, როგორც, მაგალითად:

ისეთი ადამიანები, რომელთაც ძალზე ბევრი კაპიტალი აქვთ, ვინაიდან, როგორც კი ქონება განსაზღვრულ ციფრს გადაშორდება, მის პატრონს მისთვის თავისი ძალით საწარმოო მიმართულების მიცემა გაუძნელდება,—თუმცა ისიც სათქმელია, რომ ასეთ პირობაში ჩაყენებული პირები ხშირათ სულაც არ არიან მოწადინებული, რომ ამ მიზნისთვის შრომით თავი შეიწუხონ;

ისეთი ადამიანები, რომელთაც ცოტა კაპიტალი აქვთ, ვინაიდან მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს, რომლებსაც ცოტა მომჭირნეობა გაუწევიათ, თავისი მცირედი კაპიტალებისათვის საწარმოო დანიშნულების მიცემა არ შეუძლიათ, ხოლო თუ ამ მცირედსუს მოაგროვებენ, მათგან მილიარდები შეიქმნება;

ისეთი ადამიანებიც, რომელთაც თავისი ხნოვანობისა, სქესისა და პროფესიის მიხედვით თავისთავათ საწარმოო მიზნისთვის თავისი კაპიტალების გამოყენება არ შეუძლიათ: ბავშები, ქალები, ლიბერალური პროფესიის პირები, მაგ. ვექილები, ექიმები, სამხედრო პირები, სასულიერო წოდების ხალხი, მოხელეები და ყოველგვარი მოსამსახურე.

ხოლო, მეორე მხრით, ქვეყანაზე ბევრი მოიპოება ისეთი მოსაქმე, გამომგონი, მიწისმომქმედი, თითქმის მუშაც, რომელნიც კაპიტალებიდან სარგებლობის გამოტანას ჩინებულათ შესძლებენ, რომ მათ ასეთები ქონდეს, მაგრამ, სამწუხაროთ, ისინი ამ საშვალებას მოკლებული არიან.

ამიტომ, თუ კი, კრედიტის შემწეობით, კაპიტალებს იმათი ხელიდან, ვისაც მათი გამოყენება არ შეუძლია ან-და არა სურს, იმათ ხელში გადასვლა შეუძლია, ვინც საწარმოო მიზნისთვის მათ გამოყენებას აზერხებს, აქიდან დიდი სარგებლობა გამოვა როგორც ყველასათვის ცალ-ცალკე, ისე მთელი ქვეყნისათვისაც ერთად. მარტო ერთ საფრანგეთში მილიარდობით აღირიცხება ისეთი კაპიტალი, რომელიც ამრიგათ ამოქმედდება, უსარგებლო დაგროვებასა და უნაყოფო ხარჯვას ასცდება და კრედიტის საშვალებით ნაყოფს გამოიღებს. სამართლიანათ იყო ნათქვამი, რომ კრედიტს უმოქმედო მდგომარეობიდან ს ა მ ო ქ მ ე დ ო მდგომარეობაში გადააქვს ის კაპიტალები, რომელიც ფ ა რ უ ლ ა თ ინახება. არსებითად, კაპიტალების მიმართ კრედიტი იმნაირსავე როლს ასრულებს, როგორსაც გადაცვლა სიმდიდრეთა მიმართ. ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ გაცვლას სიმდიდრე ერთი პატრონისგან მეორე პატრონის ხელში გადააქვს, კი არ ქმნის მას, არამედ ამავე სიმდიდრისა და აგრეთვე საწარმოო შრომის უკეთესათ გამოყენებას ემსახურება.

## თ ა ვ ი VIII.

## ბ ა ნ კ ე ბ ი.

I. **ბანკების ფუნქციები და მათი ევოლიუცია.** ჩვენ ვნახეთ, რომ შუამავალთა ან ვაჭრების დაუხმარებლათ საქონლების გადაცვლა თითქმის განუხორციელებელი იქნებოდა. ამგვარათვე კაპიტალების ტრიალიც შეუძლებელი იქნებოდა იმ შუამავლების დაუხმარებლათ, რომელთაც ბ ა ნ კ ი რ ე ბ ი ეწოდება.

საშვალო საუკუნეებიდან დაწყებული, ბანკების ისტორია მჭიდროთ დაკავშირებულია ვაჭრების ისტორიასთან, და ყოველი სხვილი ბანკის გაჩენა ვაჭრობის განვითარებაში ყოველთვის ახალ ეპოქას აღნიშნავს. პირველათ ბანკები იტალიის რესპუბლიკებში დაარსდა: ვენეციაში (1400 წ.), გენუაში (1407 წ.). როცა ვაჭრობის მხრივ ჰოლანდია გაბატონდა, იქაც მაშინვე ამსტერდამის დიდი და შესანიშნავი ბანკი დაარსდა (1609 წ.), ხოლო მას შემდეგ ბანკები ჰამბურგსა და როტერდამშიც გაჩნდა. ბოლოს, 1694 წ. ინგლისის ბანკის დაარსებაც იმას მოწმობდა, რომ ინგლისი საერთაშორისო ვაჭრობაში მალე უპირველეს როლს მიიღებდა. გაცილებით უფრო გვიან ჩნდება საფრანგეთის ბანკი, მხოლოდ მე-XIX საუკ. დასაწყისში. თუმცა, ადრევე, 1716 წ., ლომ დააარსა ბანკი, რომელიც, უმთავრესათ, თავისი სამწუხარო დასასრულით არის ცნობილი.

დასაწყისში ბანკირები პირდაპირ ფულს ვაჭრობდენ, დ ა მ ხ უ რ დ ა ვ ე ბ ე ლ ი იყვენ, როგორც ახლა ამბობენ. მე-XVII საუკუნეში ლონდონში ამ როლს ოქროსი და ვერცხლის მჭედლები ასრულებდენ. მაგრამ, თუ ახლა დამხურავებელნი უმნიშვნელო როლს ასრულებენ—ისიც საზღვრებზე დაარსებულ ქალაქებში ან-და დიდ ცენტრებში, სადაც უცხოეთლებს ფულის დახურდავება ესაჭიროებათ,—საშვალო საუკუნეებში, უამრავი სხვადასხვანაირი ფულის არსებობის შემწეობით (ყოველ სინიორს ფულის მოჭრის უფლება ქონდა), ყალბი ფულების გამოშვების გამო, რასაც ხშირათ თვით სუვერენები ახდენდენ, დამხურდავებელ დუქნებს მეტათ მნიშვნელოვანი როლის ასრულება უწევდა: აქ ყველას, ვინც აქიოს გადიხდიდა, კარგი ფულის მიღების საშვალება ეძლეოდა.

ჰოლანდიაში, სადაც, ვაჭრობის განვითარების გამო, მთელი ქვეყნის ყველა კუთხიდან გამოგზავნილი ფული თავს იყრიდა, ვაჭრებს ამსტერდამის ბანკში ფულის მიბარება დიდ სარგებლობას აძლევდა; ეს ბანკი მომხმარებლებისათვის ყოველ მომენტში ფულის გაბრუნებას უზრუნველყოფდა იმნაირივე წონის ვერცხლით, ე. ი. ისეთი ღირებულებით, რომელიც შეტანილ ჯამს შეეფერებოდა. ანგარიშების გასწორებას იდეალური ფულებით ახდენდენ, რომელსაც ბ ა ნ კ ი ს ფ უ ლ ე ბ ს უწოდებდენ. ბანკში შე-

ტანილ კრედიტს ამიტომ. ჩვეულებრივ ფულებთან შედარებით, ყოველთვის 8—10%-ით მეტი ღირებულება ქონდა (იხ. ამის შესახებ ადამ სმიტის შესანიშნავი ნაწერი, წ. IV, თავი 3).

ბანკირები ისეთივე ვაჭრებია, როგორიც ყველა სხვა ვაჭარია. მხოლოდ ვაჭრები საქონლის ოპერაციებს ეწევიან, ხოლო ბანკირები—კაპიტალებისას, რომელსაც აკრედიტო ქაღალდები ან-და ფარა-ფულები წარმოადგენენ. ზოგი ყიდულობს, რომ შერე გაყიდოს და მოგება მიიღოს, რადგან დაკლებულ ფასს იძლევა და მომატებულ ფასათ ყიდის. სხვები ქირაში ფულს იღებენ, რომ შემდეგ გაასესხონ და მოგება მიიღონ, რადგან თვითონ რაც შეიძლება მეტ პროცენტს ღებულობენ. აი, მაშასადამე, ბანკის ორი ძირითადი ოპერაცია: სესხის აღება და სესხის მიცემა, და რადგან სესხის აღება ჩვეულებრივათ დეპოზიტების სახით ხდება, ხოლო გასესხება—დისკონტის (დახურდავების), ამიტომ ასეთ ბანკებს ჩვეულებრივათ „სადეპოზიტო და დამხურდავებელი ბანკები" ეწოდება.

არის აგრეთვე მესამე ოპერაცია, რომელიც პირველი ორისაგან სავსებით განსხვავდება, თუმცა არსებითად იგიც სესხის სახეს შეადგენს,—ეს არის ბანკის ბილეთების გამოშვება. მაგრამ ეს ოპერაცია ყველა ბანკში არ იწარმოება; უფრო ხშირათ იგი იმ განსაკუთრებულისა და პრივილეგიური ბანკების ფუნქციას შეადგენს, რომელთაც „საემისიო ბანკები" ეწოდება.

გარდა ამ ძირითადი ოპერაციებისა, კიდევ ბევრი სხვა ოპერაციაც არსებობს.

უწინარეს ყოვლისა, გარდა დისკონტისა, სესხის შემდეგი სხვა სახეებიც არსებობს: მიმდინარე ანგარიში, რომელიც მსესხებლის პატიოსნების იმედზე დამყარებულს წმინდასა და უბრალო სესხს წარმოადგენს; სესხის გაცემა საწინდრათ ფასიანი ქაღალდების მიღებით; სამრეწველო სასაქმოთათვის პირდაპირ სუბსიდიების მიცემა,—საშიში ოპერაციაა, რომლისგანაც საფრანგეთის ბანკები ჩვეულებრივ თავს იკავებს და რომელსაც გერმანიის ბანკები ფართო მაშტაბით ეწევა; ეჭვს გარეშეა, რომ ამ ოპერაციამ გერმანიის აყვავებას დიდათ შეუწყო ხელი.[32])

არსებობს გადაპირების სხვილი ოპერაცია, რომელიც საზღვარგარეთ გასაგზავნი ვექსილების ტრილთანაა დაკავშირებული.

არსებობს აგრეთვე გამოშვება მოძრავი ღირებულებისა, ე. ი. აქციებისა, უსახელო საზოგადოებათა და სახელმწიფო სესხის ობლიგაციებისა, რომელიც ყოველწლობით მილიარდობით გამოდის; ბანკირები მათი გამოშვებისა და განაღდების შესახებ ვალდებულობას თვითონ კისრულობენ.

საბანკო საქმეში, როგორც ყოველ სხვა საქმეშიც, შრომის განაწილება სპეციალიზაციას ქმნის. ზოგიერთი ბანკი მხოლოდ ნამდვილ საკრედიტო ოპერაციებს ეწევა; სხვები—მხოლოდ საფინანსო ოპერაციებს, რომელსაც წინათ საფრანგეთში (ხოლო ახლა გერმანიაში) სრულებით გაუგებარის მოძრავი კრედიტის სახელით აღნიშნავდენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ბანკები სამრეწველო სასაქმოებს საჭირო კაპიტალებს აწვდიან.

კონცენტრაციის კანონი ბანკის საქმეშიც თავს იჩენს. ის მოძრაობა, რომელმაც, დიდი მაღაზიების დაარსება გამოიწვია, რა თქმა უნდა, სხვილი ბანკების დაარსებასაც იწვევს. ეს აშკარათ ჩანს საფრანგეთში, სადაც უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში რამდენიმე საბანკო დაწესებულება დაარსდა აქციონერული საზოგადოების ფირმით,—მათი სახელი ყველამ იცის: Crédit Lyonnais, Société Générale, Comptoir d'Escompte, რომლებმაც მთელ საფრანგეთში უამრავი განყოფილება გახსნეს და ადგილობრივ ბანკებს მომაკვდინებელი კონკურენცია გაუწიეს და რომელნიც ინდივიდუალურ სასაქმოებს წარმოადგენენ ხოლმე. სხვა ქვეყნებშიც ჩვენ ამასვე ვხედავთ, განსაკუთრებით, გერმანიაში, სადაც 7 სხვილ ბანკს 60 დანარჩენი ემორჩილება, რომელნიც მათი „ფილიალური განყოფილების" როლს ასრულებენ, და ამნაირათ თავის ხელში თავს უყრიან 2 მილიარდ ფრანკზე მეტ სააქციონერო კაპიტალს.

სხვილი ბანკების კონკურენციის ასეთი ძლევამოსილი გამარჯვების მიზეზები დაახლოებით იგივეა, რასაც ჩვენ სხვა სარბიელზე აღვნიშნავდით: უმძლავრესი სასაქმოს

კრედიტი და პრესტიჟი, ფასების დაწევის (ე. ი. დისკონტის ნორმის) შესაძლებლობა' ოპერაციის უამრაობის მეოხებით, ნიჭიერ პირთაგან უმაღლეს მოსამსახურეთა პერსონალის შედგენა, დიდი ჯამაგირების წყალობით, რასაც ამართლებს იმ დაბალი მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების შეკვეცა, რომელნიც თავს დაწინაურების იმედით ინუგეშებენ, და სხ. მიუხედავათ ამისა, ამ სარბიელზე, როგორც წარმოების სხვა სარბიელებზედაც, არ მართლდება იმ დასკვნის გამოსატანათ აჩქარება, თითქო წვრილსა და საშვალო ბანკებს ნიადაგი ეცლებოდეს. უკანასკნელებს, თავისი განსაკუთრებულისა და მიმზიდველი თვისებების მეოხებით, სხვადასხვა კატეგორიის კაპიტალისტები ეკედლებიან, განსაკუთრებით—რანტიები, რომელთაც ახლა თავისი ქისების გაჩხრიალება ძლიერ უყვართ; აქ ისინი უფრო საფუძვლიანსა და მიუდგომელ რჩევას ღებულობენ თავისი კაპიტალების მოთავსების შესახებ, და, შესაძლოა, უფრო მშვიდობიანათ—და, მაშასადამე, უფრო საიმედო თავდასაფარ ალაგს, ფისკის თავიდან ასაშორებლათ, რომელიც უმთავრესათ სხვილ საკრედიტო დაწესებულებებში მიიმართება, როგორც კაპიტალიზმის წარმომადგენელსა და „საფინანსო ოლიგარხიათ" წოდებულ დაწესებულებებში. ამნაირათ, როგორც ვხედავთ, საბანკო საქმის კონცენტრაცია მონოპოლიისაკენ არ მიიმართება (გარდა საემისიო ოპერაციებისა, რომელთა შესახებაც ჩვენ შემდეგ თავში ვილაპარაკებთ), მზგავსათ იმისა, როგორც სხვილი მაღაზიებიც მონოპოლიას არ ქმნიან,—და თითქმის არც სხვილი ბანკების ტრესტების შექმნისა და კონსორციუმისკენ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მათ შორის კონკურენციას ისეთი ფართო ხასიათი აქვს მიღებული, რომ ეს გარემოება კლიენტების ინტერესებს უზრუნველყოფს.

**II. დეპოზიტები.** თავისი ოპერაციების უზრუნველსაყოფათ ბანკირმა უწინარეს ყოვლისა კაპიტალები უნდა იშოოს. მას, რა თქმა უნდა, თავისი საკუთარი კაპიტალებით ან-და კომპანიის უფრო მეტი კაპიტალით სწადია ისარგებლოს, რომელიც ჩვენს სხვილ საკრედიტო საზოგადოებებში ას-მილიონობით აღირიცხება. მაგრამ ბანკირი ოპერაციებს მარტო თავისისა ან-და თითქმის საზოგადოების კაპიტალებით რომ ასრულებდეს, მაშინ იგი ნაკლებ მოგებას ნახავს და აქიდან დიდი სარგებლობა არც საზოგადოებას ექნება; ჩვენ ახლავე დავინახავთ, თუ რატომ. საჭიროა, რომ მან თავისი ოპერაციები *საზოგადოების ფულებით* შეასრულოს და მისგანვე ისესხოს ეს ფულები,[83] ერთი კომედიის სიტყვები: „საქმე სხვების ფულიაო", რომელიც მომაკვდინებელგესლიანათ ეჩვენებოდათ, ბანკების მიმართ წმინდა ეკონომიურ ჭეშმარიტებას გამოხატავს.

მაგრამ როგორი სახით სესხულობს ბანკი? იგი ამ შემთხვევაში ისე კი არ მოიქცევა, როგორც სახელმწიფო, ქალაქი ან-და სამრეწველო საზოგადოებანი იქცევიან: ესენი (რენტისა, ობლიგაციებისა და აქციების სახით) გრძელი ვადით კაპიტალებს სესხულობენ იმ პირთაგან, რომელნიც სარგებელში ამ კაპიტალების მოთავსებას ცდილობენ. არა, ასეთი სახე სესხისა დიდ პროცენტს მოითხოვს და ბანკირს იგი სარგებლობას ვერ მოუტანს. საზოგადოებისგან ბანკირი საალებ-მიცემო, მოძრავ კაპიტალს მოითხოვს, რომელიც ფარა-ფულის სახით ყოველი ჩვენგანის ჯიბეში ან-და ჩვენი მაგიდების უჯრებში ინახება. ყოველ ქვეყანაში ასეთი სახით დიდძალი კაპიტალი არსებობს, რომელიც ჯერ არსად მოთავსებული არაა, წარმოებაში გამოყენებული არაა, და მხოლოდ იმ დროს უცდის, როცა ისინი გამოიყენებიან. ბანკირი საზოგადოებას მიმართავს და მას ასე ეუბნება: „ვიდრე თქვენ თქვენი კაპიტალისთვის საქმეს იშოვიდეთ, მომაბარეთ მე იგი: შენახვასთან დაკავშირებული შიშისგან თქვენ უზრუნველყოფილი იქნებით, ხოლო როცა დაგჭირდებათ, მაშინ დაგიბრუნებთ, და, გარდა ამისა, პროცენტებსაც მოგართმევთ, მაგ., 1—2%";[84] ეს მაინც იმაზე მეტი იქნება, რასაც თქვენ მისგან ღებულობთ, როცა ეს კაპიტალი თქვენს ჯიბეში იმყოფება. კიდევ მესამე სამსახურსაც გაგიწევთ: თქვენი მოლარე გავხდები, მივიღებ თქვენს შემოსავალს, კუპონებს თავის დროზე გასანაღდებლათ წარგიდგენთ, მოიჯარადრეებს გაგისტუმრებთ, როცა მიბრძანებთ, და ყველა ეს თქვენთვის ძლიერ სასარგებლო იქნებაო".

იქ, სადაც საზოგადოება ასეთ მოწოდებას ანგარიშს უწევს და სადაც მას აქი-

დან გამომდინარე სარგებლობა გაეგება, ბანკირებს, ამრიგათ, იაფ ფასათ დიდძალი კაპიტალის შოვნა შეუძლიათ, მოსაბარებლათ ყოველი მხრიდან ფულების მიღებით (საფრანგეთში[85]) 7 მილიარდზე მეტი დეპოზიტი ითვლება, ხოლო ინგლისში, სადაც ეს წესი უფრო გავრცელებულია, 20 მილიარდზე მეტი). ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ ინგლისში ყოველ მდიდარს ჩვეულებათ აქვს განმტკიცებული ბანკირებისათვის ფულების მიბარება, და არა შინ შენახვა. როცა კრედიტორის ან-და მოიჯარადრის გასტუმრება საჭირო იქნება, ისინი მათ ფულების მისაღებათ ბანკირთან გზავნიან და თან იმ წიგნაკიდან მოხეულს განსაკუთრებულ ბლანკზე დაწერილ ბრძანებას ატანენ, რომელსაც ჩ ე კ ი ეწოდება. ასეთი ჩვეულება ყველა ქვეყანას ედება.

ამრიგათ ბანკებში შედგენილ ფონდებს, რომელიც პირველი მოთხოვნილებისთანავე მომბარებლებს უბრუნდება, დ ე პ ო ზ ი ტ ე ბ ი ეწოდება.

**III. დისკონტები.** რა-კი ბანკმა ხელსაყრელი პირობებით კაპიტალი იშოვა, ახლა მან იმის შესახებ უნდა იზრუნოს, რომ ეს კაპიტალი წარმოებაში მოათავსოს ან-და გაასესხოს.

მაგრამ როგორ უნდა გასესხდეს კაპიტალი? ბანკირს არ შეუძლია გრძელი ვადით მისი გასესხება, მაგ., უძრავ ქონებათა დაწინდრების პირობით ან-და სამრეწველო სასაქმოსთვის ფინანსიური დახმარების გაწევის სახით. მან არ უნდა დაივიწყოს, რომ ეს კაპიტალი მას ნაბარებათ აქვს მიღებული, რომ, შესაძლოა, მისი დაბრუნება საჭირო შეიქნეს პირველი მოთხოვნისთანავე. ამიტომ ბანკირმა ეს კაპიტალები მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციებისათვის უნდა მოიხმაროს, რომელიც კაპიტალს მოკლე ვადით საჭიროებს და ბანკს შეძლებას მისცემს, ასე ვსთქვათ, თავის კაპიტალს თვალ-ყური ადევნოს.

შესაძლოა თუ არა ისეთი სასესხო ოპერაციის მონახვა, რომელიც ყველა ამ პირობას დააკმაყოფილებს?

არის ერთი ისეთი ოპერაცია, რომელიც მას საუცხოოთ შეეფერება. როცა ვაჭარი საქონელს, ჩვეულებისამებრ, ნ ი ს ი ა თ გაყიდის და მას ფული ვადამდი დასჭირდება, იგი ბანკირს მიმართავს. ბანკირი მას იმ ფულს აძლევს, რომელიც მან მყიდველისგან უნდა მიიღოს, მცირეოდენი ნაწილის გამოკლებით, რომელიც მის მოგებას შეადგენს, და ვაჭრისგან იმ ვექსილს ღებულობს, რომელიც ამ უკანასკნელმა მყიდველისგან მიიღო. ბანკირ ამ ვექსილს თავის პორტფელში ინახავს, ვადის დღეს მას მევალეს წარუდგენს და მისგან იგი იმ ფულს მიიღებს, რომელიც მან ვაჭარს მისცა.

ასეთ ოპერაციას დ ი ს კ ო ნ ტ ი ეწოდება. იგი, როგორც ვსთქვით, სესხის ერთ ფორმათაგანს შეადგენს: ცხადია, მართლაც, რომ ბანკირი, რომელიც, სამთვიანი 1000 მანეთის ვექსილის ნაცვლათ, ვაჭარს 985 მანეთს აძლევს და ვადის დღეს 1000 მანეთს ღებულობს, ისეთი გამსესხებელის მდგომარეობაში იმყოფება, რომელიც 3 თვის ვადით ფულს იძლევა და 6% და თითქმის ცოტათი კიდევ მეტსაც ღებულობს. და ეს სესხი ყოველთვის მოკლევადიანია, ვინაიდან ის ვექსილები, რომელსაც ბანკირი ყიდულობს, 3 თვეზე არა უგვიანეს ნაღდდება. მაგრამ ესეც ის მაქსიმალური ვადაა, რომლის განმავლობაშიც, საშვალოთ, ვექსილი ბანკირთან არაოდეს არ რჩება. ვაჭრებს ყოველთვის პირობის გაკეთების მეორე დღეს კი არ სჭირდებათ ვექსილების გაყიდვა; ხანდახან ისინი ამ ვექსილებს რამდენიმე ხნის განმავლობაში თავის სახლში ინახვენ, და თითქმის ისეც ხდება, რომ მათ ვექსილების გაყიდვა ვადის წინა დღეს უხდებათ. საფრანგეთის ბანკს ვექსილების დატოვება, დღიდან მათი დაწერისა, 90 დღეზე მეტი ვადით არ შეუძლია, მაგრამ ფაქტიურათ ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ეს ვექსილები მის პორტფელში რჩება, 21—25 დღეს შუა ქანაობს. მაშასადამე, დროის ის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბანკირი შემოტანილ ფულს ასესხებს, ძლიერ მოკლეა, და ყოველი ეკიუ მის სალაროში მალე ბრუნდება.

ამიტომ საკმაოა ნაბარების დაბრუნების მოსალოდნელ მოთხოვნილებებს შორის ოთხი კვირა დატოვებულ-იქნას, რომ ბანკირმა თავისი შემოსავლით ყოველთვის დააკმაყოფილოს ასეთი მოთხოვნილებანი; მაგრამ თითქმის შეუძლებელია, რომ ნაბარები ასე ხშირათ მოითხოვონ, ნორმალურ პირობებში მაინც, ყოველ შემთხვევაში. დეპოზიტის

პირობებს ასეთი სესხი, ცხადია, სავსებით აკმაყოფილებს.

ამას ისიც მიუმატეთ, რომ დისკონტი არა თუ მოხერხებული ფორმაა სესხისა, არამედ ზედმიწევნით საიმედოც, რადგან ყველა ხელის მომწერი სოლიდარულ პასუხს აგებს. მართლაც, ვექსილით მარტო ერთი მოვალე კი არ არსებობს, ვ ე ქ ს ი ლ ი ს-გ ა-მ ც ე მ ი, როგორც მას უწოდებენ, არამედ, უკიდურეს შემთხვევაში, ორი მაინც, ვინაიდან ვექსილის-გამცემზე პასუხს ვ ე ქ ს ი ლ ი ს-მ ი მ ღ ე ბ ი ც აგებს. ხოლო თუ ვექსილი მესამე პირის ხელში გადადის, მაშინ ეს უკანასკნელიც პასუხისმგებელია, თუ კი პირველი ორი მას არ გაისტუმრებს. გამოდის ისე, რომ მოვალეს იმდენი თავმდები ყავს, რამდენის ხელშიც ამ ვექსილმა გაიარა, იმიანათ, ვინც ეს ვექსილი გასცა. ამნაირათ, რაც უფრო მეტათ ტრიალდება ვექსილი, მით უფრო მეტი ხელის მოწერით ივსება იგი,—ხშირათ ადგილი არ იკმარებს ხოლმე და საჭირო ხდება ქაღალდის მიკერება,—და მისი ღირებულებაც მით უფრო უზრუნველყოფილია. საფრანგეთის ბანკი ს ა მ ხ ე-ლ ი ს მ ო წ ე რ ა ს მოითხოვს, ე. ი. ვექსილის-გამცემისა და ვექსილის-მიმღების ხელის მოწერის გარდა, ბლანკის წამწერის ხელსაც—ჩვეულებრივ, ბლანკის წამწერის როლს თვით ბანკი ასრულებს. გაუსტუმრებელი ვექსილებით წარმომდგარი ზარალი საფრანგეთის ბანკისა საშუალოთ წლის განმავლობაში 6 მილიონამდი ადის 13 მილიარდი ფრანკის დისკონტზე, ე. ი. 100 ფრანკზე 4 სანტიმის ნაკლებს შეადგენს!

მიუხედავათ ამისა, კრიზისების პერიოდებში ბანკირი დიდ რისკში ვარდება. თუ რომ ერთს მშვენიერ დღეს ბანკირს ყველა მომბარებელი ნაბარების უკან დაბრუნებას მოსთხოვს, მაშინ, რა თქა უნდა, ბანკი ამ მოთხოვნილებას ვერ დააკმაყოფილებს, რადგან მისი ან, უფრო სწორათ რომ ვსთქვათ, მათი ფული მთელს ქვეყანაშია გაფანტული. მართალია, ეს ფულები სალაროში მალე გამობრუნდება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ბანკის მიერ ნაბარების სახით ნასესხი კაპიტალებისა და ვექსილების დახურდავების სახით გაცემულ სესხებს შორის ყოველთვის ის განსხვავება არსებობს, რომ მისგან პირველის დაბრუნების მოთხოვნა ყოველ წამს შესაძლოა, ხოლო მას მეორის გამობრუნება მხოლოდ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი დ რ ო ი ს გ ა ს ვ ლ ი ს შ ე მ დ ე გ შეუძლია, და ეს განსხვავება ამ მომენტში შესაძლოა საკმაო შეიქნეს იმისათვის, რომ ბანკი დაიღუპოს.

მაგრამ ნუთუ ეგზომ საეჭვო საშიშროებამ უნდა აიძულოს ბანკი ტრიალში ძირითადი თანხა მოაქციოს და ნაბარებს ხელი არ შეახოს, როგორც ნამდვილათ ისეთ დეპოზიტს, რომელიც ოდესღაც ვენეციისა და ამსტერდამის ბანკებში შექონდათ? რა თქმა უნდა, არა. ასეთი გადაჭარბებით ყველა წაგებული დარჩება:

1) უპირველეს ყოვლისა, თვით მომბარებელნი,—ვინაიდან ცხადია, თუ რომ ბანკი იძულებული გახდება ნაბარები ხელუხლებლათ შეინახოს, მაშინ იგი არა თუ პროცენტის მიცემას არ მოისურვებს, არამედ შესანახი ხარჯების დასაფარავათ ჯილდოსაც მოითხოვს, როგორც ამას ძველი ბანკები შვრებოდენ ხოლმე. ამიტომ მომბარებლებისათვის უკეთესია, რომ მათ ცოტა მოცდა მოუხდესთ ნაბარების გამობრუნებაში, ვიდრე თავისუფალი ფული უსარგებლოთ შინ შეინახონ, ან-და მისი შენახვისათვის ბანკს სასყიდელი აძლიონ.

2) მთელი ქვეყანა,—ვინაიდან ბანკების სოციალური ფუნქცია, საწარმოო და აქტიური ხასიათის მისაცემათ, იმ კაპიტალების გაერთიანებაში გამოიხატება, რომელიც ყველგან უსარგებლოთ გაფანტულია, მაგრამ ამ ფუნქციის ასრულება, ცხადია, შეუძლებელი გახდება იმ მომენტიდან, როცა ბანკები თავისი დეპოზიტებით სარგებლობას ვერ შესძლებენ.

ამიტომ ბანკები მობარებული ფულებით თამამათ სარგებლობენ. ისინი ცდილობენ მხოლოდ, რომ სალაროში განსაზღვრული მარაგი ყოველთვის იქონიონ ნაბარების იმ ნაწილის უკან დასაბრუნებლათ, რომელიც ყოველ მომენტში შესაძლოა საჭირო შეიქნეს.

**A priori**-ულათ შეუძლებელია მარაგის რაოდენობასა და დეპოზიტების რაოდენობას შორის რაიმე შეფარდების გამორკვევა. ბანკმა თავის სალაროში მით უფრო მტნი მარაგი უნდა იქონიოს, რაც უფრო ნაკლებია მისი კრედიტი და რაც უფრო მე-

ტი აქვს მას სხვილი ნაბარები. მან განსაკუთრებით უნდა გაადიდოს ფულის მარაგი სავაჭრო კრიზისების მომენტებში, რენტებისა და ობლიგაციების გამოცემის მოახლოებისას,—ყველა იმ გარემოებაში, როცა მომბარებლებს, მისი შეხედულებით, ფულის დაბრუნება დასჭირდებათ.

ჩვენ ვსთქვით, რომ დახურდავება (დისკონტი) ერთადერთი ფორმა კი არაა. რომელსაც ბანკები თავის კაპიტალებს ახმარენ. ისინი ამ კაპიტალებს შემდეგი სახითაც ასესხებენ:

1) ფასიანი ქაღალდების მიღებით სესხის გაცემის სახით, ე. ი. საწინდრათ მოძრავი ღირებულების მიღებით და იმის შესახებ მეცადინეობით, რომ სესხის ჯამი ამ ქაღალდების ღირებულებაზე ნაკლები იქნეს. ფასიანი ქაღალდების სამაგიეროთ სესხის გაცემა საფრანგეთის ბანკის ერთს მთავარ ოპერაციათაგანს შეადგენს.

2) კრედიტის სახით, რომელსაც ბანკები თავის წევრებს უხსნიან. თუ კი ბანკის კლიენტებს ბანკში *მიმდინარე ანგარიში* აქვთ გახსნილი, და ბანკი მათ იმაზე მეტ ფულს აძლევს, ვიდრე მათგან მიუღია, ცხადია, ეს იმასვე ნიშნავს, რასაც სესხის გაცემა. მაგრამ რადგან სესხის ეს სახე არაფრითაა უზრუნველყოფილი (*à découvert*-ია—როგორც ამბობენ), მეტათ სარისკოა, სახიფათოა და ბანკის დირექტორისაგან დიდ სიფრთხილეს მოითხოვს,—ამიტომ ზოგიერთი ბანკი ამაზე უარს აცხადებს. წესდება საფრანგეთის ბანკს ასეთი ოპერაციის წარმოებას გადაჭრით უკრძალავს.

**IV. ბანკის ბილეთების გამოშვება.** როგორც ყოველი ვაჭრისა, ისე ბანკირის ინტერესიც იმას მოითხოვს, რომ მისი ოპერაციები, რაც შეიძლება, გაფართოვდეს. აღებ-მიცემის გაორკეცებით იგი მოგებასაც იდიდებს. მაგრამ როგორ უნდა მოიქცეს იგი, რომ თავისი ოპერაციები გააფართოოს? მისთვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი ის იქნება, რომ მას ex nihilo-სგან (არაფრისგან) ფულის სახით კაპიტალების შექმნა შეეძლოს და იგი იძულებული არ გახდეს ამ ფულის მობარებას დაუცადოს.

მაგრამ რადგან მოსაბარებლათ ფულის მოტანის მოლოდინში რამდენიმე საუკუნემ უნაყოფოთ ჩაიარა, ამიტომ ბანკირებს გადახდის უბრალო შეპირების ან *ბანკების ბილეთების* გამოშვების სახით მათთვის საჭირო კაპიტალის შექმნის გენიალური აზრი დაებადათ, და გამოცდილებამ ამის პრაქტიკულობა კიდეც დაამტკიცა:[86]) მიზანი შესანიშნავათ შესრულდა.

ამგვარათ, დასახურდავებლათ წარმოდგენილ ვექსილებზე გასაცვლელათ, ფულების ნაცვლათ, ბანკები თქვენ თავის ბილეთებს გაძლევენ. მაგრამ,—შესაძლოა ვინმე გაკვირდეს,—საზოგადოება ამ კომბინაციაზე როგორ დათანხმდება? აი ვაჭარი, რომელმაც ბანკში სადისკონტოთ 1000-მანეთიანი ვექსილი მოიტანა; სამაგიეროთ იგი პირდაპირ მეორე საკრედიტო ქაღალდს ღებულობს, სახელდობ—ბანკის 1000-მანეთიან ბილეთს. „რა ოხრათ მინდა მე ეს ბილეთიო?—შეეძლო მას ეთქვა.—მე ფული მჭირდება, და არა ვალდებულობის თამასუქი. საქმე რომ ასე ყოფილიყო, მაშინ უკეთესი არ იქნებოდა, რომ შემენახა ის, რაც ხელში მქონდაო?"—თუმცა ბანკის ბილეთი ისეთივე თამასუქია, როგორიც ვექსილი, მაგრამ იგი ვალდებულობის გაცილებით უფრო მოხერხებულ ფორმას წარმოადგენს. და, მართლაც, ბანკის ბილეთები ყველა სხვა საკრედიტო ქაღალდისგან და, განსაკუთრებით, ვექსილებისგან, დიდათ განსხვავდება შემდეგი დამახასიათებელი ნიშნეულობებით:

1) ბანკის ბილეთი—წარმომდგენის სახელზე გამოშვებული ქაღალდია, რითაც იგი ფულს წააგავს, ვექსილი კი განსაზღვრული ფორმალობით, ბლანკის გამკეთებლების პასუხისმგებლობით არის შეზღუდული;

2) *მას წარმოდგენისათანავე ისტუმრებენ*, ე. ი. როდესაც მოესურვებათ—წინათ ეს ვალდებულება თვით ბილეთზე აღინიშნებოდა,—სავაჭრო ვექსილის გასტუმრება კი განსაზღვრულ ვადაში ხდება;

3) სწორეთ იმიტომ, რომ მას წარმოდგენისთანავე ისტუმრებენ, მასთან ადგილი არა აქვს არც დისკონტაციას, *არც პროცენტის გადახდევინებას*, აქიდან კი ის გამომდინარეობს, რომ მისი ღირებულება ყოველთვის უცვლელია, მზგავსათ ფულების ღირებულებისა, ხოლო სავაჭრო ვექსილები მეტათ ან ნაკლებათ ღირს, იმის მიხედვით, თუ რამდენათ დაშორებულია ვადა გადახდისა;

4) *მასზე ყოველთვის რჩება გადახდის ძალა*, სხვა საკრედიტო ბილეთებზე კი ხნიერობით გაუქმების ვადა არსებობს.

5) *ბანკის ბილეთის ღირებულება რომელიმე რგვალი რიცხვით განისაზღვრება*, რომელიც ქვეყნის საფულო სისტემას შეეფერება,—50, 100, 1000 ფრანკს შეადგენს,—სხვა საკრედიტო ბილეთებს კი ჩვეულებრივ ნაწილაკობრივი ღირებულება აქვს.

6) ბანკის ბილეთს უშვებს და მასზე ხელს აწერს ცნობილი ბანკი, რომელსაც ყველა კარგათ იცნობს, ისეთი პირებიც თითქმის, რომელთაც სავაჭრო საქმესთან არაფერი აქვთ საერთო,—მაგ., საფრანგეთის ბანკი; ხოლო იმ პირთა ვინაობა, ვინაც ვექსილებზე ხელს აწერენ, ძლიერ ხშირათ მხოლოდ იმათ იციან, ვისთანაც მათ სავაჭრო დამოკიდებულება აქვთ.

ყველა ეს მოსაზრება იმას იწვევს, რომ ბანკის ბილეთს ხალხი ღებულობს, როგორც ნაღდ ფულს, და რომ იგი, ამნაირათ, ქაღალდის ფულის გინსაკუთრებულ ფორმას წარმომდგენს.

ბანკებს ბილეთების გამოშვება ჩვეულებრივ დიდ სარგებლობას აძლევს: ერთი მხრით, ისინი თავისი ოპერაციების შეუწყვეტლივ განსავითარებლათ საჭირო საშვალებას პოულობენ,—რა თქმა უნდა, კეთილგონიერებით აღნიშნულ საზღვრებში; მეორე მხრით, ამნაირათ ნაშოვნი კაპიტალი უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ნაბარები ფული, ვინაიდან უკანასკნელი მათ, როგორც დავინახეთ, 1—2% უჯდებათ, პირველი კი მათგან, გარდა იმ მცირედი ხარჯისა, რომელსაც ბილეთების დაბეჭდვა იწვევს, არავითარ გასავალს არ მოითხოვს.

მაგრამ მხედველობიდან ისიც არ უნდა გავუშვათ, რომ, თუმცა ეს ოპერაცია ბანკს მშვენიერ მოგებასა გვრის, მაგრამ სერიოზული საშიშროებაც შეუძლია კარს მიაყენოს. მართლაც, აღებმიცემაში მოქცეული ბილეთები შესაძლოა გადასახდელათ ყოველ წამს წარმოადგინონ; როგორც დეპოზიტები, ისე ეს ბილეთებიც, მაშასადამე, ისეთ ვალს წარმოადგენს, რომელიც მოთხოვნილებისათანავე უნდა დაიფაროს; ამის გამო ბანკი ორმაგ რისკში ვარდება: შესაძლოა ერთსა და იმავე დროს მას *დეპოზიტების დაბრუნება და თავისი ბილეთების დახურდავება* მოუხდეს.

თუ ფულის განსაზღვრული მარაგი მაშინაც კი აუცილებელია, როცა ბანკმა ანგარიში მარტო მომხმარებლებს უნდა გაუწიოს, მით უფრო აუცილებელი იქნება ასეთი მარაგის შექმნა მაშინ, როცა ნაბარების ვალს აღებმიცემაში მოქცეული ბილეთებით შექმნილი ვალიც მიემატება. ცხადია ამიტომ, რომ ბევრ ქვეყანაში ბანკებს განსაზღვრული ფონდის შენახვას თვით კანონი ავალებს. ხოლო თუ ასეთი კანონი არაა გამოცემული, მაშინ ასე მოქცევა კეთილმდგომარეობამ უნდა გამოიწვიოს. მაგრამ, მეორე მხრით, რადგან ჩაკეტილში ფულის გაჩერებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, ამიტომ მოგების მიღების სურვილი ბანკებს მინიმუმამდი ამ ფონდების დაწევას აიძულებს. საფრანგეთის ბანკი კერძო ბანკი რომ იყოს, მაშინ, ეჭვს გარეშეა, მისი აქციონერები პროტესტს განაცხადებდენ მის სარდაფში 4 მილიარდზე მეტი ფარაფულის შენახვის გამო და უსათუოთ მოითხოვდენ, რომ ამ ფულებისთვის საწარმოო დანიშნულება მიეცათ სასაქმოებისთვის ფინანსიური დახმარების აღმოჩენის სახით ან-და რაიმე სხვა მოსაგებიან ოპერაციაში მათი მოხმარებით.

**V. განსხვავება ბანკის ბილეთებსა და ქაღალდის ფულებს შორის.** ბანკის ბილეთი ქაღალდის ფულს ისე წააგავს, რომ ხალხი მათ შორის განსხვავებას ვერ ამჩნევს და ორივეს ფულათ სთვლის. საფრანგეთსა და ინგლისში ბანკის ბილეთს კანონიერი კურსიც აქვს, სწორეთ ისეთი, როგორიც ოქროს ფულს აქვს. მიუხედავათ ამისა, ბანკის ბილეთი სახელმწიფოს მიერ გამოცემული ქაღალდის ფულისგან განსხვავდება და მის წინაშე მას შემდეგი 3 უპირატესობა აქვს:

1) უწინარეს ყოვლისა, პრაქტიკაში ბანკის ბილეთს წარმომდგენის მოთხოვნისათანავე ყოველთვის *ახურდავებენ* ოქროს ფულებზე, ქაღალდის ფულები კი ყოველთვის ვერ ნაღდდება. ამ უკანასკნელებს, მართალია, განსაზღვრული ჯამის გადახდის შეპირების სახე აქვს და შესაძლოა, რა თქმა უნდა, კაცმა იფიქროს, რომ სახელ-

მწიფო, როცა იგი ფინანსიურ მოუწესრიგებლობას თავს დააწევს, თავის ქაღალდებს გამოიყიდისო; მაგრამ ეს ცოტათ თუ ბევრათ შორეული პერსპექტივა ნაკლებათ აწუხებს იმათ, ვინც ამ ქაღალდებს ღებულობენ, რადგან ჩვეულებრივ ისინი მათ მოგროვებასა და შენახვას როდი ცდილობენ;

2) ბანკის ბილეთებს სავაჭრო ოპერაციის მიზნით უშვებენ ხოლმე და იმდენს, რამდენსაც ეს ოპერაცია მოითხოვს,—ჩვეულებრივ, იმდენს, რამდენსაც დასახურდავებლათ წარმოდგენილი ვექსილების ერთობრივი ღირებულება შეადგენს; ქაღალდის ფულებს კი მთავრობა ხარჯების დასაფარავათ უშვებს, და ამის გამო მათ გამოშვებას მხოლოდ მომენტის ფინანსიური მოთხოვნილება განსაზღვრავს.

3) დასასრულ, როგორც თვით სახელწოდება აღნიშნავს, ბანკის ბილეთს რომელიმე ბანკი უშვებს, ე. ი. საზოგადოება, რომლის ერთადერთ დანიშნულებასაც სავაჭრო ოპერაციების შესრულება შეადგენს, ხოლო მის მთავარ საზრუნავს—თავისი კრედიტის მიმართ სიფრთხილით მოპყრობა,—ქაღალდის ფულებს კი—ყოველთვის სახელმწიფო.

ამნაირათ, ბანკის ბილეთი ქაღალდის ფულებში არ უნდა აურიონ. მიუხედავათ ამისა, შესაძლოა, მაინც, ის მოხდეს, რომ ბანკის ბილეთი ქაღალდის ფულებს იმდენათ დაუახლოვდეს, რომ ან მთლათ ან-და რამდენათმე მაინც დაკარგოს ის თავისი თვისებები, რომელიც ჩვენ ესეს არის დავახასიათეთ:

1) უწინარეს ყოვლისა, ხანდახან ბანკის ბილეთს იძულებითი კურსი ეძლევა,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, მისი დახურდავება ნაკლებათ თუ მეტათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუძლებელი ხდება. ასეთ შესაძლებლობას ძლიერ ხშირათ მაშინ აქვს ადგილი, როცა ყველა სხვილი ბანკის მიერ გამოშვებული ბილეთების კრიზისში იწყება.[87])

ასეთ შემთხვევაში კიდევ რჩება ორი უკანასკნელი უპირატესობა ბანკის ფულისა, რომელიც ჩვენ ზემოთ დავახასიათეთ, და განსაკუთრებით კი ის, რომ ბანკის ბილეთების რაოდენობა განუსაზღვრელი არაა და თვით ვაჭრობის საჭიროებით გამოირკვევა. ეს კი მეტათ სერიოზული გარანტიაა;

2) შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ ბანკის ბილეთებს არა თუ იძულებითი ხასიათი ქონდეს მიღებული, არამედ მათი გამოშვების ერთადერთ მიზანს ხარჯების დაფარვაში სახელმწიფოსთვის დახმარების აღმოჩენა შეადგენდეს, და არა ვაჭრობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. ასეთ შემთხვევაში საქმე ასე ხდება—სახელმწიფოს ფული სჭირდება და იგი ბანკს თხოვნით მიმართავს: „დაბეჭდეთ რამდენიმე მილიონის ბილეთები და მასესხეთ, მე კი უზრუნველვყოფთ მათი დახურდავების ვალდებულობისგან, მათთვის სავალდებულო კურსის მინიჭებითო". ასე მოხდა, მაგ., საფრანგეთისა და პრუსიის ომის დროს 1870 წელს: მთავრობამ რამდენჯერმე ბანკისგან 1,470 მილიონი ისესხა, მაგრამ, სანამ იგი ამას მოიქმედებდა და შესაძლოთ გახდიდა, მან ბრძანება გამოსცა ბილეთების კურსის სავალდებულო ხასიათის შესახებ.

ასეთ შემთხვევაში მეორე გარანტიაც ისპობა: ბანკის ბილეთების გამოცემას სახელმწიფოს საჭიროება განსაზღვრავს და ამ ბილეთებსა და ქაღალდის ფულებს შორის განსხვავებაც ქრება.

მაგრამ მაშინაც მესამე გარანტია დარჩება,—სახელდობ, გამომცემის ვინაობა,—და სწორეთ მარტო ეს ერთიც საკმარისია იმისთვის, რომ ბანკის ბილეთს ფასი იმდენათ არ დაეკარგოს, რამდენათაც ქაღალდის ფულებს. გამოცდილებამ ეს ისე აშკარათ დაამტკიცა, რომ სახელმწიფოები, საერთოდ, დამოუკიდებლათ ქაღალდის ფულების გამოშვებაზე უარს აცხადებენ და ამ საქმეში შუამავლობას ბანკებს სთხოვენ. კლიენტები ფიქრობენ, რომ ბანკები, რამდენათაც შესაძლო იქნება, გადაჭარბებულათ ბილეთების გამოშვებას არ მოისურვებენ, რადგან ამას ბანკების ინტერესები მოითხოვსო; კლიენტი ასე ფიქრობს (ამაში იგი—სამწუხაროთ—არ ცდება), რომ ფინანსიური დაწესებულება, რომელმაც თავისი საკუთარი ინტერესები უნდა დაიცვას, უფრო წინდახედულობასა და სიფრთხილეს გამოიჩენს, ვიდრე მთავრობა ან-და ფინანსების მინისტრი, რომელიც მხოლოდ სახელმწიფო ინტერესებზე ზრუნავსო.

VI. *მონოპოლია თუ კონკურენცია?—სახელმწიფო თუ კერძო ბანკი?* ეს საკითხი[88]) მხოლოდ ბილეთების გამოშვების გამო წარმოსდგება. მართლაც, როცა საქმე ბანკების სავაჭრო ოპერაციებს შეეხება, როგორიც, მაგ., დისკონტი არის, მაშინ, რა თქმა უნდა, კონცენტრაციის კანონი იმას ცდილობს, რომ, როგორც დავინახეთ, ბანკების რიცხვი შეამციროს, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჩვენ კიდევ შორსა ვართ ფაქტიურ მონოპოლიამდი და გაცილებით ნაკლებათ ვფიქრობთ იმის შესახებ, რომ რომელსამე ერთ ბანკს კანონიერი მონოპოლიის უფლება მივანიჭოთ. პირიქით, ვაჭრობის ინტერესი მრავალი ბანკის არსებობასა და მათ შორის კონკურენციის წარმოებას მოითხოვს, რომ ამით უფრო იაფფასიანი კრედიტი იქნეს უზრუნველყოფილი.

მაგრამ, როცა საქმე ბილეთების გამოშვებას შეეხება, მაშინ იგი სულ სხვა სახეს ღებულობს: ამ დროს ჩვენ ვაჭრების ინტერესები კი არ უნდა ვიქონიოთ, არამედ საზოგადოებისა, და მაშინ კარგ პირობებში მიღების საკითხი კი არ დგება, არამედ საკითხი ქაღალდის კარგი ფულის მიღებისა, რომლის ღირებულებაც ლითონის ფულის ღირებულებას უნდა უდრიდეს და რომელიც ისევე საიმედო უნდა იყოს, როგორც ლითონის ფული. მაგრამ განა თავისუფალ კონკურენციას ეწევიან მაშინ, როცა ლითონის ფულებს უშვებენ? სრულებითაც არა, ვინაიდან ჩვენ კარგათ ვიცით, რომ, გრეშემის კანონის ძალით, გლახა ფული ყოველთვის კარგ ფულს აძევებს, და რომ, მაშასადამე, ქვეყანა უგლახესი ფულის ამარა დარჩება. ფულის მოჭრა ყველგან სახელმწიფოს მონოპოლიას შეადგენს. სხვაფრივ რატომ უნდა ხდებოდეს მაშინ, როცა საქმე ბანკის ბილეთს შეეხება, რომელიც ლითონის ფულის როლს ასრულებს და რომელსაც კანონიერი კურსი აქვს? მასთან ბანკების ბილეთების სხვადასხვანაირობა ისეთ უხერხულობას ქმნის, რომ შეერთებულ შტატებში ყველა ბანკი ვალდებულია ერთნაირი ბილეთი იქონიოს და მისი დაბეჭდვა სახელმწიფოს მიანდოს. ამნაირათ, ჯერ ყოველთვის ერთადერთ საემისიო ბანკს აარსებენ და მერე მას სახელმწიფო ბანკის შუამავლობა მოჰყვება.

საემისიო მონოპოლია უკვე განხორციელებულია, კანონის ძალით, საფრანგეთში, ავსტრიაში, ისპანიაში, ბელგიაში—და ეს უფლება მინიჭებული აქვს, სავსებით თუ ნაწილობრივ, კერძო ხასიათის ერთ ბანკს რუსეთში და შვეიცარიაში, ხოლო სამხრეთი ამერიკის სახელმწიფოთა უმეტეს ნაწილში—სახელმწიფო ბანკს. და იქაც კი, სადაც, როგორც, მაგ., ინგლისში და გერმანიაში, საემისიო მონოპოლია სავსებით დამყარებული არაა, ამას მაინც უახლოვდებიან. მართლაც, როცა ის ბანკები, რომელთაც ამ ორ ქვეყანაში ბილეთების გამოშვების უფლება ეკუთნის, თავის არსებობას შესწყვეტენ (როგორც ადამიანები, ისე ბანკიც უკვდავი არაა) ან-და, ამა თუ იმ მიზეზის გამო, თავის უფლებაზე უარს განაცხადებენ, მაშინ მათ ადგილს არც ერთი კერძო ბანკი არ დაიკავებს,—და ინგლისის ბანკი ან გერმანიის საიმპერიო ბანკი ამ საემისიო უფლებას დაიმკვიდრებს.

ლიბერალური შკოლის ეკონომისტების ბანკაში მონოპოლიისაკენ ან თითქმის სახელმწიფო მონოპოლიისაკენ მიმართული მოძრაობა თანაგრძნობას ვერ პოულობს.

საქმე მარტო ბილეთების გამოშვებას რომ შეეხებოდეს, როგორც ყოველი ქვეყნის ზარაფხანა, ისე სახელმწიფო ბანკიც ამ ბილეთების საბეჭდავ სახელოსნოს რომ წარმოადგენდეს, მაშინ ისინი ამაზე სიამოვნებით დათანხმდებოდენ. მაგრამ ბანკის სხვა ოპერაციებისგან ბილეთების გამოშვების გამოცალკევება ხომ შეუძლებელია. ბილეთების აღებმიცემა მხოლოდ დისკონტის ან-და სესხის სახით იწყება. მაშ, როგორ უნდა იარსებოს სახელმწიფო ბანკმა, თუ იგი სადისკონტო ოპერაციებზე უარს იტყვის? ბილეთები ფულის ფონდის არსებობას მოითხოვს, ხოლო ფონდი ნაბარებისგან სდგება,—ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. სახელმწიფო ბანკის როლი სწორეთ ასე ესმისთ მის მიმდევრებს, სოციალისტებს თუ სოციალისტ-რადიკალებს; ისინი იმაზე არავითარ შემთხვევაში არ თანხმდებიან, რომ ბანკის მოღვაწეობა საემისიო სალაროს როლს დაემზგავსოს. ბანკში მათ ყველა საბანკო ფუნქციის ასრულება სურთ. ეს მათ სწორეთ იმის საწინააღმდეგო ბრძოლისათვის უნდათ, რასაც ფინანსიური ოლიგარხია ეწოდება. მათ უნდათ, რომ ბანკს ქონდეს ფულის მარაგი, რომელმაც სახელმწი-

ფოს ცხოვრებაში სამხედრო ფონდის როლი უნდა შეასრულოს,—და მთელი ის უფლებაც საქმიანობისა, რომელიც ბანკის ხელში თავს იყრის დახურდავების ნორმის ფიქსაციის გამო. ხოლო ასეთ შემთხვევაში ჩვენს წინ წარმოდგება ცნობილი არგუმენტები იმის შესახებ, რომ სამრეწველო ფუნქციებისა და, განსაკუთრებით, კრედიტის ხელმძღვანელის ეგზომ სახიფათო ფუნქციების ასრულების ნიჭი სახელმწიფოს არ შესწევს. გვეტყვიან:

1) რომ სახელმწიფო ბანკი თავის მოღვაწეობაში უფრო მეტათ პოლიტიკური მოსაზრებით იხელმძღვანელებს, ვიდრე კომერციულით, რომ იგი მთავრობის გავლენიან მეგობრებს ფასიანი ქაღალდების დახურდავებაზე უარს არაოდეს არ ეტყვის, ხოლო თავის მოწინააღმდეგეს ხშირათ უარით გაისტუმრებს;

2) რომ იგი იძულებული შეიქნება გახსნას სახალხო კრედიტი, დაეხმაროს ღარიბებს, აწარმოოს სოციალური სოლიდარობის საქმე;[89])

3) რომ იგი, განსაკუთრებით, მთავრობას სესხზე უარს ვერ ეტყვის, ამიტომ უკანასკნელზე დამოკიდებული გახდება და იძულებული შეიქნება ახალ-ახალი ბილეთების ისეთს ყოვლად უსაფუძვლო გამოშვებას მიყოს ხელი, რომ მათ ფასი სრულიად დაეკარგოს;

4) რომ, უბედური ომის გამო, გამარჯვებულს, რომელიც მანამდი კერძო ბანკების უფლებებს იცავდა, საფუძველი არ ექნება სახელმწიფო ბანკს ამიერიდან ასევე მოეპყრას, და იგი მას ისე ჩასთვლის, როგორც კარგ ნადავლს;

5) რომ მაშინ, როცა სახელმწიფო და ბანკი ერთს მთლიან ერთეულს შეადგენს, სახელმწიფოს კრედიტი ბანკის კრედიტით ვერაფერს მოიგებს, მაგრამ, სამაგიეროთ, კრიზისების დროს, სახელმწიფოს ფინანსიური სიძნელე ბანკის კრედიტზეც გავლენას მოახდენს. 1870—71 წლის ომის დროს 3% რენტის კურსმა 75 ფრანკიდან 50 ფრანკამდი დაიწია, ე. ი. რენტამ თავისი მესამედი ღირებულება დაკარგა, ხოლო იმავე დროს ბანკის 100 ფრანკიანი ბილეთის ღირებულება მხოლოდ 50 სანტიმით დაეცა, რაიც ხალხს არც კი შეუმჩნევია. განა ბილეთი იმდენსვე არ დაკარგავდა, რამდენიც რენტამ დაკარგა, საფრანგეთის ბანკი სახელმწიფო ბანკი რომ ყოფილიყო?

6) რომ, დასასრულ, სახელმწიფო, ამის მეოხებით, ვერავითარ შემთხვევაში ვერ მიიღებს ვერც მოგებას, რომელსაც იგი მოელის, და ვერც ფინანსიურ ძლიერებას, რომელსაც იგი შურით შესცქერის, ვინაიდან სავსებით გასაგებია, რომ ვაჭრების ქვეყანა შეეცდება სახელმწიფო ბანკს ყოველთვის გვერდი აუაროს, რომ იგი, ასე თუ ისე, უბილეთებოთ საქმეების გაკეთებას შეეჩვევა—ინგლისის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ეს არც ისე ძნელია—და რომ, ამნაირათ, სახელმწიფო ბანკი თავისი დიდებულებით განმარტოებული და გაცარიელებული დარჩება... და იქნებ მან თავის ხელში მხოლოდ დახურდავებისა და სხვა საბანკო ოპერაციების საქმე მოაქციოს, რომ შექმნილ მდგომარეობას თავი დააღწიოს! მაგრამ მაშინ ხომ სრული კოლექტივიზმი დამყარდება.

ყველა აღნიშნული მოსაზრება სრულებით საფუძვლიანია, ხოლო განსაკუთრებით—უკანასკნელი. სახელმწიფო ბანკი, როგორც ყოველი სხვა ბანკიც, შესაძლოა მხოლოდ მაშინ განვითარდეს, როცა იგი საზოგადოების ნდობით სარგებლობს,—კრედიტი და ბანკი ერთმანეთისგან განუცალკევებელია,—მაგრამ შესაძლოა, რომ იგი ვერავითარი ნდობით ვერ სარგებლობდეს. ეს კი ფაქტის საქმეა, და პრინციპიალურ გადაწყვეტილებას არ მოითხოვს.

უკეთუ მონოპოლიის უფლებით *რომელიმე კერძო ბანკი სარგებლობს*, მაშინ მონოპოლიის საწინააღმდეგოთ ყველა ზემო მოყვანილი მოსაზრება ძალას კარგავს, ეს ბანკი სახელმწიფოს კონტროლსაც რომ ემორჩილებოდეს—მაინც. მაგრამ ლიბერალურ შკოლას ასეთი წესიც არ მოსწონს: ერთის რომელიმე ბანკის მონოპოლია, თუნდაც ეს მონოპოლია მარტო ბილეთების გამოშვებაზედაც რომ ვრცელდებოდეს, ყველა საბანკო ოპერაციაზე გავლენას ახდენს, ყველა დანარჩენ მეტოქე ბანკს უმართლოთ აყენებს უსწორო პირობებში და ხალხსაც ზარალს აძლევსო. მართლაც, ბილეთების გამოშვების მონოპოლია მონოპოლისტ-ბანკს ვექსილების დახურდავების საშვალებას აძლევს ისეთი ბილეთებით, რომელიც მას არაფრათ უზის. როგორ უნდა იბძროლოთ ასეთ პირობებში? სწორეთ ამრიგათ, როგორც ამბობენ, ბილეთების გამოშვე-

ბის მონოპოლიით საფრანგეთის ბანკმა ისეთი უაღრესობა მოიპოვა, რომელიც, შესაძლოა, არც მისი მოღვაწეობით და არც მისი კომერციული უნარით არ მართლდებოდეს, მაგრამ ის კი აშკარაა, რომ სხვა ბანკები მის ვასალებათ გახდენ. საფრანგეთის ბანკს იმიტომ აქებენ, რომ იგი დახურდავებაზე ყოველთვის სხვა ბანკებზე ნაკლებ პროცენტს იღებსო. მაგრამ აქ ეს ბანკი რა შუაშია, თუ იგი ვექსილებს იმ ბილეთებით ახურდავებს, რომელიც მას მხოლოდ დაბეჭდვის ფასათ უჯდება! ვაჭრული ქვეყანა განა ამით რასმე იგებს? არაფერს, ვინაიდან საფრანგეთის ბანკში ვექსილის დასახურდავებლათ საჭიროა 3 ხელის მოწერა. ამიტომ ვაჭარი იძულებული ხდება ჯერ სხვა ბანკს მიმართოს, რომელიც მისგან 4—5% ღებულობს, ხოლო მას საშვალება ეძლევა ეს ვექსილი საფრანგეთის ბანკში 3% გადაახურდაოს და ამნაირათ დარჩენილი განსხვავება მოიგოს.

ეგ მართალიაო,—უპასუხებენ მონოპოლიის დამცველები,—მაგრამ ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მართალი არ არის ის აზრი, თითქო საემისიო მონოპოლია პრივილეგიურ მდგომარეობას ქმნიდესო. ფაქტიურათ საფრანგეთის ბანკი ამით ძლიერ ცოტას იგებს. ვექსილების დახურდავებით იგი უფრო ნაკლებ ოპერაციას ეწევა, ვიდრე მისი მეტოქეები. იგი მათ დიდ სამსახურს უწევს იმით, რომ ისინი თავისუფალი არიან ფარა-ფულის დიდი მარაგის შენახვისგან, ვინაიდან ეს ბანკები, ნაცვლათ იმისა, რომ ფულის უმოქმედო მასა შეაგროვონ, თავის პორტფელებს დ ი ს კ ო ნ ტ გ ა კ ე თ ე ბ უ ლ ი ქ ა ღ ა ლ დ ე ბ ი თ (p a p i e r b a n c a b l e) ივსებენ, ე. ი. ისეთი ქაღალდებით, რომელიც საფრანგეთის ბანკმა უნდა დაახურდაოს, ხოლო ისინი ამ ბანკს მხოლოდ მაშინ მიმართვენ, როცა მათ ფული დასჭირდებათ. ამნაირათ, საფრანგეთის ბანკი სხვა ბანკების სალაროს როლს ასრულებს და იგი, მაშასადამე, ბანკთა ბანკს წარმოადგენს. და მან ყველა ბანკისათვის საჭირო ფულის მარაგის ფუნქცია რომ შეასრულოს, ამისთვის სალაროში დიდძალი ფული უნდა ქონდეს. ეს გარემოება ბილეთების გამოშვების თავისუფლებას ზღუდავს, და, მაშასადამე, განსაკუთრებული მოგების მიღების საშვალებასაცართმევს,—მით უფრო იმიტომ, რომ მან ბევრი სხვა მოვალეობაც უნდა აასრულოს, რომელსაც მას მინიჭებული პრივილეგიისათვის სახელმწიფო ადებს. სხვა ქვეყნებშიც ბილეთების გამოშვების უფლება სახარბიელო საგანს ან შეადგენს; ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ, თუმცა გერმანიასა და ინგლისში ეს უფლება საკმაოთ ბევრ ბანკს აქვს მინიჭებული, მაგრამ ისინი ამ უფლებით სარგებლობაზე უარს სიამოვნებით აცხადებენ.

ამ დისკუსიიდან, ჩვენ ვფიქრობთ, შესაძლოა იმ დასკვნის გამოტანა, რომ რომელიმე ერთი ბანკისადმი—კერძოსადმი, მაგრამ სახელმწიფოს კონტროლით—მინიჭებული საემისიო მონოპოლია საუკეთესო გადაწყვეტილებათ არის ცნობილი,—პრაქტიკაში, მაინც. იგი განხორციელებულია საფრანგეთის ბანკის სახით, რომელსაც უკვე რამდენიმე საუკუნის გამოცდილება აქვს და რომელმაც ბევრი პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი მედგრათ გადაიტანა.

საჭიროა თუ არა ბილეთების გამოშვების რეგლამენტაცია, დამოუკიდებლათ იმისა, თუ რომელი რეჟიმია მიღებული: მონოპოლიის რეჟიმი თუ თავისუფალი კონკურენციისა?—ეს მეორე საკითხია.

VII. **ბილეთების გამოშვების რეგლამენტაცია.** ლიბერალური დოკტრინის ბატონობის ძველ სანეტარო დროში შეთვისებული იყო პრინციპი, რომ ყოველი კანონმდებლობითი რეგლამენტაცია გამოშვებისა უსარგებლოა, ვინაიდან მარტო ერთი თავისუფლება სავსებით საკმარისიაო.[90])

მართლაც, რისთვის უნდა გვეშინოდეს laisser fair-ისა? ძალზე მეტი ბილეთის გამოშვებისა? ეს—მოჩვენებითი საშიშროებაა, ვინაიდან ეკონომიური კანონიერობის მოქმედება მას სათანადო კალაპოტში ჩააყენებს,— ბანკებმა გადაჭარბებაც რო მოინდომონ, მაინც—და აი რატომ:

ა) უწინარეს ყოვლისა, ბანკის ბილეთებს საბანკო ოპერაციებისათვის უშვებენ, ე. ი. იმ ოპერაციებისათვის, რომელსაც ვექსილების დახურდავება და ღირებულებიან ქაღალდებზე სესხის გაცემა წარმოადგენს. მაშასადამე, იმისათვის, რომ ბანკის ბილეთი

ალებმიცემაში მოიქცეს, მარტო ის კი არ კმარა, რომ ბანკს ეს უნდოდეს: საჭიროა კიდევ, რომ ვისმე სესხათ მისი წაღება სურდეს. გამოშვებას კლიენტების მოთხოვნილება აგვარებს, და არა ბანკის სურვილები. ბილეთების რაოდენობა, რომელსაც ბანკი გამოუშვებს, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ ვექსილს წარმოადგენენ, დასახურდავებლათ ხოლო უკანასკნელის რაოდენობა სავაჭრო ალებმიცემის ინტენსიობაზეა დამოკიდებული.

ბ) შემდეგ ბანკების ბილეთები ალებმიცემაში მხოლოდ მოკლე ვადით შემოდის: გამოშვებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ ეს ბილეთები ისევ ბანკს უბრუნდება. აი, მაგ., ნაცვლათ ვექსილისა, ალებმიცემაში 1000 ფრ. ბანკის ბილეთი გამოდის; რამდენიმე კვირის შემდეგ, არა უგვიანეს 90 დღისა, როცა ბანკი ვექსილის ვალიუტას მიიღებს, 1000-ფრანკიანი ბილეთი ისევ უკან დაბრუნდება. ეს იგივე ბილეთი არ იქნება, მაგრამ აქიდან რა გამომდინარეობს? რამდენი ბილეთიც გადის, იმდენივე ბრუნდება:

მოქცევამ იგი მოიტანა, მიქცევამ გაიტანა.

გ) დასასრულ, თუ კიდეც წარმოვიდგენთ, რომ ბანკს ძალზე მეტი ბილეთის გამოშვება შეუძლია, მაშინ იგი ალებმიცემაში მათ მოქცევას ვერ შესძლებს, ვინაიდან, თუ კი ბილეთები ზედმეტათ არის გამოშვებული, მაშინ მათი ფასი უსათუოთ დაეცემა, ხოლო როცა ფასი დაეცემა, რა გინდ უმნიშვნელოც იყოს ეს დაცემა, დახურდავების მოსათხოვათ მათი პატრონები ბანკს მოაწყდებიან. რამდენიც უნდა ეცადოს ბანკი, რომ ამ ბილეთებით თავის კლიენტებს ჯიბე გაუვსოს, ამას იგი ვერ შესძლებს, რადგან თვით მას ასეთი ბილეთები ბლომათ დაუგროვდება.

ეს არგუმენტაცია, ეჭვს გარეშეა, ჭეშმარიტების ნატამალს შეიცავს, და თითქმის გამოცდილებაც მას ხშირათ ამტკიცებდა. ბანკები იშვიათად ახერხებდენ ალებმიცემაში იმაზე მეტი ბილეთის მოთავსებას, რამდენსაც საჭიროება მოითხოვდა.

მიუხედავათ ამისა, მაინც არ დავფარავთ, რომ ბანკის ბილეთების თავისუფლათ გამოცემას დიდი საშიშროების გამოწვევა შეუძლია, თუ ნორმალურ დროში არა, კრიზისის დროს მაინც; ხოლო ჩვენი თანამედროვე საზოგადოებების ეკონომიურ ცხოვრებაში კრიზისები თანდათან ხშირათ მეორდება.

თეორეტიულათ, რა თქმა უნდა, მართალია, რომ გამოშვებული ბილეთების რაოდენობა კლიენტების მოთხოვნაზე იქნება დამოკიდებული, და არა ბანკის სურვილზე. მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ თუ პატიოსნებით ნაკლებათ განთქმული რომელიმე ბანკი ერთადერთ მიზნათ კლიენტების შოვნას დაისახავს, იგი ამას ადვილათ შესძლებს პროცენტების ნორმის დაბლა დაწევით, რადგან ამ გზით ამ კლიენტებს სხვა ბანკებს წაართმევს, და, მაშასადამე, ბილეთების გამოშვების რაოდენობასაც გაადიდებს.

მართალია აგრეთვე ისიც, რომ წინდაუხედველი ბანკის მიერ ზედმეტათ გამოშვებული ბილეთები უკანვე დაუბრუნდება მას, როგორც კი მათი ფასი დაეცემა; მაგრამ მათი ფასის დაცემა საგრძნობი მაშინვე კი არ ხდება, არამედ, შესაძლოა, რამდენიმე კვირის შემდეგ. და თუ ბანკი ამ დროის განმავლობაში ბილეთების გამოშვებას აგრძობდა, მაშინ, როცა ეს ბილეთები უკან დენას დაიწყებს, თითებზე კბენა ხომ ნამეტნავათ დაგვიანებული იქნება? მოახერხებს იგი მაშინ ამ ბილეთების დახურდავებას და ქვეშ არ მოექცევა იმ ტალღებს, რომლის შესახებაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობდით? მართალია, თავისი გაუფრთხილებლობის გამო პირველათ თვით ბანკი დაისჯება გაკოტრებით. მაგრამ ჩვენ ეს რას მოგვიტანს? ჩვენ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ კრიზისი ავიცილოთ, და არა იმაზე, რომ დავსაჯოთ ისინი, ვინც ამ კრიზისს გამოიწვევს.

და ჩვენ მონოპოლიის სასარგებლოთ სერიოზულ მოსაზრებას ვხედავთ. მართლაც, საბაბი არის ვიფიქროთ, რომ ის ბანკი, რომელსაც ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო ადგილი უკავია, რომელსაც დიდი წარსული აქვს და მტკიცე ტრადიციები, ბილეთების გამოშვებას სათანადო სიფრთხილით მოეპყრობა, და სწორეთ აქ იმარხება ერთადერთი ნამდვილი გარანტია.

გამოცდილება ამტკიცებს, სხვათა შორის, რომ საემისიო საქმეზე ასეთი შეხედულებისაა ყველა სხვილი ბანკი და, განსაკუთრებით, ფრანგული ბანკიც, რომლის გამტყუნებაც დაახლოებით მთელ საუკუნეში მისი არსებობის განმავლობაში მხოლოდ გადაჭარბებულ სიფრთხილეში შეიძლება, ვინაიდან მის სალაროში ფულის მარაგი ჩვეულებრივ გამოშვებული ბილეთების რაოდენობას $^{1}/_{5}$-ით აღემატება, თუმცა იგი სულაც არავითარი რეგლამენტაციით არაა შეზღუდული არც თავისი მარაგის საერთო ჯამის შესახებ და არც გამოშვებული ბილეთებისადმი მათი პროპორციის შესახებ.

სწორედ ამიტომ ურეგლამენტაციოთ აბსოლუტური თავისუფლებით ბილეთების გამოშვების სისტემა ცხოვრებაში არც ერთ ქვეყანაში არ გატარებულა.

სხვადასხვა ქვეყანაში შემოღებული რეგლამენტაციის სისტემები შესაძლოა შემდეგ ოთხ ნაწილათ დაიყოს:

1) ფ უ ლ ი ს მ ა რ ა გ ი თ ბ ი ლ ე თ ე ბ ი ს ჯ ა მ ი ს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ა.

ამ შეთხვევაში ბანკის ბილეთი რეპრეზანტიული ფულის როლს ასრულებს. იგი სრულებით უზრუნველყოფილია, მაგრამ არავითარ სარგებლობას არ იძლევა, გარდა იმისა მხოლოდ, რომ ჯიბეში ნაკლებ ადგილს იკავებს, ვიდრე ოქროს ფული, და ლითონის წონის შენახვას ხელს უწყობს (ნაკლებათ რომ ფუჭდება, იმის გამო). ბანკი უკვე საკრედიტო დაწესებულების სახეს კარგავს და სარდაფათ იქცევა.

ამიტომ ეს წესი სავსებით არსად არაა დაცული; სხვადასხვა ქვეყანაში მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ამ წესს დაუახლოვდენ.

ამ წესითაა დამყარებული ორგანიზაცია (currency principle) ინგლისის ბანკისა, რომელიც, 1844 წლის აქტის თანახმათ, ცხოვრებაში რობერტ პილმა გაატარა. პირდაპირ კანონის ძალით ბანკს შეუძლია იმდენი ბილეთი გამოუშვას, რამდენსაც მისი ფულის მარაგთან 18,450,000 გირვ. სტერლინგის (465 მილ. ფრანკის) მ ი მ ა ტ ე ბ ა შეადგენს. რატომაა აღებული ასეთი საზღვარი? კანონმდებელი ფიქრობდა, რომ გამოშვებას ასეთ პირობებში არავითარი ხიფათი არ მოელის, ვინაიდან ეს 18,450,000 გირვანქა სავსებით უზრუნველყოფილია. და, მართლაც, ამ ჯამის უდიდეს ნაწილს სახელმწიფოს ვალდებულობა [91]) წარმოადგენს (მაშასადამე, მის გადახდის გარანტიას სახელმწიფო იძლევა), ხოლო დანარჩენი ნაწილის გარანტიას ბანკის კაპიტალები წარმოადგენს, რომელიც აგრეთვე სახელმწიფო რენტაშია მოქცეული.

ამ რეგლამენტის სისწორით დაცვის მიზნით ინგლისის ბანკი ორ სხვადასხვა დეპარტამენტათ არის დაყოფილი: ერთ დეპარტამენტს საბანკო ოპერაციები აქვს დაკისრებული—დეპოზიტები და დისკონტი (banking department)—და მას არც ერთი ბილეთის გამოშვების უფლება არ აქვს, ხოლო მეორეს—ბილეთების გამოშვება (issue department), მას კი არავითარი საბანკო ოპერაციის წარმოება არ შეუძლია. უკანასკნელი თავის ბილეთებს პირველ დეპარტამენტს აბარებს, საჭიროების მიხედვით. 465 მილიონი ფრანკის ჩაბარების შემდეგ ბილეთების მიცემა შესაძლოა მხოლოდ ფულებზე ან ზოდებზე გადაცვლით.

ჩვენ რომ ამ შემთხვევაში სხვა ბანკის შესახებ ვლაპარაკობდეთ, და არა ინგლისის ბანკზე, მაშინ ასეთ განსაზღვრას სერიოზულ გარანტიათ ვერ ჩავთვლით, ვინაიდან ბანკის კაპიტალი ისეთი გარანტია არაა, რომლის რეალიზაციაც ყოველთვის და დაუყოვნებლივ შესაძლოა, განსაკუთრებით მაშინ, როცა, როგორც ამ შემთხვევაში მისი დიდი ნაწილი სახელმწიფოს უბრალო ვალდებულებით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ეს განსაზღვრა პრაქტიკაში, და სწორედ კრიზისის დროს, ისეთ დიდ უხერხულობას წარმოადგენს, რომ უკვე სამჯერ მოუხდათ 1844 წლის კანონის მოქმედების შეჩერება და ბანკი იძულებული შეიქნა საბედისწერო საზღვარს გადასულიყო. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე მომენტში ბანკს ფონდათ 465 მილიონი აქვს და 930 მილიონის ბილეთები—აღებმიცემაში, და იგი იძულებულია ყოველი დისკონტი შეაჩეროს. მართლა, რით შესძლებს იგი წარდგენილი ვალდებულებების დახურდავებას?—ახალი ბილეთების გამოშვებით? მაგრამ 465 მილიონის ბილეთები ხომ უკვე გამოცემულია!—თავისი სალაროდან ფულის გამოტანით? მაგრამ თუ რომ იგი თავის ფონდს თუნდაც 464,000,000-მდი დაიყვანს, აღებმიცემაში დარჩენილი 930,000,000-ის

საზღვარი ხომ მაინც გადაცილებული იქნება! მაგრამ ინგლისის ბანკს დახურდავების შეწყვეტა ისე არ შეუძლია, თუ რომ იგი ამით ვაჭრული ქვეყნის ნაწილის ბანკროტობას არ გამოიწვევს! ყველაზე უარესი ისაა, რომ, რადგან საქმე კანონის მოქმედების შეჩერებას შეეხება, მაშინ მხოლოდ ერთმა მთავრობამ, და არა ბანკმა, უნდა იკისროს მთელი ეს საშინელი პასუხისმგებლობა,

II. მეორე წესი ფულის ფონდის რაოდენობასა და ალებმიცემაში მოქცეული ბილეთების რაოდენობას შორის ცნობილი პროპორციის გამორკვევით გამოიხატება (ჩვეულებრივ $1/_3$). ეს წესი ბევრ ქვეყანაშია შემოღებული (მაგრამ არაა შემოღებული ფრანგული ბანკის მიერ, თუმცა ეს ცთომილება კლიენტებსა და სტუდენტებს ძვალ-რბილში გამჯდარი აქვთ).

ეს სისტემა პირველზე უფრო ელასტიურია, მაგრამ იგი იმავე შედეგს იწვევს, ე. ი. ალებულ მომენტში ყოველგვარ დახურდავებასა და თითქმის ყოველგვარ გამოცვლას შეუძლებლათ ხდის, და, მაშასადამე, ქმნის იმ საშიშროებას, რომლის აცილებაც უნდოდათ.

III. მესამე წესი ბილეთების გამოშვების მაქსიმუმის გამორკვევით განისაზღვრება.

ეს სისტემა შემოღებულია საფრანგეთში. მაქსიმუმი—5800 მილიონია. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას, რომ ბანკს შეუძლია ბილეთების მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობა გამოუშვას, უკეთუ მას ნულამდი თავისი ფონდის დაყვანა შეუძლია? რა გამოხატავს გარანტიას კლიენტებისათვის? — მხოლოდ და მარტო სიფრთხილე ბანკისა, რომელმაც უნდა იზრუნოს, რომ ფულის ფონდსა და ალებმიცემაში მოქცეულ ბილეთებს შორის გონივრული პროპორცია არსებობდეს. 1912 წ. სექტემბერში საფრანგეთის ბანკის ფონდი 4,062 მილიონს უდრიდა. წინა ფონდი თითქმის გამოშვებული ბილეთების ჯამსაც ალემატებოდა. მაგრამ თუ ბანკს ნდობა მოხვეჭილი აქვს, მაშინ რა საჭიროა კანონით საზღვრის აღნიშვნა? უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ banking principle-ს.

IV. მეოთხე წესი ბანკების მიერ საიმედო ღირებულებით გამოშვებული ბილეთების გარანტიას გამოხატავს—ჩვეულებრივი სახელმწიფო რენტით, რომელიც, ყოველ შემთხვევაში, ბილეთის თანასწორ ღირებულებას უნდა შეადგენდეს.

ეს სისტემა შეერთებულ შტატებშია შემოღებული. ყოველმა, ეგრეთ წოდებულმა, „ნაციონალურმა“ ბანკმა (7,000-ზე მეტია ასეთი ბანკი) გამოსაშვები ბილეთების უზრუნველსაყოფათ (რომელსაც სახელმწიფო აძლევს, რადგან თვით ბანკს მათი დაბეჭდვა არ შეუძლია) სახელმწიფო ხაზინაში იმდენი სახელმწიფო რენტა უნდა შეიტანოს, რამდენის ღირებულებასაც ემისია წარმოადგენს.

ეს სისტემა მთავრობამ დამოუკიდებლობისათვის ომის დროს გამოიგონა იმისათვის კი არა იმდენათ, რომ ბილეთების გარანტია შეექმნა, რამდენათაც იმისათვის, რომ მისი საკუთარი ქაღალდების ყიდვის სურვილი გამოეწვია, რომელსაც იგი მაშინ მილიარდობით უშვებდა,—სწორეთ ისე, როგორც საფრანგეთის მთავრობა იქცევა, როცა იგი შემნახველ კასებსა და სახელმწიფო დაწესებულებებს თავისი ფონდებით სახელმწიფო რენტის შეძენას აიძულებს. ეს ბანკებისათვის ძლიერ კარგ საქმეს წარმოადგენდა, რადგან ამ რენტებს სარგებლათ 7% მოჰქონდა. ვინაიდან ახლა ვალის დიდი ნაწილი გასტუმრებულია, ამიტომ ეს ქაღალდები ამჟამათ იშვიათად მოიპოება, და ბანკებისათვის, რომელთა რიცხვიც თანდათან მატულობს, ძნელია ამ ბილეთების საკმაო რაოდენობის შოვნა, ხოლო, მეორე მხრით, რადგან ამ ქაღალდს რაღაც 3% მოაქვს, ბანკებისათვის ეს საქმე განსაკუთრებულ ინტერესს არ წარმოადგენს. ამიტომ შეერთებულ შტატებში ბილეთების გამოშვება ძლიერ გაძნელდა. ამ გარემოებამ 1907 წლის კრიზისი კიდევ უფრო გააძლიერა. მაშინ ოქროს არ მოითხოვდენ და ქაღალდებით იოლათ შეიძლებოდა საქმის მოგვარება. ბილეთების გამოშვება კი ბანკებს არ შეეძლო. შექმნილი მდგომარეობისათვის უნდა შემოევლოთ და ფულზე დაუხურდავებელი ჩეკები და ფასიანი ქაღალდების გირაოს მოწმობები უნდა გამოეშვათ. ხოლო, მეორე მხრით, სესხი სახელმწიფოს მხოლოდ იმ მიზნით უნდოდა, რომ ახალი ქაღალდები

ეშოვა და ეს ქალალდები საწინდრათ ბანკებისათვის მიეცა; ბანკებისთვის მას ნება უნდა დაერთო, რომ მისთვის გარანტიის სახით სხვა ღირებულებანი მოეტანათ.

ნორმალურ დროში რომელიმე ბანკის კრედიტის უზრუნველსაყოფათ სახელმწიფო ფონდის საშვალებით ასეთი გარანტია ზედმეტია, ხოლო კრიზისის დროს, როცა სამკურნალო საშვალება ყველაზედ უფრო საჭიროა, იგი ასეთი საშვალების როლს, ალბათ, ვერ შეასრულებს. მართლაც, კრიზისის პირობებში ყველა ღირებულების, სახელმწიფო რენტის გამოუკლებლათ, კურსი დაბლა დაიწევს, ხოლო თუ ბილეთების დახურდავების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ დიდძალი სახელმწიფო რენტის რეალიზაცია საჭირო შეიქნა, რომელიც მის გარანტიას შეადგენს, მაშინ მისი კურსი დაბლა დაექანება, და დახურდავება შეუძლებელი გახდება. ერთი სიტყვით, შეერთებულ შტატებში ბანკის ბილეთები ფულათ ქცეული სახელმწიფო რენტაა ან, სხვაფრივ რომა ვსთქვათ, სახელმწიფო ბილეთებია—და სხვა არაფერი, ხოლო ბანკები ამ სახელმწიფო ქალალდის ფულების საემისიო სალაროების მეტს არაფერს წარმოადგენს. მხოლოდ, ამასთანავე, ბილეთების გამოშვების საქმე სასტიკ საზღვრებშია ჩაყენებული.

ამას გარდა, ბანკები სხვა მხრივაც მრავლათ შეზღუდულია, სახელდობ:—თავის საკუთარ კაპიტალზე მეტი ბილეთების გამოშვების უფლება მათ არა აქვთ;—მათი ფულის ფონდი მინაბარების ერთ მეოთხედს უნდა შეადგენდეს:—სახელმწიფო კასებში თავისი ბილეთების 5% ფარა-ფულით უნდა შეიტანონ;—უნდა იხადონ სახელმწიფოს სასარგებლოთ გამოშვებული ბილეთების ღირებულების 1½ ნაწილი;—უნდა წარადგინონ დამამტკიცებელი საბუთები კაპიტალის მინიმუმისა, რომელიც ქალაქის ხარისხის მიხედვით განისაზღვრება, და სხვ.

შეერთებული შტატების მაგალითები გვიჩვენებს, რომ ემისიის რეგლამენტაცია ნამეტნავათ მკაცრ ხასიათს იქ ღებულობს, სადაც უამრავი საემისიო ბანკი არსებობს და მათ შორის გაცხარებული კონკურენცია წარმოობს. საფრანგეთის მაგალითი, პირიქით, იმას ამტკიცებს, რომ იქ, სადაც მონოპოლიაა, რეგლამენტაცია მინიმალურია; და ბუნებრივია, რომ ეს ასეც იყოს, ვინაიდან მონოპოლია თავისთავათ ნამდვილ გარანტიას წარმოადგენს. მართლაც, თამამათ შესაძლოა ითქვას, რომ ის ბანკი, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რომელიც ანგარიშს უწევს თავის წარსულსა და უაღრესობას და თავისი პასუხისმგებლობის გრძნობით ხელმძღვანელობს,—ბილეთების გამოშვების საქმეში დიდ სიფრთხილეს გამოიჩენს. გამოცდილებამ ეს დაადასტურა ყველა დიდი ბანკისა და, განსაკუთრებით, საფრანგეთის ბანკის შესახებ, რომელსაც მთელი საუკუნის განმავლობაში მისი არსებობის დროს საყვედური შესაძლოა მხოლოდ ზედმეტი სიფრთხილის გამოჩენისათვის ეთქვას.

ბოლოს-და-ბოლოს, როგორც ჩანს, ბილეთების უეჭველათ დახურდავების გარანტიას არც ერთი გამოგონილი სისტემა არ იძლევა, ვინაიდან ბანკი არის და უნდა იყოს საკრედიტო დაწესებულება. როცა კრედიტით სარგებლობა უნდათ, მაშინ უხერხულობასაც უნდა შეურიგდენ. ერთსა და იმავე დროს კრედიტის სარგებლიანობასთან ნაღდი ფულის საშვალებით ანგარიშების გასწორების გაერთიანება წრის კვადრატურის გამორკვევის მომასწავებელი იქნება,—ერთი მეორეს უარყოფს.

სხვილი ბანკები ძალა-უნებურათ ერთმანეთთან საურთიერთო დამოკიდებულებით არიან გადაბმული; ორჯერ მოხდა უკვე, რომ საფრანგეთის ბანკმა ინგლისის ბანკს ას მილიონამდი ოქროს ფული ასესხა, რომ იგი იძულებული არ გაეხადა დასახურდავებელი პროცენტის ნორმა მაღლა აეწია. მაგრამ ამ სპორადული დამოკიდებულებისათვის მუდმივი ხასიათის მიცემა შეიძლება, თუ რომ დიდს ინტერნაციონალურ საბჭოს დააარსებენ, რაღაც ისეთი საფინანსო არეოპაგის სახით, სადაც ყველა ბანკი იქნება წარმოდგენილი; ეს არეოპაგი ფარა-ფულს იმ ქვეყნებში გაგზავნის, სადაც მისი ნაკლებობა აღმოჩნდება, და, ამნაირათ, შესაძლო გახდება ფულის ტრიალში წონასწორობის დაცვა და კრიზისების აცილება. 1907 წ. ასეთი გრანდიოზული პროექტი ლუცატიმ *) წამოაყენა.

VIII. **სავექსილო კურსი.** პორტფელები ყველა სხვილი საბანკირო სახლისა—

*) იტალიელი გამოჩენილი კოოპერატორია. მთარგმნ. შენიშვნა.

ყველა იმ სახლისა, ყოველ შემთხვევაში, რომელნიც თავის ოპერაციებს გარეშე ქვეყნებზეც ავრცელებენ—სხვადასხვა ქვეყნიდან მიღებული ვექსილებით არის გატენილი. ეს ვექსილები რამდენიმე მილიარდის ღირებულებას წარმოადგენს და ძლიერ გაცხარებული ვაჭრობის საგანს შეადგენს. ამ ვექსილებს უწოდებენ ლონდონის ქაღალდს, ნიუ-იორკისას და სხ., იმ ადგილის მიხედვით, სადაც უნდა მოხდეს მათი განაღდება.

ბანკირები, რომელნიც ამ ვექსილებს პატრონობენ და ყიდიან, ცხადია, მხოლოდ შუამავლებს წარმოადგენენ. მაშასადამე, იბადება საკითხი: ვისგან ყიდულობენ და ვის უთმობენ ისინი ამ ვექსილებს?

უწინარეს ყოვლისა, ვისგან ყიდულობენ ისინი ამ საქონელს?—იმ პირებისგან, ვინაც მათ ქმნიან, იმათგან, ვინაც, ამა თუ იმ მიზეზის გამო, უცხოეთის სახელმწიფოთა წინაშე კრედიტორებათ იმყოფებიან, მაგ., საფრანგეთის ვაჭრების წინაშე, რომელთაც თავისი საქონლები საზღვარგარეთ გაყიდეს და თავისი მყიდველებისგან ლონდონზე ან ნიუ-იორკზე გადასაპირებელი ვექსილები მიიღეს. თუ რომ საფრანგეთის ვაჭარს ფული ვექსილის ვადამდი დასჭირდება, ან-და, თუ რომ იგი საზღვარგარეთ ვექსილის წარდგენას უხერხულათ ჩასთვლის, იგი ბანკირს მიმართავს, რომელიც მისგან ამ ვექსილს იყიდის (მე მინდა ვსთქვა—გაანაღდებს).

ვის მიყიდიან ბანკირები თავის საქონელს?—ყველას, ვისაც იგი სჭირდება,—ბევრია აგრეთვე ასეთიც. ასეთი ქაღალდები დიდათ ესაჭიროებათ იმ პირებს, ვისაც საზღვარგარეთ ვალი აქვთ გასასტუმრებელი, მაგ., საფრანგეთის იმ ვაჭრებს, რომლებმაც საზღვარგარეთ საქონელი იყიდეს. თუ რომ, მაგ., ინგლისელი ვაჭარი საფრანგეთის ვაჭრისგან ვექსილის მიღებას არ მოისურვებს, მაშინ უკანასკნელმა ნაყიდი საქონლის მთელი საფასური თავის კრედიტორს სტერლინგის გირვანქებით უნდა გაუგზავნოს, რაც ძალზე უხერხულია და ხშირათ შეუძლებელიც, ვინაიდან შესაძლოა ისეც მოხდეს, რომ იმ ქვეყანაში, სადაც იგი ცხოვრობს, ოქროს ფული არ იყოს, და მას ხელთ ექნეს მხოლოდ ვერცხლისა და ქაღალდის ფულები. უკეთუ იგი იმ ქალაქის საკრედიტო ბილეთს იშოვის, სადაც მისი კრედიტორი ცხოვრობს, მაშინ მას, ამის მეოხებით, ვალის გადასახდელათ უფრო მოხერხებული და ნაკლებათ ღირებული საშვალება აღმოუჩნდება. ეს ნიშნავს დაფარვის მოხდენას.

ასეთი ქაღალდი ყოველთვის ერთ ფასათ უნდა იყიდებოდეს და ეს ფასი ფულის იმ ჯამს უნდა უსწორდებოდეს, რომლის მიღების უფლებასაც ვექსილი იძლევა. განა 1000 ფრანკის ვექსილი სწორეთ 1000 ფრანკათ არ უნდა ღირდეს?—მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვაფრივ ხდება. უწინარეს ყოვლისა, თავისთავათ იგულისხმება, რომ ქაღალდი ქანაობას უნდა განიცდიდეს მოვალის ხელის მოწერის ხარისხისა ან-და გადახდის ვადის ხანგრძლიობის მიხედვით. მაგრამ ქანაობის ამ ორი თვალსაჩინო მიზეზისა და თითქმის იმის დამოუკიდებლათ, თუ როგორია ეს ქაღალდი—საიმედოა თუ არა,—მისი ღირებულება, როგორც ყოველი სხვა საქონლის ღირებულებაც, მოწოდებისა და მოთხოვნის ქანაობას ექვემდებარება. ასეთ ქანაობას სავექსილო კურსი ეწოდება, რომელიც, როგორც საბირჟო ქაღალდების კურსიც, გაზეთებში ცხადდება.

ადვილი გასაგებია, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ სავაჭრო ქაღალდების მოწოდებითა და მოთხოვნით. წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთის წინაშე—მისი გატანისა ან რაიმე სხვა მიზეზის გამო—სხვა ქვეყნების დავალიანება 3 მილიარდ ფრანკამდი ადის. წარმოიდგინეთ, რომ სხვა ქვეყნის წინაშე საფრანგეთის დავალიანება—მისი შემოტანისა, სესხისა ან სხვა მიზეზის გამო—4 მილიარდამდი ადის. ცხადია, საკრედიტო ქაღალდი არ იკმარებს იმათთვის, ვისაც იგი სჭირდება, ვინაიდან შესაძლოა მხოლოდ 3 მილიარდის ასეთი ქაღალდების მიწოდება, მოთხოვნილება კი 4 მილიარდის არის. ყველა ის, ვისაც ეს ქაღალდი ესაჭიროება, მეტი ფასის გაღებას დაიწყებს, და სხვა ქვეყნებზე გადასაპირებელი ვექსილების ფასი მოიმატებს, ასე რომ, მაგ., ბრიუსელზე ან რომზე გადასაპირებელ 1000 ფრანკიან ვექსილს 1000 ფრანკათ კი არ გაყიდიან, არამედ 1002 და 1005 ფრანკათ. იგი, როგორც ამბობენ, al pari-ზე მაღლა აწეული იქნება ან პრემიით გაიყიდება.

თუ რომ, პირიქით, იმას წარმოვიდგენთ, რომ სხვა ქვეყნების წინაშე საფრანგეთის დავალიანების ჯამი 4 მილიარდამდი ავა, ხოლო მის წინაშე სხვა ქვეყნების დავალიანებისა—3 მილიარდამდი, მაშინ, ცხადია, ვექსილი მეტი იქნება, ვინაიდან ბაზარზე 4 მილიარდის ასეთი ვექსილი გამოვა, ხოლო საცვლელი პირობების მოსაგვარებლათ საკმარისია 3 მილიარდისა. დიდძალი ვექსილი ვერ გაიყიდება და საჭირო გახდება გასანაღდებლათ პირდაპირ საზღვარგარეთ მათი გაგზავნა. ამიტომ ბანკირები შეეცდებიან, რომ ამ ვექსილებისგან თავი გაითავისუფლონ, და ვექსილებს ღირებულებაზე ნაკლებ ფასათ გაყიდიან. ბრიუსელზე გადასაპირებელი 1000-ფრანკიანი ვექსილები 998 ფრანკათ ან, შესაძლოა, თითქმის 995 ფრანკათ გაიყიდოს, ე. ი. al pari-ზე დაბლა დაეშვას.

ყოველთვის, როცა რომელიმე ქვეყანაში, მაგ., საფრანგეთში, სხვა ქვეყნებზე გადასაპირებელი ქაღალდი al pari-ზე მაღლა ფასობს, ამბობენ მაშინ, რომ ამ ქვეყნისათვის—ჩვენს მაგალითში საფრანგეთისათვის,—სავექსილო კურსი *ხელსაყრელი* არააო. რას ნიშნავს ეს გამოთქმა? იმას, რომ ქაღალდის კურსი მისი მყიდველებისათვის ხელსაყრელი არაა? ეს ასეც არის; ხოლო, პირიქით, განა იმის თქმა შეუძლებელია, რომ იგი მყიდველებისათვის ხელსაყრელია? ასე კი, რაღაც მიზეზის გამო, არ ამბობენ.— საქმე აი რაში მდგომარეობს: ასეთ პირობებში სავექსილო კურსი გვიჩვენებს, რომ *ის აქტიური ვალები, რომელიც საფრანგეთს საზღვარგარეთ შეუძლია იქონიოს, არ იკმარებს იმისათვის, რომ სხვა ქვეყნის მიმართ მისი პასიური ვალები გასწორდეს*, და რომ, მაშასადამე, მას საზღვარგარეთ რამდენიმე ფარა-ფულის გაგზავნა მოუხდება. სავექსილო კურსის აწევა ან, სხვაფრივ რომა ვსთქვათ, სხვა ქვეყნების ვექსილების გაძვირება არის, მაშასადამე, ნამდვილი ნიშანი საზღვარგარეთ *ფარა-ფულის გატანის* მოლოდინისა,—სწორეთ ამიტომაც იხმარება გამოთქმა „არახელსაყრელი კურსი"; და, პირიქით, როცა საფრანგეთში სხვა ქვეყნების ვექსილები al pari-ზე დაბლა ფასობს, ამბობენ, რომ საფრანგეთისათვის სავექსილო კურსი *ხელსაყრელიაო*; აქაც მნიშვნელობა იმავე მოსაზრებებს აქვს: საზღვარგარეთის ქაღალდების ფასების დაცემა გვიჩვენებს, რომ, საფრანგეთთან ამ ქაღალდის ანგარიშების შედგენის დროს, სავაჭრო ბალანსი საფრანგეთისათვის სასარგებლო აღმოჩნდება, და რომ, ამნაირათ, საფრანგეთში საზღვარგარეთიდან ფარა-ფულის შემოტანაა მოსალოდნელი.

სიტყვებს *ხელსაყრელსა* და *არახელსაყრელს* გადაჭარბებული მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, არ უნდა მივაწეროთ. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ლითონის შემოტანისა და გატანის ფაქტი ქვეყნისათვის არც დიდ საშიშროებას წარმოადგენს და არც დიდ სარგებლობას და რომ, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი ეს, ალბათ, სწრაფწარმავალი მოვლენა იქნება. მაგრამ, ბანკირების კერძო შეხედულებით, ასეთ მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან, თუ რომ საზღვარგარეთ ფარა-ფულის გაგზავნა საჭირო გახდა, მაშინ ამას მისი სალაროდან ასეთი ფულების მოთხოვნა მოყვება. ამიტომ ამის მომასწავებელი ყველა ნიშანი მათთვის კაპიტალურ ინტერესს წარმოადგენს; ისინი სავექსილო კურსს თვალყურს გაფაციცებით ადევნებენ, მზგავსათ იმ მეზღვაურისა, რომელიც, ქარ-ბუქის ამოვარდნის შიშით, ბარომეტრის ისარს თვალს არ აშორებს.

ყოველ შემთხვევაში, უნდა შევნიშნოთ, რომ საკრედიტო ქაღალდების ფასის ქანაობა გაცილებით უფრო ვიწრო ფარგლებშია მომწყვდეული, ვიდრე ჩვეულებრივი საქონლების ფასთა ქანაობა. ნორმალურ დროში (და იმ განსაკუთრებულ შემთხვევათა გარეშე, რომელთაც ჩვენ ახლა დავახასიათებთ) ეს ფასები al pari-ზე არც ნამეტნავათ მაღლა იწევა და არც ნამეტნავათ დაბლა. მერე რატომ, რა მიზეზით? ეს შემდეგი ორი მიზეზით აიხსნება:

1) რისთვისაა, რომ მოვალე საზღვარგარეთის პირობით გადასაპირებელი ვექსილის შეძენას ცდილობს?—ერთადერთი მიზნით, რომ ფულის გასაგზავნი და საზღვარგარეთის ფულზე თავისი ფულის გადასაცვლელი ხარჯები აიცილოს. ხოლო ასეთ შემთხვევაში ცხადია, რომ, უკეთუ ის პრემია, რომელიც მან ვექსილის საშოვნელათ უნდა

გადაიხადოს, ფულის გასაგზავნ ხარჯებზე მეტი იქნება, რომელიც არსებითად არც ისე დიდია,—მაშინ ვაჭრისთვის ვექსილის ყიდვა უაზრობა იქნება. მეორე მხრით, საზღვარგარეთელი კრედიტორი და მისი შუამავალი ბანკირი ცდილობენ ეს ვექსილები მხოლოდ იმისთვის გაასაღონ, რომ გადასახდელათ წარდგენისათვის საზღვარგარეთ მათი გაგზავნის დავიდარაბა თავიდან აიცილონ; მაგრამ ისინი ამას უფრო არჩევენ, ვიდრე თავის ვექსილებს ჩალისფასათ დასთმობენ. ამიტომ ძნელი არაა იმის გაგება, რომ უკეთუ ვექსილების ყიდვა-გაყიდვის პირობა ე რ თ ა დ ე რ თ მ ი ზ ნ ა თ გ ა ს ა გ ზ ა ვ ნ ი ს ა და ფარა-ფულის გადასაცვლელი ხარჯების შემცირებას ისახავს, მაშინ იგი თავის raison d' être-ს დაკარგავს, როგორც კი პირდაპირ ფულის გაგზავნაზე მეტათ დაჯდება, ე. ი. თუ რომ სავექსილო კურსის ქანაობა, al pari-ს მაღლა თუ დაბლა, ფულის გადასახად ხარჯებზე მეტი გამოდგება. ეს ხარჯები, დაზღვევის ხარჯებიანათ, ძლიერ უმნიშვნელოა; მაშასადამე, სავექსილო კურსის ქანაობაც ძლიერ უმნიშვნელო უნდა იყოს.

Gold point-ი იმ სავექსილო კურსს ეწოდება, რომლის ზევითაც მოვალე ფულის გაგზავნას უფრო ხელსაყრელათ ჩასთვლის, ვიდრე ვექსილების ყიდვას. ამ gold point-ს ბანკირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ფარა-ფულის მიმოქცევას მოასწავებს, და, მაშასადამე, როგორც შემდეგ თავში დავინახავთ,—ღირებულებათა დახურდავების მოთხოვნის წარმოდგენასაც.[92])

2) კიდევ არსებობს მეორე, უფრო შორეული და იმავე დროს უფრო სათუთი მიზეზი, რომელიც კურსის ქანაობას განსაზღვრავს. წარმოვიდგინოთ, რომ საზღვარგარეთელი ვექსილის ფასი al pari-ზე ზევით იწევა, ე. ი., მაგ., ვაჭარს თავისი საზღვარგარეთელი მყიდველის 1000-ფრანკიანი ვექსილის გაყიდვა 1010 ფრანკათ შეუძლია. ცხადია, რომ ეს 10 ფრ. საქონლის გაყიდვიდან მის მიერ მიღებულ მოგებას გაადიდებს; ნაცვლათ იმისა, რომ მას საქონლის გაყიდვით, მაგ., 10% მოეგო, იგი 11%-ს მოიგებს. მოგების ასეთი მომატება, რომელიც ყველა იმათ მოუწევს, ვინც საზღვარგარეთ საქონელს ყიდის, ბევრ ვაჭარს ამ მაგალითის გადმოღებას მოასურვებს,—სხვა სიტყვებით რომა ვსთქვათ, ს ა ვ ე ქ ს ი ლ ო კ უ რ ს ი ს მ ო მ ა ტ ე ბ ა ი ს ე მ ო ქ მ ე დ ო ბ ს, როგორც გატანის პრემია.

მაგრამ გატანის გადიდება ვექსილების გამრავლებას გამოიწვევს, ვინაიდან ვექსილები გატანით წარმოიშობა ხოლმე, და ამ ვექსილების ფასიც, მოწოდებისა და მოთხოვნის საზოგადო კანონის თანახმათ, თანდათანობით დაბლა დაწევას დაიწყებს, ვიდრე al pari-მდი არ ჩამოვა.

პირიქით, თუ ვექსილებს al pari-ზე დაბლა ყიდულობენ, მაშინ ძნელი არ იქნება იმის დამტკიცება, რომ ეს დაკლება ზარალს მიაყენებს იმ ვაჭრებს, რომელნიც საქონელს საზღვარგარეთ ყიდიან, და, მაშასადამე, გატანის შემცირებასაც გამოიწვევს და, მასთან ერთად, საზღვარგარეთის ვექსილების მოწოდებასაც შეამცირებს, ვიდრე მათი ფასები al pari-მდი არ აიწევა.

არსებითად, აქ მოწოდებისა და მოთხოვნის მექანიკური კანონი მოქმედობს, რომელიც, როგორც კი რომელიმე საქონლის ფასი წონასწორობის დარღვევას დაიწყებს, ამ დარღვევის აღდგენას წარმოების გადიდებით ან შემცირებით ცდილობს.

ჩვენ ვსთქვით, რომ განსაკუთრებულ შემთხვევებში სავექსილო კურსმა შესაძლოა დიდი ან თითქმის განუსაზღვრელი ქანაობაც დაიწყოსო. აი როგორია ეს შემთხვევები:

1) უწინარეს ყოვლისა, საქმე თუ ძლიერ შორეულ ბაზარს შეეხება და ამ ბაზარში ფულის გაგზავნის საკითხი ძლიერ გაძნელებულია, მაშინ სავექსილო კურსის ქანაობაც გაცილებით უფრო შესამჩნევი იქნება. ცხადია, რომ ვაჭარი, რომელსაც ვალი ტიბეტში ექნება გასასტუმრებელი, თავის თავს ბედნიერათ ჩასთვლის, თუ რომ ამ ქვეყნის ვექსილს თუნდაც ნომინალურ ვალზე 10 ან 12%-ის წამატებითაც იშოვის, და, პარიქით, ის კრედიტორიც, რომელსაც ამ ადგილში ვექსილით ფული აქვს მისაღები, შეეცდება რაც შეიძლება მალე გაყიდოს ასეთი ვექსილი თუნდაც al pari-ზე 10—12%-ით დაბლა.

2) მაგრამ, როცა საქმე ფასდაკარგული ფულის მქონე ქვეყანას შეეხება, მაშინ

სავექსილო კურსის ქანაობა კიდევ უფრო მეტი იქნება და ასეთ საზღვარსაც გადაცილდება. მაგ., რიო-დე-ჟანეიროზე გადასატანი ვექსილი ლონდონში ან პარიზში თავისი ნომინალური ღირებულების ნახევრათ ღირს—იმ მიზეზისა გამო, რომ ბრაზილიის milreis-ი, რომლის ნომინალური ფასიც 2 ფრ. და 83 სანტიმს შეადგენს, ახლა (1908 წ.) სულ 1 ფრ. 60 სანტიმამდი ღირს: ფასდაკარგული ფულით გასასტუმრებელი ქაღალდიც ძალაუნებურათ თანაბრათ კარგავს თავის ღირებულებას, ხოლო ლონდონისა ან პარიზის ვექსილებზე რიოში (ამ ქვეყნის ფულებით) მისი ნომინალური ღირებულების თითქმის ორჯერ მეტს იხდიან.

მაგრამ, როგორც ქაღალდის, ისე ლითონის ფულიც კარგავს თავის ღირებულებას; უკანასკნელის ფასის დაკარგვა სავექსილო კურსზე იმნაირსავე გავლენას ახდენს. ასე დაემართა ამ ჟამათ ვერცხლის ფულებს, რომელთაც დაჰკარგეს ნახევარი თავისი ღირებულება. ამიტომ ვექსილები ვერცხლის ვალიუტიანი ყველა ქვეყნისა, მაგ., აზიის ქვეყნებისა და თითქმის ისპანიისაც, მესამედს ან ნახევარ თავის ღირებულებას კარგავს, და, პირიქით, ყველა ამ ქვეყანაში ვექსილები ოქროს ვალიუტიანი ქვეყნებისა, ე. ი. ლონდონისა, პარიზისა და ბერლინისა, დიდი პრემიით იყიდება. აქიდან წარმოსდგება დიდი არევ-დარევა კომერციული დამოკიდებულებისა.

ამნაირათ, იმ პირებმაც კი, ვინც სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიურსა და ფინანსიურ მდგომარეობას სულაც არ იცნობენ, საკმარისია სავექსილო კურსს თვალი გადაავლონ, რომ ამ ქვეყნების შესახებ ნათელი წარმოდგენა იქონიონ და მიხვდენ, შემოაქვთ თუ არა მათ გატანაზე მეტი, ფასდაკარგულია თუ არა მათი ფულები და როგორია ნამდვილათ მათი ღირებულების დაცემა.

3) დასასრულ, ყოველთვის, როცა მოვალეს ოქროს შოვნა გაუძნელდება—იმიტომ, რომ კრედიტი შეუმცირდება, ბანკებში დახურდავების გაძნელების გამო, ან-და იმიტომ, რომ სავაჭრო ბალანსმა ან, უკეთ რომა ვსთქვათ, სავალო ბალანსმა ქვეყნიდან ოქრო გაიტანა—ყოველთვის ასეთ პირობებში შესაძლოა მოხდეს, რომ სავექსილო კურსმა al pari-ზე გაცილებით მაღლა აიწიოს. მაგ., როცა საფრანგეთი გერმანიას 5 მილიარდიან კონტრიბუციას უხდიდა, მისთვის, რა თქმა უნდა, ამდენი ოქროს მოგროვება ძნელი იყო, და ამიტომ საფრანგეთის მთავრობა გერმანიის ან-და ლონდონის ვექსილებს ყველგან დაეძებდა, რომ ა რ ბ ი ტ რ ა ჟ ი ს [93]) საშვალებით ვალი დაეფარა. ამას შედეგათ ის მოყვა, რომ დიდხანს გერმანიისა და თითქმის ლონდონის სავექსილო კურსი al pari-ზე გაცილებით მაღლა იდგა არა თუ საფრანგეთში, არამედ სხვა ქვეყნებშიც.

IX. **დასახურდავებელი პროცენტის გადიდება.** ისეთ შემთხვევებსაც ეძლევა ადგილი, როცა ბანკები იძულებული ხდებიან უამრავი თავისი ბილეთი დაახურდაონ; ეს ხდება ყოველთვის, როცა საზღვარგარეთის ვალების გასტუმრების ვადა ახლოვდება. რადგან ამ ვალების გასტუმრება ბილეთებით არ შეიძლება, არამედ მხოლოდ ფარა-ფულით, ამიტომ ბანკს ამ ბილეთების სანაცვლოთ ლითონის ფულსა სთხოვენ.

თუ რომ, ცუდი მოსავლის გამო, საზღვარგარეთ, მაგ., 20 მილიონი ცენტნერი პური უნდა იყიდოთ, მაშინ დგება დაახლოებით 400 მილიონი ფრანკი, რომელიც ამერიკას ან რუსეთს უნდა გაეგზავნოს, ხოლო ბანკი უნდა მოელოდეს, რომ ამ ჯამის დიდ ნაწილს მისი სალაროდან წაიღებენ. ბანკირების სარდაფები, როგორც ვნახეთ, იმ რეზერვუარს წარმოადგენს, სადაც ფარა-ფულის სახით ქვეყნის მოძრავი კაპიტალის დიდი ნაწილი გროვდება, და ეს რეზერვუარი ერთადერთ წყაროს შეადგენს, საიდანაც ფულს ღებულობენ, როცა ის საჭირო შეიქნება. ასეთი მდგომარეობა ბანკისათვის შესაძლოა სახიფათო შეიქნეს, თუ რომ მისი ფულის მარაგი და, განსაკუთრებით, ოქროს მარაგი საკმაოთ დიდი არაა. საბედნიეროთ, სავექსილო კურსი gold point-ი ბანკს ადრევე აფრთხილებს ასეთი მდგომარეობის მოახლოების შესახებ უფრო მეტი სისწორით, ვიდრე ბარომეტრი მეზღვაურს, ხოლო მანომეტრი—მემანქანეს. მართლაც, თუ რომ სავექსილო კურსი არახელსაყრელი ხდება,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, თუ რომ საზღვარგარეთზე გადასატანი ბილეთები al pari-ზე ზევით იყიდება, ბანკმა აქიდან ის დასკვნა უნდა გამოიტანოს, რომ გაცილებით მეტია ისეთი პირი, რომელთაც საზღვარგარეთის

ვალი მართებთ, ვიდრე ისეთები, რომელთაც იქიდან ვალები აქვთ მისაღები, და რომ, მაშასადამე, კონპენსაციის საშვალებით ანგარიშების ბალანსის შედგენის შეუძლებლობის გამო, განსხვავების გადასახდელათ საჭირო შეიქნება ფარა-ფულის გაგზავნა.

მაგრამ, სავექსილო კურსის გადიდების გარეშეც, ვექსილების რიცვის მარტო ერთი პროგრესიული გადიდება, რომელიც ბანკში ლითონის მარაგს შეესაბამება, კრიტიკული მდგომარეობის მოახლოებას ამოწმებს. ამ ორ მოვლენაზე დაკვირვებამ ჟიუგლარს ეკონომიური კრიზისების გათვალისწინება და გრაფიული სახით მათი წარმოდგენა უკარნახა. გაყავთ ორი მრუდე—ერთი ბანკის პორტფელებში შენახული ვექსილების ჯამს აღნიშნავს, ხოლო მეორე—ბანკში არსებულის ლითონის ფულის რაოდენობას. კრიზისი მოსალოდნელია ყოველთვის, როცა ბანკის პორტფელისა და მისი ლითონის მარაგის მრუდეები ერთმანეთისაგან სწრაფათ დაშორებას დაიწყებს, და პირიქით, ნორმალურ მდგომარეობაზე დაბრუნება მოსალოდნელი ხდება, როგორც კი ორივე მრუდე ერთმანეთისადმი დაახლოებას დაიწყებს. მართლაც, პირველი მრუდეს აწევა სავაჭრო პირობათა რიცხვის ზრდასა და კრედიტის საჭიროებას მოასწავებს, ხოლო მეორის დაწევა ფულის საჭიროებას ნიშნავს. გამოცდილებამ ამის სინამდვილე არა ერთხელ დაამტკიცა.

ამგვარათ, საშიშროების მოახლოება აღნუსხულია: ბანკმა წინდახედულობა უნდა გამოიჩინოს. იმისათვის, რომ ფულზე გადასაცვლელათ ბევრი ბილეთის წარმოდგენა აცილებულ-იქნას, ბანკმა საჭირო ზომები უნდა მიიღოს ან თავისი ლითონის ფულის მარაგის გასადიდებლათ, ან აღებმიცემაში მოქცეულის თავისი ბილეთების შესამცირებლათ.

თავისი ლითონის მარაგის გადიდება, რა თქმა უნდა, ბანკის ძალა-უფლებას აღემატება, მაგრამ, სამაგიეროთ, თვით ბანკზეა დამოკიდებული, რომ აღებმიცემაში მეტი ბილეთი არ გაუშვას, ე. ი. კლიენტებს არ მისცეს სესხი არც ფასიანი ქაღალდების დაწინდრების პირობებით და არც დახურდავების სახით (ვინაიდან აღებმიცემაში თავის ბილეთებს იგი მხოლოდ ამ ორი ოპერაციის საშვალებით აქცევს), ცხადია, რომ ეს საშვალება მიზანს სავსებით მიაწევს.

ვინაიდან, ერთი მხრით, ბილეთების გამოშვების შეწყვეტით, აღებმიცემაში უკვე მოქცეული მათი რაოდენობა მეტათ არ გადიდდება.

მეორე მხრით, ბანკის პორტფელებში მოქცეული ვექსილების გადახდის ვადების მოახლოების გამო, მის სალაროში ყოველ-დღე შემოვა დიდძალი რაოდენობა ან ბილეთისა, რის გამოც აღებმიცემაში მათი რაოდენობაც იმდენათვე შემცირდება, ან ფარა-ფული, რის გამოც ბანკის ლითონის მარაგიც იმდენათვე მატულობს.

ყოველ შემთხვევაში, სესხის გაცემისა და ვექსილების დახურდავების ასე სრულიად შეწყვეტა, როგორც ჩვენ ესეს არის წარმოვიდგინეთ, ნამეტნავათ რადიკალური ზომა იქნება. ერთი მხრით, ყოველი კრედიტის გაუქმებით, ქვეყანაში იგი საშინელ კრიზისს შექმნის, ხოლო, მეორე მხრით, ოპერაციებისა და მასთან ერთად ბანკის შემოსავლის წყაროს მოსპობით, იგი მას დიდ ზარალს მიაყენებს. მაგრამ ბანკს ასეთივე შედეგის მიღება ვაჭრობისათვის უფრო იოლითა და თავისთვისაც უფრო ხელსაყრელი საშვალებით შეუძლია—გასაცემი სესხების ჯამის შემცირებით. ამისათვის საკმარისია, რომ მან ან დასახურდავებელი პროცენტის ნორმა გაადიდოს, ან-და დასახურდავებლათ წარმოდგენილი ვექსილების გარჩევაში მეტი სიფრთხილე გამოიჩინოს—არ დაახურდაოს ნამეტნავათ ვალიანი ან-და არასაკმაოთ საიმედო პირებისგან ხელმოწერილი ვექსილები.[94])

რა თქმა უნდა, ეს ზომაც, მაშინაც კი, როცა მას ცხოვრებაში სიფრთხილით ატარებენ, ვაჭრებს მაინცადამაინც არ იამებათ, მით უფრო იმიტომ, რომ იგი ფარა-ფულის მიღებას სწორეთ იმ მომენტში აძნელებს, როცა მას დიდათ საჭიროებენ. ბანკებს კიდეც ამტყუნებენ იმაში, რომ ისინი კრიზისს ძალით იწვევენო, და ეს ჩივილი არც უსაფუძვლოა. ეს გახლავთ მაგრათ მომქმედი საშვალება, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, იგი ამ მომენტს ყველაზედ უფრო შეეფერება, და წინდახედულმა ბანკმა თავისი ლითონის მარაგის შესანარჩუნებლათ ამ საშვალების გამოყენებაში რყევა არ უნდა დაიწყოს. გამოცდილებამ მისი სინამდვილე სავსებით დაადასტურა.

ეს საშვალება ბანკს მოსალოდნელ საფრთხეს აცილებს და, ამნაირათ, არა თუ მარტო ბანკს აძლევს სარგებლობას, არამედ მთელ ქვეყანასაც, რადგან ხელს უწყობს საკეთილდღეოთ მისი მდგომარეობის გარდაქმნას.

მართლაც, წარმოვიდგინოთ, რომ საფრანგეთმა საზღვარგარეთ დიდძალი ვალი უნდა გაისტუმროს. დასახურდავებელი პროცენტის ნორმის გადიდება, თუ ეს დროზე დაიწყება, სრულებით შესცვლის მის მდგომარეობას, მას საზღვარგარეთის დიდი ჯამის კრედიტორათ გახდის და, მაშასადამე, საზღვარგარეთის ფარა-ფულის მოქცევას გამოიწვევს ან, უკიდურეს შემთხვევაში, საფრანგეთიდან ფულის გასვლას ხელს შეუშლის. აი, მართლაც, რა მოხდება:

დასახურდავებელი პროცენტის ნორმის გადიდების პირველი შედეგი იქნება ყველა საკრედიტო ქაღალდის ფასის დაცემა. 1000-ფრანკიანი ვექსილი, რომელიც პარიზში 3% -ათ ხურდავდებოდა და 970 ფრანკათ იყიდებოდა, ახლა 930 ფრანკზე ზევით არ გაიყიდება. როცა დასახურდავებელი პროცენტი 7% იქნება,—მაშინ ფასის დაცემა 4%-ზე მეტი გახდება (დასახურდავებელ პროცენტს ჩვენ წლიურვადაზე ვანგარიშობთ). ასეთ პირობებში ყველა ქვეყნის ბანკირები და განსაკუთრებით კი ის ბანკირები, რომელნიც არბიტრაჟს ეწევიან, შეეცდებიან რაც შეიძლება საჩქაროთ საფრანგეთში ამ ვექსილების საყიდლათ ფული გაგზავნონ, რადგან ეს ვექსილები იქ იაფათ იყიდება, და საფრანგეთის ლითონის მარაგი იმდენათ გადიდდება, რამდენის ვექსილებსაც ეს ბანკირები იყიდიან.

მეორე შედეგი—ყველა საბირჟო ქაღალდის ფასის დაცემა.—ყოველმა ფინანსისტმა კარგათ იცის, რომ დასახურდავებელი პროცენტის სიდიდე ბირჟაზე ნამეტნავათ მოქმედობს და ამ პროცენტის გადიდება თითქმის ყოველთვის საბირჟო ქაღალდებზე ფასების დაწევას იწვევს. ეს იმიტომ ხდება, რომ საბირჟო ღირებულებას (განსაკუთრებით—ე. წ. საერთაშორისოს, რომელიც ევროპის უმთავრეს ბირჟებზე გამოაქვთ) ვაჭრები ან-და, უკიდურეს შემთხვევაში, ბანკირები ხშირათ სავაჭრო საკრედიტო ქაღალდების [95]) ნაცვლათ ხმარობენ საზღვარგარეთ თავისი ვალების გასასტუმრებლათ. როგორც კი მათთვის ცხადი გახდება, რომ ვექსილებით ფულს ვერ იშოვიან ან-და იშოვიან მხოლოდ ბევრის დაკარგვით, ისინი მაშინვე ხელს მიყოფენ ფონდის უზრუნველსაყოფათ რენტების ან სხვა რაიმე ფასიანი ქაღალდების გაყიდვას. ამიტომ ამ უკანასკნელების ფასებიც დაწევას იწყებს და მათაც სავაჭრო საკრედიტო ქაღალდების ბედი ეწვევა. მაგრამ, მსგავსათ იმისა, როგორც ვექსილების ფასის დაცემამ მათზე საზღვარგარეთის ბანკირების მოთხოვნა გამოიწვია, ისე საბირჟო ქაღალდების ფასების დაცემაც საზღვარგარეთელი კაპიტალისტების მიერ მრავლათ ამ ღირებულების ყიდვას გამოიწვევს—და, ამნაირათ, საფრანგეთი საზღვარგარეთელი ბანკირების კრედიტორი გახდება მთელი იმ თანხისა, რომელიც მათ ამ ქაღალდების ყიდვას მოანდომეს.

დასასრულ, თუ რომ დასახურდავებელი პროცენტის აწევა ძლიერია და საკმაოთ დიდხანს გრძელდება, იგი მაშინ მესამე შედეგსაც გამოიწვევს—ყველა საქონელზე ფასის დაწევას. ვაჭრები ჯერ ფულის შოვნას ვექსილების გაყიდვით ცდილობენ; როგორც კი ეს წყარო გამოილევა ან ძლიერ ძვირი გახდება, ისინი საბირჟო ღირებულებათა გაყიდვას დაიწყებენ, თუ მათ ასეთები გააჩნიათ, და, ბოლოს, როცა საქმე უკიდურესობამდი მივა, ისინი იძულებული გახდებიან საჭირო ფული იმ საქონლების გაყიდვით ან „რეალიზაციით“ იშოონ, რომელიც მათ საწყობებში ინახება. აქიდან ყველა ფასის საზოგადო დაცემა იწყება, მაგრამ ეს დაცემაც იმავე შედეგებს გამოიწვევს, მხოლოდ უფრო ფართო მაშტაბით,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, იგი საზღვარგარეთელი ვაჭრებისგან საქონლის ყიდვას გამოიწვევს, გაადიდებს ამით საფრანგეთიდან გატანას და, მაშასადამე, ამ უკანასკნელს მათი კრედიტორათ გახდის.

მოკლეთ ყველა ეს შედეგი შესაძლოა ასე ჩამოვაყალიბოთ: დასახურდავებელი პროცენტის ნორმის გადიდება ხელოვნურათ ფულის ნაკლებობას [96]) იწვევს და მით ყველა ღირებულების საზოგადო დაცემას გამოხატავს, რაიც, რა თქმა უნდა, უბედურებაა, მაგრამ შემდეგში ეს დაცემა საზღვარგარეთიდან დიდ მოთხოვნას იწვევს—და, მაშასადამე, ფულის მოქცევასაც, რაიც, რასაკვირველია, სიკეთეს წარმოადგენს და იმ სამკურნალო საშვალებას, რომელიც შექმნილ მდგომარეობას სავსებით შეეფერება.

# მეორე წიგნის შენიშვნები.

1) ალებ-მიცემის განყოფილებაში არა თუ მარტო გადაცემის წესებს ათავსებენ (იხ. ჩვენი „კურსი“), არამედ გადატანის წესებსაც, რომელიც წმინდა ეკონომიურსა და ტეხნიკურ ხასიათს ატარებს; მაგრამ პირველთაგან ფაკტიურათ უკანასკნელების გამოყოფა თითქმის შეუძლებელია.

ჟ.-ბ. სეის კლასიკური ტრაკტატის წარმოების განყოფილებაში აგრეთვე ალებმიცემა არის მოთავსებული. მაგრამ უახლეს ტრაკტატებს განაწილებაში ალებმიცემის მოთავსების მიდრეკილება უფრო ემჩნევა იმავე საფუძვლით, რომელიც ჩვენ ტექსტში ალვნიშნეთ, სახელდობ: ალებმიცემა საკუთრების გადაცემას გულისხმობს, გაცვლის ან კრედიტის პირობას. მაგრამ წესები განაწილებისა, საიდანაც ყველა შემოსავალი წარმოიშვება, მაგ.: სამუშაო ქირა, საიჯარო ქირა, პროცენტები და სხვ., თავისთავათ გაცვლისა და კრედიტის წესებია—და სხვა არაფერი. ასეთი შეხედულების დაცვაც თამამათ შესაძლოა. იხ. განსაკუთრებით შესანიშნავი ტრაკტატი პირსონისა Principles of Economics (ინგლისური თარგმანი ჰოლანდიური ენიდან).

2) პირველი შეხედვით კიდეც შესაძლო უნდა ყოფილიყო გვეფიქრა, რომ შრომის განაწილებაზე ადრე ისტორიული გაცვლა უნდა მომხდარიყო. ასეთი იყო ადამ სმიტის აზრიც. მაგრამ ცხოვრებაში სულ სხვაფრივ მოხდა. გაცვლა მოყვა შრომის განაწილებას, ვინაიდან ოჯახისა და თითქმის ტომის ფარგლებში ამ უკანასკნელის განხორციელება შესაძლო იყო უპირველოთაც, ხოლო შრომის გაუნაწილებლათ, ე. ი. წარმოების სპეციალიზაციის გარეშე გაცვლის წარმოდგენა ყოვლად შეუძლებელია. ამ მეორე დებულების შესახებ იხ. ბიუხერი: „სახალხო მეურნეობის წარმოშობა“. (არის რუსული თარგმანიც).

3) ინგლისელი მოგზაური, კაპიტანი კამერონი, თავის „აფრიკაში მოგზაურობაში“ (1874 წ.) მოგვითხრობს, თუ როგორ ძოიქცა იგი, ნავი რომ ეშოვა: „საიდის კაცს უნდოდა, რომ მისთვის ფასი სპილოს ძვლით მიეცათ, ხოლო მე ასეთი ძვალი არ მქონდა. მითხრეს, რომ მოჰამედ იბნ სელიბს სპილოს ძვალი აქვს და მას ფართალი ესაჭიროებაო; მაგრამ რადგან, სამწუხაროთ, მე არც ერთი გამაჩნდა და არც მეორე, ამიტომ ეს გარემოება მე არას მშველიდა. მაგრამ ფართალი იბნ გერიბს ქონდა და მას ლითონის მავთული ესაჭიროებოდა, ხოლო ასეთი მავთული მე ბევრი მქონდა. და, აი, მე იბნ გერიბს საჭირო ჯამის სპილენძის მავთული მივყიდე, მან კი მე სანაცვლოთ ფართალი მომცა, რომელიც იბნ სელიბს გადავეცი; უკანასკნელმა მისი ეკვივალენტის გამომხატველი სპილოს ძვალი საიდის კაცს მისცა, და მე ნავი მივილე!“

რამდენათ უფრო ძნელი იქნება გაცვლა, როცა სამსახურთა გაცვლა იქნება საჭირო! 1907 წ. გამოცემული ბაზელის მისიის ალმანახი გვიჩვენებს, რომ გრენლადიის ერთ ადგილას (გოდაბში) ესკიმოსების გაზეთი გამოდის, რომელსაც მისიონერები სცემენ; ეს გაზეთი 3 თვით ათ ველურ ბატათ ღირს, ხოლო წლით—ერთ ფუკინათ.

4) ჩვენ უკვე ალვნიშნეთ, რომ ოცფრანკიან ფულს ერთნაირი მოსახმარი ღირებულება (სარგებლიანობა) არა აქვს მილიონერისა და ღარიბი კაცისათვის, ვინაიდან უკანასკნელისათვის იგი რამდენიმე კვირის საარსებო საშვალებას წარმოადგენს, ხოლო პირველისათვის—არაფერს. და, მიუხედავათ ამისა, ცხადია მაინც, რომ ოცფრანკიან ფულს ერთნაირი საცვლელი ღირებულება აქვს როგორც მდიდრისა, ისე ღარიბი კაცისათვის: ყველა ოცფრანკიანი ფული თანასწორფასიანია.

5) ავილოთ საბირჟო ბაზარზე რაიმე ღირებულება, მაგ., 3% რენტა, და წარმოვიდგინოთ, რომ იგი 100 ფრანკიანია. არსებობს ამ რენტის მუდმივ ცნობილი მიწოდება და მუდმივ ცნობილი მოთხოვნა. წარმოვიდგინოთ, რომ ბირჟის გახსნის დროს მოთხოვნის ციფრი ორჯერ მეტი ალმოჩნდა, ვიდრე მოწოდებისა. ვინ იფიქრებს, რომ რენტის ფასი უნდა გაორკეცდეს და 200 ფრანკათ იქცეს! ასეც უნდა ხდებოდეს, ზემოალნიშნული ფორმულა სწორი რომ იყოს. ნამდვილათ კი რენტის კურსმა შესაძლოა ერთი ფრანკითაც ზევით არ აიწიოს. მოხდება ეს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ მყიდველთა უმეტასობა, რომელთაც რენტის ყიდვა უნდოდათ, როცა მისი კურსი 100-ზე იდგა, მის შეძენაზე უარს გააცხადებს, როცა მისი კურსი მაღლა აწევას დაიწყებს. ცხადია, თუ რომ მოთხოვნის ციფრი დაკლებას ფასის აწევის მიხედვით იწყებს, მაშინ მოწოდების ციფრიც იმავე დროს და იმავე მიზეზით მომატებას იწყებს. მაშასადამე, უსათუოთ ისეთი მომენტი დადგება, როცა კლებადი მოთხოვნა და მოზარდი მოწოდება გათანაბრდებიან, და მაშინ წონასწორობაც დამყარდება. მაგრამ ასეთი შედეგის მისაღებათ ჩვეულებრივ საკმაო ხდება მხოლოდ რამდენიმე სანტიმით რენტის აწევა.

6) საფრანგეთში შინაური მეურნეობის ყოველი საგნის ფასმა 15—50%-მდი აიწია, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაში, რუსეთიდან დაწყებული ვიდრე ჩრდ. შეერთებულ შტატებამდი, ფასების მომატება კიდევ უფრო მეტი იყო,—100%-მდი. ამ მოვლენის ყოვლადობა გვიჩვენებს, რომ მისი მიზეზიც ყოვლადი უნდა იყოს, და, გარდა ფულისა, სხვა მიზეზი არაა გათვალისწინებული.

7) ამბობენ, რომ ამერიკელმა მილიარდერმა 1890 წელს ამერიკის კონგრესზე მონაწილეთათვის გამართულ საზეიმო ნადიმზე ამ კონგრესის წევრებს სიამაყით უთხრა ასეთი სიტყვა: „თითქმის მთელმა ქვეყანამ შეიტანა თავისი წვლილი იმ მენიუში, რომლითაც დღეს ნადიმს გიმართავთო!“ მაგრამ—ამაზე უფრო ადვილი გასაგები რაღა უნდა იყოს—ამის გამეორება ყოველ ღარიბსაც შეუძლია თავისი სადილის შესახებაც. „უღარიბესი მუშაც—როგორც კიდევ უკეთესათ ამბობს ლაველე—მთელი დედამიწის პროდუქტებს ხმარობს. მისი ტანსაცმლის მატყლი ავსტრალიიდან მოდის, ბრინჯი მისი სუპისათვის—ინდოეთიდან, ხორბალი მისი პურისათვის—ილიონოსიდან, ნავთი მისი ლამპისათვის—პენსილვანიიდან, მისი ყავა—იავადან...“ (Elements d'Économie politique, გვ 198).

8) გაცვლის დანარჩენი 4 ფაკტორის შესახებ იხ. ჩვენი Cours d'Économie politique.

9) მაგ., ლათინური სიტყვა pecunia—ყველაზე უფრო ცნობილ მაგალითს იღებთ—ნიშნავს პირუტყვს, ჯოგს. და თითქმის ჰომერის ნაწერებშიც ჩვენ ვკითხულობთ ისეთ ღირებულებებს (დიოგენისა და გლაკვის საჭურველი), რომლებიც „ხარებით“ გამოიანგარიშება. აქიდან წარმოსდგა ესხილის თარგმანში ლეკონტა დე ლილის გამოთქმა: „მის ენაზე ხარი დააგდეს!“—რაიც ნიშნავს: იგი მოსყიდვით გააჩუმესო.

10) ვერცხლის ფული ისეთი შეხების გრძნობას იწვევს, რომელიც მას., მაგ., ნიკელისგან გარკვევით ასხვავებს.

11) პატიოსანი თვლები, რომელიც განსაზღვრული მოცულობის მეტი ღირებულების მიხედვით სა-

პატიო ლითონების წინაშე უალრესობას წარმოადგენს, ყველა სხვა პირობაში ამ უკანასკნელთ ჩამორჩება. ასეთი თვლის ხარისხი ძლიერ ცვალებადია, ადვილი შესაძლოა მიმზგავსება და, რაც უმთავრესია, მისი გაყოფა შეუძლებელია ისე, რომ მას ღირებულება არ დაეკარგოს.

12) დიდმა და მძლავრმა სახელმწიფოებმა, მაგ., ეგვიპტემ, ქალდეამ და ასირიამ, მთელი ათასი წლები სიმდიდრეში და კეთილდღეობაში გაატარეს. ისინი ისეთს ფართო სავაჭრო ალებმიცემას აწარმოვბდენ, რანაირიც არც ერთ ხალხს არ შეეძლო ქონოდა. ძველ დროში სავაჭრო საქმეებში საპატიო ლითონს ყოველთვის იყენებდენ, მაგრამ ფულის მოხმარება მათ აბსოლუტურათ არ იცოდენ (Monnaies et médailles, თავი I).—საპატიო ლითონებს ეგვიპტელები უმთავრესათ ბეჭდების სახით ხმარობენ.

13) ნიშანი, რომელიც საკრედიტო ნიშნების წინაშე იმ უპირატესობას წარმოადგენს, რომ მას მთელი თავისი ღირებულება თან დააქვს; და, მართლაც, ყოველი ფარა-ფულის გარანტიას, მისი ნაწილისას მაინც, ის ლითონი წარმოადგენს, რომელიც ამ ფარა-ფულში უკვე მოქცეულია. უკეთუ თქვენ გონებრივი მხედველობით ყოველ ეკიუზე მოხდენილი წაოწერის წაკითხვას მოახერხებთ, მაშინ თქვენ გარკვევით გაარჩევთ შემდეგ სიტყვებს: „ალმოუჩინეთ წარმომდგენს სამსახური, თანაბარი იმ სამსახურისა, რომელიც მან საზოგადოებას ალმოუჩინა, ან-და: ღირებულება, რომელიც დაჰყარებულია, დამტკიცებული და გაზომილი თვით ჩემში მოქცეული ღირებულებით“ (Bastiat, Maudit argent).—მაგრამ მაინც არ უნდა დაგვავიწყდეს შენიშვნა ოპტიმისტური დებულების შესახებ, რომ თითქო ყოველი ფარა-ფული გაწეულ სამსახურს წარმოადგენსო.

14) ადამ სმიტი ამბობდა: „საპატიო ლითონების უმდიდრესი მალაროებიც კი დედამიწის სიმდიდრეს ვერაფერს მიუმატებს, თუ კი პროდუქტი, რომლის მთავარი ღირებულებაც მის იშვიათობაზეა დამოკიდებული, ძალაუნებურათ ფასს დაკარგავს თავისი უხვობის გამო“.

15) M. Leber, Appréciation de la fortune privée au Moyen Age და d'Avenel, Histoire des pix. თუმცა კი დაკლებას სწორი ხასიათი არ ქონდა და ხშირათ ფულის ღირებულება მაღლა ადიოდა. აი როგორია d'Avenel-ის წარმოდგენით მაქსიმალური და მინიმალური დახრა ისტორიული მრუდესი:

| | | | |
|---|---|---|---|
| 859 | 9 | 1600 | $2^1/_2$. |
| 1375 | 3 | 1750 | 3. |
| 1500 | 6 | 1890 | 1. |

ამ ციფრებში ნამეტნავათ თვალსაცემ ფაკტს მე-XVI საუკუნეში ფარა-ფულის ღირებულების განსაკუთრებითი დაცემა წარმოადგენს,—შედეგია ამერიკის ალმოჩენისა.

16) სულ უბრალო სხეულებში: ზღვის წყალში, თიხაში. დამტკიცებულია, დედამიწის შიგა ნაწილი გაცილებით უფრო მძიმე ნივთიერებათაგან შესდგება, ვიდრე მისი ზედაპირი,—ალბათ, ლითონებისაგან. ხოლო რადგან ოქრო ერთი უმძიმესი ლითონთაგანია, ამიტომ, შესაძლოა, დედამიწის გული მასიური ოქროსგანაც შესდგებოდეს!

17) არის ოქროზე უფრო ძვირფასი ლითონები. პლატინა ოქროზე ცოტათი უფრო მეტათ ღირს; ლიტი, ცირკონი და ვანადი 20 და 40-ჯერ ოქროზე უფრო მეტათ ღირს,—რადიზე ლაპარაკიც ხომ მეტია, რადგან წმინდა რადის ერთი გრამი 600,000 ფრანკზე მეტათ ეღირება! მართალია, ყველა ლაბორატორიაში არსებული მისი რაოდენობა 10 გრამს არ აღემატება!

18) სამწუხაროთ, სამუშაო ქირა მხოლოდ ძლიერ ნელათ, pede claudo, მიყვება ფასების აწევას იქ, სადაც მუშები შეკავშირებული არიან, მაგრამ ყველგან, სადაც მუშებს ტრედუნიონები მხარს უჭერენ, სამუშაო ქირა შესამჩნევათ მატულობს.

19) თუმცა წინდახედულ რანტიებს ყოველთვის აქვთ საშვალება ფულის გაიაფების შედეგი აიცილონ, ან „სახელწოდების ფასზე დაბლა“ (ე. ი. იმ ფასზე დაბლა, რომლის გადახდაც მოვალეს მართებს) ქალალდების ყიდვით ან-და სამრეწველო კომპანიათა აქციებში თავისი ქონების ნაწილის მოთავსებით, ე. ი. იმ ქალალდებში, რომლის კურსიც, ობლიგაციების ან რენტების თვისებათა მიუხედავათ, საქონლებზე ფასების აწევას ყოველთვის თან მისდევს.

20) ჩვენ ვამბობთ "$/_1$" პრობის ოქროს შესახებ, რაიც ფრანგული ფულის პრობას წარმოადგენს, ვინაიდან, თავისთავათ ცხადია, წმინდა ოქროს კილოგრამი $^1/_9$-ით ან 3,444 ფრანკითა და 44 სანტიმით მეტათ ეღირება.

21) მაგრამ შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ფულებათ მოჭრილი ოქროს ზოდი ყოველთვის მეტათ უნდა ღირდეს, მაინც, ვიდრე ოქროს გაუკეთებელი ზოდი, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ყოველი საგანი გაკეთების შემდეგ უფრო მეტათ ღირს, ვიდრე მაშინ, როცა ის გასაკეთებელია, და განსხვავება აკეთების ხარჯებს უნდა უდრიდეს.. ფულის მოჭრის საქმეშიც ეს ასეა, მაგრამ ამ შემთხვევაში გაკეთების ხარჯი იმდენათ უმნიშვნელოა, რომ იგი საგრძნობ განსხვავებას არ იძლევა.

22) ცნობილია, რომ ძველი რეჟიმის დროს ფარა-ფულის ერთეულს გირვანქას (livre) წოდებდენ. მაგრამ იშვიათად, თუ იცის ვინმე, რომ ეს ერთეული ასე იქნა წოდებული იმიტომ, რომ დასაწყისში, კარლოს დიდის დროს, იგი მართლაც 1 გირვანქა ვერცხლის წონას წარმოადგენდა (კაროლინგების გირვანქა მხოლოდ 408 გრამს შეიცავდა), ე. ი. იმ წონასა, რომელიც ახლა 82 ფრანკის წონას უდრის! როგორ მოხდა, რომ ძველი რეჟიმის ბოლოს მისი წონა 5 გრამამდი დაეშვა, რომელიც ახლანდელი ჩვენი ფრანკის წონასაც შეადგენს? მხოლოდ და მარტო შეუწყვეტლივ სულ უფროდაუფრო გაიაფებული ფულების გამოშვებით: ყოველი კოროლი ძველი გირვანქის წონას აკლებდა და ცდილობდა მაინც, რომ მას თავისი ძველი ფასი შეენარჩუნებია.—ინგლისური გირვანქის ისტორიაც აგრეთვე თითქმის ამნაირია; მხოლოდ, მართალია, ინგლისის მთავრობას ამ მხრივ თავი უფრო პატიოსნათ ეკავა, ვინაიდან ინგლისურმა გირვანქამ, რომელიც იმგვარათ წარმოიშვა, როგორც ფრანგულიც, თავისი დაცემის პროცესი 25 ფრანკზე შეაჩერა (ეს არის თანამედროვე მისი ღირებულებაც).

23) სწორეთ ამის გამო ინგლისელები ფერადული ფორმით გამოსთქვამენ, რომ კარგი ფული „ცეცხლის პრობით“ გამოიცნობაო,—ნიშნათ ცეცხლის იმ პრობისა, რომელიც საშვალო საუკუნეების პროცესში ნამდვილი სიმართლის გამოსაცნობათ იყო მიღებული.

24) საფრანგეთში, მაგ., ყოველი ადამიანი მოვალეა მიიღოს სპილენძის ფული 5 ფრანკამდი (და

თითქმის, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იგი ვალდებულია ვერცხლის ფულიც 50 ფრანკამდი მიიღოს).

25) „ჩვენ არა ერთხელ შეგვინიშნავს, რომ ამ ქალაქში (ათინაში) კარგ ფულებს ბოროტათ იყენებენ პატიოსანი ადამიანებისა და აგრეთვე ძველი ფულების საწინააღმდეგოთ. უკანასკნელი, ულიგატუროთ, უკეთესია, ყველა ფულს შორის ერთადერთი, კარგათ მოჭრილი და ბერძნებსა და ბარბაროსებს შორისაც ალებმიცემაში მოქცეულია, მაგრამ, *ნაცვლათ იმისა, რომ იგი მოვიხმაროთ, მის წინაშე ჩვენ უპირატესობას* ახლათ მოჭრილსა და ცუდი ხარისხის სპილენძის ფულებს ვანიჭებთ“.

26) არისტოფანის მიერ ალნიშნულ შემთხვევაში სულ წინააღმდეგი იყო: ახალი ფული ძველს აძევებდა. მაგრამ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ეს ახალი ფული დაბალი ღირსების იყო. ამას კი ჩვენ მე-3 შემთხვევაში ვხედავთ.

27) საფრანგეთში ალებმიცემაში თითქმის ოთხი ლითონია შემოღებული: ოქრო, ვერცხლი, ნიკელი (25 სანტიმიანი ფულისათვის) და ბრინჯაო (რომელიც მალე ნიკელმა უნდა შესცვალოს).

28) 1841-დან 1850 წლამდი ოქროს ამოღება წლის თავზე, ორთა-შუა რიცხვით, 184 მილიონით აღირიცხებოდა. 1850-დან 1860 წლამდი 700 მილიონამდი მიაწია.

29) ძნელი არაა იმის დანახვაც, რომ საკმარისია, თუ გნებავთ, *მხოლოდ ერთი* ფულის წონის შეცვლა და უცვლელათ ალებმიცემაში დარჩენილი მეორე ფულის ერთეულათ მიღება: მაგ., თუ რომ ერთეულათ 5-გრამიან ვერცხლის ფრანკს მივიღებთ, ხოლო ოქროს ფულების წონას ხან მოვუმატებთ, ხან კი მოვაკლებთ, იმის მიხედვით, თუ როგორ ქანაობს ღირებულება ოქრო-ლითონისა. მაგრამ, მიუხედავათ ასეთი გაადვილებისა, ეს, მაინც, პრაქტიკული არ იქნება.

შესაძლო იყო აგრეთვე ამ ჰიპოთეზაში ოქროს ფულის წონა უცვლელათ დაგვეტოვებია, წაგვეშალა წარწერა მისი კანონიერი ღირებულების შესახებ და მისი ღირებულებისათვის ნება მიგვეცა, მოთხოვნისა და მოწოდების კანონის მიხედვით, ხან მაღლა აწევისა და ხან კი დაბლა დაწევისა, როგორც ეს ზოგიერთ ქვეყანაში ხდებოდა, ინდო-ჩინეთში, მაგ., ღირებულება პიასტრისა. მე-XI წლის ჟერმინალის კანონმდებლები, როცა ფრანგული ფულის სისტემას ამყარებდენ, კარგათ ითვალისწინებდენ იმ დაბრკოლებებს, რომელიც აქიდან მოსალოდნელი იყო, და სწორეთ ასეთ სისტემას ამიტომაც აყენებდენ. და ახლაც ზოგიერთი ეკონომისტი მას ერთადერთ შესაძლო გადაწყვეტილებათ აღიარებს. მაგრამ მაშინ ოქროს ფული მართლაც არ ჩაითვლება ფულათ; ასეთი ფული მხოლოდ ზოდი იქნება, რომელიც ალებმიცემაში მოქცეულია, მზგავსათ ყოველი სხვა საქონლისა. 20-ფრანკიანი ფულის ფასწოდება იმგვარათვე მოხდება, როგორც ბამბისა და პურის ფასწოდება, და მისი ქანაობაც ისეთივე იქნება. რამდენათ გართულდება საქმე, და, უმთავრესათ, რამდენი მახე იქნება დადგმული უბრალო ადამიანებისათვის.

30) იმავე ოპერაციის მოხდენა შესაძლო იყო პირუკულმა წესით. პარიზელი ბანკირი 3000 ერთფრანკიან ვერცხლის-ფულს აგროვებდა, რომელიც სწორეთ 15 კილოგრამს იწონის ($3000 \times 0{,}005 = 15$). იგი ვერცხლის 15 კილოგრამს ლონდონში გზავნიდა და სანაცვლოთ ოქროს 1 კილოგრამს ღებულობდა, ვინაიდან ასეთი იყო მაშინ ამ ლითონების სასაქონლო ღირებულება. ლონდონიდან მას ოქროს ერთ კილოგრამს უგზავნიდენ, ხოლო მისგან იგი პარიზის ზარაფხანაში 3100 ოქროს ფრანკს ჭრიდა. მაშასადამე, ამ ოპერაციიდან იგი 100 ფრანკს საერთო მოგებას ღებულობდა, ე. ი. 3%-ზე ცოტა მეტს, და ეს ოპერაცია მისთვის მაინც ხელსაყრელი იყო, თითქმის ტრანსპორტისა და მოჭრის ხარჯების გამორიცხვის შემდეგაც.

31) ეს, ე. წ., *ლათინური კავშირია* (თუმცა ამ კავშირში ისპანია და პორტუგალია არ შედის). ცოტა გვიან მას საბერძნეთი შეუერთდა. პირველათ პირობა იყო დადებული, რომ ყველა მოკავშირე სახელმწიფოში ყოველი მოკავშირის ფულს გასავალი ქონოდა. მაგრამ ალებმიცემის ასეთი თავისუფლება 1893 წელს იტალიისა და საბერძნეთის ვერცხლის წვრილ ფულებს წაერთვა (ე. ი. 5-ფრანკიანზე უფრო დაბალი ფასის ფულებს). ეს ღონისძიება ამ ქვეყნების საწინააღმდეგოთ კი არ იყო მიღებული, არამედ მათი თხოვნით, რადგან მათთვის არახელსაყრელი სავაჭრო გადაცვლა ვერცხლის წვრილი ფულების უკუქცევასა და შიგნით მათ ქვეყანაში მათს ნაკლებობას იწვევდა.

32) 50 ფრანკამდი კერძო პირთა შორის და 100-მდი—ფაქტიურათ კი განუსაზღვრელათ—სახელმწიფო ხაზინებში. ადვილი გასაგებიცაა, რა თქმა უნდა, რომ სახელმწიფოს იმ ფულის მიღებაზე უარის გამოცხადება არ შეუძლია, რომელსაც თვით იგი უშვებს.

33) ყოველ შემთხვევაში, 5-ფრანკიანი ფულებისათვის, ერთადერთის იმ ფულებისათვის, რომელიც ალებმიცემაში კანონით არის ნებადართული. მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით განსაზღვრული რაოდენობის ვერცხლის უფრო წვრილი ფულების მოჭრის უფლებას ყოველი სახელმწიფო იტოვებს.

34) ასეთი საშიშროება საბოლოოთ ჩამოშორებულათ მაინც არ ჩაითვლება, ვინაიდან შეუძლებელი არაა ისეთი ფაბრიკაცია ვერცხლის ფულებისა—ყალბისა კი არა, არამედ კანონიერი წონისა და პრობისა—რანაირსაც დიდი მოგების მოტანა შეუძლია, 100%-სა, რასაც ახლა ფულის მოჭრიდან სახელმწიფო ღებულობს. და ცხოვრებაში ასეთი ოპერაცია, უეჭველია, ხდება და, ალბათ, ძლიერ ფართო მაშტაბითაც. აქიდან ის შედეგი გამომდინარეობს, რომ ვერცხლის ფულის რაოდენობა იმ რაოდენობაზე ცოტათი მეტი უნდა იყოს, რომელიც ზარაფხანიდან გამოდის.

35) მაგრამ,—შესაძლოა, შეგვეკითხონ,—სახელმწიფომ ზარალი რატომ არ უნდა მიათვალოს ხუთფრანკიანი ფულების პატრონებსო? უწინარეს ყოვლისა, ასეთი საქციელი არ შეეფერება იმ სახელმწიფოს ღირსებას, რომელმაც გარანტია მოახდინა ამ ფულებისა მათზე უკვე ალნიშნული წარწერით; შემდეგ ეს, ყოველ შემთხვევაში, ფრანგული ბანკის განადგურებას გამოიწვევდა, ვინაიდან მის სალაროში 900 მილიონ ფრანკზე მეტი ვერცხლის ფულია დაწყობილი, რომლიდანაც იგი დაახლოებით 450 მილიონამდი დაკარგავდა, ე. ი. თავის აქციებში მოთავსებულ კაპიტალზე ორჯერ მეტს.

36) 1910 წლის წყალდიდობას, რომელმაც დიდი განადგურება გამოიწვია, თავისი მოულოდნელობის გამო, ნახევარი საუკუნის განმავლობაში პრეცედენტი არ ქონია.

37) მეტაფორებს ყურადღებას ნუ მივაქცევთ,—აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ აქ ჩვენ საქმე გვაქვს *შემცვლელობის კანონის* კერძო შემთხვევასთან, რომლის მიხედვითაც ყოველთვის, როცა მოხმარებაში რომელიმე პროდუქტი მეორე პროდუქტათ შესაძლოა შეიცვალოს, ამ პროდუქტების ღირებულებანი უსათუოთ თანაბრდებიან. თუ რომ ელექტრონს სავსებით შეუძლია გაზის ადგილი დაიკაოს, მაშინ უკანასკნელის ფასი პირველი ფასის მიხედვით წესრიგდება ხოლმე. მაგრამ იმაზე უკეთეს შემთხვევას ვერ წარმოვიდგენთ, როგორიც ოქროზე ვერცხლისა ან ვერცხლზე ოქროს გამოცვლა არის.

რაიც ბიმეტალიზმის დროს, ე. ი., ორივე ლითონისგან თავისუფლათ ფულის მოჭრის დროს, ხდება. ამგვარათ, რამდენათაც ერთნაირათ შეიძლება ერთი ლითონის ნაცელათ მეორე ლითონით სარგებლობა, იმდენათ არ შეიძლება, რომ ერთი მათგანი მეორეზე მეტათ ან ნაკლებათ ღირდეს.

38) შესაძლოა, თუმცა, ბევრი მაგალითის მოყვანა იმის შესახებ, რომ კანონმდებელი საპატიო ლითონის კურსზე გავლენას ახდენს: მაგ., ორივე ლითონის ღირებულებათა შორის ღამოკიდებულების სიმტკიცე, რომელიც დაახლოებით $^3/_4$ საუკუნეს გრძელდებოდა საფრანგეთის კანონის მეოხებით; და, პირიქით, ვერცხლის ღირებულების დაცემა, რაც გერმანიაში ალებმიცემიდან ვერცხლის ფულის გაძევებამ გამოიწვია და რაიც შემდეგში იმ კონვენციამ გააძლიერა, რომელმაც ლათინურ კავშირში ვერცხლის ფულის მოჭრა მოსპო, ხოლო ამ ბოლო დროს ინგლისის ინდოეთში მისგან ფულის მოჭრის აკრძალვით დასრულდა.

39) მივუმატოთ კიდევ, რომ, თუ კი (ჩვენი ჰიპოთეზის საზღვრებში დარჩენით) ვერცხლის ღირებულების დონეზე ოქროს ღირებულების გაჩერება შესაძლო გახდება, მაშინ, რადგან ოქროს ამოღება გაცილებით უფრო მეტათ ჯდება, ვიდრე ვერცხლის ამოღება, ვერცხლის ამოღების საქმე ფართო ხასიათს მიიღებს, ხოლო ოქროს მაღაროებში მუშაობა დაუყოვნებლივ შეწყდება, რადგან იქ მუშაობა მოგებას არ მოიტანს; საბოლოოთ ასეთი ღონისძიება მეტათ თუ ნაკლებათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოქროს წარმოებას მოსპობს. ამნაირათვე, თუ რომ ბრძანებას გამოსცემენ იმის შესახებ, რომ ხარი ცხვარზე მეტათ არ უნდა ღირდეს, და ცხოვრებაში ამ საფუძველზე გამოანგარიშების განმტკიცებას მოახერხებენ, მაშინ დაბეჯითებით შესაძლოა ითქვას, რომ ყველგან ხელს მოკიდებენ, ნაცვლათ ხარებისა, ცხვრების გამრავლებას, და რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში ხარის ჯიში სავსებით მოისპობა.

40) ჩვენ ვამბობთ ყველა ქვეყანაში, რადგან, თუ რომ ისინი მნიშვნელობას მხოლოდ ერთ ქვეყანაში დაკარგვენ, მაშინ ეს მათი ღირებულების საგრძნობ დაცემას არ გამოიწვევს. სწორეთ ეს გარემოება საუკეთესო გარანტიას წარმოადგენს ფარა-ფულის პატრონისათვის!

41) ასეთ ილიუზიებს ზოგიერთი ეკონომისტიც კი ეძლევა; ყოველ შეთხვევაში, ისინი თავის მკითხველებს ამ ილიუზიების შესახებ დაბეჯითებით არ აფრთხილებენ. ალბათ, მათი უმრავლესობა იმას ფიქრობს, რომ ოქროს ან ვერცხლის ფულზე გამოჭრილი სახელმწიფო ღერბი მის ნამდვილ ღირებულებას აღნუსხავს, იმ ეტიკეტებივით. რომელსაც ვაჭარი თავის საქონელზე აკრავს. მაგრამ განცხადება იმის შესახებ, რომ ექვსგრამიანი ოქროს ფული 20 ფრანკათ ღირსო, არა თუ მარტო დეკლარატიულს, არამედ რამდენათმე ატრიბუტიულ ხასიათსაც ატარებს. და სწორეთ იმიტომ, რომ კანონმდებელის სურვილმა, რომელმაც, თუ გნებავთ, ხალხისგან სანქცია მიიღო, ფულისათვის ოქრო და ვერცხლი აირჩია, ამ ლითონებმა თავისი ღირებულების უმეტესი ნაწილი მიიღეს, და ისინი მას დაკარგვენ—ნახევარს, ყოველ შემთხვევაში, ხოლო, ნამდვილათ, უფრო მეტს, როგორც კი კანონი მათ ამაში უარს ეტყვის.

მაგრამ სწორეთ ამნაირათვე ამ ფაქტიდან ისეთი დასკვნა კი არ უნდა გამოვიყვანოთ, რომ თითქო, როგორც ამას სხვა ეკონომისტები და, განსაკუთრებით, Cernuschi, ფიქრობენ, საპატიო ლითონთა ღირებულება პირდაპირ პირობითია. რომელსამე საგანს სარგებლიანობა და მიღებული ღირებულება რომ ქონდეს, ამისათვის საჭიროა ხალხთა ნებასა და მათს არჩევანს ბუნებრივი მიზეზები განსაზღვრავდეს. მაშინ აქიდან გამომდინარე ღირებულებაც ბუნებრივი იქნება, და არა პირობითი. მაგრამ ადამიანთა არჩევანი, რომელიც საპატიო ლითონებზე შეჩერდა, ხომ სრულებით რეალურსა და ამ ლითონების შესაფერ თვისებებზეა დამყარებული. პურმაც ხომ თავისი ღირებულება იმ ფაქტის მეოხებით მიიღო, რომ კულტურულ ხალხთა უმრავლესობამ იგი თავის სასაზრდოოთ აირჩია, და არავითარი ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს იმაში, რომ იგი იმ წამსვე დაკარგავს ამ ღირებულებას, რა წამსაც მას სხვათ რათმე შესცვლიან. მიუხედავათ ამისა, ხომ არავინ ფიქრობს, რომ პურის ღირებულება პირობითიაო! ესევე შეიძლება ითქვას საპატიო ლითონების შესახებაც, მხოლოდ განსხვავებას ის შეადგენს, რომ ფულისათვის საპატიო ლითონების ნაცვლათ სხვა რისმე მონახვა უფრო ადვილია, ვიდრე საზრდოთ, პურის ნაცვლათ, სხვა რისამე.

42) რა თქმა უნდა, ფრანგული ბანკის ბილეთის აქცეპტაცია შესაძლოა მოახდინოს რომელიმე დამხურდავებელმა ან-და სხვა პირმა, რომელსაც საფრანგეთის ბანკის შესახებ წარმოდგენა აქვს და ესმის, თუ რას ნიშნავს მისი ხელისმოწერა. მაგრამ ასეთ შემთხვევაში მას ფულის სახით კი არ ღებულობენ, არამედ სავალო თამასუქის სახით; სხვაფრივ რომ ვსთქვათ, ღებულობენ მას გასანაღდებლათ წარდგენის იმედით, სრულებით ისე, როგორც როტშილდის მიერ ხელმოწერილ ვექსილს ყოველ ქვეყანაში აქცეპტაციას უზრუნველყოფს.

43) ვინ გამოიგონა ქაღალდის ფული? არ ვიცით. ქაღალდის ფული ჩინეთში ძველისძველ დროშიც იცოდნენ, და მე-XIV საუკუნეში მგზავრი მარკო პოლო მის აწერილობას იძლევა. ძველმა დრომ ფულის ბევრი ეგზემპლიარი დაგვიტოვა, ქაღალდის თუ არა, ყოველ შემთხვევაში—ტყავისა მაინც, ან წმინდათ პირობითი ღირებულებისა, რომელსაც საალყო ფულებს უწოდებდნენ, რადგან ჩვეულებრივ ასეთ ფულებს ალყაშემორტყმულ ქალაქებში ლითონის ფულების გამოლეული მარაგის შესავსებათ უშვებდნენ. პირველათ ფართო მაშტაბით ქაღალდის ფულის გამოშვება ფინანსისტმა ლოუმ მოახდინა, 1721 წ. ყველამ იცის, თუ როგორი კატასტროფა გამოიწვია მისმა სისტემამ.

44) სწორეთ ამაში რამდენათმე შემცთარია ადამ სმიტის შედარება. ვინაიდან, თუ კი უგზოთ არსებობის საშვალებას აღმოაჩენდენ, მაშინ საქმე რამდენათმე სხვაფრივ იქნებოდა მოწყობილი: ყველა ქვეყანა ერთსა და იმავე დროს ახალი სარგებლიანობის ერთნაირათ გამოყენებას მოახერხებდა, რასაც ისინი იმ მიწაზე მონახავდენ, რომელიც წინათ გადატანისთვის იყო საჭირო, ხოლო ახლა გათავისუფლებული აღმოჩნდება.

45) ფრანგ-პრუსთა ომის დროს საფრანგეთის მთავრობას ფული ესაჭიროებოდა—და მან 1500 მილიონი ფრანკის საკრედიტო ბილეთები გამოუშვა. მას რომ სესხი აეღო, ყოველწლიურათ 6% ან 90 მილიონი უნდა ეხადა. მთავრობას ამ ქაღალდის ფულების გამოშვება თვითონვე რო მოესურვებია, იგი ხარჯებსაც აიცილებდა, გარდა ფულის დამზადების ღირებულებისა. მაგრამ საფრანგეთის ბანკის შუამავლობა არჩია—ამისათვის მას სრული საფუძველი ქონდა—და საკომისიოთ 1% მისცა, რაიც მთავრობას წლიურათ მხოლოდ 15 მილი დაუჯდა. აქიდან ქვეყანამაც მოიგო, რადგან ალებმიცემაში საკმაო ფული არ იყო დარჩენილი, იარაღების საყიდლათ საზღვარგარეთ გატანისა თუ დამალვის მიზეზით. საკრედიტო ბილეთების გამოშვება, ამნაირათ, ყველასათვის სასიამოვნო იყო; გამოშვებული რაოდენობაც არ კმაროდა, რადგან ბევრი კერძო ბანკი იძულებული გახდა 5 ფრანკამდი წვრილი ბილეთების გამოსაშვებათ შეთანხმება მოეხდინათ.

46) 1810 წ. 25 ოკტ. ცირკულიარი de Montalivet-ისა, რომელიც ნაპოლეონ 1-ის სახელით ლაპარაკობდა.

47) ყველამ იცის სამწუხარო ისტორია იმ ა ს ი გ ნ ა ც ი ე ბ ი ს ა, რომელიც კონვენტმა და დირექტორიამ გამოუშვეს—45 მილიარდი, რაიც, ალბათ, იმ ეპოქაში არსებულ ფარა-ფულებს 20-ჯერ აღემატებოდა. ამდენი ფული კარგი ოქრო-ვერცხლითაც რომ გამოეშვათ, ლითონის ფულების ღირებულება მაინც დაბლა დაიწევდა, ვინაიდან გამოშვებული იქნებოდა ოცჯერ მეტი, ვიდრე საჭირო იყო. ამიტომ ადვილი წარმოსადგენია, თუ რანაირი უნდა ყოფილიყო ქაღალდის ფულის ფასის დაცემა! ბოლოს 100-ფრანკიანი ასიგნაციის ფასი 7 სუმდი დაეცა და წყვილ ჩექმაზე 4000 ფრანკს მოითხოვდენ. შესაძლოა უფრო ახალი მაგალითების მოყვანა: 1903 წ. კოლუმბიაში ქაღალდის პიასტრი, რომელიც al pari-თ 5 ფრანკათ ღირდა, 5 სანტიმამდი დაეცა. ამიტომ კვერცხი $2^1/_2$ პიასტრათ იყიდებოდა, ხოლო ჯორი (მული), დაახლოებით, 30,000 პიასტრათ (150,000 ფრანკათ)!

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ, როცა ბილეთების გამოცემა ბანკებს მიენდობა, მაშინ ეს გამოცემა გაცილებით უფრო მეტი სიფრთხილითა და წინდახედულობით ხდება და გაცილებით ნაკლებ საფრთხესაც წარმოადგენს, ვინაიდან ბანკირები უფრო მეტი გაფაციცებით იცვენ თავის ინტერესებს, ან-და, უკიდურეს შემთხვევაში, თავის აქციონერთა ინტერესებს, ვიდრე—ჰოი, საშინელებავ!—ხაზინა ხალხის ინტერესებს იცავს. ამიტომ ახლა მთავრობათა უმეტესობა ბანკების შუამავლობას მიმართავს ხოლმე.

48) ეს მომატება ვაჭრებსა და მწარმოებლებს არ აღელვებს და ისინი ამას ისე კარგათ ეჩვევიან, რომ თითქმის ქაღალდის ფულის მომხრეებათაც გამოდიან და მათს მოსპობას წინააღმდეგობას უწევენ. რადგან ამით წინანდელი ფასები დამყარდება. როცა შეერთებულ შტატებში ქაღალდის ფულების რეჟიმი იყო, მაშინ იქ მთელი პარტია არსებობდა, რომელსაც მეტათ დამახასიათებელ სახელს, inflationists-ს (გამბერველებს), უწოდებდენ, და ეს პარტია ამ რეჟიმის დასაცავათ ყოველივე ღონისძიებას ხმარობდა. იმავე პარტიამ ახლა თავი იჩინა არგენტინის რესპუბლიკაში.

49) როცა 1870 წლის ომის შემდეგ საფრანგეთი მარტო ქაღალდის ფულის-ამარა დარჩა და ყველა მისი ოქრო კონტრიბუციის გასასტუმრებლათ გერმანიას გადაეცა, ოქროზე ერთ დროს პრემიათ $2^1/_2{}^0/_0$ დაწესდა (20 ფრანკიან ოქროს ფულზე 50 სანტიმს იძლეოდენ). ეს უმნიშვნელო პრემია იყო, მაგრამ მთავრობის გასაფრთხილებლათ და საშიშროების ასაცილებლათ ისიც საკმაო შეიქნა

50) მართლაც, ჩეკი, თავისი იურიდიულისა და ეკონომიური ხასიათით, ყოველთვის იგულებს ხოლმე ფულის განსაზღვრულ ჯამს, ან-და, როგორც ამბობენ, მ ა რ ა გ ს, რომელიც ბანკირთან არის შეტანილი. მაშასადამე, ჩეკი გადახდის იარაღია, და არა კრედიტისა. ამით იგი საკრედიტო ქაღალდებისგან გაირჩევა (რომელსაც ჩვენ ქვემოთ შევისწავლით), ვექსილისა და თითქმის ბანკის ბილეთებისგან, რომელიც ბანკის კასაში უსათუოთ მისი თანაბარი ჯამის ქონას არ ნიშნავს.

მიუხედავათ ამისა, ფაქტიურათ ჩეკი საკრედიტო ფულების ხაზზე დგას, ვინაიდან ხშირათ მას ბანკირი მაშინაც კი იხდის. როცა მისი კლიენტის მიმდინარე ანგარიშში თანაბარი თანხა არ ითვლება. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, კრედიტორი, რომელიც ვალში ჩეკს ღებულობს, ამით ნდობას აცხადებს, ვინაიდან მას არაოდეს არ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ჩეკს მას უსათუოთ გაუნაღდებენ. მართლაც, შესაძლოა მოხდეს, რომ მარაგი გამოლეული აღმოჩნდეს, ან ხელისმოწერა ყალბი იქნეს, ან-და მას ჩეკი დაეკარგოს.

51) ყველანი კი არ იკრიბებიან აქ, რა თქმა უნდა, არამედ მხოლოდ 18, რომელთაც ყველა სხვა ბანკირის, თავისი კორესპონდენტების, ჩეკებიც მოაქვთ. ყოველი მათგანი აღნიშნავს იმას, რაც მას მართებს, და იმასაც, რაც მისგან სხვებს მართებს, ხოლო განსხვავება ყოველი მათგანის ანგარიშზე ინგლისის ბანკის წიგნებში შეაქვთ, სადაც საბოლოოთ ყველაფერი თავს იყრის ხოლმე.

52) ზოგიერთ ქვეყანაში, სახელდობ—ავსტრიასა და შვეიცარიაში, საფოსტო განყოფილება საანგარიშო ბანკის როლსაც ასრულებს. ისინი თუმცა დიდრონ ოპერაციებს არ ეწევიან, მაგრამ ეს საქმე ამ დაწესებულებაში დღითი-დღე ფართოვდება.

53) რასაც საოჯახო მეურნეობისა და აგრეთვე სხვილ გადასახადებში იყენებენ. 1896 წ. სამხედრო კონტრიბუციის გადახდის დროს 8,250,000 გირვანქა სტერლინგი (206 მილიონი ფრანკი) ჩინეთის ელჩმა იაპონიის ელჩს ლონდონის ბანკზე უბრალო ჩეკით გადუხადა. ამგვარათვე, რუსეთ-იაპონიის ომის შემდეგ, 1906 წ., რუსეთის ელჩმა იაპონიის ელჩს ლონდონში 121 მილიონი ფრანკის ჩეკი ჩააბარა.

54) ეს ანალოგიაა იმ ზომისა, რომელიც ვაჭრის ჩამოშორებას ცდილობს იმისათვის, რომ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის კონტაქტი დამყარდეს.

სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებაში არა ნაკლებათ საინტერესო მაგალითების დანახვაა შესაძლო: მართვა-გამგეობა პირდაპირ ხალხის საშვალეებით, რომელიც ძველ თემებში იყო ცნობილი; ახლა თანამედროვე კონსტიტუციაში რ ე ფ ე რ ე ნ დ უ მ ი ს სახით ახლდება; ყველა მოქალაქისათვის სამხედრო ბეგრის ასრულება ჩვენ იმ მდგომარეობაში გვაბრუნებს, რომელსაც ადგილი ქონდა მუდმივ არმიათა დაარსების წინ, და სხვ.

55) ს ა ე რ თ ო ვ ა ჭ რ ო ბ ა გულისხმობს საფრანგეთში შემოსულის ან იქიდან გასული საქონლების მიმოქცევას, რომელნიც, ასე ვსთქვათ, მხოლოდ საფრანგეთის მიწებს ეხებიან, ხოლო ს პ ე ც ი ა ლ უ რ ი ვ ა ჭ რ ო ბ ი თ მხოლოდ იმ საქონლების მიმოქცევა იგულისხმება, რომელიც შიგ სახელმწიფოში ხდება ან რომელიც ადგილობრივი მოხმარებისათვის არის დანიშნული; ამ დარგში, მაშასადამე, არც ამ ქვეყნით გაგზავნილი საქონლები შედის და არც admissions temporaires-ი, სპეციალური ვაჭრობა საზოგადო ვაჭრობაზე უფრო ვიწროა; მათ შორის არსებული განსხვავება საფრანგეთში რამდენიმე მილიარდს შეადგენს. სხვა ქვეყნებში ეს განსხვავება კიდევ მეტია,—მაგ., შვეიცარიაში.

56) მაგრამ აქ ექსპორტის მ ო გ ე ბ ი ს შეტანას უნდა ვერიდოთ, თუმცა ამას პოლიტიკური ეკონომიის ბევრ ტრაქტატში კიდეც ჩადიან ხოლმე, ეს მოგება უკვე მიემატა გატანის ღირებულებას, რომელსაც, ე. წ., ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს გ ა მ ო მ რ კ ვ ე ვ ი ს ა დ ა მ ო ჟ ნ ო კ ო მ ი ს ი ა განსაზღვრავს, საქონლის ფასების კურსის მიხედვით, ხოლო ეს კურსი გასაყიდ ფასებს შეესაბამება და, რა თქმა უნდა, მექარხნის მოგებასაც შეიცავს.

57) ეს წამატება, რომლის მიხედვითაც გადატანის ხარჯები საქონლის ღირებულებას ემატება, აშუქებს შემდეგ ფაქტს, რომელიც პირველი შეხედვით აუხსნელათ გვეჩვენება. თუ რომ ყველა ქვეყნის

გატანისა და შემოტანის მთელ ჯამს ავიღებთ, მაშინ ჩვენ გატანაზე მეტ შემოტანას ყოველთვის დავინახავთ. მაგ., ანტვერპენის საყოველთაო სტატისტიკის ბიუროს ცნობით, 1904 წელს ყველა ქვეყნის შემოტანის ჯამი 67 მილიარდ ფრანკს შეადგენდა, ხოლო გატანის საერთო ღირებულებას მხოლოდ 63 მილიარდამდი მიუწევია, ე. ი. 4 მილიარდით ნაკლების ყოფილა. მაგრამ თუ რომ, შემოტანილისა და გატანილი საქონლების ღირებულებათა შედარების ნაცვლათ, ერთმანეთს მათ რაოდენობას შევადარებთ, მაშინ, ცხადია, ორივე ჯამი თანასწორი იქნება, ვინაიდან შეუძლებელია, რომ ყველა ქვეყანაში გატანილზე მეტი შემოტანილი საქონელი იქნეს, თუ კი იმას არ წარმოვიდგენთ, რომ ისინი გზაში მრავლდებიან. პირიქით, რადგან საქონლების ერთი ნაწილი გზაში იკარგება, გემების დაღუპვისა და დალევრის გამო, მაშინ ცხადია, რომ შემოტანილი საქონლების რაოდენობა ცოტათი ნაკლები უნდა იქნეს, ვიდრე გატანილი საქონლებისა. მაგრამ, რადგან რაოდენობათა ნაცვლათ მხედველობაში ღირებულებას იღებდენ, რადგან ეს ღირებულება გზაში იზდება სწორეთ გასაგზავნი ხარჯების გამო, ამიტომ გასაკვირვი არაა, რომ შემოტანილი საქონლები უფრო მეტ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე გატანილი საქონლები იმ ადგილას, საიდანაც ისინი მიაქვთ.

58) მაგრამ, გერკენრატი (ჰოლანდიურ თარგმანში) შენიშნავს, რომ, როგორც ქვეყნებს შორის, ისე კერძო პირებს შორისაც, გადაცვლა ყოველთვის საქონლისთვის საქონლის გადაცემას კი არ წარმოადგენს, არამედ სამსახურისთვის საქონლის გადაცემასაც, ან-და პირუკულმა. ეს მართალია: მაგ., შვეიცარია ტურისტების ფულის სანაცვლოთ თავისი ჩანჩქერების სანახაობით დატკბობის ნებას იძლევა, ხოლო იტალია—მისი სურათების დანახვის ნებას, მაგრამ ამასობაში ისინი სანაცვლოთ საქონელს არ იძლევიან. ამიტომ გამოთქმა ნატურალური გადაცვლა ძლიერ ფართო მოსაზრებით უნდა გავიგოთ, რომელიც როგორც საქონლებს, ისე აგრეთვე სამსახურსაც შეეხება.

59) ჯერ რიკარდომ, ხოლო შემდეგ სტიუარტ მილმა მიაქცია ყურადღება ამ საინტერესო მოვლენას, რომელიც შესაძლოა ეკონომიურ პარადოქსათ ჩავთვალოთ, ვინაიდან არანორმალურია, რომ A-ს; თუ კი მას ნივთის გაკეთება B-ზე უფრო ადვილათ შეუძლია, დაებადოს აზრი, რომ იგი B-ს მიყიდოს. მაგრამ, ასეთი შემთხვევა, თუმცა იგი იშვიათია, ქვეყნებს შორის არსებული გაცვლის განსაკუთრებულ თვისებას არ შეადგენს, ვინაიდან, როგორც უკვე რიკარდომ შენიშნა (და გერკენრატმაც—ამ წიგნის თარგმანში), იგი შესაძლოა აგრეთვე კერძო პირთა შორის მომხდარ გაცვლაშიც არსებობდეს. ბოტანიკის პროფესორი ან-და ექიმი შესაძლოა ძლიერ კარგი მებაღეც იყოს და, მიუხედავათ ამისა, იგი თითქმის ასეთ შემთხვევაშიც თავისთვის უფრო ხელსაყრელათ იმ მებაღისთვის თავისი ბაღის გადაცემას ჩასთვლის, თუნდაც იგი უფრო ნაკლებათ დახელოვნებულიც იყოს, რათა მან ყველა თავისი დრო ავათმყოფებს ან-და გამოკვლევებს მოანდომოს ხოლმე.

60) როცა ლიუდოვიკ მე-XI-მ 1482 წელს პროტექციონისტული სისტემის შექმნა და უცხოელი ვაჭრების კონკურენციის ჩამოშორება მოინდომა, ამ საქმეში მას წინააღმდეგობა საფრანგეთის ყველა ქალაქიდან ტურში თავმოყრილმა სავაჭრო დეპუტატებმა გაუწიეს, რომელთაც „ყველა გარეშე ნაციის" შემოჩვევა უნდოდათ. (იხ. Revue des questions historiques-ში, ივლისი 1895 წ., წერილი დე-ლა რონსიერისა).

61) დაიმახსოვრეთ, რომ სწორეთ ასეთ შედეგს ერთისა და იმავე ქვეყნის სხვადასხვა კუთხის შინაგანი ვაჭრობა იწვევს. განა თავისუფლება და სიადვილე მიმოსვლისა კანტალსა ან ქვემო ალპებსა და პარიზს შორის ხალხისგან ამ დეპარტამენტების გაცარიელებასა და მათი მრეწველობის სიკვდილს არ იწვევენ? მაგრამ რადგან ამით საფრანგეთის ერთი ნაწილი იმას კარგავს, რასაც მეორე ნაწილი იძენს, ამიტომ ნაციონალური შეხედულობით აქ რაიმე ჩარევა საჭირო არაა.

62) იმავე აზრს ატარებდა მოხუცი კატონი, როცა ამბობდა: Patrem familias vendacem, non emacem esse oportet (De Agricultura). მოსეს კანონი ამბობს (მეორე სჯული, XV, 6): „გულმოდგინეთ გაატარე ცხოვრებაში ის ბრძანება, რომელსაც მე შენ ახლა გაძლევ. ასესხე ბევრ ხალხს და არც ერთისგან არ ისესხო: იმეფე, ამნაირათ, ბევრ ხალხზე დანურც ერთი იმეფებს შენზეო". მართალია, საქმე აქ სესხს შეეხება, და არა გაყიდვას; მაგრამ ეს ერთი და იგივეაო, ამბობენ პროტექციონისტები, ვინაიდან გამყიდველი ქვეყანა, საბოლოოთ, კრედიტის გამცემ ქვეყნათ იქცევა.

63) დეპუტატთა პალატის ტრიბუნიდან პროტექციონისტების ლიდერი მელანი ამბობდა (1898 წლის 28 თებერვლის სხდომაზე), რომ „სადამოჟნო გადასახადებს უცხოელი იხდისო".

დამოუკიდებლობისათვის ომის შემდეგ შეერთებული შტატების ხაზინის კონტროლიორი Lawence ამბობდა: „ჩვენი სადამოჟნო ტარიფით უცხოელ მექარხნეს ეუწყება, რომ მას ჩვენს ქვეყანაში თავისი პროდუქტების გაყიდვა შეუძლია, მაგრამ ამ პრივილეგიისათვის მან სასყიდელი უნდა გადაიხადოსო. ამიტომ იგი იძულებული ხდება თავისი ფასები და მოგება შეამციროს და ხელი შეუწყოს იმ შემოსავლის შექმნას, რომელიც ჩვენ საშვალებას გვაძლევს ჩვენი სახელმწიფო ვალი გადავიხადოთ და პენსიები ვაძლიოთ იმ ჩვენს ჯარის-კაცებს, რომელნიც სამოქალაქო ომის დროს დასახიჩრდენ და დაიჭრენ. ეს არის სამართლიანი სამაგიერო, ვინაიდან ამნაირათ ჩვენ საფრანგეთსა და ინგლისს იმ აჯანყების ხარჯთა ნაწილს ვაკისრებთ, რომელსაც ისინი ხელს უწყობდენ ბოროტი განზრახვითო!" (Economiste français-დან, 1882, ტ. I., გვ. 411).

64) გამოანგარიშებულია, რომ ინგლისში შემოტანილი სურსათით მცხოვრებლები თითქმის 6 თვისა, ხოლო გერმანიაში—3 თვის განმავლობაში იკვებებიან, ანუ, სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ინგლისის მცხოვრებთა ნახევარი და გერმანიის მეოთხედი უცხოელი პროდუქტებით იკვებება. ამას ადგილი არა აქვს საფრანგეთში, სადაც მცხოვრებლები უფრო თავისუფლათ დასახლებული არიან და ზენიადაგიც უფრო ნაყოფიერია.

65) იმ პასუხის გამო კი, რომელიც აქიდან წარმოშობილს უსწორო გადასახადებს შეეხება, უნდა აღინიშნოს, რომ, თვით იმ იდეის შინაარსით, რომელზედაც საკომპენსიო ბაჟის მოსაზრება ემყარება, სადამოჟნო გადასახადები უცხოელ მწარმოებლებზე გადადის. მაგრამ, თუ კი ბაჟები მაღალი ფასების სახით უფრო ხშირათ ისევ თავის ხალხს აწვება, რასაც ჩვენ შემდეგ ტექსტში დავინახავთ, მაშინ თქვენ ადვილათ შესძლებთ იმ ე. წ., კომპენსაციის ირონიის შეფასებას, რომელიც ბრძოლის პირობების გათანასწორების საბუთით, ორმაგ ტვირთს ადებს იმის კისერზე, ვინც ისედაც ძალზე დატვირთულია.

66) შესაძლოა იმის წარმოდგენა (საბუთად ზემორე ტექსტში ფაქტს ვუბრუნდებით), რომ კანტალისა ან-და ქვემო ალპების დეპარტამენტები სადამოჟნო ზღუდეებით შემოფარგლული რომ ყოფილიყვენ, მაშინ ეს გარემოება მათ უფრო მდიდრებათ გახდიდა და მათ მცხოვრებთ ლიონში ან პარიზში გადასახლებისგან შეაკავებდა.

67) საჭიროა შევეკითხოთ იმათ, ვინც შეუპოვრათ ფიქრობენ, რომ გაუბედურებულმა ქვეყანამ შემოტანისათვის თავისი ფულები უნდა იხადოს და ამნაირათ იგი განადგურდებაო: საიდან აიღებს ასეთი ქვეყანა ამ ფულებს, თუ მას გასაყიდი არაფერი გააჩნია?

მაგრამ ჩვენ უკვე განვმარტეთ, რომ შიში ლითონის ფულის შესახებაც, თითქო მას საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყანას ხელიდან გამოაცლისო, ნაკლებათ საფუძვლიანია. მოყვანილ მაგალითებში (სამხრეთი ამერიკის რესპუბლიკებში). უბედურების მიზეზი უფრო ადრე ბოროტათ ქაღალდის ფულის გამოყენებაში უნდა ვეძიოთ, და არა უცხოეთიდან შემოტანაში.

68) მაინც შესაძლოა მოხდეს ისე, რომ უცხოელ მწარმოებელს სტიუარტ მილის მიერ აღნიშნულს ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევაში ბაჟები კიდეც დააწვეს. ფასის მომატება ყოველთვის მოხმარების შემცირებას იწვევს. უცხოელ მწარმოებელს ასეთი საკითხი დაუდგება: „უფრო ხელსაყრელი არ იქნება ჩემთვის, რომ ფასებს დავაკლო იმდენი, რამდენსაც ბაჟი შეადგენს, ცოტა სხვერპლი მეც გავსწიო და ამით კლიენტები შევინარჩუნო"? მის პროდუქტებზე დადებული ბაჟი მის წინაშე მწარე ალტერნატივას აყენებს: ან *ნაკლების გაყიდვა* ან-და *ფასების დაკლება*. შესაძლოა, რომ მისმა ინტერესმა ამ ალტერნატივის მეორე ნაწილის მიღება მოითხოვოს, ე. ი. მთელი ბაჟი ან-და მისი ნაწილი თავის თავზე მიიღოს. მაგ., 1893—1895 წლებში საფრანგეთსა და შვეიცარიას შორის არსებული სავაჭრო ომის დროს ზოგიერთმა ფრანგ-მექარხნეებმა, შვეიცარიელი მყიდველები რომ არ დაეკარგათ, ახალი ტარიფით დამყარებული ბაჟი თავის ანგარიშში მიიღეს, ზოგ შემთხვევაში მთლად, ხოლო ზოგში ნაწილობრივ.

მაგრამ უცხოელმა მწარმოებლებმა ასეთ უკიდურეს პირობაზე თანხმობა რომ გამოაცხადონ, ამისათვის ორი წინასწარი პირობაა საჭირო: 1) საქონლის თვითღირებულება ამის ნებას უნდა იძლეოდეს; 2) საშვალება არ უნდა ქონდეს მათ, რომ თავისი პროდუქტები რომელსამე სხვა ბაზარზე გაასაღონ.

69) ინგლისის კონსულების მიერ 1907 წ. გერმანიაში მოხდენილის ერთი ანკეტიდან გამომდინარეობს, რომ გერმანელ მუშას არსებობა 30%-ით მეტათ უჯდება, ვიდრე ინგლისელ მუშას, და ეს მხოლოდ სასურსათო საქონლებზე სადამოჟნო გადასახადებს მიეწერება—და სხვას არაფერს.

70) ამჟამათ საფრანგეთში არსებულის სადამოჟნო ტარიფის ავტორი მელინი იმავე აზრს უფრო მკაფიოთ გამოხატავს: „ჩვენი სადამოჟნო ტარიფის შინაარსი იმით გამოიხატება, რომ საკურსო ფასები განმტკიცდეს და ამნაირათ დაჯილდოვდენ ისინი, ვისი მოგებაც კლებულობსო".

მაგრამ თუ ეს ასეა. მაშინ სამართლიანობა იმას მოითხოვს, რომ სადამოჟნო ტარიფში სამუშაო ქირის მინიმუმიც იყოს შეტანილი იმ ინდუსტრიის მუშებისათვის, რომელსაც მფარველობას უწევენ; სწორეთ ეს მოსაზრება იყო პარლამენტში გამოთქმული, მაგრამ ამაოთ.

71) „20%-ანი ბაჟი გლახა გზას უდრის, 50%-ანი—ფართოსა და ღრმა მდინარეს, უხიდოსა და უნავოს, 70%-ანი—ეს ავაზაკთა თაბუნია, რომელიც ვაჭარს თითქმის ყველაფერს ართმევს, რაც მას გააჩნია, და კიდევ მოითხოვს მისგან, რომ მას პატივი სცეს იმისათვის, რომ იგი ცოცხალი და უვნებელი გაუშვეს!" (David Wells, A primer of tarifreform, 1885 წ.). იხ. აგრეთვე არა ნაკლებ მახვილი პამფლეტები ბასტიასი.

72) ინგლისისა, ავსტრიისა, ბელგიისა, ჰოლანდიისა და შვეიცარიისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ამ განსაკუთრებულ შემთხვევაში შენიშნვა, რომელიც ომით დაკისრებული ხელშეკრულობის განუყოფელ ნაწილს შეადგენს, დროის განსაზღვრას არ შეიცავს და მით იმ ჩვეულებრივი შენიშვნებისგან გაირჩევა, რომელსაც. როგორც შემცველ ხელშეკრულობასაც, ჩვეულებრივ ძალა აქვს ათი წლ. განმავლობაში.

73) აზრი თეზისისა „მფარველობითი პროტექციონიზმისა", რომელიც მფარველობას გვირჩევს, როგორც დროებით საშვალებას, ხალხთათვის ახალგაზრდობის დროს საჭიროს, ხოლო მისი ეკონომიური მომწიფების შემდეგ მოსასპობათ დანიშნულს, არ მართლდება გამოცდილებით, ვინაიდან უკანასკნელი გვიჩვენებს, რომ ქვეყნათ ერთხელ დამყარებული პროტექციონიზმი არა თუ მოსპობას ან თვითშეზღუდვას არაოდეს არ ცდილობს, არამედ, პირიქით, სულ უფრო მეტათ განვითარებას ეწაფება.

74) ეს მან 1910 წ. ყველა ტარიფის გადათვალიერებით გააკეთა.—იხ. სადამოჟნო გადასახადი საფრანგეთში ჩემი „პოლიტიკური ეკონომიის კურსში", გვ. 377—390.

75) თუ საქმე რაიმე ცნობილი საქონლის სესხებას შეეხება, რომლის დაბრუნებასაც მსესხებელი იმ სახით პირდება, რა სახითაც იგი მას ღებულობს, მაგ., სახლის ან მიწის სესხი (რასაც იჯარის ანუ დაქირავების პირობა ეწოდება), სესხება ცხენისა ან წიგნისა,—ასეთ შემთხვევაში ჩვენგან მოყვანილი განმარტება არაა მისაღები: აქ გაცვლა კი არაა, არამედ *დაქირავება*; მაგრამ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით არც *კრედიტი* არსებობს.

76) კრედიტის სხვადასხვა ფორმის ორგანიზაციის შესახებ, საადგილ-მამულოსი, სასოფლო სამეურნეოსი, სახალხოსი, სახელმწიფოსი,—იხ. ჩემი „კურსი".

77) შენ „შეგიძლია პროცენტებით მხოლოდ უცხოეთელს მიასესხო, და არა თავის ძმას" (მეორე სჯული, XXIII, 20).

78) საკრედიტო ქაღალდის ორი მთავარი ფორმა არის შემდეგი:

1) *გადასაპირებელი ვექსილი*. პავლე, რომელმაც პეტრეს მიყიდა, ასე სწერს: „მომპელიე, იანვარი 1, 1918 წ.—ზემოაღნიშნული რიცხვიდან ოთხმოცდამეათე დღეს გადაუხადეთ ჟაკს, ან-და იმას, ვისზედაც იგი მიგითითებს, ათასი ფრანკი, რომელიც მე საქონლის სახით მივიღე". ქვემოთ კი ასეთ წარწერას აკეთებს: „ბ-ნ პეტრეს, პარიზში", ხელის მოწერა: „პავლე", და ვექსილი ჟაკს ეძლევა. ხოლო როცა ჟაკი სხვაზე გადაცემას მოინდომებს, მაშინ იგი მეორე მხარეზე წააწერს: „გადაიხადეთ ვილჰელმის მითითებით", ხელის მოწერა: „ჟაკი". და სხვ.

2) *პირადი ვექსილი*. პეტრემ იყიდა და ასე სწერს: „ქვემო აღნიშნული რიცხვიდან ოთხმოცდამეათე დღეს მე გადვუხდი პავლეს, ან იმას, ვისზეც იგი მიმითითებს, ათას ფრანკს, რომელიც მე საქონლის სახით მივიღე.—1 იანვარი, 1908 წ.— ხელის მოწერა: „პეტრე".

პირადი ვექსილი, მაშასადამე, არის უბრალო *შეპირება გადახდისა*, რომელსაც მოვალე თავის კრედიტორს აძლევს. გადასაპირებელი ვექსილი კი უფრო რთული დოკუმენტია: ეს არის *გადახდის ბძანება*, რომელსაც კრედიტორი თავის მოვალეს უგზავნის—ვის უნდა გადუხადოს?—კრედიტორს კი არა, არამედ *მესამე პირს*. ასეთი ფორმის მეოხებით, გადასაპირებელ ვექსილებს *მანძილზე* ოპერაციების მოსაგვარებლათ ხმარობენ, განკერძოებულ ქვეყნებსა თუ ადგილებს შორის.

მოვალე ვაჭრისათვის ვექსილის გამოუყიდველობა, *საპროტესტოთ* მისი გაგზავნა—ფრიად სერიოზულ მოვლენას შეადგენს: შესაძლოა, იგი *გაკოტრებულ* მოვალეთ გამოაცხადონ. თუ კი იმ პირს, რომლის სახელზეც ვექსილია გაცემული, გადახდა არ შეუძლია, მაშინ ვექსილის პასუხს ვექსილის

მიმცემი აგებს. ეს უკანასკნელიც თუ გადახდას ვერ შესძლებს, მაშინ იმის მაგიერ პასუხს ერთი ან რამდენიმე ბლანკის მიმცემი აგებს, ვის ხელშიც ვექსილმა გაიარა. ამნაირათ, კრედიტორს გადახდის სრული გარანტია ეძლევა.

79) გოშენის „სავექსილო თეორიის“ წინასიტყვაობაში ლეონ სე- ამბობს:

„ფასიან ქაღალდზე საკუთრების ამ აბსოლუტურმა განხორციელებამ მოსპო ყველა ის სიძნელე, რომელიც გაცვლასა და უფლების გადაცემას ბოჭავდა. ახლა წერილით იგზავნება საფრანგეთიდან ინგლისს, ინგლისიდან კანადას, ჰოლანდიიდან ინდოეთს, და იქიდან აქით, ქარხნები, ფაბრიკები, რკინის გზები, ყველაფერი, ერთი სიტყვით, რის ფლობაც შესაძლოა. ნივთი უძრავათ რჩება, მხოლოდ მისი სიმბოლო ერთი ადგილიდან მეორეში შეუწყვეტლივ გადადის,—როგორც სარკე, რომელიც თავის ანარეკლს სამყაროში გზავნის, სარკე იხრება, და ანარეკლი მაღლა მიდის, დაბლა, მარჯვენით, მარცხნით. ნივთი ერთ ადგილას რჩება, ხოლო იმას ყველგან იყენებენ. ვისთანაც მისი ანარეკლია, მასაც იგი პატრონობს“.

მაგრამ საჭიროა ამას მიემატოს: ანარეკლს თუ ნივთის ოდენა ღირებულება ეძლევა, ეს მხოლოდ იმიტომ არის, რომ მას კანონით აღსრულებული ღირებულება აქვს.

80) ჩვენ უკვე ვნახეთ, თუ როგორ არის შესაძლო უფულო საქმის მოგვარება, ჩეკის საშუალებით; მაგრამ ჩეკით გადახდა—მაინც გადახდაა, მით უფრო იმიტომ, რომ ჩეკი, როგორც დავინახეთ, ყოველთვის გულისხმობს განსაზღვრულ მარაგს,—სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ფულის სათანადო ჯამს, ხოლო ჩვენ აქ ფულის მოსასპობ საშუალებას ვეძებთ.

81) ჩვენ აქ ვამბობთ მხოლოდ კრედიტის შესახებ, რომელიც მიზნათ წარმოების გაადვილებას ისახავს, ვინაიდან ჩვენ ახლა წარმოებას ვსწავლობთ; ხოლო არსებობს აგრეთვე კრედიტი, რომელიც მიზნათ მოხმარების გაადვილებას ისახავს. მაგრამ უკანასკნელი უარსაყოფია და მას განსაკუთრებით არც არავის ურჩევენ.

82) არსებობს აგრეთვე უძრავი ქონების საშვალებით სესხის გაცემა, რომელსაც განსაკუთრებული, ე. წ., საადგილ-მამულო ბანკები ეწევა. იხ. ჩემი „კურსი“.

83) ზოგიერთი სხვილი ბანკი საოპერაციოთ თავის კაპიტალებს არაოდეს არ ხმარობს: ეს ბანკები ამ კაპიტალებს უძრავი ქონებისა ან-და რენტის დაწინდრებით იძლევიან, რომელიც მათ კლიენტების რეზერვს ან გარანტიას შეადგენს. ასე ხდება, მაგ., საფრანგეთის ბანკში. რაც შეეხება ინგლისის ბანკს, მისი თითქმის მთელი კაპიტალი სახელმწიფოს საკრედიტო თამასუქებისგან შესდგება.

84) მას შესაძლებელია არაფერიც არ მიეცა. ზოგიერთი ბანკი, როგორც, მაგ., საფრანგეთისა და ინგლისის, მართლაც არაფერს იძლევა, ვინაიდან ისინი დარწმუნებული არიან, რომ თავის კლიენტებს ისედაც დიდ სამსახურს უწევენ, და რომ ეს მართალია, ამას ის გარემოება ამტკიცებს, რომ ამ ბანკებში დიდძალი დეპოზიტი შემოაქვთ. წინათ კი სადეპოზიტო ბანკები, სწორეთ ის ძველი ბანკები, რომელნიც ჩვენ დავასახელეთ, მომხმარებლებისგან შენახვისათვის ქირასაც ღებულობდენ, ვინაიდან იმ დროებში ბანკები სადეპოზიტო ფულებს არ ეხებოდენ და ეს ფულები მათ არავითარ სარგებლობას არ აძლევდა.

მაგრამ ახლა ყველა ბანკი იმას ცდილობს, რომ სადეპოზიტო ფულებს პროდუქტიული დანიშნულება მიეცეს; ამიტომ უმეტესობა მომბარებლებს ცოტა პროცენტსაც აძლევს, რომ ამნაირათ თავისკენ რაც შეიძლება მეტი დეპოზიტი მიიზიდონ. ისინი მეტ პროცენტსაც იძლევიან მაშინ, როცა მათ პირობას აძლევენ, რომ უკან ფულის დაბრუნებას განსაზღვრულ ვადაში არ მოითხოვენ—ექვსი თვისა, წლისა, 5 წლისა და სხ. დროის განმავლობაში.

85) იმ ფულს გარდა, რომელიც იმ შემნახველ კასებშია შეტანილი, რომელთაც ბანკებთან საერთო არაფერი აქვთ; ასეთი ფულების ჯამი $4^1/_2$ მილიარდამდი მიაწევს.

86) ამ გენიალურ გამოგონებას პალმსტრუხს მიაწერენ, სტოკჰოლმის ბანკის დამაარსებელს (1656). იტალიისა და ამსტერდამის ძველი ბანკირები და აგრეთვე ლონდონის ოქროს და ვერცხლის მჭედლები მე-XVII საუკუნეში ბევრ ბილეთს უშვებდენ, მაგრამ ეს ბილეთები მხოლოდ მათ სალაროში შენახულ ფულებს წარმოადგენდენ; ეს იყო სადეპოზიტო კვიტანციები, და არა ბანკის ნამდვილი ბილეთები.

87) კანონიერი კურსი და იძულებითი კურსი ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. ბანკის ბილეთს კანონიერი კურსი მაშინ აქვს, როცა კრედიტორებს ან გამყიდველებს მათ მიღებაზე უარის თქმა არ შეუძლიათ. ბანკის ბილეთს იძულებითი კურსი აქვს, როცა მის მქონეს უფლება არა აქვს ბანკს ფარა-ფულზე მისი გადაცვლა მოსთხოვოს.—იძულებითი კურსი ყოველთვის კანონიერ კურსსაც გულისხმობს, მაგრამ პირიქით—არაოდეს. საფრანგეთსა და ინგლისში ბანკის ბილეთებს ლეგალური კურსი აქვს, მაგრამ მათ ავალდებულო კურსი არა აქვთ: ყოველი ადამიანი ვალდებულია ასეთი ბილეთი მიიღოს და ყველას უფლება აქვს ბანკს ფარა-ფულზე მისი დახურდავება მოსთხოვოს.

88) საკითხი თავისუფალი ვაჭრობისა ან მონოპოლიისა, რომელსაც ჩვენ ამ თავში ვიხილავთ, არ უნდა ავურიოთ გამოცემის რეგლამენტაციის საკითხს, რომელსაც მეორე თავში განვიხილავთ. ადვილი შესაძლოა, როგორც ჩვენ ამას დავინახავთ, ბანკების თავისუფალ კონკურენციასთან ბილეთების გამოშვების სასტიკი რეგლამენტაცია მოთავსდეს, ან-და, პირიქით, მონოპოლია გამოშვების სრულ თავისუფლებასთან.

89) ეს კიდეც მოხდა 1910 წელს, როცა სახელმწიფომ საფრანგეთის ბანკს დაავალა ომის სხვერპლთა დასახმარებლათ უპროცენტოთ 100,000,000-ის გაღება. საფრანგეთის ბანკი ხომ სახელმწიფო ბანკი სულაც არაა.

90) ეს ის არის, რასაც banking principle (ბანკის პრინციპი) ეწოდება, currency principle-ის (ფულის პრინციპის) დასაპირდაპირებლათ, რომელსაც ჩვენ ახლა გავეცნობით: პირველი პრინციპის მიხედვით, აღებმიცემა საბანკო ოპერაციებთან შეთანხმებით უნდა ხდებოდეს, ხოლო მეორის მიხედვით—მხოლოდ და მხოლოდ იმ ფარა-ფულის რაოდენობასთან ანგარიშის გაწევით, რომელიც ბანკის კასაში ინახება. ამ ორ პრინციპს შორის საეკონომიო ისტორიაში შესანიშნავი ბრძოლა წარმოობდა; ამ ბრძოლას მე-XIX საუკუნის პირველი ნახევრის ყველა დისკუსიაში დიდი ადგილი ეკავა.

91) როცა 1894 წ. მთავრობამ ინგლისის ბანკს ინვესტიტურა მისცა, მისგან მან სანაცვლოთ ყველა მისი კაპიტალი წამოიღო და მას შემდეგ იგი მისთვის არ დაუბრუნებია. იხ. Andréades, Histoire de la Banque d'Angleterre.

92) ყოველთვის არსებობს ორი ერთმანეთის შესაფერი gold points-ი, როგორც ორი პოლიუსი: ერთი al pari-ზე მაღლა დგას და ფარა-ფულის უკუქცევას ნიშნავს, ხოლო მეორე—al pari-ზე დაბლა მის მოქცევას გვიჩვენებს.

93) არბიტრაჟი საცვლელი ოპერაციაა, მხოლოდ უფრო რთული—და მეტი არაფერი.

აი რას ნიშნავს იგი. ლონდონზე გადასატანი ვექსილები არა თუ მარტო პარიზში, არამედ მთელი ქვეყნის ყველა სავაჭრო პუნქტში მოიძებნება. უკეთუ ასეთი ვექსილი პარიზში ძლიერ ძვირათ იყიდება, მაშინ შესაძლოა იგი სხვაგან ეძიონ, სადაც, განსაკუთრებული პირობების გამო, მისი ფასი ნაკლები იქნება. აი ეს ოპერაცია, რომელიც ნიშნავს *ქაღალდის ყიდვას იქ, სადაც ის იაფია, და გაყიდვას იქ, სადაც იგი ძვირათ იყიდება*, არის სწორეთ ის, რასაც არბიტრაჟი ეწოდება. არბიტრაჟისტები მთელს თავის თავისუფალ დროს ტელეფონთან ატარებენ და ცდილობენ, რომ სხვადასხვა ადგილის კურსი გაიგონ.

არბიტრაჟი ისეთ ხელსაყრელ შედეგს იწვევს, რომ ყველა ქვეყანას კომპენსაციის საშვალებით გადახდას უადვილებს. მართლაც, ქაღალდის სიძვირე დამახასიათებელ ნიშნეულობას წარმოადგენს იმ ქვეყნებისათვის, სადაც პასიური ვალები აკტიურ ვალებს აღემატება, და ასეთ ქვეყნებს დაუხმარებლათ კომპენსაციის საშვალებით თავისი ვალების გადახდა არ შეუძლიათ. მაგრამ მათ წონასწორობის აღდგენა და მთელი თავისი ვალების დაფარვა კომპენსაციის საშვალებით იმ ქაღალდების დახმარებით შეუძლიათ, რომელსაც არბიტრაჟისტები მათთვის საზღვარგარეთ იშოვიან (ისინი ამ ქაღალდებს იყიდიან სწორეთ იმ ქვეყნებში, სადაც მდგომარეობა სულ სხვანაირია, ე. ი. იქ, სადაც აკტიური ვალი პასიურ ვალებს აღემატება, ვინაიდან საზღვარგარეთელი ვექსილები უფრო იაფათ სწორეთ ამ ქვეყნებში იყიდება).—ეს ფრიად საბედნიერო გამოსავალია, ვინაიდან კომპენსაცია (ანაზღაურება) მხოლოდ ორ ქვეყანას შორის განსახორციელებელი რომ ყოფილიყო, იგი უმეტესათ შეუძლებელი გახდებოდა.—იშვიათი შემთხვევა იქნება, რომ შემოტანა და გატანა ორი ქვეყნისა, რომელთა შორისაც საურთიერთო ვაჭრობა წარმოობს, სწორეთ თანაბარი იყოს. ასე, მაგ., საფრანგეთი რუსეთისგან გაცილებით მეტს ყიდულობს, ვიდრე რუსეთი მისგან, და, პირიქით, თვით მისგან ინგლისი გაცილებით მეტს ყიდულობს, ვიდრე იგი ინგლისისგან.

94) საფრანგეთის ბანკს თავისი ოქროს მარაგის დასაცავათ გაცილებით უფრო ადვილი საშვალება აქვს: იგი იმ უფლებით სარგებლობს, რომელიც ბიმეტალიზმის რეჟიმის დროს ყოველ მოვალეს ეკუთნის, და *ვერცხლით იხდის* (5-ფრ. ფულებით; ასეთი ფული მილიარდია). იგი ასე იქცევა, როცა ამას საჭიროთ ხედავს. სწორეთ ასე მოიქცა იგი 1907 წ. კრიზისის დროს. ამიტომაც შესძლო მან $3^{1}/_{2}\%$-ზე (მხოლოდ მცირე ხნის განმავლობაში—$4\%$) დასახურდავებელი პროცენტის ნორმის შეჩერება, მაშინ როცა ინგლისისა და გერმანიის ბანკებმა იგი 7 და $7^{1}/_{2}\%$-მდი ასწიეს. ეს გარემოება ძლიერ აკვვირვებდა ყველას, თუმცა აქ საფრანგეთის ბანკის მხრივ არავითარს განსაკუთრებულ სამსახურს ადგილი არ აქვს; მთელ საქმეს ის გამოხატავს, რომ სხვა ბანკებს ოქროთი გადახდაზე უარის გამოცხადება არ შეეძლოთ.

95) თუ რომ თქვენ ლონდონში ფულის გადახდას მოელით, თქვენთვის საუკეთესო და უფრო ადვილი ის იქნება, რა თქმა უნდა, რომ ლონდონზე გადასაპირებელი ქაღალდი მოსძებნოთ, მაგრამ თქვენ შეგიძლიათ აგრეთვე ამ მიზნით იტალიის რენტის კუპონები, ლომბარდიის რკინის გზების ობლიგაციები, ან ოტომანის ბანკისა, ტრანსვაალის ოქროს მაღაროებისა, რიო ტინტოსი და სხვა ისეთი დაწესებულებების აქციები შეიძინოთ, რომლის განაღდებაც შესაძლოა ლონდონში. ეს არის ნამდვილი საერთაშორისო ფული და ამ ფულს საერთაშორისო ვაჭრობისათვის ხმარობენ.

96) ამ ნაკლს ჩვენ ხელოვნურს ვუწოდებთ, მაგრამ იგი, მაინც, შეეფერება სინამდვილეს ან, ყოველ შემთხვევაში, ისეთ შესაძლებლობას, რომელიც განხორციელებას ცდილობს, სახელდობ—საზღვარგარეთ ფარა-ფულის უკუქცევის ფაკტს. ბოროტებას ბოროტებით არჩენენ,—პრინციპია ჰომეოპატიური შკოლისა მედიცინაში: Similia Similibus.

203/265